

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

თ. უტურგალიძე

ქართული ენის ფონემატური
სტრუქტურა



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი

1976

4 Γ
499.962
უ 308

ნაშრომში წარმოდგენილია ქართული ენის ფონე-
მათა პარადიგმატული და სინტაგმატური ანალიზი.
განხილულია მარცვლი და დამარცვლის პრინციპე-
ბი ფონემათა სინტაგმატური წესების მიხედვით.

არის ცდა, ენაში მოქმედი ფონეტიკური პროცესე-
ბი აიხსნას ძირითად ფონემატურ კანონზომიერებებ-
ზე დაყარებით.

უ $\frac{70103}{M 607(03)-76}$ 74-76

© გამომცემლობა „მეცნიერება“. 1976

შესავალი

ენაში გამოიყოფა სხვადასხვა დონეები, რომლებიც ერთდროულად მოქმედებენ ენის გლობალურ სისტემაში. ფონემები ცალკე ენობრივ ნიშანს არ წარმოადგენენ. მათ არა აქვთ მნიშვნელობა, მაგრამ ფონემებთან დაკავშირებით დგება პრობლემები, რომლებიც განსხვავებულია ენის სხვა დონეთა პრობლემებისაგან, ამიტომ ენის ფონემატური სტრუქტურა ცალკე განიხილება*.

ფონემები ქმნიან მორფემებს, სიტყვებსა და წინადადებებს, მაგრამ ფონემათა სინტაგმატური მიმართებები განსხვავებულია მორფემისა და სიტყვის ფარგლებში, რაც უთუოდ მოითხოვს სპეციალურ შესწავლას.

ენა აერთიანებს დიალექტებსა და ლიტერატურულ ენას — ენის ქვესისტემებს. ქვესისტემები შეიძლება სხვადასხვა მომცველობის იყოს — იდიოლექტიდან დიალექტამდე.

ფონოტაქტიკური წესების ჩამოყალიბება მთელი ენის მასშტაბით მიზანშეწონილია მოხდეს დიასისტემური მეთოდით, რომელიც ემყარება დიალექტებისა და ლიტერატურული ენის მონაცემებს. დიასისტემური მეთოდით მიღებული წესები საიმედოა, რადგანაც ემყარება ქვესისტემათათვის საზიარო მასალასა და თვისებებს. ამავე დროს დიასისტემური მეთოდი მსჯელობის გარეშე არ ტოვებს ამა თუ იმ ქვესისტემის სპეციფიკას**.

წიგნში არის ცდა ქართული ენის ფონემატური სისტემის დიასისტემური მეთოდით შესწავლისა.

* Н. С. Трубецкой, Некоторые соображения относительно морфологии; კრებულში: Пражский лингвистический кружок, 1967, გვ. 115; Josef Vachek, The Linguistic School of Prague, 1966; František Daneš, On Linguistic Strata (Level), TLP, 1971.

** U. Weinreich, Is a Structural Dialectology possible? „Word“, v. 10, N 2—3, 1954; Ernst Pulgram, Structural comparison, Diasystems and Dialectology, „Linguistics“, 4, 1964.

ქართული ენის ვოკალიზმი

1. პარადიგმატული ანალიზი

სალიტერატურო ქართულსა და ქართული ენის მრავალ დიალექტში შეიძლება გამოიყოს ხუთი ხმოვანი ფონემა. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არა გვაქვს დიფთონგები, რომლებიც საკმაო რაოდენობით გვხვდება ძველს ქართულსა და თანამედროვე ქართულის ზოგიერთ დიალექტში.

მაშასადამე, ქართული ენის ვოკალიზმის შესწავლა ვარაუდობს ხმოვანთა და დიფთონგთა პარადიგმატული სტატუსის დადგენას და მათი სინტაგმატური კანონზომიერების გამოვლენას.

ზოგ დიალექტში გამოიყოფა გრძელი ხმოვნები, ზოგში კი — უნლაუტიზებული ხმოვნები, რაც, თავის მხრივ, სვამს შემდეგ კითხვებს: გრძელი ხმოვნები უნდა განვიხილოთ როგორც ბიფონემატური ერთეულები, თუ დამოუკიდებელ ფონემებს წარმოადგენს; ასევე, უნლაუტიზებული ხმოვნები ძირითად ხმოვანთა პოზიციურ ვარიანტებად უნდა მივიჩნიოთ, თუ უკვე ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ ფონემებად?

ბოლოს გასარკვევია ქართული ენის ქვესისტემების ურთიერთმიმართება სინქრონიული და დიაქრონიული თვალსაზრისით, კერძოდ: განსხვავებული ვითარება ქვესისტემებში ენის შინაგანი განვითარების ძირითადი ტენდენციის ვარიანტებს წარმოადგენს, თუ საქმე გვაქვს ფონემატური თვისებით განსხვავებულ სისტემებთან? თვისობრივი განსხვავებულობა შესაძლებელია აიხსნას როგორც შინაგანი, ისე გარეგანი მიზეზებით.

ამ გზით შეიძლება დაეახსიათოთ ამოსავალი საერთო-ქართული სისტემა.

დასმული საკითხების გარკვევა უთუოდ ვარაუდობს „როგორ?“ და „რატომ?“ რიგის კითხვების დაკმაყოფილებას. ენათა სისტემების სტრუქტურულ ანალიზში „რატომ?“ კითხვა გამართლებულია, რამდენადაც პასუხი ამ კითხვაზე შემოწმებადია.

უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ხმოვანთა სისტემა.

ქართულ ენას საერთოდ არ ახასიათებს ნაზალური ხმოვნები, ამდენად ხმოვნები ხასიათდება მათი ლოკალური რიგის, აწეულობისა და ლაბიალიზებულიობის მიხედვით¹.

სალიტერატურო ქართულს აქვს ხუთი ხმოვანი. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ეს ხმოვნები განხილულია როგორც არტიკულაციურ-ფიზიკური, ისე ფონემატური თვალსაზრისით.

არტიკულაციური თვალსაზრისით [იე] ხოვნები მიჩნეულია წინა რიგის (ანუ წინა წარმოების) ხმოვნებად, ხოლო [ოუ] — უკანა რიგისად. აღნიშნულ ხმოვანთა ანეთი კლასიფიკაცია დაეას არ იწვევს. რაც შეეხება [ა]-ს, იგი ზოგ მკვლევარს შუა რიგის ხმოვნად მიაჩნია², ზოგს კი — უკანა რიგისად³. აწეულობის მიხედვით ქართული ხმოვნები ხასიათდება შემდეგნაირად: [ი] და [უ] მაღალი აწეულობისაა, [ე] და [ო] — საშუალო აწეულობის, ხოლო [ა] — დაბალი აწეულობისა⁴.

თუ ყველა ხმოვანს ერთად განვიხილავთ და შევადარებთ წარმოების ადგილის მიხედვით (ენის აწეულობის უმაღლეს წერტილთა პირის ღრუში განაწილებისა და ურთიერთდამორების მიხედვით), ხმოვანთა ფიზიოლოგიური კლასიფიკაციისთვის გვექმნება რამდენიმე ვარიანტი, კერძოდ: 1) [ი ე ა] წინა წარმოების ხმოვნებია, ხოლო [ო უ] — უკანა წარმოებისა, ან 2) [ი ე] წინა წარმოების ხმოვნებია, ხოლო [ა.ო.უ] — უკანა წარმოებისა, ან 3) [ი ე] წინა წარმოების ხმოვნებია, [ა] — შუა რიგისა, ხოლო [ო უ] — უკანა წარმოებისა, ან 4) [ი] წინა წარმოების ხმოვანია, [ე ა.ო] — შუა რიგისა, ხოლო [უ] — უკანა წარმოებისა.

¹ ჩვენ შეგნებულად ეუვლით გვერდს ნიშანს — ღიაობა. რამდენადაც ხმოვანთა ღიაობა წარმოადგენს ჩამოთვლილი სამი ნიშნის ერთობლიობას. ფონოლოგიურ დონეზე რომელიმე ნიშანი შეიძლება არაარსებითად იქნეს მიჩნეული, მაშინ „ღიაობის“, როგორც ხმოვანთა განმასხვავებელი ნიშნის, ხმარება სერიოზულ სიძნელეებს ქმნის.

² ს. ელენტი, ქართული ენის ფონეტიკა, 1956, გვ. 33, 35.

³ რ. პ. რობინსი და ნატალი ვატერსონი, შენიშვნები ქართული სიტყვის ფონეტიკის შესახებ, „მიმოხილველი“, 4—5; Т. В. Бакардзе, Экспериментальное исследование гласных фонем немецкого и грузинского языков (автореферат...), 1960, გვ. 15.

⁴ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 68.

ოთხივე ვარიანტი გარკვეულად დასაშვებია, თუ მხოლოდ აღნიშნულ წერტილთა გეომეტრიული განაწილებით შემოვიფარგლებით. მაგრამ ჩვენ გვინტერესებს ენობრივი სისტემის კლასიფიკაცია, ამიტომ, ბუნებრივია, ხმოვანთა ფიზიოლოგიური კლასიფიკაციის კრიტერიუმი ენობრივი უნდა იყოს. ასეთ კრიტერიუმად უნდა მივიღოთ ხმოვანთა ქცევა, ვთქვათ, ხმოვანთა მოქმედება მეზობელი ბგერის წარმოქმნაზე იდენტურ პოზიციაში. რ. ჰ. რობინსმა და ნატალი ვატერსონმა თავის გამოკვლევაში აღნიშნეს, რომ [ლ] ერთ ვარიანტს გვიჩვენებს [იე]-ს წინ, სხვა ვარიანტს — [აოუ]-ს წინ. ამის საფუძველზე ისინი სრულიად სამართლიანად ასკენიან: „ეს ...ფონოლოგიური გამართლება იმისა, რომ ა ბგერა ო-სთან ერთად დაჯგუფდეს უკანა რიგის ხმოვნებში“⁵.

რადგან ჩვენ წარმოების რიგის მიხედვით [ა]-ს განაწილები-სათვის გავაჩნია ენობრივი (და ფიზიოლოგიურიც — როგორც ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი) კრიტერიუმი, [ა] უნდა მივიჩნიოთ უკანა რიგის ხმოვნად და მხედველობაში არ მივიღოთ წარმოების ადგილის მიხედვით მცირე წინწაწეულობა [ო]-სთან შედარებით, როგორც ამას მხედველობაში არ ვიღებთ [ო]-სა და [უ]-ს კლასიფიკაციის დროს წარმოების რიგის მიხედვით.

თუ [ა]-ს უკანა რიგის ხმოვნად ჩავთვლით, ლაბიალობა „ავტომატური ნიშანი“ აღარ იქნება, რადგან „წინა: უკანა“ დაპირისპირებიდან ავტომატურად აღარ გამოიყვანება „არალაბიალური: ლაბიალური“⁶. უკანა რიგში [ა] ლაბიალურობის ნიშნით დაუპირისპირდება [ო]-სა და [უ]-ს. მაგრამ შეიძლება გვეფიქრა — ეს ნიშანი მაინც ზედმეტია, რადგან [ა] ხმოვანი უკანა რიგში [ოუ]-ს მაინც უპირისპირდება შედარებით დაბალი აწეულობით.

აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ არჩევანის შესაძლებლობები, რომლებიც ენას აქვს: თუ [ა]-ს შეუძლია მისი რიგის ხმოვნებს დაუპირისპირდეს ორი ნიშნით — აწეულობითა და ლაბიალობით, ენას შეუძლია ერთ-ერთი ნიშანი პრინციპულად არ დაიცვას. ამ თავითვე უნდა ვთქვათ, ლაბიალიზაციის გარეშე ქართულში არ წარმოიქმნის [ო] და [უ] ხმოვნები, მასასადამე, ამ ნიშნით /ა/ და /ო/ ფონოლოგიურად ყოველთვის იქ-

⁵ რ. ჰ. რობინსი და ნატალი ვატერსონი, დასახ. ნაშრ., გვ. 152.

⁶ შტრ. გ. ნებიერიძე, ქართული ენის ეოკალიზმის ფონოლოგიური ანალიზი, თსუ შრომები, 105, გვ. 200.

ნება დაპირისპირებული, რის გამოც [ო]-სა და [ა]-ს შესაძლებლობა ეძლევათ, აწეულობის მიხედვით დაპირისპირება მოიხსნან, ე. ი. უკანა რიგში [ო] შეიძლება საშუალოზე უფრო დაბალი აწეულობით იწარმოებოდეს. ქართული მეტყველების ფარგლებში ეს ვარიანტი დასაშვებია. ამ თვალსაზრისით სიმპტომატურად გვეჩვენება რუსული ენის მონაცემები. როგორც ცნობილია, რუსული ენისთვის დამახასიათებელია ხმოვანთა ლაბიალური კორელაცია⁷. რუსულში [ა] ჩვეულებრივ რეალიზდება როგორც უკანა რიგის ხმოვანი⁸. მაშასადამე, შეზღუდვას აწეულობის მიხედვით /a:/o/ მიმართებაში არც აქ უნდა ველოდეთ. გ. ფანტი რუსულში ადასტურებს განსხვავებული აწეულობის ორ [ო]-ს: „На рис. 42 показана еще одна дополнительная точка положения для гласного [о]. Этот звук был образован с более низким положением языка (ხაზი ჩვენია — თ. უ.), бóльшим открытием челюстей и бóльшим огублением, чем при обычном [о], также показанном на рисунке“⁹.

პირველი — „ჩვეულებრივი“ [ო] უფრო მაღალი აწეულობის მქონეა [ა]-სთან შედარებით, მეორე [ო] კი აწეულობით [ა]-მდე დადის¹⁰. ამ შემთხვევაში [ო]-ს აწეულობის იმ თავისუფლებასთან გვაქვს საქმე, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით. იმის გამო, რომ ლაბიალობა საკორელაციო ნიშანია და საკმარისიც, რომ უკანა რიგში განასხვავოს [ა] და [ო], შესაძლებელი გახდა მათი გათანაბრება აწეულობის მიხედვით [ო]-ს დაწევის ხარჯზე.

ასეთი ვითარება ქართულისთვისაც სრულიად ბუნებრივია, რადგან აქაც, მსგავსად რუსულისა, ხმოვანთა კორელაცია ლაბიალურია (იხ. ქვემოთ) და [ა] არსებითად რეალიზდება როგორც უკანა რიგის ხმოვანი, თუმცა ხმოვანთა რიგი, მსგავსად რუსულისა, ფონოლოგიურად რელევანტური არც ქართულშია. მეორე მხრივ, იმის გამო, რომ ხმოვანთა რიგი ქართულში რელევანტური არ არის, [ა] აწეულობით ვერასოდეს ვერ გაუთანაბრდება [ე]-ს. მათი განმასხვავებელი სწორედ აწეულობის სხვადასხვა ხარისხია.

[ო]-ს აწეულობა ქართულში შესაძლებელია მერყეობდეს საშუალოსა და დაბალს შორის, რადგან ლინგვალური თავისუფლე-

7 Н. С. Трубецкой, Основы фонологии, გვ. 112.

8 Р. И. Аванесов, Фонетика современного русского языка, § 40, 1956, გვ. 92.

9 Г. Фант, Акустическая теория речеобразования, 1964, გვ. 115.

10 იხ. იქვე, გვ. 114.

ბის დროს ლაბიალური [ო] არასოდეს არ აირვევა [ა ე] ხმოვნებში. რომელთაც ლაბიალურობა არ ახასიათებს. საშუალო აწეულობაზე ზევით კი [ო] ვერ ავა, რათა არ დაემთხვეს მასავით ლაბიალური და უკანა წარმოების [უ]-ს. [უ]-ს [ო] უპირისპირდება მხოლოდ აწეულობით. მხოლოდ აწეულობით უპირისპირდებიან ერთიმეორეს წინა წარმოების არალაბიალური [ი] და [ე] ხმოვნები.

ხმოვანთა მიმართებები ახლა განვიხილოთ აქუსტიკური მონაცემების მიხედვით.

ცნობილია, ხმოვანი რაც უფრო მაღალი აწეულობისაა და ამავე დროს რაც უფრო წინააწარმოები, მისი პირველი ფორმანტი (F_1) მით უფრო მცირე იქნება, ხოლო მეორე ფორმანტი (F_2) — უფრო დიდი. არტიკულაციურად ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პირის ღრუს საპაერო კამერის შემცირებასთან და შესაბამისად ხახის ღრუს საპაერო კამერის გადიდებასთან. ამიტომ [ი]-ს F_1 ყველაზე მცირეა, ხოლო F_2 — ყველაზე დიდი. თუ შემდგომ მსჯელობას ამავე საფუძველზე განვაგრძობთ, F_1 -ის ზრდის მიხედვით ქართული ხმოვნები ასე დალაგდება: ი უ ე ო ა, F_2 -ის ზრდის მიხედვით კი ასე: უ ო ა ე ი¹¹. ანალოგიური ვითარება შეიმჩნევა სხვა ენებშიც. გამოდის, თითქოს ხმოვანთა სიმალლე და წარმოების ადგილი ცალსახად შეესაბამება F_1 -სა და F_2 -ს, კერძოდ: F_1 -ს — სიმალლე, F_2 -ს — წარმოების ადგილი.

გ. გლისონი ამასთან დაკავშირებით წერს: „Можно заметить, что в общем положении первого форманта соотносится с высотой гласного, а положение второго форманта — со степенью приближения гласного к переднему ряду“¹².

არტიკულაციური და აქუსტიკური დიაგრამების დიდ მსგავსებაზე მიუთითებს გ. ფანტი¹³. ოღონდ იზომორფული დიაგრამების მისაღებად საჭიროა არტიკულაციური წერტილების ამსახველი დიაგრამა შებრუნდეს 60°-ით საათის ისრის მიმართულებით¹⁴. გ. ფანტი აღნიშნავს, რომ მუდმივი F_2 -ის დროს F_1 შემცირდება, თუ ხმოვნის წარმოქმნის წერტილი აიწევს სასისკენ; ხოლო მულ-

11 ქართლის ხმოვანთა სპექტრული მონაცემები აღებულია თ. ციბაძის შრომიდან. იხ. Т. Г. Цибадзе, Спектральные изменения гласных грузинского языка в соседстве с последующими согласными, 1955, Тбилиси—Москва.

12 Г. Глисон, Введение в дескриптивную лингвистику, 1959, გვ. 294.

13 Г. Фант, Акустическая теория речеобразования, М., 1964, გვ. 114.

14 იქვე.

მე- F_1 -ის დროს F_2 გადიდდება აღნიშნული წერტილის სასის პარალელურად წინ წაწევის შემთხვევაში¹⁵. ყოველივე ეს კარგად უდგება ჰ. გლისონის დებულებას — აწეულობის მატების შემთხვევაში მცირდება F_1 , ხოლო წინ წაწევის შემთხვევაში დიდდება F_2 .

გასარკვევი გვჩნდება შემდეგი: რატომ უნდა შევებრუნოთ არტიკულაციური დიაგრამა 60° -ით, რომ იგი დაემთხვეს აკუსტიკურ მონაცემთა დიაგრამას?

საქმე ის არის, რომ, აკუსტიკური მონაცემების მიხედვით, F_1 -ის ლერძზე [a] არის კიდურა მაქსიმალური სიდიდის ელემენტი, ხოლო F_2 -ის ლერძზე — შუა სიდიდისა — ლაბიალურ და პალატალურ ხმოვანთა შორის დგას. არტიკულაციური სამკუთხედის პირდაპირ ჩასმა აკუსტიკურ დიაგრამაში ამ მიმართებებს არღვევს F_1 -ისა და F_2 -ის ლერძებზე. არტიკულაციური დიაგრამის 60° -ით შებრუნების შემთხვევაში კი იზომორფიზმი სრულია. ეს ტექნიკური ცვლილება მსჯელობის არსს არ ეხება, უბრალოდ, უფრო თვალსაჩინოს ხდის მას.

აქ არსებითია ის, რომ მსჯელობაში ლაბიალობის ეფექტის გათვალისწინება საჭირო არ გახდება.

მაშასადამე, მივიღოთ დებულება: რაც უფრო წინა წარმოებისა ხმოვანი, მით უფრო დიდია მისი F_2 , ხოლო რაც უფრო მდალი აწეულობისა — მით უფრო მცირეა მისი F_1 . მყარდება ცალსახა მიმართება არტიკულაციურ და აკუსტიკურ მონაცემებს შორის.

აქედან ლოგიკურად გამოდის შემდეგი დებულება: თუ რომელიმე ხმოვნის აწეულობა გაუთანაბრდება სხვა ხმოვნის აწეულობას, მექანიკურად F_1 მათ თანაბარი უნდა აღმოაჩნდეს. ეს კი ასე არ არის. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ლაბიალური კორელაციის მქონე სისტემებში შესაძლებელია [a] და [o] ხმოვნებს თანაბარი აწეულობა ჰქონდეს უკანა რიგში, მაგრამ მათი პირველი და მეორე ფორმანტები არ დაემთხვევა, როგორც ეს ნაჩვენებია გ. ფანტის გამოკვლევაში: სხვაობა ამ ფორმანტების მიხედვით რუსულ [a]-სა და [a]-ს სიმალის [o]-ს შორის გაცილებით დიდია, ვიდრე /o/-ს ორ ალოფონს შორის¹⁶.

კარგად არის ცნობილი, რომ ლაბიალიზებას გარკვეული ცვლილებები შეაქვს ხმოვანთა F_1 და F_2 ფორმანტების სიდიდეში,

¹⁵ Г. Фант, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

¹⁶ იქვე, გვ. 114.

კერძოდ, ლაბიალიზაციის შედეგად ეს ფორმანტები მცირდება¹⁷. სწორედ ამიტომ თანაბარი აწეულობის [ა] და [ო] F₁-ისა და F₂-ის მიხედვით მუდამ განსხვავებული იქნება.

პრინციპში რამდენად შესაძლებელია [ო]-ს აწეულობის მიხედვით მივეყთ ვარიანტებს ასეთი თავისუფლება, როდესაც აწეულობა რელევანტური ნიშანია ხმოვანთა სისტემაში?

ეს უთუოდ შესაძლებელია, რადგან თვით სისტემა იძლევა ამის საშუალებას. ანალოგია შეიძლება მოვიტანოთ თანხმოვანთა მიმართებებიდან. ავიღოთ, მაგალითად, წინაწარმოების ნაზალური და არანაზალური თანხმოვნები ქართულში:

	ბაგისმიერი	კბილისმიერი	ნუნისმიერი	სასისმიერი
არანაზალური	ბ ფ ვ	ღ თ ტ	ძ ც წ	ჩ ხ ჯ
ნაზალური	მ		ნ	

იმის გამო, რომ /ნ/ ყველა წინაენისმიერისაგან განსხვავდება ნაზალობით, მისი წარმოების ადგილი წინაენის მოქმედების არეში შეუზღუდველია¹⁸. ამავე ნაზალური ბუნების გამო ის ვერ იქნება ბაგისმიერი წარმოებისა, რათა არ დაემთხვეს /მ/-ს.

ა. ტომსონი ხშვის ადგილის ასეთი ვარიაციების შესახებ მიუთითებს ზოგიერთი სონორი თანხმოვნის (ლ, ნ) არტიკულაციასთან დაკავშირებით, მაგალითად: „При производстве разных *l* (рус. л) кончик языка упирается в одно из тех мест, в которых он вообще бывает при образовании зубных взрывных, т. е. в твердое небо (передне-небное *l*), в десну (альвеолярное *l*), в место соединения зубов и десны (верхнезубное *l*) или в верхние передние зубы (зазубное *l*), или находится между зубами (межзубное *l*) или за передними нижними зубами. Насколько несущественны эти различия видно из того, что мы можем даже с высунутым изо рта языком производить разные звуки *l*»¹⁹.

სრულიად სამართლიანად ა. ტომსონი *l*-სთვის არსებითად მიიჩნევს ამ ბგერისათვის დამახასიათებელ ლატერალურ ნაპრალოვ-ნობას²⁰.

¹⁷ Г. Фант, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 204.

¹⁸ თ. უთურგაიძე, ქართული ენის თანხმოვანთა პარადიგმატული ანალიზი. მეტყველების ანალიზის საკითხები, IV, 1973, გვ. 99 და 105.

¹⁹ А. И. Томсон, *Общее языковедение*, Одесса, 1910; გვ. 207.

²⁰ იქვე, გვ. 208.

ხმოვანთა პარადიგმატული აღწერისათვის ქართულში სრულად საკმარისი გამოდის ორი ნიშანი: ბ ა გ ი ს მ ი ე რ ო ბ ა და ა წ ე უ ლ ო ბ ა.

ბაგისმიერობა ქმნის ხმოვანთა ორ სერიას:

I. ბაგისმიერთა სერია: ო, უ

II. არაბაგისმიერთა სერია: ა, ე, ი

აწეულობის მიხედვით იქმნება ხმოვანთა სამი რიგი:

I. დაბალი აწეულობის — ა

II. საშუალო აწეულობის — ე

III. მაღალი აწეულობის — ი, უ

[ო], მაშასადამე, შეიძლება რეალიზდებოდეს როგორც დაბალი, ისე საშუალო აწეულობით. სქემატურად ხმოვანთა მიმართებები აღნიშნული ნიშნებით შეიძლება გამოვხატოთ შემდეგნაირად:

	რიგი აწეულობის მიხედვით		
	1-დაბალი	2-საშუალო	3-მაღალი
არაბაგისმიერი	ა	ე	ი
ბაგისმიერი	ო		უ

აკუსტიკური ნიშნებით ქართული ენის ხმოვნები დახასიათდება შემდეგნაირად:

	ა	ე	ი	ო	უ
კომპაქტური	+	+	-	+	-
ბემოლური	-	-	-	+	+
დაბალი	+	-	-	+	+

შეიძლება დავსვათ რამდენიმე კითხვა: 1) რამდენად სწორია /ა/-ს შეტანა /ე ი/-ს სერიაში; 2) რამდენად არის შესაძლებელი ვილაპარაკოთ ხმოვანთა სამსაფეხურიან სისტემაზე ქართულში, როცა ბაგისმიერთა სერიაში /ო/-ს აწეულობა მერყევია და 3) აკუსტიკურ ცხრილში კომპაქტურობის შემოტანით წარმოების რიგის შემოტანა ხომ არ ხდება?

კითხვებს შეიძლება ასე ვუპასუხოთ:

1) /ა/ „არაბაგისმიერთა“ სერიაში დგება ქვევის მიხედვით (იხ. ქვემოთ). ამ თვალსაზრისით /ა/-სთვის რელევანტურია ნიშანი „არაბაგისმიერი“ და ქარბია ნიშანი „უკანა რიგი“. სწორედ ამის გამო ქართულ ენაში შესაძლებელია წინ წაწეული [ა] და უკან დაწეული [ე].

2) /ო/-ს აწეულობის მერყეობას აწეულობის საფეხურებზე გავლენა არა აქვს. თვით სისტემა სამსაფეხურიანია, რადგანაც არაბაგისმიერთა სერიაში სამი საფეხურია წარმოდგენილი, ხოლო /ო/-სა და /უ/-ს შეუძლიათ არაბაგისმიერთა სერიაში დაუპირისპირდნენ განაპირა წევრებს — /ა/-სა და /ი/-ს.

3) „კომპაქტურობის“ კავშირი წარმოების ადგილთან არ უარყოფს ხმოვანთა რელევანტურ ნიშნებზე ადრე ჩატარებულ მსჯელობას. რადგან /ა/ ხმოვანი /ე/-სა და /ო/-ს „კომპაქტურობით“ კი არ უპირისპირდება, არამედ ნიშნებით: „დაბალი — არადაბალი“ (/ე/-ს) და „არაბაგისმიერი — ბაგისმიერი“ (/ო/-ს).

ასევე /ე/-ს და /ო/-ს დაპირისპირებისათვის რელევანტურია დაპირისპირება „არაბაგისმიერი“: „ბაგისმიერი“.

„კომპაქტური“ განასხვავებს საერთო რიგის მქონე ხმოვნებს — /ე/-სა და /ი/-ს, ერთი მხრით, და /ო/-სა და /უ/-ს, მეორე მხრით. ამ შემთხვევაში არსებით როლს თამაშობს აწეულობა. /ე/ უფრო კომპაქტურია /ი/-ზე /ე/-ს შედარებით დაბალი აწეულობის გამო, ასევე /ო/ უფრო კომპაქტურია /უ/-ზე /ო/-ს შედარებით დაბალი აწეულობის გამო.

განვიხილოთ დიფთონგები, უმლაუტიზებული და გრძელი ხმოვნები ქართული ენის ზოგიერთ სისტემაში.

უმლაუტიზებული ხმოვნები. უმლაუტიზებული ხმოვნები ქართული ენის კილოთაგან გვხვდება ინგილოურსა და მოხეურში. ამ ხმოვანთა მიღების გზა დიალექტებში ერთნაირია — მათ ვიღებთ პალატალურ ხმოვანთა ლაბიალიზებით: ვე > ო და ვი > უ²¹. ამის პარალელურად აღნიშნულ დიალექტებში გვხვდება აქვე გზით მიღებული [ო] უმლაუტის გარეშე: ვე > ო. [ო] და [ო] თავისუფლად მონაცვლეობენ (ჩონ//ჩონ).

რამდენადაც ხმოვანთა უმლაუტი ამ დიალექტებში პოზიციურია და რაიმე ფუნქციით არ არის დატვირთული, ამდენად უმლაუ-

21 ვრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი; ივ. გიგინეიშვილი, ვ. თ. ფ. ურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, 1961 (მოხეური, გვ. 35, 43, 45, 48).

ტიზებულ ხმოვნებს დამოუკიდებელ ფონემებად ვერ მივიჩნევთ; საქმე გვაქვს ბიფონემატურ ელემენტებთან.

გრძელი ხმოვანი. კარგად არის ცნობილი, რომ ქართული ენის დიალექტებში დადასტურებული გრძელი ხმოვნებიც ბიფონემატური ერთეულებია: მათ ვიღებთ მორფემათა შესაყარზე სხვადასხვა მორფემის ხმოვანთა შერწყმით. გრძელი ხმოვანი ფონემას წარმოადგენს მხოლოდ თუშურში. ხმოვანთა სიგრძის ფონეტიზაცია შედეგია თუშურის ნახურთან შერევისა²².

დიფთონგები. დიფთონგიზაცია ძველს ქართულსა და ქართული ენის დიალექტებში ძირითადად უკავშირდება ხმოვანთა კომპლექსის მოშლის ტენდენციას, რაც განპირობებულია ენის ფონემატურ სტრუქტურით²³. ცალკე უნდა გამოიყოს აღმკალი დიფთონგები ანლაუტში, როგორცაა [აჲ:თი] „ერთი“, [აჲშმაკი] „ეშმაკი“; [ჟორი] „ორი“, [ჟოცი] „ოცი“ და სხვ. დიფთონგები [აე] და [ჟო] ბიფონემატურ ერთეულებს არ წარმოადგენს. ესენი შესაბამის პალატალურ და ლაბიალურ ფონემათა ალოფონებია. სიტყვის დასაწყისში ადგილი აქვს დიფერენციალური ნიშნის დამოუკიდებლად გამოყოფას [ჟ]-სა და [ა]-ს სახით (იხ. კიდეე გვ. 16).

ენაში შეიძლება დადასტურდეს ბევრათა ისეთი ცვლილებები, რომლებიც ფონოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელობას მოკლებულია. ქართული ენის რიგ დიალექტში [ჰ] გადავიდა [ა] ბგერაში როგორც ხმოვნების, ისე თანხმოვნების წინ ხმოვანთა მომდევნოდ; მაგალითად: (ა) ჰიჲ/აიჲ „დაიხ“, ჰუჲჲ/აუჲჲ „აი“, ჰადაჲ/აადაჲ „ჰოდა“, „და“ (კავშ.) ფორმები თუშურ დიალექტში ერთიმეორის გვერდით იხმარება იდენტური მნიშვნელობით; (ბ) რიგ ფორმებში ჰ > ა პროცესი ამ დიალექტში უკვე დაშთავრებულია: მახლ (<*ჰახლ), მასრ (<*ჰასრ), მესი (<*ჰესი) და სხვ. (გ) პირის ნიშანი ჰ- ბარისა და მთის რიგ დიალექტში გარკვეულ პოზიციებში [ა]-შია გადასული, რაც კარგად არის ცნობილი საენათმეცნიერო ლიტერატურიდან. რამდენიმე მაგალითი: მი-ა-ყ-და (<მიჰყიდა), მო-ა-ნახამს, გა-ა-კრეჲ-ამ-ს (<გაჰკრეჲამს) და სხვ. აღნიშნული ცვლილება ენის პარადიგმატულ პლანში არ ასახულა, რადგან ენაში არ მომხდარა დაპირისპირება ჰV:AV ან

²² თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, 1966, გვ. 51.

²³ თ. უთურგაიძე, ქართული ენის ხმოვანთა განწილება ხმოვნებთან სიტყვის თავსა და ბოლოში, იყე, XIX.

მV:V: [ა] ან /ჰ/-ს ალოფონად გამოდის (მი-ა-ყიდის, შდრ. ჰ-ყი-დის), ან ადგილი აქვს ჰ/ა თავისუფალ სუბსტიტუციას (ჰიჲ/აიჲ) — ხმოვანთა ფშვინიერი შემართვა იცვლება. მოტირებული შემართვით და [ჰ], ისევე როგორც მისი ნაცვალნი [ა], ხმოვნის თვისებას წარმოადგენს და არა დამოუკიდებელ ფონემას. თუშურ დიალექტში ა ა ხ ლ, ა ხ ლ და მაგარშემართვიანი ე ა ხ ლ ფორმები შინაარსის პლანში სხვაობას ვერ ქმნიან²⁴.

ანლაუტის აღმავალი დიფთონგები აა, აე, აი (აასრ, აესი აიჲ) თითო ფონემას გამოხატავენ, კერძოდ, დიფთონგში შემავალ მარტივ ფონემას. ა ა ს რ ფონოლოგიურად ჩაიწერება როგორც /ასრ/ და ა. შ. [აა] არის /ა/-ს მოტირებული ალოფონი ანლაუტში.

რაც შეეხება აუსლაუტის დამავალ დიფთონგებს, რომლებშიც იგივე [ა] ელემენტი მონაწილეობს, მათი ფონოლოგიური კვალიფიკაცია სრულიად განსხვავებულია. ვნახოთ რამდენიმე ფორმათუშური დიალექტიდან: დედაა, წყაროა, კაცია, წყაროა, წავიდაა და სხვ.

(ა) დედაა, წყაროა ფორმებში, როგორც ძველ ქართულში, [ა] არის /ი/-ს ალოფონი ხმოვანთა მომდევნოდ და გამოხატავს სახელობითი ბრუნვის {ი} მორფემას, ასე რომ, [აა], [ოა] (ასევე [უა], [ეა] ხმოვანფუძიან სახელთა ბოლოს) ბიფონემატური დიფთონგებია. (ბ) ერთი რიგის [ა]-იანი დამავალი დიფთონგები მიღებულია გრძელი ხმოვნებისგან: კაცია („კაცია არის“) >კაცინ> კაცია, წყაროა („წყარო არის“) >წყარონ> წყაროა; წავიდაა? >წავიდაა? (წ ა ვ ი და ა ფორმაში ბოლო {ა} კითხვის მაწარმოებელი მორფემა); ცნცლაა? >ცნცლან? ცნცლაა? და სხვ.

[ია], [აა], [ოა] შედგენილ შეჰასმენელსა და კითხვით ფორმებში მიღებულია ბიფონემატური გრძელი ხმოვნის დაშლით სიტყვის აბსოლუტურ ბოლოს. სხვა პოზიციაში ორივე ხმოვანი სახეზეა და თითოეული მათგანი ინარჩუნებს თავის გრამატიკულ ფუნქციას (კაციააჲ „კაციაა“, წყაროააჲ „წყაროაა“, წავიდააჲ? „წავი-

24 როგორც ჩანს, ამ დიალექტში დაწყებულია [ა]-ს ფონემიზაცია, როცა აა გრ „აგრე“ (ზმნიზედა) დაუპირისპირდა თედაპირველ ჰა გრ (ამჰამად — თანხმობის ნაწილაკი — „კარაკი“) ფორმას. მაგრამ სალიტ. ქართულის ინტენსიური გავლენის შედეგად აღარ მოხდა /ჰ/:/ჲ/ დაპირისპირების განვრცობა, რაც მთავარია, არ მომხდარა /ააგრ/:/აგრ/დაპირისპირება. ამდენად [ჲ] რჩება [ა]-ს თავისუფალ ვარიანტად.

დლო?“). მაშასადამე, ამ დიფთონგების სახითაც საქმე გვაქვს ბიფონემატურ კომპლექსებთან.

ხმოვანთა ლაბიალური და არალაბიალური სერაიები ქართულში შეიძლება დავახასიათოთ /ვ/-სთან მიმართებაში.

ერთი მორფემის ფარგლებში ქართულმა ენამ არ იცის ფონემათა თანმიმდევრობა /ვ/+ლაბიალური ხმოვანი (/ვ+/ო/ და /ვ+/უ/):

ა) /ვო/-, /ვუ/- კომპლექსები არ გვხვდება სიტყვის თავში;

ბ) /ვო/ და /ვუ/ არ გვხვდება მორფემის ფარგლებში ხმოვანთა და თანხმოვანთა მომდევნოდაც, გინდაც აღნიშნული ხმოვნებისა და თანხმოვნების რეალიზაცია /ვ/-ს წინა პოზიციაში ფონემატურად დასაშვები იყოს, კერძოდ, ბუნებრივია კომბინაციები ავ-, ევ-, ივ-; დვ-, თვ-, ტვ-, ძვ-, ჩვ-, ქვ-... მაგრამ დაუშვებელია ავო-, ევო-, ივო-; ავუ-, ევუ-, ივუ-; დვო-, თვო-, ტვო-, ძვო-, ჩვო-, ქვო-; დვუ-, თვუ-, ტვუ-, ძვუ-, ჩვუ-, ქვუ-... კომპლექსები.

გ) /ვო/ და /ვუ/ არ გვხვდება აუსლაუტში ხმოვანთა და თანხმოვანთა მომდევნოდაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნასესხებ სიტყვებს (რანდევუ...).

აღნიშნული ვითარების საფუძველზე შეიძლება მივიღოთ ფონემატური წესი: ქართულ ენაში /ვ/ იკრძალება /ო, უ/ ლაბიალური ხმოვნების წინ, არ იკრძალება /ა ე ი/-ს წინ, რის საფუძველზეც /ა/ ფუნქციონალურად ერთ სერიაში ერთიანდება /ი ე/ ფონემებთან.

ქართული ენის მასალა გვიჩვენებს, რომ /ვ/ დაშვებული ჩანს არალაბიალურ ხმოვანთა წინ და მომდევნოდ, აგრეთვე ლაბიალურ ხმოვანთა მომდევნოდ ერთი მორფემის ფარგლებში (გლუვ-ი, ძოვ-ს, თოვ-ს...), შესაბამისად ზემოთ მიღებული წესი შეიძლება დავახუსტოთ შემდეგნაირად: ქართულ ენაში /ვ/ იკრძალება მხოლოდ /ო, უ/ ლაბიალური ხმოვნების წინ.

ხმოვანთა მიერ სინტაგმატურ მიმართებაში აქ გამოვლენილ თვისებაზე დამყარებით ქართული ენის ხმოვანთა სისტემის დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ ლაბიალური კორელაცია, ხოლო ლაბიალური ხმოვნები — მარკირებულად არალაბიალურებთან მიმართებით²⁵.

²⁵ ანალოგიური ვითარებისათვის სხვა ენებში იხ. Н. С. Трубецкой, ОФ. გვ. 112 და შემდეგ.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით გასარკვევია რიგი მოვლენები ქართული ენის მასშტაბით:

1) ქართული ენის დასავლურ დიალექტებში გვხვდება ფორმები. რომლებშიც თავკიდურა ლაბიალური ხმოვნის წინ განვიძარბებელია [ჟ]: ჟორი „ორი“; ჟოცი „ოცი“, ჟოფიციალური „ოფიციალური“ და სხვ. ჩვენ მიერ მიღებული წესის თანახმად კი /ო/-ს წინ /ვ/ არ უნდა გვექონდეს. ამ დიალექტური მოვლენის ფონოლოგიური ახსნა ასეთია: ჩადგანაც ჟორი, ჟოცი... ფორმები შინაარსის პლანში არ უპირისპირდება /ვ/-ს უქონელ ფორმებს. ე. ი. არა გვაქვს დაპირისპირება /ორი/:/ვორი/, /ოცი/:/ვოცი/ შდრ. ვალი: ალი, ველი:ელი...). ამ დიალექტებში საქმე გვაქვს [ჟ ო] დიფთონგთან, რომელიც ფონოლოგიურად უნდა მივიჩნიოთ /ო/-ს ალოფონად სიტყვის თავში. [ჟ] ელემენტი ამ შეფუთვებაში წარმოადგენს /ო/ ხმოვნის დიფერენციალურ ნიშანს — ლაბიალობას. ანალოგიურ ვითარებაზე მიუთითებს ნ. ტ რ უ ბ ე ც კ ი რ უ ს უ ლ ე ნ ა შ ი, რომლისთვისაც აგრეთვე არსებითია ხმოვანთა ლაბიალური კორელაცია²⁶.

2) ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში — მოხეურსა და ხევსურულში [ვა] კომპლექსი იძლევა [ვო]-სა და [ო]-ს: ვაღი>ვოღი>ოღი: გუაქ>გუოქ//გოქ; ძვალი>ძოლი და სხვ.

ამ დიალექტებში ბევრათა კოარტიკულაციის საფუძველზე აღგილი აქვს ხმოვნის ასიმილაციას: ლაბიალური [ვ]-ს გავლენით ხდება მომდევნო ხმოვნის ლაბიალიზაცია²⁷, შედეგად ა>ო. აჰის საფუძველზე ექმნება ენისთვის დაუშვებელი [ვო] კომპლექსი (ოოღი, გუოქ...), ვს დიალექტები ამ კომპლექსებზე არ ჩერდებიან (ასეთი ფორმები სპორადულია) და [ვო] გადადის [ო]-ში ([ვო>ო]), რაც უკვე ძირითადი ფონემატური თვისების რეალიზაციას წარმოადგენს და ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ფონეტიკური ცვლილება გრძელდება ფონემატური წესის აღდგენამდე.

რამდენადაც მორფემათა შესაყარზე მომხდარი ფონეტიკური ცვლილებები ფონემატური სტრუქტურის დაწოლის შედეგია, ფონემათა სინტაგმატურმა მიმართებებმა, რომელიც მორფემის ფარგლებში მოქმედებს, თავი უნდა იჩინოს მორფემათა შესაყარზე მომხდარ ფონეტიკურ ცვლილებებში. ფონეტიკური ცვლილების მი-

²⁶ Н. С. Трубечкой, დასახ. ნაშრ., გვ. 113.

²⁷ მომდევნო ხმოვნის ლაბიალიზების უნარი სხვა ლაბიალურ თანხმოვნებსაც აქვთ. მაგალითად: ბელტი>ბოლტი, იბაშს>იბოშს...

მართლებამ უნდა შეამოწმოს მიღებული ფონემატური წესის რეალურობა. განვიხილოთ ეს ცვლილებები:

1) [ვ] იკარგება ო, უ-ს წინ: ვოცნებობ > ოცნებობ (მე), ვუწერ > უწერ, ვუშენებ > უშენებ...

ამ მხრივ სიმპტომატურია, რომ, მსგავსად s₁-ის ვ-მორფემისა, [ვ] იკარგება ნასესხებ ჰიტყვებშიც: ვოყები > ოყები (რუს. вожи), ვოტკა > ოტკა (შდრ. რუს. водка).

2) მორფემათა შესაყარის C — ო/უ²⁸ პოზიციაში [ვ] იკარგება.

თავე — სათავეური > სათავეური

თავ — სათავეური > სათავეური

ქკვა — უქკვო > უქკო.

ნათესავ — უნათესავო > უნათესავო

3) ძირითადი ფონემატური წესით ქართულ ენაში ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობა აკრ. აღელია²⁹. ხმოვანთა აკრძალული კომპლექსის დასაძლევად ენა, სხვა ფონეტიკური ცვლილებების გვერდით, იყენებს თანხმოვანთა ჩართვასაც, მაგალითად: ეზო — მგ-ეზო-ე > მეეზოვე და მეზობელი (<მ-ეზო-ელი) და სხვ.

ჩვენ მიერ მიღებული წესი /ვ/-ს ხმოვანთა შორის ჩართვის შემთხვევებთანაც მოწმდება, კერძოდ: [ვ] არ ჩაერთვის ხმოვანთა კონპლექსში, თუ მეორე წევრი ლაბიალური ხმოვანია, ე. ი. /ვ/ არ ვითარდება ლაბიალური ხმოვნის წინ.

გვაქვს: ხე — ა-ხე-ვ-ებ-ს

პატარა — აპატარავებს

უთო — აუთოვებს

ყრუ — აყრუვებს

მაგრამ არ ვითარდება [ვ] უ/ო ხმოვნებით დაწყებული მორფემების წინ:

ხმა — ახმაურებს

შინა — საშინაო

ბინა — საბინაო

და სხვ.

მართალია, აუთოვებს. აყრუვებს... წარმოადგენენ აუთოებს, აყრუებს... უორმათა დუბლეტებს, მაგრამ [ვ]-ჩართული ფორმები საკმაოდ გავრცელებულია ენაში და არ ტო-

28 C — აღნიშნავს კონსონანტს.

29 თ. უთურგაიძე, ქართული ენის ხმოვანთა განაწილება ხმოვნებთან სიტყვის თავსა და ბოლოში, ივე, XIX.

ვებს ხელოვნურის შთაბეჭდილებას³⁰; სამაგიეროდ ენას არა აქვს ახმავეურებს, შინავეური, საშინავეო ფორმები ზემოთ მოტანილთა პარალელურად.

ამ თვალსაზრისით ასახსნელია ისეთი ფორმები, რომლებშიც [ვ] იკარგება არალაბიალურ ხმოვნებს შორის, მაშინ როდესაც არალაბიალური ვოკალური კომპლექსის კომპონენტთა გაყრის ერთი საშუალება სწორედ [ვ]-ს ჩართვა არის (ხე — ა-ხე-ვ-ებ-ს...), კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ანგრევეს — ან გ რ ი ვ ე ა > ან გ რ ი ა (აჰმივია > აჰმიია...) ტიპის ფორმაცვალება. აქ, ერთი შეხედვით, მოულოდნელი ჩანს [ვ]-ს დაკარგვა.

ჩვენ სწორად მიგვაჩნია [ვ]-ს გაქრობის ა. შ ა ნ ი ძ ი ს ე უ ლ ი ახსნა. მისი ვარაუდით, „მიზეზი ამ ვინის დაკარგვისა ის არის, რომ II სერიის ერთ მწკრივში (სახელდობრ მეორე კავშირებითში) ამ ზნებს თემის ნიშნად ო აქვთ, რომლის წინ ვ, რა თქმა უნდა, ვერ გამოითქმის... შემდეგ ვინის დაკარგვა განზოგადებულია და ყველა II სერიის მწკრივზე გავრცელებულა“³¹. მაშასადამე, დ ა ვ ა ნ გ რ ი ე > დ ა ვ ა ნ გ რ ი ე ცვლილება შედეგია მოცულობითი ანალოგიისა — II კავშირებითის ფუძე გამოყენებულია სხვა მწკრივებში. თვით ამ ანალოგიის საფუძველს წარმოადგენს ფონემატური წესი — /ვო/ ლაბიალური კომპლექსი ენაში დაუშვებელია.

საყურადღებოა ფორმათა შემდეგი ცვლილება, რასაც ადგილი აქვს მთის დიალექტებში: დ ა ვ ა ნ გ რ ი ე > დ ა ვ ა ნ გ რ ი ე // დ ა ვ ა ნ გ რ ი (ვ ა ჰ მ ი ე < ვ ა ჰ მ ე > // ვ ა ჰ მ ი ...). -იე დაბოლოება გვაქვს, როცა ფორმას ერთვის რაიმე ნაწილაკი: დ ა ვ ა ნ გ რ ი ე -დ' („დავანგრე და...“), დ ა ვ ა ნ გ რ ი ე ვ („დავანგრეო“). იე > ი ე // ი ცვლილებას ადგილი აქვს ფორმის აბსოლუტურ ბოლოში.

შეიძლება დავასკვნათ: მთის დიალექტებში ორი ხმოვანი სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში შერწყმით იძლევა ერთ გრძელ ხმო-

³⁰ ჩვენ ზემოთ აღნიშნეთ. რომ შესაძლებელია ლაბიალური კომპლექსი (ვ+ლაბიალური ხმოვანი) მეორეული იყოსო ქართულში. ამას შეიძლება დავუმატოთ შემდეგი: ეს ინოვაცია უნდა მომხდარიყო /ვ/-ს ფუნქციის გაფართოებით, რაც განაპირობა ორი ხმოვნის გათიშვის საჭიროებამ. ეს უკანასკნელი ვითარება კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია ფონემატური სტრუქტურის ფაქტთან: ერთი მორფემის ფარგლებში ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობა აკრძალულია.

³¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 413.

განს, რომელიც შეიძლება დავიდეს მარტივ ხმოვნამდე — ესეც უთუოდ მორფემის შივნითა სტრუქტურის გავლენის შედეგია³².

4) ლაბიალური კორელაციის თვალსაზრისით საყურადღებო ფაქტია ხმოვანთა დისიმილაციის განხორციელების სახეები ქართულში, კერძოდ: არალაბიალურ ხმოვნებში ადგილი არა აქვს ამ ნიშნის მიხედვით დისიმილაციას ყველა შესაძლო კომბინაციასა და პოზიციაში; ორი ლაბიალური ხმოვნის შეხვედრისას კი შესაძლებელია დისიმილაცია ლაბიალობის მიხედვით.

V ნიშნით გამოვხატოთ არალაბიალური ხმოვანი, v_0 -ით კი — ლაბიალური. 1) $v+v$ კომპლექსი არასოდეს არ მოგვცემს ქართულში $v+v_0$ ან v_0+v კომპლექსებს. თეორიულად დასაშვებია არალაბიალურ ხმოვანთა 9 კომბინაცია მორფემების შესაყარზე: აა, აე, აი; ეა, ეე, ეი; ია, იე, იი; ამ კომპლექსებში დისიმილაციის შედეგად არც ერთი კომპონენტი არ შეიცვლება ლაბიალური ხმოვნით.

2) ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ ლაბიალური ხმოვნების წინ /ვ/-ს არარსებობა სტრუქტურული ფაქტია. ეს თავს იჩენდა მორფოლოგიურ პროცესებში იმ მხრივ, რომ ლაბიალური კომპლექსი — $v+v_0$ მარტივდებოდა (თავური > თაური...). ხმოვანთა ლაბიალური კომპლექსი შეიძლება მოიშალოს დისიმილაციის გზით, კერძოდ, ადგალი აქვს $v_0+v_0 > v+v_0$ ცვლილებას, მაგალითად:

ინდო-ური > ინდაური

კინტო-ური > კინტაური

სა-თითო-ო > სათითაო

სა-ჯილდო-ო > საჯილდაო

უ-თუ-ო-დ > უთაოდ

სა-უთო-ო > საუთაო

სა-ბოლო-ო > საბოლაო

აღსანიშნავია ო > ა ცვლილება [ვ]-ს წინაც: დაბოლოება > დაბოლოეება > დაბოლაეება.

5) ამავე თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, საყურადღებოა სიტყვაწარმოების ზოგი წესიც: განყენებულ სახელთა მაწარმოებელი სი — ე და სი — ო წყვეტილი აფიქსებიდან სი — ო არ უჩნდება ო და უ ხმოვნით დაბოლოებულ სახელებს; გამონაკლისი არა გვაქვს:

³² თ. უთურგაიძე, ქართული ენის ხმოვანთა განაწილება ხმოვნებთან სიტყვის თავსა და ბოლოში, იყ, XIX.

სი-ცრუ-ე
ა-ვიწრო-ე (//სივიწროვე)
სი-ღრუ-ე
სი-უ-შნო-ე

დანიშნულების სა—ე და სა—ო წყვეტილ მორფემათა განაწილებაშიც საგრძნობლად შეიქმნევა, რომ ლაბიალური ხმოვნით დაბოლოებული სახელები ამჯობინებენ სა—ე მაწარმოებელს: საბალოე, საკალოე, საულოე, საკუბოე, საკვიგოე და სხვ. ამათ გვერდით იშვიათად გვხვდება ამ ტიპის ფუძეებთან სა—ო მაწარმოებელიც: საბოლოო, საუცხოო... ვფიქრობთ, ასეთი წარმოება გვიანდელია და უკავშირდება სა—ე და სა—ო სუფიქსების ფუნქციურ დიფერენციაციას არალაბიალურ დაბოლოებიანი ფუძის მქონე სახელებთან. როგორცაა, მაგალითად: სა-კაც-ე და სა-კაც-ო, ამის კვალობაზე უპირისპირდება საბოლოე და საბოლოო (საბოლოე შალი, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება).

ანდა უნდა ვივარაუდოთ, რომ სა—ე და სა—ო აფიქსებს სხვადასხვა ფუნქცია პქონდათ იმთავითვე და სა—ო მაწარმოებლის პროდუქტიულობის შემცირება (resp. სა—ე მაწარმოებლის პროდუქტიულობის გაზრდა) ლაბიალურ დაბოლოებიან ფუძეებთან განპირობა ფონემატურმა მოთხოვნილებამ.

6) ასიმილაციის პროცესების მიხედვით ლაბიალური და არალაბიალური ხმოვნების ქცევაში განსხვავება თითქოს არ შეიმჩნევა: მორფემათა შესაყარზე ასიმილაცია ხორციელდება როგორც ლაბიალიზაციის ნიშნით, ისე საპირისპიროდ. ასიმილაცია რეგრესულია და, იმის მიხედვით, ასიმილატორი ლაბიალურია თუ არალაბიალური, ასიმილირებელიც იქნეს ამ ნიშანს (ა უ > ო უ/უ უ: ოი > ეი/იი...).

მაგრამ ქართული ენის ზოგიერთ სისტემაში გვაქვს მოვლენები, რომლებიც ცალკე გამოყოფასა და სპეციალურ ანალიზს თხოვლობს. მხედველობაში გვაქვს შემდეგი შემთხვევები:

ა) ო უ > ა უ, მაგალითად ფშაურში³³ (მოუყვანია > მაუყვანია).

ზმნისწინისეული ხმოვანი ო სასხვისო ქცევის უ-ს წინ ზოგ ქვესისტემაში შეიძლება სრული ასიმილაციით უ-დ იქცეს: ოუ >

³³ გ. ცოცანიძე, პრეფიქსულ მორფემათა მიჯნის ხმოვანთა მიმდევრობანი ფშაურში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, XXVII, 1971 (მოსხენებათა თეზისები), გვ. 18.

უუ, (გურული, აქარული, თუშური...), ან უცვლელად დარჩეს (სალოტერატურო ქართული, კახური, ქართლური...), ანდა შესაძლოა ზემოთ წარმოდგენილი ვითარება გვეკონდეს (ფშაურის ტიპისა) — ეს, ახსნას თხოულობს.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ლაბიალურ კომპლექსში მოსალოდნელია დისიმილაცია (კინტოური > კინტაური). ფშაურშიც სწორედ დისიმილაციასთან გვაქვს საქმე, რაც დამატებითი მასალა ლაბიალური კორელაციის სამტკიცებლად.

ბ) კახურისა და ფშაურის უღლების პარადიგმაში ზმნისწინის მონა ალომორფები პირთა მიხედვით ასე ნაწილდება:

I. მა-მწერა

II. მო-გწერა

III. მო-მწერა.

ო/ა ცვლილება I პირში, როგორც ჩანს, ფონოლოგიურად არის განპირობებული, კეჩოდ, ადგილი აქვს ლაბიალურ დისიმილაციას³⁴: მომ > მამ (მომცა > მამცა). II და III პირებში პირობა შეიქცევა და აღარც დისიმილაცია ხდება. ზმნისწინის ამოსავალ ფორმად რომ მა- დავუშვათ, აუხსნელი დაგვრჩება მა-ს მო-დ ქცევა II და III პირებში.

გ) მო/მა მონაცვლეობას ადგილი აქვს სუბიექტური წყობის ზმნებში იმავე კახურსა და ფშაურში:

I. მოიტანე „მოვიტანე“

II. მაიტანე „მოიტანე“

III. მაიტანა „მოიტანა“.

პირველი პირის თავდაპირველი ფორმაა მოვიტანე (მოვიტანე > მოიტანე). პირის ნიშნის ვ-ს დაკარგვა ლაბიალური კომპლექსის მოშლის მიზნით ხდება, მაგრამ I პირის გამოხატვის აუცილებლობა ლაბიალური ელემენტის შემონახვას თხოულობს ფორმაში, ამიტომ მო- ზმნისწინი არ იცვლება (მოვიტანე მე), მაგრამ მორფოლოგიური თვალსაზრისით სირთულე ჩნდება იმ მხრივ, რომ მეორე პირში გვაქვს კანონიერი მოიტანე (შენ) ფორმა. ჩვენი აზრით, II პირში უკვე მორფოლოგიურ ნიადაგზე ხდება მო/მა მონაცვლეობა პირთა განსასხვავებლად. ეს გზა არ იყო ძნელი იმისაგნები, რამდენადაც მამცა ტიპის ფორმებში დიალექტები იყენებენ მა- პრეფიქსს მო-ს გვერდით (მამცა < მომცა, იხ.

³⁴ კლ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კოლოებში; აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XIX, 1959, გვ. 261 და შემდეგ.

ზემოთ); მეორე პირის ანალოგიით მესამე პირიც გადადის მა-
ზნისწინაზე.

საყურადღებოა ამ მხრივ სხვა კილოთა განსხვავებული ჩვენე-
ბა. მაგალითად, ხევსურულში შესაძლებელია სამსავე პირში მა-
ზნისწინი გვექონდეს.

I. მავიტანი „მოვიტანე“

II. მაიტანი „მოიტანე“

III. მაიტან(ა) „მოიტანა“.

ლაბიალური კომპლექსის მოშლის თვალსაზრისით ძალიან
სიმბტომატურია, ერთი მხრით, კახურ-ფშაურისა და, მეორე მხრით,
ხევსურულის ჩვენება: ამოსავალია მოვიტანე ფორმა. უნდა
მოიშალოს ლაბიალური კომპლექსი. გზა ორია: პირველი — და-
კარგოს ერთ-ერთი ლაბიალური ფონემა, მართლაც: მოვიტანე >
მოიტანე (კახ., ფშაური); მეორე — მოხდეს დისიმილაცია, ე. ი.
ლაბიალური კომპონენტებიდან ერთმა დაკარგოს ეს ნიშანი (ლა-
ბიალურობა): მოვიტანე > მავიტანე.

მაშასადამე, ფონეტიკური ცვლილება ორსავე შემთხვევაში
ხდება ერთი და იმავე მიზეზით. ცვლილების გზები განსხვავებუ-
ლია, მაგრამ შედეგი ერთია — მოიშალა ლაბიალური კომპლექსი,
რითაც დაკმაყოფილდა სისტემის ფონემატური მოთხოვნილება.

იმერულში მო-ზნისწინი იცვლება მე-თი:

I. მევიტანე

II. მეიტანე

III. მეიტანა.

იმერულშიც, მსგავსად ხევსურულისა, ზმნისწინის ამოსავალი
სახეა მო-. ხევსურულში მოვიტანე > მავიტანე (შდრ. და-
ბოლოვება > დაბოლავება), შემდეგ I პირის ანალოგიით მა- განზო-
გადდა II და III პირებშიც და, ბუნებრივია, I პირში ვ პრეფიქ-
სი უცვლელად შემოინახა არალაბიალურ გარემოში.

ეს გზა უნდა გაეკლო იმერულსაც: მოვიტანე > მავიტანე >
მევიტანე, ე. ი. ლაბიალური დისიმილაციის შემდეგ არა-
ლაბიალურ ხმოვნებს შორის ხდება ნაწილობრივი ასიმილაცია
(კონტაქტური და დისტანციური).

I. მოვიტანე > მავიტანე > მევიტანე

II. ანალოგიით: (მაიტანე) > მეიტანე

III. (მაიტანა) > მეიტანა.

ასიმილაცია არალაბიალურ კომპლექსებში დიალექტისთვის
ჩვეულებრივია: წავიდე > წევიდე, წაიდე > წეიდე, წა-

ილო > წეილო და, ბუნებრივია, დისიმილაციის შედეგად მიღებულ არალაბიალურ კომპლექსებშიც იგივე ცვლილება უნდა მომხდარიყო (მოვიტანე > მაგიტანე > მევიტანე. მაიტანე > მეიტანე, მაიტანა > მეიტანა).

უკანასკნელ, ხმოვანთა ლაბიალურ კორელაციაზე ქართულში შეიძლება ვიმსჯელოთ სიხშირული მონაცემების მიხედვითაც, კერძოდ, ცნობილია, რომ დერვიანტის (საკორელაციო ნიშნის, ჩვენს შემთხვევაში — ლ ა ბ ი ა ლ ო ბ ი ს) დათვას თან სდევს ფონემის სიხშირის დაცემა: პარადიგმატული ღერძის მარკირებული ხმოვნები სინტაგმატურ ღერძზე ნაკლები სიხშირით ხასიათდებიან არამარკირებულებთან შედარებით³⁵.

ქართულში არალაბიალური ხმოვნების სიხშირე ლაბიალურთა სიხშირეს აღემატება ორჯერ, სამჯერ და ხშირად უფრო მეტადაც. მოგვაქვს ამ მხრივ ფრიად საყურადღებო ადგილი ჰ. ფოგტის ნაშრომიდან: „ბოლოს, ჩვენ გვსურს მოკლედ შევეხოთ ქართული ენის ინდივიდუალურ ფონემათა სიხშირეს. ჩვენ შეურჩევლად ავიღეთ ორი გვერდი ყაზბეგის ნაწარმოებიდან და 3 გვერდიც ჭავჭავაძის ნაწარმოებიდან, რომლებიც შეიცავენ დაახლოებით 11000 ფონემას. შედეგები მოცემულია ქვემოთ:

თანხმოვნები 57,19%

ხმოვნები 42,81%

ერთად აღებული ხმოვნებისათვის გვაქვს შემდეგი პროცენტული მონაცემები:

მაქსიმალური ლიაობის ხმოვანი ა 39,11%

საშუალო ლიაობის ხმოვნები:

ე	20,10%	} 30,31%
ო	10,21%	

მინიმალური ლიაობის ხმოვნები

ი	24,13%	} 30,58%
უ	6,45%	

100,00%³⁶

³⁵ О. С. Широков, О соотношении фонологической системы и частотности «фонем», ВЯ, № 4, 1964; Л. В. Бондарко, Некоторые замечания по поводу маркированности членов фонетических противопоставлений; Исследования по фонологии, 1966; И. Г. Мелкишивили, Отношение маркированности в фонологии (автореферат), 1972.

³⁶ ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1961, გვ. 75-76.

3. ფოგტის ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ლაბიალური ხმოვ-
ნები გაცილებით ცოტაა არალაბიალურებთან შედარებით: ა —
39.11% : ო — 10.21%; ე — 21,10% : ო — 10.21%; ასევე ი —
24.13% : უ — 6,45%.


ა-ს სიხშირე ო-ს სიხშირეს აღემატება სამჯერ, უ-სას — ექვს-
ჯერ; ი-ს სიხშირე ო-სას აღემატება ორჯერ, ხოლო უ-სას — ოთხ-
ჯერ და ა. შ.

თანაჰედროვე მწერლის ა. ბელიაშვილის თხზულება-
თა III ტომის (1965) 32 გვერდზე (9—40, ამ გვერდების ჩათვ-
ლით) გორის ნ. ბარათაშვილის სახ. პედინსტიტუტის მან-
წავლებელმა გ. იალამიძემ ცალკეული გვერდების მიხედ-
ვით გამოთვალა ხმოვანთა სიხშირეები. მიღებული შედეგი სრულ
პარმონიაშია 3. ფოგტის მონაცემებთან: არალაბიალურ ხმო-
ვანთა სიხშირე ყველა გვერდზე გამოხატულა სამნიშნა რიცხვით,
ლაბიალურთა სიხშირე მხოლოდ ორნიშნა რიცხვებით, ამათგან უ-ს
სიხშირე ვერ სცდება 50-ს, გარდა ერთი შემთხვევისა (56, მე-13
გვერდზე). სიხშირული სხვაობა ამ ორი ჯგუფის ხმოვნებს შორის
ძალიან მკვეთრია. არალაბიალურ ხმოვანთა სიხშირე ბევრად აღე-
მატება ლაბიალურ ხმოვანთა სიხშირეს.

ქვემოთ მოგვაქვს სიხშირული მონაცემები ა. ბელიაშვილის
III ტომიდან (იხ. გვ. 25).

3. ფოგტისა და ჩვენს ცხრილებში /ა/-ს შემდეგ მაღალი სიხში-
რით ხასიათდება /ი/. ეს მოულოდნელი ფაქტია, რადგან მაღალი
აწეულობის ლაბიალური /უ/ ხასიათდება ნაკლები სიხშირით, ვიდ-
რე მასზე დაბალი აწეულობის ლაბიალური /ო/. იგივე სიხშირული
ბიმართებაა მოსალოდნელი /ი/-სა და /ე/-ს შორის ($\eta > \iota$).

თუ მარკირების იერარქიაში პირველ დერივანტად ჩავთვლით
ლაბიალობას, მომდევნო დერივანტად კი — აწეულობას, მაშინ ხმო-
ვანთა შორის მოსალოდნელი იყო ასეთი მიმართება: (I) ა > ო,
(II) ა > ე > ი (გრადუალური ოპოზიცია აწეულობის დერაშე) და
ო > უ. ეს სქემატურად შეიძლება ასე გამოვხატოთ:



მარკირების იერარქიის მეორე ვარიანტში პირველ დერივანტად
მივიჩნით აწეულობა, მომდევნო დერივანტად კი — ლაბიალობა;

სმოკანთა რაოდენობა გვერდების მიხედვით

გვერდები	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
სმოკნები	224	276	252	251	249	251	264	282	219	265	296	235	304	336	298	278
0	132	173	175	176	211	163	162	181	168	197	146	158	188	172	160	169
0	111	136	135	161	121	164	146	138	148	168	135	137	134	132	141	152
0	56	62	78	55	68	53	77	76	66	95	73	67	98	75	66	71
0	29	34	40	45	56	37	34	44	35	40	36	38	29	46	46	50
გვერდები	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40
სმოკნები	281	278	272	278	225	266	243	277	257	251	216	305	258	277	286	250
0	183	178	187	149	146	161	166	183	174	161	124	180	169	177	173	140
0	139	127	128	150	85	130	144	131	137	123	61	116	127	150	122	129
0	77	52	80	60	49	64	58	75	78	80	40	84	73	65	73	74
0	47	42	40	47	45	30	43	33	47	35	37	28	35	38	46	40

მაშინ /ა/-სგან მივიღებთ /ე/-სა და /ი/-ს, ხოლო ლაბიალობის დართვით იერარქიის შემდეგ საფეხურზე /ე/ იძლევა /ო/-ს, /ი/ კი — /უ/-ს. რადგან დაბალი აწეულობა თავისუფალია, /ო/-ს ყოველთვის შეეძლო ამ არეშიც გადასულიყო. სქემატურად ეს ასეთ სახეს მიიღებს:

O —→ უ ↑ ე —→ ო ↑ ა —→ ↓	ორივე ვარიანტით /ე/-ს სიხშირე მეტი უნდა იყოს /ი/-ს სიხშირეზე. ამიტომ მიგვაჩნია ზემოთ განხილულ ცხრილთა ჩვენება მოულოდნელად, რაც უთუოდ მოითხოვს ახსნას.
--------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

11. სინტაგმატური ანალიზი

ქართული ენის ხმოვანთა განაწილება ხმოვნებთან. ენის ფონემატური სტრუქტურის თვალსაზრისით საყურადღებოა ხმოვანთა ის კომპლექსები, რომლებიც რეალიზებულია ერთი მორფემის ფარგლებში. ჩვენ ამ კომპლექსებს განვიხილავთ სიტყვის თავკიდურად, ბოლოში და სიტყვის შიგნით თანხმოვანთა შორის. პირველი პოზიცია არის პაუზის მომდევნო (# —), მეორე პაუზის წინა (— #), მესამე კი იქნება C—C პოზიცია. საბოლოო დებულებისთვის ჩვენი მსჯელობიდან შესაძლებლობის ფარგლებში გამორიცხულია (1) ნასესხები სიტყვები, როგორცაა: იაბო, იადონი, იონჯა, იერიში, ინტერვიუ, რევიუ... (2) ექსპრესიული სიტყვები: ოო! ეი! ვაა! პოი! აა! ... (3) არის ცდა — სინქრონიულ და დიაქრონიულ დონეებზე მორფემათა შეხორცების შემთხვევაში გაპოვინდეს მორფოლოგიური საზღვარი ხმოვანთა კომპლექსში, მაგალითად: აუარება (ა-უ-არება), უეზარი (უ-ეზარი), მდაბიო (მდაბი-ო) და სხვ.

კომპლექსი, რომლის ხმოვანთა შორის მორფოლოგიური (ლექსიკური) საზღვარი დგინდება, ხმოვანთა კომბინაციების სტრუქტურაზე მსჯელობის შემდგომ ეტაპზე აღარ არის გათვალისწინებული. მაშასადამე, ჩვენ საბოლოო დებულება ემყარება დიაქრონიულ ანალიზს.

I. პოზიცია # —

1. ა: # — ა, ე, ი, ო, უ (#აა-, #აე-, #აი-, #აო-, #აუ-). კომპლექსებიდან გამოვრიცხავთ (ა) #აი-ს, რადგან იგი რეალიზებულია

ბულია მხოლოდ ექსპრესიულ (აი!) ნაწილაკში; (ბ) გამოვრიცხავთ #აუ-ს, რადგან რეალიზებულია აუარება და აუარებელ ფორმებში, სადაც თავიკიდურა ა-სა და მომდევნო უ-ს შორის გადის მორფოლოგიური საზღვარი: ა-უ-არება; ა(<ალ) ზმნისწინია, უ-კი — უარყოფის ნაწილაკი, არ ძირეული მორფემაა (შდრ. ა-მ-ი-არ-ა, სი-არ-ულ). აუარება, აუარებელი — რასაც „ვერ აუვლი (გვერდს)“; „ბევრი“ ამ სიტყვათა მეორეული მნიშვნელობა. (გ) გამოვრიცხავთ #აას, რომელიც აგრეთვე ექსპრესიულ ფორმაშია: „აარული კუდიანებსა!“ — „ძვ. ეთნ. შეძახილი ქიაკო-კონობის დროს“ (ქეგლი). აქ უთუოდ საყურადღებოა ის, რომ ქართულში აარული ფორმის პარალელურად გვხვდება არული. სავარაუდებელია, რომ არულ-ის ა-მ შეძახილში შეიძინა ექსპრესიული სიგრძე, რის შემდეგაც ქართულის ზოგს ქვესისტემაში (წარული!)-ის ნაცვლად მივიღეთ (წარული!), რამდენადაც ქართულს არ ახასიათებს გრძელი ხმოვნები.

#აო- და #აე- კომპლექსები არც გვხვდება ერთი მორფემის ფარგლებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გვიან ნასესხებ სიტყვებს, როგორცაა: აორტა, აეროპლანი და სხვ.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე უნდა მივიღოთ დებულება, რომ თავიკიდურა პოზიციაში ა-არ გვხვდება ხმოვანთა წინ ერთი მორფემის ფარგლებში.

2. ე: #—ა, ე, ი, ო, უ (#ეა-, #ეე-, #ეი-, #ეუ-). არსებული მცირე რეალიზაციებიდან გარკვეულ ფორმათა გამოორიციკვის შემდეგ ვიღებთ დებულებას: #ეუ-ის რეალიზაცია ქართულში ნულის ტოლია.

ანალიზიდან გამოირიცხა: (ა) ექსპრესიული ეე! ეეი! ეეხ! ეი! ეიბე! ეიდა! ეიპე! ეიპა! (ბ) გვიან ნასესხები ეოლითი და (გ) ეული, სადაც ისტორიულად ე-სა და ულ-ს შორის ივარაუდება მორფოლოგიური საზღვარი. ივარაუდება, რომ სადერივაციო სუფიქსი -ეულ და ზედსართავი ეულ საერთო წარმომავლობისაა.

3. ი: #—ა, ე, ი, ო, უ (#ია-, #იე-, #იი-, #იო-, #იუ-). ხმოვანთა ამ კომპლექსების რეალიზაცია მცირეა ქართულში. ძირითადად ნასესხებ სიტყვებში გვაქვს.

ანალიზიდან გამოირიცხა: (ა) ექსპრესიული იი! (ბ) ნასესხებ იაგუნდი, იარალი..., იარა, იერი, იონჯა და სხვ. ჩვენთვის ამჟამად ძნელია გადაწყვეტიტო რამის თქმა ია, იე-

ლი. იოგი. იოლი ფორმათა წარმომავლობის შესახებ³⁷. აპიტომ მსჯელობას ამ საფეხურზე რეალიზებულად ჩაითვლება #ია-, #იე- და #იო- კომპლექსები.

4. ო: #—ა, ე, ი, ო, უ (#ოა-, #ოე-, #ოი-, #ოო-, #ოუ-). გამოირიცხა: (ა) ექსპრესიული ოო! ოოხ! ოოჰ! ოი! ოე! (ბ) ნასესხები ოაზისი, ოინი.

არაექსპრესიული ხასიათის სიტყვებში აღნიშნული კომპლექსები ქართულ ენას არ ახასიათებს, შესაბამისად ვიღებთ დებულეზას: #ოv-ს რეალიზაცია ქართულში ნულის ტოლია.

5. უ: #—ა, ე, ი, ო, უ (#უა-, #უე, #უი-, #უო-, #უუ-). გამოირიცხა (ა) ექსპრესიული უუ! უუხ! უუჰ! უუფ! უი! (ბ) ნასესხები უატი და (გ) მორფემათა შეხორცებით მიღებული უარესი, უებარი, უეცარი, უარი ფორმები.

დიაქრონიული ანალიზით უ-ს რეალიზაცია ხმოვნების წინ ნულა ტოლია, რადგან შესაძლებელი ჩანს დადასტურებულ არაექსპრესიულ ფორმებში უ-ს შემდეგ მორფოლოგიური საზღვრის დაღება.

უაღრესი > უარესი (შედარებითი ხარისხის ფორმა)³⁸ - ეფრო მეტი“; შნიშვნელობის ცვლა მეორეულია: „უფრო მეტი“ > „უფრო ცუდი“.

უ-ებარ, უ-ეცარ, უ-არ ფორმებში უ- უარყოფის გადმომცემაში მორფემა (შდრ. ებრი, ებრ „მსგავსი“, „მსგავსად“; უ-ც-ებ). ძველი ქართული უვარ მეორეული ფორმა ჩანს: უარ > უვარ (იხ. ქვემოთ). უარ ფორმაში უ- გამოიყოფა ფორმაწარმოების ტიპისა და შინაარსის საფუძველზე.

თავკიდურა პოზიციის შემოწმებით, მაშასადამე, გამოირკვა, რომ თეორიულად დასაშვები 25 კომბინაციიდან სინქრონიული და დიაქრონიული ანალიზის საფუძველზე ქართული წარმომავლობის სიტყვებში რეალიზებულად უნდა მივიჩნიოთ ხმოვნების მხოლოდ 3 კომბინაცია (#ია-, #იე-, #იო-), რომლებიც თითო-ორივე სიტყვაში დასტურდება. ასეთ ვითარებაში „ქართული წარმომავ-

37 უთუოდ სიმპტომატურია სხვა ქართველურ ენათა ჩვენება: მათ ან პირდაპირ აქვთ ნასესხები ქართულიდან აღნიშნული სიტყვები, ანდა ვერ იძლევიან ფონეტიკურ შესატყვისს — ია, იო გი, იოლი ზან-სვანურში ასევეა. იგი-ლი შეგრულში ელი ფორმითაა წარმოდგენილი, სვანურში კი სხვა ძირის სიტყვაა: ჰადრა „იელი“.

38 Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925; გვ. 69.

ლობა“ ასეთი სიტყვების მიმართ პირობითია, რამდენადაც არ მომხდარა მათი სრული შემოწმება სესხების თვალსაზრისით. მაგალითად, სპარსული ღიას „იასამანი“ და ღიასამან „იასამანი“ ფორმათა მიმართება ქართულ „ია“ და „იასამან“ მნიშვნელობებთან ჯერ კიდევ. ჩვენი აზრით, დაპატებით კვლევას მოითხოვს.

II. პოზიცია —

1. ა: -ა, ე, ი, ო, უ # (-აა#, -აე#, -აი#, -აო#, -აუ#).
 თუ მსჯელობიდან გამოვრიცხავთ ჰაა! ვაა! ჰაე! ერიჰაა! დაე! ჰაი! ვაი! ჰაუ! ექსპრესიულ სიტყვებსა და ისეთ ხელოვნურ ფორმებს, როგორცაა ანბანის ასოთა სახელები რაე და ჰაე, აგრეთვე დალღაი ფორმას, რომელიც სალიტერატურო ქართულში არასწორადაა შემოტანილი თუშური დიალექტიდან (უნდა იყოს დალღობა. ამ სამგლოვიარო გერინის რეფრენში იმღერება „დალა თქვით, დალა, მკედრებო!“), მაშინ პაუზის წინ ქართულში ახმოვანი გვექნება მხოლოდ ო-ს წინ: ბაო, ნიდაო, ჯიდაო, ზარდაო, ბითაო, ქოთაო, ალაო, ილაო, ამაო, სანაო, ცანაო, გარაო, ბაყაო, ქეშაო, ღაო, ჯაო, ნაჯაო.

2. ე: -ა, ე, ი, ო, უ # (-ეა#, -ეე#, -ეი#, -ეო#, -ეუ#).
 თუ მსჯელობიდან გამოვრიცხავთ გვიან ნასესხებ ფორმებსა (იდეა, აპოგეა... პლებეი, სპონდეი...) და ექსპრესიულ ეე! ჰეე! ფიეე! ჩიეე! ეჰეე!... სიტყვებს, მაშინ ქართულში აღნიშნულ პოზიციაში ე გვექნება მხოლოდ ო-ს წინ: თეო, ბლეო, ღეო, წყეო, ქეშეო, ჩეო, ჰეო, ჯეო, ჰეო.

3. ი: -ა, ე, ი, ო, უ # (-ია#, -იე#, -იი#, იო#, -იუ#).
 თუ მსჯელობიდან გამოვრიცხავთ გვიან ნასესხებ ფორმებს (ლიე, ატელიე, ფოიე... რევიუ, ინტერვიუ, მენიუ...) და ექსპრესიული იი! წიი! ხიი! ჩხიი! ჰიი! ნაწილაკებს, მაშინ ქართულში აღნიშნულ პოზიციაში ი ხმოვანი გვექნება მხოლოდ ო და ა ხმოვნების წინ: მდაბიო, გომბიო, სიო, მკაფიო, როყიო... ბია, ბებია, გაღია, ღვია, ტყვია, შერია...

4. ო: -ა, ე, ი, ო, უ # (-ოა#, -ოე#, -ოი#, -ოო#, -ოუ#).
 სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ერთი მორფემის ფარგლებში ო ხმოვანი არ გვხვდება არც ერთი ხმოვნის წინ. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დადასტურებული ფორმები ან გვიან ნა-

სესხებია სხვა ენიდან (პროტოზოა, ფეიხოა... ჰობოი), ანდა წარმოადგენს ექსპრესიულ სიტყვებს (ოი! ჰოი! ოე! ჰოე! ჰოუ!). ყურადღებას იქცევს ერთადერთი ფორმა — პირმომწოე „მაჰარივით ტკილი, პირის მაქილარი“ (საბა). რა თქმა უნდა, აქ ე ცალკე მორფემად გამოიყოფა (მღრ. წო ვ-ს): მ-წო-ე (<მ-წოე-ე), ამდენად აქ ოე გვაქვს მორფემათა შესაყარზე და არა ერთი მორფემის ფარგლებში.

5. უ: -ა, ე, ი, ო, უ # (-უა#, -უე#, -უი#, -უო#, -უუ#).

თუ მსჯელობიდან გამოვრიცხავთ ექსპრესიულ ფორმებს (უი! ვაი-ვეი! ფუი! ჰუი! ჰაი-ჰუი! უუ! ფუუ! ფუუუ!), ქართულში აღნიშნულ პოზიციაში უ ხმოვანი გვექნება მხოლოდ -ა-ს წინ: ბაუა, ბუა, ბაბუა, ხარაბუა, ძერაბუა, ქაქაბუა, წაბუა, წენგუა, ღოდუა, ზუდუა, ხოზუა, ტარაყუა, ოხოყუა, ჰყუა, ძალუა, ლოლუა, ლულუა, ამუა, ნუნუა, კრუა, ფხოლმკრუა, ტორუა, ხელრუა, ბატუა, დელა-ტუა, კინტუა, ფუა... დუა, აღუა, ყუა, შუა, აჩუა... ძუა, წუა, ჭუა, პაჭუა... ორხუა, ბუხუა.

უთუოდ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხმოვანთა კომპლექსები, რომელთა რეალიზაციას ადგილი აქვს სიტყვათა საკმაოდ დიდ რაოდენობაში, გვხვდება სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში (პაუზის წინ) და მთავრდება -ა და -ო ხმოვნებით. ეს ხმოვნები კი, როგორც ცნობილია, ქართულში ხშირად წარმოადგენენ დერევატიულ ელემენტებს:

ა) ბოლოკიდური -ა ელემენტი ადვილად გამოიყოფა ისეთ ფორმებში, როგორიცაა: ბაბუა (<ბაბო-ა), კინტუა (<კინტო-ა), ლოლუა (<ლოლო-ა), ტორუა (<ტორო-ა), ხელრუა (<ხელრუ-ა) და სხვ.

კინობის -ა სუფიქსი უნდა ვივარაუდოთ ლაბუა, ფუფუა, ბაუა, ფუა, ნუნუა, აღუა, პაჭუა... ფორმებში.

გარკვეული სიძნელეები ელობება -ა მორფემის გამოყოფას, შუა, ძუა, ყუა, ჰყუა ფორმებში, მაგრამ „განმარტებით ლექსიკონში“ აღნუსხული 62 ფორმიდან თუ მხოლოდ ეს ოთხი ფორმა დაგვრჩება დაუშლელი, არის საფუძველი ვარაუდისათვის, რომ (თუ ეს სიტყვები ნასესხები არ არის რომელიმე ენიდან) ისტორიულად -უა # კომპლექსში ხმოვნებს შორის მორფოლოგიური/ლექსიკური საზღვარი უნდა დებულყო.

ასეთ ვარაუდს განამტკიცებს ის ფონეტიკური ცვლილებები, რაც ამ სიტყვებში ხდება, კერძოდ: ჰყუა > ჰყუა, შუა > შუვა, შუა > შუ „შუაზე“. ამათგან ჰყუა — ჰყუა, შუა — შუვა ლიტერატურულ

ძეგლებში გვხვდება პარალელურად, შუ კი დიალექტურია (გვხვდება: მთის დიალექტებში).

ბ) რაც შეეხება -აო, -ეო და -იო დაბოლოებიან სახელებს, აქაც ხშირად ხერხდება -ო-ს გამოყოფა ცალკე მორფემად, მაგალითად, წყეო: ჭერ ერთი, ამ ფორმას აქვს დუბლეტი წყე ამავე მნიშვნელობით — „საწყაო“, მეორეც, იგი უთუოდ უკავშირდება წყვ ძირს (ა-წყვ-ა).

პროფ. ვლ. ახვლედიანის ვარაუდით, თეო („ფარის, ნახირის გვერდზე დამით საყარაულო ადგილი მწყემსისა და ძაღლებისთვის“) უნდა უკავშირდებოდეს თევა ფუძეს. ივარაუდება თეო > თეო. ეს ფორმა თეო საყურადღებო ჩანს იმიტაც, რომ გვაქვს ოდენსუფიქსიანი წარმოება დანიშნულების სახელისა, რაც მის არქაულობაზე მიუთითებს (შდრ. სა-ველ და სა-ჯელ-ო).

ადვილად გამოიყოფა -იო დაბოლოება მ და ბ ი ო, გ ო მ ბ ი ო, მ კ ა ფ ი ო... ტიპის ფორმებში. რამდენადაც ენაში ცალკე გვაქვს დაბა და ცალკე — მ და ბ ი უ რ ი, შესაძლებელია მ და ბ ი ო -ში -ი ცალკე მაწარმოებლად მივიჩნიოთ (მ-დაბ-ი-ო, მ-დაბ-ი-ურ-ი) და ამის საფუძველზე ცალკე გამოვეყოთ -ო სუფიქსი.

• • •

როგორც ვნახეთ, თეორიულად მოსალოდნელი 50 შესაძლებლობიდან ქართულში სიტყვის თავკიდურად და ბოლოში რეალიზებულია ხმოვანთა 8 კომპლექსი: #ია-, #იე-, #იო- და -აო#, -ეო#, -ოა#, -ია#, -უა# — შესაძლებლობის 16%. ამასთან ერთად გაირკვა ისიც, რომ მათი რეალიზაცია ხდება სიტყვათა ძალიან მცირე რაოდენობაში.

ჩატარებული ანალიზი იძლევა ორი ვარაუდის საშუალებას: პირველი — დადასტურებული ფორმები მეორეულია ენის სისტემასათვის, მიღებულია (ა) ს ე ს ხ ე ბ ი ს ა ნ (ბ) მორფემათა შორის გრამატიკულ-ლექსიკური ზღვარის წაშლით; მეორე — ხმოვანთა კომპლექსების მცირე რეალიზაციების სახით საქმე გვაქვს უძველეს მოდელთან, რომელიც ნაშთის სახითა შემოგვრჩა ენაში.

უფრო სარწმუნო ჩანს პირველი ვარაუდი, რადგანაც ხმოვან-კომპლექსიანი ფორმები არსებითად ნასესხები აღმოჩნდა ქართულ-

ში და, მეორეც, დიაქრონიული ანალიზით ასეთ ფორმათა უმეტეს ნაწილში კომპლექსის ხმოვნებს შორის შესაძლებელია მოჩვენებითი საზღვრის აღდგენა.

მაშასადამე, ვიღებთ დებულებას: ქართული ენისათვის დამახასიათებელი არ იყო ხმოვანთა კომპლექსი ერთი მორფემის ფარგლებში სიტყვის დასაწყისსა და ბოლოში.

მიღებული შედეგები მოწმდება ენის მორფოფონემატურ ცვლილებათა მიხედვით, რადგანაც ცვლილებების მიმართულება (ანუ გარდაქცევის ტენდენცია) მორფემათა საზღვარზე არსებითად განისაზღვრება ენის ძირითადი ფონემატური მოდელის/მოდელების ნიშნით.

მაშასადამე, ფონემატური ანალიზის შედეგებით წინასწარ არსებითად განსაზღვრულია ხმოვანთა ცვლილებების ტენდენცია მორფემათა საზღვარზე: თუ ფონემატური სტრუქტურით აკრძალულია ხმოვანთა უშუალო მეზობლობა, მორფემულ საზღვარზე ხმოვანთა კომპლექსის ცვლილება უნდა წარიმართოს ამ კომპლექსის დაშლისაკენ, ე. ი. ხმოვანთა კომპლექსის სუპერაცია გამოჩატული იქნება ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობის მოშლით. ხმოვანთა კომპლექსების დაშლა ენაში შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით.

ვიდრე ხმოვანთა კომპლექსების სუპერაციის სახეთა კონკრეტულ განხილვას დავიწყებდეთ, უნდა შევეხოთ მეტად საყურადღებო დასკვნას, რომელიც პრეფიქსულ ხმოვანთა კომპლექსების ცვლილებებთან დაკავშირებით წარმოადგინა პროფ. შ. ძიძიგურმა 1946 წელს: „ყველა რიგის (A, B, C) ხმოვანთა კომპლექსი ისწრაფვის ერთხმოვნობისაკენ: კომპლექსის განვითარების საბოლოო საფეხურია ერთ ხმოვანზე დასვლა. საამისო გზა სხვადასხვაგვარია: A რიგის კომპლექსი ამას აღწევს ასიმილაციის გზით ($აუ > აუ > უუ > უ > უ$), B რიგის კომპლექსი დიფთონგიზაციის (resp. დისიმილაციის) გზით ($უა > უა > ვა > ა$), C რიგის კომპლექსი — შერწყმის გზით ($აა > ა > ა$).

კომპლექსის განვითარების დასრულებულ სახეს მიაღწია ზანურმა (ე. ი. უკვე მივიღეთ ერთი ხმოვანი), ხოლო ქართული კილოები ამ პროცესის სხვადასხვა საფეხურზე დგანან. ამათში ყველაზე შორს წასულან თუშური და აჭარული, სადაც გრძელი

ხმოვანია გამომუშავებული უკვე (ერთი ხმოვანი ძალზე იშვიათია)“³⁹.

A, B, C რიგის კომპლექსთა სწრაფვა ერთხმოვნობისაკენ წარმოადგენს ენის ფონემატური სტრუქტურის დაწოლის შედეგს.

როგორც ციტირებული დასკენიდან ჩანს, ქართულისნაირი მდგომარეობაა ზანურშიც (უფრო დასრულებული სახით); ანალოგიური ვითარება ჩანს სვანურშიც⁴⁰.

ზანურსა და სვანურშიც, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ტენდენცია აგრეთვე ფონემატური სტრუქტურის დაწოლის შედეგია (საქირთა ხმოვანთა კომპლექსების შემოწმება ერთი მორფემის ფარგლებში), რაც საშუალებას იძლევა საერთო-ქართველურისათვის მივიღოთ იგივე ფონემატური დებულება, რაც ზემოთ მხოლოდ ქართული ენისთვის იქნა ჩამოყალიბებული⁴¹.

დავუბრუნდეთ ქართულ ენას. გადავდივართ იმ მორფოფონემატურ (ანუ მორფონოლოგიურ) ცვლილებათა აღწერაზე, რომლებიც ქართულში ხდება ხმოვანთა ფონემატური მოდელის დაწოლით. იმის გამო, რომ ორი ხმოვანი ერთად აკრძალული აღმოჩნდა სატყვის თავკიდურსა და ბოლოში, ხმოვანთა განაწილების ძირითადი მოდელი ამ პოზიციაში დახასიათდება შემდეგნაირად: ხმოვანი იკრძალება ხმოვნის გვერდით; დაშვებულია ხმოვნის რეალიზაცია თანხმოვანთა წინ და მომდევნოდ (გარდა /ოუ/ ხმოვნებისა /ვ/-ს გვერდით)⁴². სწორედ ამ მოდელის კანონზომიერებათა მიხედვით უნდა წარმართოს მორფოფონემატური ცვლილებები.

ქვემოთ წარმოვადგენთ მორფემათა საზღვარზე შექმნილ ხმოვანთა კომპლექსში მომხდარ ცვლილებებს:

39 შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში, ივე, I, 1946, გვ. 33.

40 ვ. თოფურია, სვანური ენა. 1967, გვ. 52 და შემდეგ: მ. ქალდანი, ელიზია სვანურ ენაში, ივე, ტ. V, 1953.

41 საერთო-ქართველურისათვის ასეთი დებულება წამოაყენა გ. მაკავარიძე: «Две гласные фонемы не могут находиться в непосредственном соседстве друг с другом, за исключением случаев, когда они относятся к разным морфемам» — Г. И. Мачаварияни, К типологической характеристике общекартвельского языка-основы, ВЯ, 1966, № 1, გვ. 4.

42 ფ. გ. უტურგანძე, Фонематическая структура горских диалектов грузинского языка в соотношении с литературным языком (автореперат), 1969, გვ. 7.

1. ხმოვნის მოკვეცა და ხმოვანთა კომპლექსის დიფთონგიზაცია. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი, ერთი მხრით, ფუძისეულ ხმოვანთა, მეორე მხრით, ბრუნვის მორფემათა და მრავლობითობის -ებ სუფიქსის ურთიერთგავლენა: როდესაც სახელის ფუძე ბოლოვდება ხმოვნით და მას მოსდევს ბრუნვისნიშნისეული ხმოვანი ან მრავლობითობის -ებ სუფიქსი, როგორც წესი, ან სახელის ფუძე იკვეცება, ან ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანი იცვლება თანხმოვნად, რომელიც შემდეგ სრულიადაც ქრება ფორმიდან:

ამაის>ამის, ხეის>ხის;

ამაი>ამაჲ, წყაროის>წყაროჲს, წყაროით>წყაროჲთ
(წყაროჲს>წყაროჲს, წყაროჲთ>წყაროჲთ);

ამაებ>ამებ, მთაებ>მთებ და სხვ.

ჩვენს მაგალითებში ჯერ წარმოდგენილია ფორმა მორფოლოგიური მოდელის სრული სახის დაცვით, შემდეგ კი ისრით ნაჩვენებია მორფოფუნქციური ცვლილების შედეგად მიღებული ფორმა, რომელიც ენის ფაქტს წარმოადგენს.

ქართულში მეტ-ნაკლებად გავრცელებულია ო>ვ ხმოვანთა შემოდგენოდ: დედაო>დედავ, კლდეო>ცლდევ; წავიდაო>წავიდავ, კაციო>კაცივ და სხვ.

აქვე დავასახელებთ დიფთონგიზაციის სხვადასხვა შემთხვევებს ქართული დიალექტებიდან: შაური>შაური, ჩივიანი>ჩივიანი, წამლით>წამლით (იმერხეული); პალოები>პალები (მოხეური); მოგთხოა>მოგთხოჲ, მოაყვანია>მოაყვანია... (აჭარული), გადმოარდა>გადმოარდა, მოაწერა>მოაწერა... (გურულ-იმერული).

2. ხმოვანთა სრული ასიმილაცია და დიფთონგიზაცია. მორფემათა საზღვარზე ეს მოვლენა ძალიან ფართოდ არის წარმოდგენილი ენაში. ქართული ქვესისტემების მიხედვით, შეიძლება ითქვას, მოვლენა ზედმიწევნით არის აღწერილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ენახთ რომდენიმე შემთხვევა.

აე>ეე: გაემართა>გეემართა, აეხლა>ეეხლა, ჭალაებზე>ჭალებზე...

აო>ოო: მუშაობა>მუშოობა, (თავობა>) თაობა>თოობა...

აი>იი: წაიღე>წიიღე, გაიკეთე>გიიკეთე...

ოუ>უუ: მოუტანა>მუუტანა, მოურბენია>მუურბენია და სხვ.

მაშასადამე, სრული ასიმილაციის შედეგად ვიღებთ იდენტურ ხმოვნებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი ორი ხმოვანი ქართულში მეტყველების სტილის მიხედვით ზოგჯერ რეალიზდება

როგორც მკაფიო საზღვარს მოკლებული ორი ხმოვანი, ზოგჯერ კი—საკმაოდ მკაფიო საზღვარი.

როდესაც იდენტურ ხმოვნებს შორის საზღვარი არამკაფიოა, გადავდივართ გრძელ ხმოვანზე, რითაც ვლინდება ერთ ხმოვანზე გადასვლის ტენდენცია; ამ გზით მიღებული გრძელი ხმოვანი შეიძლება ჩვეულებრივი სიგრძის ხმოვანადაც იქცეს, რამდენადაც ქართულისთვის ხმოვნის სიგრძე ფონოლოგიურად რელევანტური არ არის (თუ სიგრძე ფონოლოგიურ ღირებულებას შეიძენს, მაშინ, რა თქმა უნდა, გრძელი ხმოვანი არაგრძელში ვეღარ გადავა).

ამ თვალსაზრისით ძალიან საყურადღებოა ე-ზე დაბოლოებული ფუძეების ქცევა: ხეის>ხის, მაგრამ ხეები>ხეები — „კვეციადი სახელი“ აღარ იკვეცება (შდრ. ა-ზე დაბოლოებული სახელები: ძმა-ის>ძმის და ძმაები>ძმები), ებ-იან მრავლობითში უკვეცელობის მიზეზი სწორედ [ეე]-ს [ე]—დ აღქმა უნდა იყოს.

იდენტურ ხმოვანთა წარმოთქმის აღნიშნული ორი სტილის (I—წარმოითქმის როგორც გრძელი ხმოვანი, II—წარმოითქმის როგორც ორი ხმოვანი) შედეგი არის ასეთი კომპლექსების ცვლის ორი მიმართულება ქართულში:

პირველი: — იდენტური ხმოვნები იძლევა გრძელ ხმოვანს (თუ-შური, ნაწილობრივ აქარული და გურიული). ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა ალ. ჭინჭარაულის მიერ ხევსურულში დადასტურებული ჩამუდგამ (<ჩამაუდგამ<ჩამავეუდგამ), ჩამურიგებ (<ჩამაურიგებ<ჩამავეურიგებ) ფორმები⁴³, სადაც მარტივი უ უთუოდ გრძელი უ-სგან (უ) არის მიღებული: აუ>უუ>უ>უ.

მეორე — იდენტურ ხმოვანთა კომპლექსში ხდება დისიმილაცია, რომელიც შეიძლება დასრულდეს დიფთონგიზაციით. დისიმილაცია: ძმაები>ძმეები>ძმიეები, ხეები>ხიეები, კლდეები>კლდეები; პროცესი სრულდება დიფთონგიზაციით: (რ)ქაები>ქეები>ქიეები>ქაეები. მესხურ დიალექტში ქიეები და ქაეები პარალელურად იხმარება, ქაეები შედარებით იშვიათია.

აქარულ დიალექტში აგრეთვე აე>ეე>იე>აე. პროცესი დასრულებულია. იგი უკვე სამეტყველო ნორმას წარმოადგენს შემდეგ ფორმებში: დაეძინა, ჩაეყვანა და სხვ. დაეძინა>

⁴³ ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, გვ. 94.

დექინა>დეძინა>დეძინა; კილდეები, დელაე-
ბი, პაქსადები და სხვ.⁴⁴

ხმოვანთა კომპლექსის დიფთონგიზაციის ისეთი შემთხვევებიც
გვხვდება, როდესაც ასიმილაცია ბოლომდე ვერ მისულა კომპ-
ლექსში: მაგალითად: წეყყანა „წაყყანა“, გეგგონა
„გაიგგონა“, გეგგუნუნებს „გაიგგუნუნებს“ და სხვ.⁴⁵

ნაწილაკთა პროკლიტიკად ქვევის შემთხვევაში ქართული ენის
სხვადასხვა ქვესისტემაში ჩვეულებრივია დიფთონგიზაცია ხმოვანთა
დისიმილაციის გზით: თუ არ>თუარ/თვარ, მაგალითად: „თუ არ
(//თვარ) მოირწყა, არ მოვა“⁴⁶. დასავლურ დიალექტებში გავრცე-
ლებულია თუარა ნაწილაკი, რომელიც ამავე გზითაა მიღებული
თუ არა>თუარა; აღმოსავლურ დიალექტებში გვაქვს თუარ/თორ
„თორემ“ ნაწილაკი. თორ<თუარ, რ მიღებულია უა დიფთონგის
ხმოვნის ლაბიალიზებით და მის წინ უ-ს დაკარგვით: უა>უო>ო⁴⁷.

ანალოგიურ ანალიზს მოითხოვს ქართული ენის დიალექტებში
გავრცელებული ხუარ/ხოარ „ხომ არ“ ნაწილაკი: ხო არ>
ხუარ/ხოარ.

3. თანხმოვანთა ჩართვა და ჰიატუსის მოშლა. ეს მოვლენებიც
გავრცელებულია ქართულში: (1) ახევებს (<ა-ხე-ებ-ს), აქვავებს
(<აქვაებს), ცდოველი (<ცდო-ელ-ი), აუთოვებს (<აუთოებს),
რუვი (<რუი), ზევით (<ზე-ით), ქვევით (<ქვეით) შდრ. ზედა,
ქვედა; ზერე, ქვერე) და სხვ.

ზ. ჯაფარიძე ვარაუდობს, რომ ხმოვანთა გამყარად [ვ]-ს
განვითარებას ხელს უწყობს მისი ნეიტრალურობა ენის მდგომარე-
ობის მიხედვით და ორალური ნაპრალოვნობა.

(2) დედაუფალი>დედუფალი (ხმოვანთა მონაცვლეობით —
დედოფალი), მამაუფალი>მამუფალი>მამფალი; რანა (<რა უნა)
„რა უნდა“ (გქნა), კარ (<კი არ), ქარ (<ქე არ), ვაკერი (<ვაკე
არი) „ვაკე არის“ და სხვ.

ზემოთ მოტანილ ფორმებში პროკლიტიკა-ენკლიტიკის სა-
ფუძველზე ერთი მახვილის ქვეშ ერთიანდება ორი სიტყვა და იქმ-
ნება მორფემათა ზღვარის სიტუაცია, რასაც მოსდევს შესაბამისი

44 შ. ნიქარაძე, ქართული ენის ზემოაქარული დიალექტი, 1961, გვ. 41.

45 იქვე, გვ. 31.

46 გრ. იმნაიშვილი, ქართული დიალექტი, II, 1974, გვ. 103.

47 თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ვოკალიზმი, კრე-
ბულში: მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები, 1966, გვ. 106.

ფონეტიკური ცვლილებები, რის შედეგადაც ორსავე შემთხვევაში თავიდან აცილებულია ხმოვანთა უშუალო მეზობლობა.

ხმოვანთა შერწყმას ერთ გრძელ>/მარტივ ხმოვნად ადგილი აქვს სიტყვის ბოლოსაც.

ზმნათა კითხვით ფორმებში მთელს ქართულში მოხდა კითხვითი -ა მორფემის შერწყმა სუბიექტური მესამე პირის -ა და -ო სუფიქსებთან, რის შედეგადაც მივიღეთ გრძელი ხმოვანი:

[წავიღა?] <[წავიღა-ა?], [აიღო] <[აიღო-ა?].... კითხვითი -ა ნაწილაკი შეერწყა ზმნათა -ე და -ი სუფიქსებსაც: [აიღე?] <[აიღე-ა?], [სთლი] <[სთლი-ა?] და სხვ.

ხმოვანთა კომპლექსების ცვლილებათა სხვადასხვა შემთხვევები ამომწურავად არ არის წარმოდგენილი დიალექტთა მიხედვით (სისრულისთვის მივუთითებთ შ. ძიძიგურის ზემოთ დამოწმებულ წერილზე).

ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა ხმოვანთა კომპლექსების გამარტივების საერთო ენობრივი ტენდენცია სპეციალისტთათვის კარგად ცნობილი მორფოფონემატური ცვლილების გზით („სწრაფვა ერთხმოვნობისკენ“) ენის ფონემატურ სტრუქტურაზე დამყარებით.

ინტერკონსონანტური ვოკალური კომპლექსების ჩვენება მჭარს უბამს ზემოთ განხილულ ვითარებას სიტყვის თავიკიდურად და ბოლოს.

III. პოზიცია C—C

ვოკალური კომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში თანხმოვანთა შორის (C—C პოზიცია) საკმაოდ ხშირია ქართულში. შეიძლება ითქვას, მათ ამ პოზიციაში უფრო ხშირად ვხვდებით, ვიდრე სიტყვის თავიკიდურად (#—C პოზიციაში). C—C პოზიციის კომპლექსებიც არსებითად წარმოდგენილია ნასესხებ ლექსიკაში, დანარჩენთ კი მორფემათა შეხორცებით მიღებულ ფორმებში ვხვდებით (ე. ი. ხმოვნებს შორის ისტორიულად მორფემათა საზღვარი ივარაუდება).

ნასესხები ლექსიკიდან უმეტესობა ადვილად საცნაურია და არ ძნელდება მათი გამორჩევა; მაგალითად, ავანტიურისტი, ბურჟუაზია, ბულიონი, ბუღუარი და სხვა მრავალი; ბევრი კი სპეციალურ ძიებას საჭიროებს, რათა მისი არაქართულობა ვიწამოთ. ისინი დიდი ხნის წინანდელ ნასესხობებს წარმოადგენენ და უკვე შესისხლხორცებიან ენას. ქვემოთ შევვხებით ასეთ ლექსიკას. უპირ-

ველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენაში არსებითად არ დასტურდება ქართული წარმომავლობის ისეთი ფორმები, რომელთაც C—C პოზიციაში იდენტურ ხმოვანთაგან შედგენილი კომპლექსი ჰქონდეთ ერთი მორფემის ფარგლებში. განვიხილოთ დადასტურებული ფორმები:

აა: ზენაარი (სპარს.-არაბ. ზინჰარ), ბაასი (<არაბ. ბაჰას), მასლაათი (<არაბ. მასლაჰათ), საათი (<არაბ. სა'ათ), ჯაათი (<არაბ. ჯიჰათ), ჯამაათი (არაბ. ჯამა'ათ), ნაალ (<სპარს. ნაჰალ). რაც შეეხება ტაატის ფორმას, იგი მიღებული ჩანს ფუძის გაორკეცებით: ტატ-ტატი>ტატატი>ტაატი. ეტიმოლოგიურად ტატ/ტატა „ხელი“, „მკლავი“ მნიშვნელობებთან უნდა იყოს დაკავშირებული; შდრ: ატატება „ხელზე აყვანა“; ინგილ. ტატაჲ „ცაცი“. ტაატი თ სიარული „ხელის მიშველებით სიარულია“. გადატანითი მნიშვნელობა (ნელი სიარული) გვიანდელია, ოღონდ უნდა აიხსნას ტ-ს დაკარგვა ხმოვნებს შორის (ტატ-ტატი>ტატატი>ტაატი) იმ პირობებში, როდესაც ენაში ფონემატურად აკრძალულია ხმოვანთა უშუალო მეზობლობა. ტატატი ფორმაში ორი ფონემატური კანონზომიერება შეხვედა ერთიმეორეს: (ა) აკრძალულია უშუალო თანამიმდევრობით ორი ხმოვანი ერთი მორფემის ფარგლებში და (ბ) CVC სტრუქტურის მორფემებში აკრძალულია იდენტური თანხმოვნები⁴⁸. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ვერ გამოვრიცხავთ ვარიაციებს ენის ქვესისტემათა მიხედვით, მაგალითად, პატ-პატა გაორკეცებამ მოგვცა როგორც პატატა, პატატუნა⁴⁹. ისე თუშური პატპატაჲ „ცოტ-ცოტა“ და თანხმოვანდაკარგული პაატა (საქ. სახელი)⁵⁰. CVC სტრუქტურაში იდენტური თანხმოვნების შეუთავსებლობის კარგი მაგალითია რაჭული დიი „დიდი“ (იხ. ქდ, I, ლექსიკონი) და თუშური დიი-დაჲ „დიდი“ (იხმარება მრავლობითში დასმულ საზღვრულთან: დიი-დაჲ სახლები „დიდ-დიდი სახლები“). თუშური დიიდაჲ<დიდ-დი-დაჲ „დიდ-დიდი“. გზა ასეთია: დიდ-დიდ>დიდიდ (დასტურდება ფშაურსა და ხევსურულში. იხ. ქდ, I, შესაბამისი ლექსიკონები)>

48 ი. ქობალავა, CVC ტიპის ძირთა ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში: კრებულში: თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, ტ. II, 1967; თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კოლოთა კონსონანტიზმი სალიტერატურო ქართულთან მიმართებით; კრებულში: მეტყველების ანალიზის საკითხები, 1969, გვ. 136.

49 ალ. ლლოტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II, 1974.

50 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 150.

დიიდ. მაგალითი გვაქვს სალიტერატურო ენაშიც. დ ი დ ა დ ი > დ ი ა დ ი⁵¹. მაგრამ ამათ გვერდით ქართულის ბევრ ქვესისტემაში იხ-მარება დ ი დ-დ ი დ ი კომპოზიტი, სადაც ხმოვანთა შორის თანხმო-ვანი ადგილზეა.

-ეე-, -იი-, -ოო-, -უუ- ვოკალური კომპლექსები არ გვხვდება თანხმოვნებს შორის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნასესხებ ვეება/ვეებერთელა (არაბ.), პერპეტუუმ მობილე (ლათ.)... სიტყ-ეებს.

ზოგ ქვესისტემაში ორი ხმოვანი შეიძლება ერთზე დავიდეს, მაგალითად მთიულურში გვაქვს ტ ა ტ ი „ტ ა ა ტ ი“ — „ბავშვის ნე-ლი სიარული ვინმეს დახმარებით“ და ტ ა ტ ი ა ო ბ ი თ „ტაატით“ (ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II, ტატი), ხოლო თუშურ-ში — ნალი „ნალი“.

იდენტურ ხმოვანთა კომპლექსების გვერდით უნდა აღინიშნოს უ ხმოვნით დაწყებული ვოკალური კომპლექსების არქონა ქარ-თულში: C—C პოზიციაში უ ი და უ ო კომპლექსები არ ჩანს გაში-ნაურებულ სიტყვებში. ხვესურული ყ უ ი კ ა ნახური წარმო-მავლობისაა (იხ. ალ. ჭინჭარაული, გვ. 270).

უ ი დასტურდება კ ა პ ო ე ტ-იდან მიღებულ კ ა პ უ ე ტ-ში. თვით კ ა პ ო ე ტ მიღებულია ირანული წარმომავლობის კ ა პ ო „თევზი“ მორფემაზე -ეღ-ის დართვით: კაპო-ეღ > კაპოეტ / > კაპუ-ეტ (იხ. მზ. ანდრონიკაშვილი, გვ. 90). C—C პოზიციაში იშ-ვიათია უა-ც. ყ უ ა თ ი არაბული ჩანს. წარმოშობილია კ უ ვ-ე ა ტ (არაბ.) „ძალა“, „ლონე“. ვვ > ვ პროცესის შემდეგ, უ-ს მომ-დევნოდ ვ-ც დაკარგულა /უვ > უ/, მაშასადამე: ყუვეათ / > ყუვათ > ყუათ.

ძველი უ ს უ ა რ ი (იხ. საბა) ირანული წარმომავლობისაა: სპარს. *ænsuwær* > უსუვარ > უსუარ (იხ. მზ. ანდრონიკაშვილი, გვ. 111).

ქართული წარმომავლობისად მიჩნეულ სიტყვებში -იი- და -ოუ- არ გვხვდება C—C პოზიციაში ერთი მორფემის ფარგლებში. მ ო უ რ ა ვ ი ფორმაში ხმოვანთა შორის მორფეჟული საზღვარი ძვეს: მ ო -ურაე-ი: შდრ. სა-ურაე-ი და უ რ ვ ა. მოურაეი „მზრუნველი“ (ვინც ურვას იჩენს).

თითო-ოროლა ფორმითაა წარმოდგენილი შემდეგი კომპლექ-სები: -აე-, -ეა-, -ეო-, -ეუ-, -ოა-, -ოე-.

⁵¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 146.

-აე-: თუ გამოვრიცხავთ სპარსული წარმომავლობის კაე-
შან-ს, პაექრობა-სა და პაემან-ს, თათრულ ყაენ-ს,
ბერძნულ ფაეტონ-ს, კონტამინირებულ პაერ-ს (ბერძნ. აერ,
სპარს. პავა; ა. შანიძე, 30), გასარკვევი რჩება რამდენიმე ფორმა,
როგორცაა სათაელ, ფაენი/ფაინი.

-ეა-: ეს კომპლექსი მხოლოდ მეან-ში გვაქვს.

-ეო-: გვხვდება მხოლოდ ერთ სიტყვაში — გეონი, რომე-
ლიც დღეს აღარ იხმარება.

-ეუ-: აპეური, სხეული.

-ოა-: მოაჯირი.

-იუ-: ქიუხი (დიალექტ.), ქიუტი, ჯიუტი.

აქედან ზოგი შეიძლება გამოირჩეს; ასე მაგალითად: დ. ჩუბი-
ნაშვილს მეან მიაჩნია ბერძნ. μαλα-სგან (повиальная бандка)
მიღებულად, ხოლო ჯიუტი სომხური გზით ჩანს მიღებული
(სომხ. ჯიუტ) არაბული მაჰჰედ „ებრაელი“ ფორმისგან. ქიუტი
(ფრინველის სახეობა) ბგერწერული სახელი ჩანს. სხეული,
ალბათ, სხ-ეულ და სხვ.

ერთი შეხედვით ძნელი ჩანს მორფემული საზღვრის დადება
ზოგი ფორმის ხმოვნებს შორის, მაგრამ, თუ მოინახა საკირო შე-
სადარებელი ფორმა, საზღვარი ადვილად შესამჩნევი ხდება, ასე მაგა-
ლითად: კაობი (კა-ობ-ი); შდრ. ბექ-ობ-ი, ჰყანტ-ობ-ი
(ა. შანიძე, 131); ნაოქი (<ნაოქ-ი), შდრ. ძვ. ქართ. შე-
ოქვა; დაისი (და-ის-ი); შდრ. ა-ის-ი; ხატაურა (<ხატა-ურ-ა);
შდრ. ხატა-ეთ-ი; კაუქი (კავ-უქ-ი), შდრ. კაეი და სხვ.

ახლა, თუ ავიღებთ გავრცელებულ ხმოვანთა კომპლექსებს აღ-
ნიშნულ პოზიციაში, ვნახავთ, რომ უმეტესობა ნასესხებია სხვადა-
სხვა ენათა ლექსიკიდან; მაგალითად:

-აი-: მაიმუნი (არაბ.), მუყაითი (არაბ.), მუსაიფი (არაბ.), შაი-
რი (არაბ.), ყაისნალი (თურქ.), ყაირათ (თურქ.), ტაიქი (არაბ.),
ნაიბი (არაბ.), მუშაითი (არაბ.), ყაიდა (არაბ.), ფაიფური (ბერძნ.),
ბაირალი (თურქ.), დაირა (არაბ.), პაიკი (სპარს.), თაიგული
(სპარს.) და სხვ.

თუმცა გასარკვევი რჩება შემდეგი ფორმების წარმომავლობა:
რაინდი, ყაირი, საინი, ულაილი, ლაიჯი, მაიმახი, ლაინი/ლეინი,
თაიგულა... აქაც არსებითად ნასესხებ ლექსიკასთან უნდა გვეკონდეს
საქმე.

ასევე არსებითად ნასესხები აღმოჩნდა გავრცელებული -აუ-
კომპლექსიანი ფორმები: ყაურმა (თურქ.), აზნაური (სპარს.), ჰიქ-

ნაუბტი (სპარს., სომხური გზით), ყარაული (თურქ.), ვარაუდო (არაბ.), ჩაუქი (სპარს.), კოლაუზი/ყოლაუზი (თურქ.), თაბაუთი (არაბ.), მაუდი (არაბ.), ასახსნელი რჩება დიალექტური ფორმები ფაუნა, თაუში, ქაუნი, ქაუკა, ტარაუცი...

შემდგომმა ძიებამ სრულად უნდა გამოავლინოს ნასესხები ლექსიკა და ახსნას ნორფემათა შეხორცებათ მიღებული ფორმები.

კონსონანტიზმი

I. ძართული ენის თანხმოვანთა პარადიგმატული ანალიზი

ენის ფონემატური სტრუქტურის შესწავლის პირველი საფეხურია მისი ბგერითი სისტემის პარადიგმატული ანალიზი, რაც გამოიხატება ბგერითი სისტემის ცალკეულ ელემენტთა აღწერითა და ამის საფუძველზე იმ დიფერენციალური ნიშნების დადგენით, რომელთა მიხედვითაც ენაში ხორციელდება ფონემურ ერთეულთა იდენტიფიკაცია და დაპირისპირებანი.

ბგერათა სისტემის ცალკეული ელემენტები აღიწერება მათი ლოკალური და ლიაობის მახასიათებლებით.

წინამდებარე ნაშრომში, უპირველეს ყოვლისა, მსჯელობა იქნება იმ სადავო საკითხებზე, რომლებიც დგება ცალკე ბგერათა დახასიათებისას ლოკალური და ლიაობის ნიშნების მიხედვით. შემდეგ კი წარმოვადგენთ ქართული ენის თანხმოვანთა პარადიგმატულ ცხრილს.

თანხმოვანთა ლოკალური ნიშნები (ანუ რიგი) არსებითად განისაზღვრება ენისა და ქვედა ბაგის აქტიური მოქმედებით სამეტყველო აპარატის არააქტიურ ორგანოებთან. ენა მოქმედებს პირის ღრუს სხვადასხვა ადგილის მიმართ, ხოლო ქვედა ბაგე — ზედა ბაგის ან ზედა კბილების მიმართ.

ერთადერთი თანხმოვანი ბგერა, რომელიც დახასიათდება როგორც არალინგვალური და არალაბიალური, არის [ჰ]. იგი იწარმოება სახმო სიმების შევიწროებულ (ინდიფერენტულთან შედარებით) მდგომარეობის დროს, ე. ი. ყრუ (resp. ფშეინვიერი) ლარინგალური ბგერაა. [ჰ]-ს სხვა თანხმოვნებთან წარმოების საერთო ლოკალური რიგი არა აქვს, რის გამოც იზოლირებულია ენის დანარჩენ თანხმოვანთაგან.

თანხმოვანთა ლიაობის ნიშნები (ანუ რაგვარობა) განისაზღვრება სახმო სიმების ერთიმეორის მიმართ, ხოლო რბილი სასისა (ნაქითურთ), ენისა და ქვედა ბაგის

არააქტიური ორგანოების მიმართ გარკვეული მოქმედებით, რაც გამოიხატება ხშირად და ნაპრაღის შექმნით სამეტყველო აპარატის სხვადასხვა წერტილში.

სახმო სიმები და რბილი სასის ის საწარმოთქმო ორგანოებია, რომლებიც მონაწილეობენ ნებისმიერი ბგერის წარმოთქმაში. მათი მოქმედების განსხვავებული კომბინაციები ენიის/ბაგეების საწარმოთქმო მოძრაობებთან ერთად ქმნიან ლიარობის დიფერენციალურ ნიშნებს.

სახმო სიმების და ხშირად და ლიარობის მიხედვით ქართული ენის თანხმოვანი ფონემები დაყოფა ორ ჯგუფად: სახმო სიმებისმიერ ხშირად და სახმო სიმებისმიერ ნაპრაღოვნებად, სპეციალური ტერმინოლოგიით — ყელხშირად და არაყელხშირად. ამ თვალსაზრისით ყველა მჟღერი და ფშვინვიერი ფონემა სახმო სიმებისმიერი ნაპრაღოვანია, ხოლო ყველა ყელხშირი — სახმო სიმებისმიერი ხშირი.

რბილი სასის მიერ ცხვირის ღრუს გახსნისა და დაკეტვის მიხედვით ვიღებთ ბგერათა ორ ჯგუფს: ცხვირისმიერ ნაპრაღოვნებსა და ცხვირისმიერ ხშირად, სპეციალური ტერმინოლოგიით — ცხვირისმიერებსა და არაცხვირისმიერებს.

ასევე ენიისა და ქვედა ბაგის ფუნქციას წარმოადგენს შესაბამის არააქტიურ ორგანოთა სხვადასხვა ადგილას ხშირად და ნაპრაღის განხორციელება. ამის მიხედვით ვიღებთ ენიისა და ბაგისმიერ ხშირადსა და ნაპრაღოვნებს.

როდესაც ვამბობთ ხშირი ან ნაპრაღოვანი ფონემა, მხედველობაში ვიღებთ ალოფონის მხოლოდ უშუალო გაბგერების ადგილს: [ბ] ამიტომ არის ბაგისმიერი, თორემ წარმოთქმაში, როგორც ვნახეთ, მონაწილეობს ლია სახმო სიმებიც, ე. წ. ბგერის წყარო. თუ [ბ]-ს გაბგერების ყველა არსებით მომენტს გავითვალისწინებთ, მას უნდა ვუწოდოთ ყელბაგისმიერი. მეორე მხრივ, [პ ტ წ კ ყ]-ს წარმოთქმისას სახმო სიმები არ შეიძლება იწოდებოდეს ბგერის წყაროდ, რადგან მათი გაბგერება ხდება სახმო სიმების დაკეტილობისას საარტიკულაციო აპარატში (ე. წ. ფილტრებით), ამის გამო [პ], მაგალითად, გამოგვივა წმინდა ბაგისმიერი. თუ ასეა, ჩანს, რომ ბგერის

წყარო, გარდა სახმო სიმებისა, შეიძლება იყოს ბაგეებიც: პირის ღრუში მყოფი ჰაერი ისევე გააბგერებინებს ბაგეებს [პ]-ს, როგორც ფილტვებიდან მომდინარე ჰაერი გააბგერებინებს მათ [ბ]-ს. [პ]-ს არა აქვს ყელისმიერ ლიაობის ელემენტი — ელერა ან ფშვინვა.

თავის მხრივ პირისმიერი და ცხვირისმიერი ხშვა ან ნაპრალი თავისებურად გარდაქმნის ყელიდან გამოსულ სიგნალს, რომელიც, მართლაც, წარმოადგენს ხმის წყაროს სამეტყველო აპარატის მომდევნო განყოფილებებისათვის. გასათვალისწინებელია უთუოდ, რომ ბგერა დასაწყისშივე განიცდის ე. წ. ფილტრულ ცვლილებებს, რამდენადაც ფონაციის დროს სახმო სიმებს შორის ჰაერის გასასვლელი უფრო დავიწროებულია ინდიფერენტულ მდგომარეობასთან შედარებით. თუ სახმო სიმების ლიაობასა და დაკეტილობას შემოვიტანთ ბგერათა „რაგვარობის“ მიხედვით კლასიფიკაციაში. მაშინ ჰომოგენურია ყველა მქდერი ფონემა, ასევე ყველა ფშვინვიერი და ყველა ყელხშული.

ზემოთ ზოგადად განვიხილეთ ბგერათა ხშვისა და ნაპრალის განხორციელების შესაძლო ადგილები. ახლა განვიხილოთ მათი ურთიერთმოქმედება ხმის ან ჩქამის გაბგერების თვალსაზრისით. სამეტყველო აპარატი დაყოფილია ნაწილებად: ყელი სახმო სიმებით, ცხვირის ღრუ და საკუთრივ პირის ღრუ (ხახის ღრუს შემდეგ ბაგეებამდე).

რომელიმე განყოფილების ხშვა ან ლიაობა ხმის/ჩქამის გაბგერებაში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს იმის მიხედვით, თუ რა მოპყვება მას სამეტყველო აპარატის შემდეგ განყოფილებაში: [ყ] სახმოსიმებისმიერი ხშულია, მაგრამ იგი საერთოდ არ ჩაითვლება ხშულ ბგერად, რადგან მისი გაბგერება ხდება არა ხორხში, არამედ ხახაში: გაბგერების ადგილი კი ხახისათვისა ნაპრალით, ამიტომ [ყ] ნაპრალოვანია. ყელხშულია [პ]-ც, მაგრამ მას, გარდა სახმოსიმებისა, ხშვა აქვს ბაგეებთანაც, რომლებიც ჰაერნაკადს უკეტავენ გზას. სკლომის გარეშე /პ/-ს საფონაციო ჰაერნაკადი გარეთ ვერ გამოაღწევს, ამიტომ [პ] ხშულია.

[მ] ბაგისმიერი ხშულია, მაგრამ ჰაერნაკადს თავისუფალი გზა აქვს ცხვირის ღრუში, ამიტომაც ის ნაპრალოვანია. [ნ]-ს პირში ხშვა აქვს, მაგრამ მსგავსად [მ]-სი, ცხვირის მიხედვით ნაპრალოვანია. ნაპრალოვანია [ლ]-ც: ერთი და იმავე ორგანოს — ენის მი-

ხედვით მას ხშვაც ახასიათებს და ნაპრალიც — ენის წვერით ხშვა-
 ხდება, ენის გვერდი კი ნაპრალს აჩენს ლოყასთან, ამის გამო იგი,
 როგორც ვთქვით, ნაპრალოვანია. ნაპრალოვან ბგერათათვის ვი-
 ლებთ ასეთ განსაზღვრას: ბგერა ნაპრალოვანია, თუ
 მისი წარმოთქმის დროს საარტიკულაციო აპა-
 რატში იქმნება ნაპრალი, რომლის საშუალებითაც
 საფონაციო ჰაერნაკადს შეუძლია სა-
 მეთყველო აპარატის გარეთ გამოადწიოს
 სკდომის გარეშე. მაშასადამე, სამეთყველო
 აპარატის რომელსამე ნაწილში განხორციე-
 ლებული ხშვა ყოველთვის ვერ ქმნის ხშუ-
 ლობის დიფერენციალურ ნიშანს; იგი ზოგჯერ
 ემსახურება ნაპრალოვნობის თავისებურე-
 ბას. ყელის ხშვა [ყ]-ს, როგორც უკანაენისმიერ ნაპრალოვანს,
 უქმნის სპეციფიკას, რითაც ის უნდა განსხვავდებოდეს ასევე უკა-
 ნაენისმიერი [ხ] ნაპრალოვნისაგან. ეს თავისებურება თავს იჩენს
 სინტაგმატურ კანონზომიერებებში. [ყ], როგორც ნაპრალოვანი,
 მოსდევს მხოლოდ სახმოსიმებისმიერ ხშულებს, ხოლო [ხ]-ს შე-
 უძლია მოსდევდეს მხოლოდ არასახმოსიმებისმიერ ხშულებს.

ბაგისმიერი და ნუნა/სასისმიერი ხშვა ქმნის /მ/ და /ნ/ ნაზალურ
 ბგერათა იმ თავისებურებებს, რომლებითაც ეს ორი ცხვირისმიე-
 რი ნაპრალოვანი ბგერა განსხვავდება ერთიმეორისაგან.

პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ხშვა-ლიაობის თანმიმდევ-
 რობას: (1) ყელხშული თანხმოვანი ნაპრალოვანია, თუ არ გან-
 ხორციელდა პირის ხშვა, ასეთია [ყ]. დანარჩენ ყელხშულებს,
 ვარდა სახმო სიმებისა, ხშვა ახასიათებს საკუთრივ პირის ღრუშიც
 და ბაგეებთანაც, კერძოდ: [ბ] ბაგისმიერი ხშულია, [ტ წ ჭ კ] —
 ენისმიერი. ამავე დროს ხორციელდება ნაქისმიერი ხშვაც. ამის გა-
 მო [პ ტ წ ჭ კ] ხშული ბგერებია, (2) ბაგისმიერი/ენისმიერი ხშული
 იჭნება ნაპრალოვანი, თუ არ განხორციელდა ცხვირის ხშვა, ასეთია
 [მნ] ბგერები. როცა ენა ხშვის პარალელურად ნაპრალსაც ქმნის,
 ბგერა ნაპრალოვანია, ასეთია [ლ]; (3) ცხვირისმიერი ხშული იქ-
 ნება ნაპრალოვანი, თუ არ განხორციელდა ენის ან ბაგის ხშვა, ასე-
 თია [ზ ს ე შ ღ ხ ყ].

ბგერათა განსხვავებისათვის არსებითია აღნიშნულ ტემბრა-
 ლურ და ლიაობის ნიშანთა კომბინაციაში განისაზღვროს ამა თუ იმ
 კონკრეტული ნიშნის მიმართება სხვა ნიშანთან, კერძოდ, ტემბრა-
 ლურისა ლიაობის ნიშნებთან და ტემბრალურებთან, ასევე ლიაობის

ნიშნისა ტემბრალურებთან და ღიაობის სხვა ნიშნებთან. იქმნება კომბინირების განსხვავებული შესაძლებლობები. ზოგადად შეიძლება ვილაპარაკოთ სამ ტიპზე: ა) თუ ორი ბგერა იდენტური იქნება ტემბრალური ნიშნის მიხედვით, მათი განსხვავება უნდა მოხდეს ღიაობის ნიშნით /ნიშნებით; ბ) თუ ორი ბგერა იდენტური იქნება ღიაობის ნიშნის/ნიშნების მიხედვით, მათი განსხვავება უნდა მოხდეს ტემბრალური ნიშნით; გ) შესაძლებელია ბგერათა შორის სხვაობა დამყარდეს ერთდროულად როგორც ტემბრალური, ისე ღიაობის ნიშნების მიხედვით. ამათ საფუძველზე ენის ფონემატურ სისტემაში იქმნება განსხვავებული სახის ფონოლოგიური ოპოზიციები.

ლოკალური რიგების კლასიფიკაცია შესაძლებელია როგორც აქტიური, ისე არააქტიური ორგანოების მიხედვით. პარადიგმატულ ანალიზში, ჩვეულებრივ, გამოყენებულია კლასიფიკაცია არააქტიური ორგანოების მიხედვით.

ლოკალურ ნიშანთა რიცხვი ქართულში, სხვადასხვა მკვლევართა მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, 10-მდე არის: წყვილბაგისმიერი, კბილბაგისმიერი, ენაკბილისმიერი, ენანუნისმიერი, უკანაენისმიერი, ენისძირისმიერი, ხორხისმიერი: ნუნისმიერთაგან ზოგჯერ სამი ჯგუფი იქმნება: წინანუნისმიერი, შუანუნისმიერი, უკანანუნისმიერი. ასევე ენაკბალისმიერებშიც შეიძლება ორი ჯგუფი გამოიყოს, მაგალითად, პ. ფოგტი „დენტალურთა“ გვერდით გამოყოფს „პოსტდენტალურებსაც“ (რომელთაც მისდევს „პრეალვეოლარულნი“).

ღიაობის ნიშანთა რიცხვი ქართულში, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 11 წყვილამდე აღის: პირისხიერი/არაპირისმიერი (ცხვირისმიერი), ხშულ/არახშული, მთრთოლი/არამთრთოლი, გვერდით/არაგვერდითი, ნაპრალთვანი/არანაპრალთვანი, რთულ/არართული (მარტავი), მჟღერი/არამჟღერი, ფშვინვიერი/არაფშვინვიერი, მკვეთრი/არამკვეთრი, ნახევრადხშული/არახნახევრადხშული და სონანტი/არასონანტი.

ქვემოთ წარმოვადგენთ ქართული ენის თანხმოვანთა ცხრილებს, რომლებიც ეკუთვნის სხვადასხვა მკვლევართ. მათი ანალიზის საფუძველზე მოვახდინოთ ცალკეულ ნიშანთა დახასიათება და განვიხილოთ თანხმოვანთა მთლიანი სისტემის მოქმედება ენაში.

განვიხილავთ გ. ახვლედიანის, ა. შანიძის, პ. ფოგტის და რობინს-ვატერსონის ცხრილებს, აგრეთვე სხვა მკვლევართა ზოგიერთ ექსპერიმენტულ მონაცემებს და შესაბამის დებულებებს ცალკეულ ბგერათა შესახებ.

გ. ახვლედიანი თანხმობანთა კლასიფიკაციას ახდენს წარმოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით: „წარმოდგენილ ცხრილში... მოცემულია ქართული ენის თანხმობანთა, უმთავრესად, ფიზიოლოგიური კლასიფიკაცია — მათი წარმოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით“⁵³.

ბგერათა განსასხვავებლად აუცილებელია ცხრილში წარმოდგენილი ყველა ნიშანი — როგორც ლოკალური, ისე ლიოებისა, ასე მაგალითად: ავილოთ ნიშანი „მთრთოლი“ — [ტ] და [რ] ხასიათდებიან როგორც „ენაუნისმიერი“, „მელერი“ და „არახშული“, ერთადერთი ნიშანია „მთრთოლი“, რომელიც მათ განასხვავებს: /რ/ „მთრთოლია“, /ტ/ — „არამთრთოლი“.

„რთული“ (არამარტივი) და „მარტივი“ ნიშნების საშუალებით ზღვება [დ თ ტ] ჭგუფის ბგერების განსხვავება [ძ ც წ] ჭგუფის შესაბამის ბგერათაგან; სხვა მზრივ ისინი ერთნაირად ხასიათდებიან — „ენაკბილისმიერი“, „ხშული“, „პირისმიერი“...

ასევე [ლ]-სა და [ზ]-ს სრულიად ერთნაირი დახასიათება აქვთ ცხრილის მიხედვით; მათი ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი არის „გვერდითი“, რომელიც აქვს [ლ]-სა და არა აქვს [ზ]-ს.

განვიხილოთ რაგვარობის ნიშნები:

1. რთული. ამ ნიშნით ხასიათდებიან ხშულები. რთულად ითვლება მხოლოდ ორმაგი შედგენილობის ბგერები: „...თუ ჩვენ საგანგებოდ გავხაზავთ ზოგიერთი მათგანის (აქ აფრიკატების) სირთულეს ეს იმიტომ, რომ მხედველობაში გვაქვს მათი ორმაგი შედგენილობა, შემადგენელთა გარკვეული თანამიმდევრობით“⁵⁴.

რთულად მიჩნეულია აფრიკატები, რომლებიც ქმნიან ორ სამეულს: [ძ ც წ]-სა და [ჭ ჩ ჰ]-ს.

ამავე დროს აფრიკატისათვის დამახასიათებელია არტიკულაციური მოძრაობის უფრო მეტი ხანგრძლიობა, ვიდრე ეს მარტივ ხშულებს ახასიათებს⁵⁵, და რედუცირებული სპირანტული ელემენტი⁵⁶.

53 გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 88.

54 იქვე, გვ. 90.

55 გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ფონეტიკის საკითხები, I, 1937, გვ. 134.

56 იქვე, გვ. 130.

მაშასადამე, რთული ხშულისთვის არსებითია შერეული რაგვარობა — ხშულობა და ნაპრალოვნობა: „... აფრიკატის პირველი ნაწილი (იმპლოზია...) ხშულია, ხოლო მეორე ნაწილი (ექსპლოზია) — ნაპრალოვანი... ამიტომე ჩავთვალეთ ჩვენ იგი შერეული ანუ ხშულნაპრალოვანი რაგვარობის თანხმონად...“⁵⁷ ამავე დროს აღსებათია ხშულობისა და ნაპრალოვნობის თანამიმდევრობაც: ჯერ არის ხშვა, ხოლო შემდეგ მოდის ნაპრალო.

ხშული. ხშულობა საწარმოთქმო დაბრკოლების ერთ-ერთი რაგვარობაა — „იგი წარმოადგენს ჰაერნაკადის ჩაკეტვას საარტიკულაციო (საწარმოთქმო) ორგანოებით“⁵⁸.

ამავე დროს „ყოველ დახშვას, ჩვეულებრივ, მოსდევს მისი ვანხშვა, გაღება ანუ „სკდომა“, ხშვის შესაფერისია სკდომაც: „რაც უფრო მტკიცეა ხშვა, მით უფრო სწრაფი და ენერგიულია სკდომაც და, პირიქით...“⁵⁹

„დასახსომებელია, რომ... ხშულ-მსკდომის წარმოთქმისას რბილი სასა აწეულია ზემოთ, რის გამოც ჰაერნაკადისათვის გზა ცხვირის ღრუსაკენ დაკეტილია“⁶⁰.

ცხრილი ყურადღებას იქცევს იმ მხრივ, რომ მარტივ ხშულებში შეტანილია მ, ნ და ყ ბგერები.

განვიხილოთ თითოეული მათგანი გ. ახვლედიანის ნაშრომის მიხედვით.

„შერეული რაგვარობის თანხმონებია აგრეთვე ნაზალეზი ანუ ცხვირისეული მ—ნ: ისინი, ერთი მხრით, ხშულეზია, მ—სათვის ისეთივე ხშვა ხდება, როგორც მ—სათვის, ხოლო ნ—სათვის ისეთივე, როგორც ღ—სათვის. მაგრამ ამავე დროს მ—ნ—ს წარმოთქმისას რბილი სასა დაშვებულია, და მაშასადამე, ჰაერნაკადს ცხვირის ღრუსაკენ გზა ღია აქვს. ამიტომ ჰაერნაკადი გაღის ცხვირში და პირშიც (მხოლოდ ცხვირში, თუ პირის გზა დაკეტილია ტუჩებით ან ენით)“⁶¹.

[მ] და [ნ] შერეული რაგვარობის აფრიკატებისაგან, მაშასადამე, განსხვავდება იმით, რომ ხშვა და ნაპრალო ერთდროულად იქმნება საწარმოთქმო აპარატის სხვადასხვა ადგილას — ხშვა პირ-

57 გ. ახვლედიანი, ზოგი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 85.

58 იქვე, გვ. 38.

59 იქვე.

60 იქვე.

61 იქვე, გვ. 44.

შე. ნაპრალი — ცხვირში; აფრიკატებთან კი ჭერ ხშვა გვექონდა, შემდეგ — ნაპრალი. ცხრილის მიხედვით არსებით ნიშნად მიჩნეულია ხშვა, რის გამოც [მ ნ] თავსდება ხშულთა გრაფაში. მაგრამ რაგვარობის მიხედვით [მ ნ]-ს ადგილზე გადის ქვეგრაფა „ცხვირში“, გამოდის, [მ ნ] უნდა დახასიაზდეს, როგორც „ცხვირისმიერი“, „მარტივი“, „ხშული“.

[ყ] სპირანტილია: „რაც შეეხება ფარინგალების ფიზიოლოგიურ რაგვარობას, დღეს უკვე დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს ექსპერიმენტის გზით, რომ სპირანტიდულია როგორც ყ (ა. ჩ ა რ გ ე ი შ ვ ი ლ ი), ისე ე (ს. ე ლ ე ნ ტ ი)“⁶².

ა. ჩარგეიშვილის გამოკვლევით, რომელსაც გ. ახვლედიანი ციზიარებს, „ყ არაა „წმინდა მეყსეული“, ე. ი. არაა სავსებით ხშული...“⁶³ ეს იმიტომ, რომ ყ-ს აქვს სპირანტისებური ჩქამი შემართვაში.

მიუხედავად ამისა, [ყ]-ს არ დაერქვა არც აფრიკატი და არც აფრაკატილი, რადგანაც სპირანტულობა და ხშულობა აქ სხვა თანამიმდევრობით გვაქვს, ვიდრე აფრაკატებში. [ყ]-ს წარმოთქმის დროს ჭერ გვაქვს სპირანტული შემართვა, შემდეგდა ხშვა (აფრიკატებში პირიქით ხდება)⁶⁴.

მაშასადამე, [ყ]-ს მოქცევით ხშულთა გრაფაში მხედველობაში არის მიღებული მხოლოდ ხშვა და [ყ] ხასიათდება, როგორც „პირისმიერი“, „ხშული“, „მარტივი“.

3. მარტივი. ამ ნიშნის მიხედვითაც ყურადღებას იქცევს [მ ნ ყ] ბგერები.

როგორც ზემოთ ვნახეთ, [მ ნ ყ]-ს ხშულებად აღიარება დაემყარა იმას, რომ მათ წარმოთქმაში ნაპრალის მონაწილეობა მხედველობაში არ იქნა მიღებული, ამავე მიზეზით ისინი ჩაითვალა მარტივ ბგერებად.

4. არახშული რაგვარობის ზოგადი ნიშანია, რომელიც აერთიანებს სამ ნიშანს: მთრთოლი, გვერდითი და ნაპრალოვანი. არახშულობა თავისთავად ვარაუდობს პანკნაკადის მოძრაობას ფონაციის (ბგერის წარმოთქმის) დროს.

განვიხილოთ „არახშულში“ ვაერთიანებული ნიშნები.

5. მთრთოლი. „ვიბრანტს ანუ მთრთოლს ვეძა-

62 გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 86.

63 იქვე, გვ. 345.

64 იქვე, გვ. 86.

ხით ჩვეულებრივ ისეთ თანხმოვანს (მაგ., ქართული რ), რომლის წარმოებისას ხდება დაქიმული ენის წვერის ზედიზედ სწრაფი ხშვები (თრთოლა, ვიბრაცია) ნუნების მიმართ⁶⁵.

იმის გამო, რომ ხშვა და ნაპრალი მონაცვლეობს [რ]-ს წარმოქმნის დროს, „საბოლოო ანგარიშში მივიღებთ შერეული რაგვარობის მყოფარ თანხმოვანს“, რომლის გაგრძელება შეიძლება ისევე, როგორც ყოველი ნაპრალოვნისა. ამით ვიბრანტი უახლოვდება ნაპრალოვანს⁶⁶.

ცხრილის მიხედვით ზემოთ აღნიშნული „ზედიზედ სწრაფი ხშვები“ მხედველობაში არ არის მიღებული და მთრთოლი [რ] მოქცეულია „არახშულთა“ გრაფაში.

6. გვერდითი. „ლატერალი (ლატერალური) ანუ გვერდითი თანხმოვანია, მაგ., ქართულის ლ, რომლის წარმოქმნისას წინა ენა ებჯინება ზედაკბილებს, ეხება რა თავისი ქვედა კიდით ქვედაკბილებსაც; ხოლო ჰაერნაკადი გამომდინარეობს ენის გვერდებსა და ლოყების კედლებს შუა... მამასადამე, ლ-ს წარმოებაში ხდება ხშვაც... და ადგილი აქვს ნაპრალსაც. ამიტომ ვეძახით ლ-ს შერეული რაგვარობის თანხმოვანს⁶⁷.

ცხრილის მიხედვით ხშვა მხედველობაში არ არის მიღებული და [ლ] ექცევა არახშულთა გრაფაში.

7. ნაპრალოვანი. ნაპრალოვნობა „წარმოადგენს საარტიკულაციო ორგანოების ერთმანეთთან ძლიერ მიახლოებას (მხოლოდ არამჭიდროდ ერთმანეთთან მიტანას): ორგანოებს შორის რჩება სხვადასხვა ფორმის ჭუჭურუტანა ანუ ნაპრალი, რომელი გზითაც გამომდინარეობს ამგვარად დაბრკოლებული ჰაერნაკადი“⁶⁸.

„ნაპრალოვნები შეგვიძლია წარმოვთქვათ როგორც ერთბაშად, ისე დაყოვნებით, გაგრძელებით, რითაც ისინი არსებითად განსხვავდებიან ხშულთაგან“⁶⁹.

65 გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ: 40.

66 იქვე, გვ: 41.

67 იქვე, გვ: 42.

68 იქვე, გვ: 39.

69 იქვე.

„ქართულში გვაქვს შემდეგი ნაპრალოვანი ჩგუფები: (1) ვ, (2) ზ-ს, (3) ე-შ, (4) ლ-ბ- და (5) პ...“⁷⁰

II. ა. შ ა ნ ი ძ ე — ქართული ენის თანხმოვანთა განაწილების ცხრილი (ა. შ ა ნ ი ძ ე, 1953, გვ. 13—16).

1. ბაგისმიერები: ბ ფ პ მ
2. კბილბაგისმიერი: ვ
3. ენაკბილისმიერები: დ თ ტ
4. წინანუნისმიერები: ძ ც წ ზ ს ნ ლ
5. შუანუნისმიერი: რ⁷¹
6. უკანანუნისმიერები: ჯ ჩ ქ ე შ
7. უკანასასისმიერები (ველარნი): გ ქ კ ლ ხ
8. ხახისმიერი: ყ
9. ხორხისმიერი: ჰ

რავგარობის მიხედვით ა. შ ა ნ ი ძ ე შემდეგნაირად ახასიათებს თანხმოვნებს: ნ ა პ რ ა ლ ო ვ ნ ე ბ ი ა კბილბაგისმიერი [ვ], წინანუნისმიერი [ზ ს], უკანანუნისმიერი [ე შ], უკანასასისმიერი [ლ ხ] და ხორხისმიერი [ჰ], ე. ი. [ვ ზ ს ე შ ლ ხ ჰ].

ხშულებად მიჩნეულია [ბ ფ პ ღ თ ტ ძ ც წ ჯ ჩ ქ ე შ ლ ხ]. რაც შეეხება [ნ ლ რ მ]-ს, ხშულობა-ნაპრალოვნობის თვალსაზრისით მათ შესახებ გადაჭრით არაფერია ნათქვამი.

როგორც ჩანს, [რ] უფრო ხშულად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც, ა. შ ა ნ ი ძ ე ვარაუდით, ენის წვერი მიბჯენილია (ხ. ჩ., თ. უ.) ნუნებზე... და თრთის. წარმოიქმნება ნუნისმიერი მთრთოლარე (ვიბრანტი) ბგერა რ⁷².

[ნ ლ მ]-ს დახასიათებისას აღნიშნულია ხშვის ადგილიც და

⁷⁰ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 39.

⁷¹ ლოკალური რიგი შუანუნისმიერი ჩვენ მიერ არის შემოტანილი თანხმოვანთა ა. შ ა ნ ი ძ ე კლასიფიკაციაში, რაც ემყარება ა. შ ა ნ ი ძ ე შემდეგ დაკვირვებას: „ენის წვერი მიბჯენილია ნუნებზე (მაგრამ უფრო უკან, ვიდრე ნ და ბგერების წარმოთქმის დროს) და თრთის. წარმოიქმნება ნუნისმიერი მთრთოლარე (ვიბრანტი) ბგერა რ“ (ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. 1953, გვ. 15), მეორე მხრივ, რადგანაც [ჯ ჩ ქ ე შ] უკანანუნისმიერთა ჩგუფს ქმნის, ბუნებრივია, ზუსტი აღწერისათვის [რ] მოგვექცია წინანუნისმიერთა [ძ ც წ ზ ს ნ ლ] და უკანანუნისმიერთა [ჯ ჩ ქ ე შ] შორის, სახელად აქობებს შუანუნისმიერი (წინანუნისმიერებსა და უკანანუნისმიერებს შორის). შეიძლებოდა ნუნისმიერთც, რადგანაც, როგორც ტერმინი, მაინც დაუბრისპირდება წინანუნისმიერსა და უკანანუნისმიერს, მაგრამ ნუნისმიერი შეიძლება გამოვიყენოთ ზოგად ტერმინად, რომელიც მოიცავს ნუნისმიერ ბგერათა სამივე ჩგუფს.

⁷² ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

ნაპრალის ადგილიც, ოღონდ საკლასიფიკაციოდ რომელ მომენტს უნდა მივცეთ უპირატესობა. აღწერაში არ ჩანს.

111. ჰ. ფოგტი — ქართული ენის თანხმოვანთა განაწილების ცხრილი⁷³.

	ხმელები, ნახევრად-ხმელები	სპირანტები და ფრიკატაეები	სონანტები
ლაბიალურნი	ბ ფ პ	ვ	მ
დენტალურნი	დ თ ტ		ნ რ ლ
პოსტ-დენტალურნი	ძ ც წ	ზ ს	
პრენეოლარულნი	ჩ ჩ ქ	ც შ	
პოსტ-პალატალურნი	გ ქ ჯ		
ველარულნი	(ვ) ყ	ღ ხ	
ლარინგალურნი		ჰ	

ცხრილში წარმოდგენილია ხშულთა ხუთი სერია სამ-სამი წევრით [მეღერი, ყრუ-ფშენივიერი და ყრუ-ყელხშული (გლოტალიზებული)], „ცალკე დგას ყრუ გლოტალიზებული ხშული (ყ); აგი უპირისპირდება არა ორ ველარულ ხშულს, არამედ ორ ველარულ ნაპრალოვანს (ფრიკატივს); მეღერ ღ-სა და ყრუ ხ-ს“⁷⁴.

აფრიკატები ხშულებისაგან გარჩეულია ნახევრადხშულობით. ცალკეა გამოყოფილი სპირანტებისა და აფრიკატების ჯგუფი, ცალკე — სონანტების ჯგუფი.

IV. რ. ჰ. რობინსი და ნატალი ვატერსონი — ქართული ენის თანხმოვანთა განაწილების ცხრილი.

ცხრილის⁷⁵ მომდევნოდ ნაშრომში ცალკე ბგერებიც განიხილება (იხ. გვ. 151, 152, 153...) და თითოეულ მათგანს მიჩენილი აქვს წარმოების თავისი ადგილი. საბოლოოდ მიღებულია თანხმოვანთა შემდეგი ჯგუფები:

- წყვილბაგისმიერნი: ბ ფ პ მ ვ
- კბილისმიერნი: დ თ ტ ნ
- წინაენა-ნუნისმიერნი: ძ ც წ ზ ს ლ
- უკანანუნისმიერი: რ

⁷³ ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1961, გვ. 10.

⁷⁴ იქვე, გვ. 9.

⁷⁵ რ. ჰ. რობინსი და ნატალი ვატერსონი, შენიშვნები ქართული სიტყვის ფონეტიკის შესახებ, „მომომხილველი“, 4—5, 1968, გვ. 148.

ნუნა-სასისმიერნი: ჯ ჩ კ ე უ
 ენისმიერნი: გ ქ კ ლ ხ
 უკანაენისმიერი: ყ
 ხო.რხისმიერი: ჰ

	წყობაგის- ქიერი	კბილისმიერი და წუნის- მიერი	ნუნა-სასის- მიერი	ენსაიერი	უკანაენისმიე- რი	ხო.რხისმიერი
მსკდომი { ყელხშული ფშინეიერი არაფშინეიერი	p p' b	t t' d		k k' გ	q	
აფრიკატი { ყელხშული ფშინეიერი არაფშინეიერი		[ts] [ts'] [dz]	[tʃ] [tʃ'] [dʒ]			
ცხვირისმიერი	m	n				
გვერდითი		l				
ნაპარალოვანი და მთრთოლი }	v --	s z r	ჩკ	აყ		h

განვიხილოთ ლიაობის ნიშნები, როგორც აუცილებელი ელემენტები ბგერათა იდენტიფიკაციისათვის:

1) ც ხ ვ ი რ ის მ ი ე რ ი. ამ ნიშნის მიხედვით ხდება მ-ს (m) განსხვავება ბ-სგან (b) თუ, რა თქმა უნდა, მ-ს მივიჩნევთ ხშულად; თუ მ არახშულად მივიჩნიეთ, მაშინ იგი ცხვირისმიერობით იქნება განსხვავებული ვ-საგან (v).

ნ (n) დაუპირისპირდება ზ-ს (z), როგორც კბილისმიერი ნუნისმიერს.

ასევე ნ ცხვირისმიერობით განსხვავდება ლ-სგან, თუ ნ-ს მივიჩნევთ ხშულ ბგერად; ზ-სგან ნ-ს განსხვავებისთვის ამ შემთხვევაში იკმარებს განსხვავება წარმოების ადგილის მიხედვით (თუ ნ-ს ნაპარალოვანად მივიჩნევთ) — ნ დაუპირისპირდება ზ-ს როგორც „კბილისმიერი“ „ნუნისმიერს“.

ცბრილში არ ჩანს, სად შევიტანოთ [ნ] — ხშულელებში თუ არახშულელებში.

2) გ ვ ე რ დ ი თ ი. ამ ნიშნის მიხედვით ხდება ლ-ს (l) დაპირისპირება ძ-სთან (dz), თუ ლ-ს მივიჩნევთ ხშულად; ხოლო თუ არახშულად მივიჩნიეთ, მაშინ — ზ-სთან.

ცხრილში აზ [ლ] არის დახასიათებული ხშულობა-არახშულობის მიხედვით.

3) მთრთოლი. რ (r) განსხვავდება ნებისმიერი თანხმოვნისგან ამ ნიშნით.

4) ნაპრალოვანი. [ს ზ] მხოლოდ „ნაპრალოვანი“ ბგერებია; ასევე ნაპრალოვანი რასაგან ზ განსხვავდება იმით, რომ მხოლოდ ნაპრალოვანია და არ არის „მთრთოლიც“.

ნაპრალოვანად არის მიჩნეული აგრეთვე [შ ე], [ლ ხ] და [ჰ]. აქტიური საწარმოთქმო ორგანოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აზრთა სხვაობას, როგორც ზემოთ წარმოდგენილ ცხრილებში ვნახეთ. იწვევს წინაენისმიერ თანხმოვანთა კლასიფიკაცია; ეს თანხმოვნებია: დ თ ტ ძ ც წ ჯ ჩ ჰ ზ ს ე შ ნ ლ რ.

რაც შეეხება სხვა მკვლევართა ვარაუდებს, ისინი მხოლოდ იწერებენ ზემოთ წარმოდგენილთაგან რომელიმეს და ამდენად მათ არ განვიხილავთ.

საწარმოთქმო ადგილის მიხედვით ბგერათა ცხრილებში წარმოდგენილი კლასიფიკაციებით უდავო ჩანს [დ თ ტ]-ს ენაკბილისმიერობა — ამ მხრივ ყველა კლასიფიკაციაში ერთნაირი ვარაუდია გატარებული.

სადავო რჩება [ძ ც წ ზ ს ნ ლ]-ს წარმოების ადგილი.

ა) გ. ახვლედიანი მათ ენაკბილისმიერებად მიიჩნევს:

ბ) ა. შანიძე მათ წინანუნისმიერებად მიიჩნევს;

გ) რ. ჰ. რობინსი და ნატალი ვატერსონი /ნ/-ს მიიჩნევენ ენაკბილისმიერად, ხოლო [ძ ც წ ზ ს ლ რ]-ს — ნუნისმიერებად.

დ) ჰ. ფოგტი, გარდა [დ თ ტ]-სი, ენაკბილისმიერად მიიჩნევს [წ რ ლ]-საც, ხოლო [ძ ც წ ზ ს]-ს — კბილსუკანებად (პოსტდენტალურებად). ნუნასთან ენის შეხება გამორიცხულია, რამდენადაც [ჯ ჩ ჰ ე შ] მიჩნეულია წინანუნისმიერებად (პრეალვეოლარულებად).

ვიმსჯელოთ ამ ბგერათა შესახებ ცალ-ცალკე.

რ. ეს ბგერა ენაკბილისმიერად მხოლოდ ჰ. ფოგტს მიაჩნია. ეს დაშვება მიუღებელი ჩანს, რადგანაც დღემდე მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები ასეთი ვარაუდის საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა. უბრალო დაკვირვებითაც კარგად ჩანს ქართული [რ]-ს არაკბილისმიერობა: თუ ენის წვერს კბილებს მივაბჯენთ ან მივუახლოვებთ, [რ]-ს წარმოთქმა შეეუბლებელია. მაშასადამე, გადასაწყვეტია შემდეგი: რომელი რიგისად მივიჩნიოთ რ — წინანუნისმიერად, შუანუნისმიერად თუ უკანანუნისმიერად.

ჩვენი აზრით, სწორი ჩანს ა. შანიძისეული კვალიფიკაცია — /რ/ არის უჟანუნისმიერი თანხმოვანი⁷⁶, რადგანაც (1) [ს], [რ] და [ე] ბგერების თანმიმდევრულად წარმოთქმისას კარგად შეიმჩნევა ენის წვერის უკან გადაადგილება წარმოდგენილი რიგის მიხედვით: [რ] იწარმოება [ს]-სა და [ე]-ს წარმოების არეებს შორის: (2) ქართულ და ქართველურ ენებში ბგერათგადაწვევის შესაძლებლობა, ერთი მხრით, $s > r$ და, მეორე მხრით, $r > \xi$ (როცა არ დასტურდება $s > \xi$), ამ ბგერათა წარმოების ადგილთა აღნიშნული თანმიმდევრობასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

6. წარმოდგენილი ცხრილების მიხედვით სამ შემთხვევაში ნ მიჩნეულია ენაკბილისმიერად (გ. ახვლედიანი, რ. პ. რობინსი და ნ. ვატერსონი, პ. ფოტეი), ერთ შემთხვევაში — წინანუნისმიერად (ა. შანიძე).

6 ენაკბილისმიერია გ. დოლიძის ნ-ს რენტგენოგრაფიულად, რომელიც გადაღებულია მოსკოვის რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის ცენტრალურ ინსტიტუტში⁷⁷ და შ. გაფრინდაშვილის მიერ 1960 წელს გამოქვეყნებულ ნ-ს რენტგენოგრაფიაზე⁷⁸. ნ ასევე ენაკბილისმიერია ჩვენი ლაბორატორიის რენტგენოგრაფიაზე.

ა. შანიძის ვარაუდი, უნდა კიფიქროთ, ემყარება უშუალოდ დაკვირვებას, ამდენად ექსპერიმენტულ მონაცემებს ვერ უარყოფს, თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, იგი საფუძველს მოკლებული არ არის.

ლ. ლ ენაკბილისმიერი ბგერაა ორ ცხრილში (გ. ახვლედიანი, პ. ფოტეი), წინანუნისმიერია აგრეთვე ორ ცხრილში (ა. შანიძე, რ. პ. რობინსი და ნატალი ვატერსონი).

გ. დოლიძის ლ-ს ერთ რენტგენოგრაფიაზე ენის ხშვა განხორციელებულია როგორც კბილებზე, ისე ნუნაზე⁷⁹, ხოლო მეორე რენტგენოგრაფიაზე ენა უფრო უკან არის დაწეული⁸⁰.

76 უთუოდ საყურადღებოა, რომ რ. პ. რობინსისა და ნატალი ვატერსონის მიხედვით [რ]-ს ლოკალიზაცია ხდება [ძცწზს] და [ჩჩქეშ] ბგერებს შორის: [ძცწზს] წინანუნისმიერი ბგერებია, [ჩჩქეშ] — ნუნა-სასისმიერი, ხოლო [რ] უკანანუნისმიერი (იხ. რ. პ. რობინსი და ნატალი ვატერსონი, დასახ. ნაშრ., გვ. 150—154).

77 გ. დოლიძე, ქართული ენის თანხმოვნები (ექსპერიმენტული გამოკვლევა), 1954 (დისერტაცია, ხელნაწერი), გვ. 126, სურ. 119.

78 შ. გაფრინდაშვილი, საწარმოთქმო დაბრკოლებათა რაგვარობის საკითხი ქართულში, იყე, XII, 1961, გვ. 184, სურ. 24.

79 გ. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

80 იქვე, გვ. 132.

სევე მცირედენ განსხვავებას გვიჩვენებენ შ. გაფრინდა-შვილისა და ნ. ქუთელიას მიერ მიღებული ლ-ს პალატოგრაფები⁸¹. პირველ შემთხვევაში ნათლად ჩანს კბილებზე შეხების კვალი, მეორე შემთხვევაში კი ენის წვერი უფრო უკან არის დაწეული. ასეთივე სხვაობა შეიმჩნევა ჩვენი ლაბორატორიის რენტგენოგრაფებზეც.

უთუოდ მხედველობაშია მისაღები ლ-ს „ნათელი“ და „ბნელი“ ვარიანტების არსებობა ქართულში. მათ შესახებ ხაზგასმით არის ნათქვამი რ. ჰ. რობინსისა და ნ. ვატერსონის ნაშრომში, კერძოდ: ი, ე ხმოვნებთან გვაქვს ლ-ს ნათელი ვარიანტი, ხოლო ო, უ, ა, ხმოვნებთან — ბნელი (უკან დაწეული)⁸², თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ნუნისმიერი ხშვის დროსაც ენა ხშირად აღწევს კბილების ძირებამდე და შეხების კვალსაც ტოვებს, ლ უნდა მივიჩნიოთ ენაკბილისმიერ თანხმოვნად.

ლ-სთვის ხშვის გამხორციელების ადგილის ვარიაციულობა (როგორც ეს ნაწილობრივ გვქონდა ნ-ს დროსაც) უნდა განვიხილოთ სხვა დიფერენციალურ ნიშნებთან მიპართებით, რაც უფრო ნათლად გამოავლენს ხშვის ადგილის ცვლის მიზეზსა და შესაძლებლობებს (იხ. ქვემოთ).

ა ფ რ ი კ ა ტ ე ბ ი — ძ, ც, წ. წარმოდგენილ ცხრილში მხოლოდ გ. ახვლედიანი აერთიანებს [ძ ც წ]-ს ენაკბილისმიერ [დ თ ტ]-ს ჯგუფში, ორი კლასიფიკაციით (ა. შანიძე, რ. ჰ. რობინსი და ნატალი ვატერსონი) [ძ ც წ] არ შედის ენაკბილისმიერთა ჯგუფში, ისინი [ზ ს]-სთან ერთად ქმნიან ნუნისმიერთა ჯგუფს.

ჰ. ფოგტი ძ ც წ-ს (ზ, ს-სთან ერთად) უწოდებს პოსტდენტალურებს. ამ შემთხვევაში არსებითი არის ის, რომ მისი ვარაუდითაც [დ თ ტ] და [ძ ც წ ზ ს] ჯგუფები ერთსა და იმავე ადგილზე არ იწარმოება.

გ. დოლიძის მიერ წარმოდგენილი რენტგენოგრაფებითაც კარგად ჩანს კბილისმიერი [დ თ ტ]-სა და ნუნისმიერ [ძ ც წ] ხშულთა განსხვავება ხშვის ადგილის მიხედვით (გარდა ძ-სი)⁸³.

ჩვენი ლაბორატორიის რენტგენოგრაფები მხარს უჭერს ა. შანიძისა და რობინს-ვატერსონის კლასიფიკაციას.

ჩვენი აზრით, გ. ახვლედიანის კლასიფიკაციაში (და მისი გავ-

⁸¹ შ. გაფრინდაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 183.

⁸² რ. ჰ. რობინსი და ნატალი ვატერსონი, დასახ. ნაშრ., გვ. 152.

⁸³ გ. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 70 და შემდეგ.

ლენით ზოგი სხვა მკვლევარის კლასიფიკაციაშიც) [ძ ც წ]-ს გაერთიანება [დ თ ტ]-ს რიგში განსაზღვრა თეორიულმა ვარაუდმა, აფრიკატი და მის კომპონენტად მიჩნეული ხშული ერთსა და იმავე ადგილზე უნდა იწარმოებოდეს (დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ ქვემოთ).

რაც შეეხება [ზ ს] სპირანტთა და [ძ ც წ] აფრიკატთა მიმართებას წარმოების ადგილის მხედვით, შ. გაფრინდაშვილმა წარმოადგინა ვარაუდი, რომ [ზ ს] უფრო უკანა წარმოებისაა, ვიდრე [ძ ც წ]⁸⁴. ეს ვარაუდი ექსპერიმენტულად არ ყოფილა დადასტურებული.

ზ. ჭაფარიძემ წინაენისმიერ თანხმოვანთა დისტრიბუციული ანალიზის საფუძველზე შ. გაფრინდაშვილის ვარაუდი სარწმუნოდ მიიჩნია: ქართულ ენაში შესაძლებელია კომბინაცია სწ (სწავლა, სწორი, სწრაფი...) და აკრძალულია წს თანამიმდევრობა. რაც ნიშნავს შემდეგს: წინაენისმიერთა კომბინაციაში დაშვებულია აქცესიური რიგი და დაუშვებელია დეცესიური (შდრ. დაშვებული ჭდ, ჰდ, ჩდ... როცა დაუშვებელია დჭ, ტჭ, თჩ — შებრუნებული რიგი ამ კომპლექსებში). ამის საფუძველზე, ბუნებრივია, ს უფრო უკანა წარმოების მქონედ მივიჩნით, ვიდრე წ და სსგ.⁸⁵

ჩვენი აზრით, ფონოლოგიურად აკრძალულია წინაენისმიერთა ნებისმიერი კომბინაცია ქართული ენის ძირითადი ფონემატური კანონით. ზ. ჭაფარიძის მიერ განხილული კომპლექსები მიგვაჩნია გამოწკლისებად, რომლებიც ენაში შეიქმნა არა ფონემატური სტრუქტურის კანონზომიერებით, არამედ მორფონოლოგიური ცვლილების საფუძველზე⁸⁶. ამიტომ, ვფიქრობთ, სწ-ს არსებობა ენაში ს და წ თანხმოვანთა წარმოების ადგილის განსასაზღვრავად ვერ გამოდგება.

თანხმოვნები რაგვარობის მიხედვით: ქვემოთ განვიხილავთ ლიაობის ნიშნებს ცალკეული ცხრილის შიგნით და ამ ნიშანთა ფო-

84 შ. გაფრინდაშვილი, საწარმოთქმო დაბრკოლების რაგვარობის საკითხი ქართულში, იკე, XII, 1961, გვ. 177.

85 ზ. ჭაფარიძე, თანხმოვანთა განაწილების ერთი წესი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, კრებულში: მეტყველების ანალიზის, სინთეზისა და სტატისტიკის საკითხები, 1967, გვ. 147.

86 თ. უთურგაიძე. ქართული ენის მთის კილოთა კონსონანტიზმი სალიტერატურო ქართულთან მიმართებით: მეტყველების ანალიზის საკითხები, 1969, გვ. 134—140.

ნოლოგიურ (resp. პარადიგმატულ) ღირებულებას ცხრილთა თვალსაზრისით.

ვიდრე ღიაობის ცალკეული ნიშნების განხილვაზე გადავიდოდეთ, უნდა შევეხოთ ე. წ. შერეულ რაგვარობას, რომელიც ქართულში, გ. ახვლედიანის მიხედვით, ახასიათებს ძ ც წ ჯ ჩ ჰ აფრიკატებს, მართლ რ-სა და ცხვირისმიერ მ ნ-ს.

შერეული რაგვარობა ასეა განმარტებული: „შერეულ რაგვარობას (ანუ ხშულობა-ნაპრალოვნობას) ჩვენ ვეძახით ისეთს, რომელიც შეიცავს ორ სხვადასხვა რაგვარობას (ხშვასა და ნაპრალოვნობას) ერთი სამეტყველო ბგერის ფარგლებში“⁸⁷.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქართული ენის ნებისმიერი ბგერის წარმოთქმის დროს საწარმოთქმო ორგანოებში სადმე აუცილებლად გვექნება ენის ან ნაქის მიერ განხორციელებული ხშვა. გამოგვიყვანა, რომ ქართული ენის თანხმოვნები (ნმოვნები!) შერეული რაგვარობის ბგერებია.

რადგანაც გ. ახვლედიანის დებულება არ ითვალისწინებს რბილი სასის მიერ ხშვას არაცხვირისმიერებთან, ამდენად აქ ლაპარაკია ხშვაზე, რომელიც ხორციელდება მხოლოდ ენის მიხედვით და ნაპრალზე, რომელიც ხორციელდება როგორც პირის, ისე ცხვირის ღრუში.

თუ რბილი სასის მოქმედებასაც გავითვალისწინებთ, ბგერები დაიყოფა ცალმაგ, ორმაგ და სამმაგ ხშულებად. ცალმაგი ხშვა ექნება ყველა ნაპრალოვანს, ორმაგი ხშვა — ხშულებს, რომელთაც ყელხშვა არ ახასიათებს, სამმაგი ხშულები იქნება ყელხშული ბგერები (მათ ენისმიერი ხშვა ექნებათ პირში, რბილსასისმიერი ხშვა — ცხვირის ღრუსთან, მესამე ხშვა კი ხორციელდება სახმო სიმებით). გარდა [ყ]-სი.

თუ რბილი სასის ხშვას არაცხვირისმიერებთან მხედველობაში არ მივიღებთ და დავრჩებით გ. ახვლედიანის მიერ ზემოთ წარმოდგენილი განმარტების ფარგლებში, ტერმინი შერეული რაგვარობა მაინც დაზუსტებას მოითხოვს, რამდენადაც ამ ტერმინით გაერთიანებული ბგერები თანხმოვანთა საკლასიფიკაციო ცხრილში დიდ სხვაობას გვიჩვენებენ. ცხრილის ამ უხეზხულობას პირველად ყურადღება მიაქცია შ. გაფრინდაშვილმა⁸⁸. კერ-

87 გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 39.

88 შ. გაფრინდაშვილი, საწარმოთქმო დაბრკოლებათა რაგვარობის საკითხი. ქართულში, ივე, ტ. XII, 1961.

ბოდ, შერეული რაგვარობის მქონედ მან ქარულში მიიჩნია მხოლოდ მნღბგერები⁸⁹; ამავე დროს შეცვალა ტერმინის განსაზღვრა: „...საწარმოთქმო დაბრკოლებათა შერეული რაგვარობა შეიძლება გვექონდეს მხოლოდ და მხოლოდ ორი სხვადასხვა ხასიათის დაბრკოლების ერთდროულად არსებობის პირობებში“ (ხაზი ავტორისაა)⁹⁰.

ამ განმარტების თანახმად, ძ ც წ ჯ ჩ ჰ ბგერები არ იქნა მიჩნეული შერეული რაგვარობისად, რამდენადაც ხშვა და ნაპრალები მათი წარმოთქმის დროს ერთდროულად არ ხორციელდება: რ შერეული რაგვარობის ბგერათა ჯგუფიდან ამოვარდა იმიტომ, რომ ამ ბგერას ხშვა საერთოდ არ ახასიათებს⁹¹.

ახლა ვნახოთ, რა ადგილი უკავია შერეულ რაგვარობას ქართული ენის თანხმოვნათა პარადიგმატულ ცხრილებში.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ბგერათა ამ თვისებას, როგორც პარადიგმატულ ნიშანს, ვერც ერთ ცხრილში ვერ ვხვდებით, გარდა ჰ. ფოგტიის ცხრილისა: არა გვაქვს იგი გ. ახვლედიანის ცხრილშიც. ამ უკანასკნელში „შერეული რაგვარობის ბგერები“ — ძ ც წ ჯ ჩ ჰ ნ რ ლ მ სხვადასხვა ადგილზე განაწილდა, კერძოდ: ძ ც წ ჯ ჩ ჰ მოხვდა „რთულთა“ გრაფაში, ხოლო ნ რ ლ მ — მარტივთა გრაფაში.

მაშასადამე, უკვე ამ განაწილებით ნათელი ხდება, რომ ნიშნები „შერეული რაგვარობა“ და „რთული“ ვერ ფარავს ერთიმეორას.

ჩვენი შემდგომი მსჯელობიდან ახლავე უნდა გამოვრიცხოთ რ. რადგანაც ჩვენთვის სარწმუნოა გ. დოლიძისა და შ. გაფრინდაშვილისეული კვალიფიკაცია [რ]-სი, როგორც ბგერისა, რომელსაც არ ახასიათებს ხშვა წარმოთქმის მთელ მანძილზე⁹². ამას ადასტურებს ჩვენი ლაბორატორიის რენტგენოგრაფიებიც.

დაეუბრუნდეთ საკითხს. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გ. ახვლედიანის ცხრილში ნ ლ მ შეტანალია მარტივ ბგერათა ჯგუფში;

⁸⁹ შ. გაფრინდაშვილი, საწარმოთქმო დაბრკოლებათა რაგვარობის საკითხი ქართულში, იკვ. ტ. XII, 1961, გვ. 188.

⁹⁰ იქვე, გვ. 170.

⁹¹ იქვე, გვ. 179 და შემდეგ.

⁹² გ. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 134—135; შ. გაფრინდაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 180 (ამავე დროს რ. ჰ. რობინსონი და ნ. ვატერ-ნიცი [რ]-ს მიიჩნევენ ნაპარალოენად; იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 153).

გამოდია. რომ, როდესაც ბგერას ერთდროულად ახასიათებს ხშვა-
ცა და ნაპრალოც. მარტივად უნდა ჩაითვალოს, ხოლო, როდესაც
ბგერის საწარმოებლად ხშვა და ნაპრალი თანამიმდევრობით ხორ-
ციელდება, ბგერა რთულად უნდა ჩაითვალოს.

უხერხულობა ცხრილში მაინც რჩება. ნ მ აქ ჩათვლილია მარ-
ტივ ხ შ უ ლ ე ბ ა დ, ხოლო ლ — მარტივ არახშულად.
არ ჩანს პრინციპი, რომლის მიხედვითაც ხშულ-ნაპრალოვან (ანუ
შერეული რაგვარობის) ბგერათაგან ზოგი ხშულად უნდა ჩავთვა-
ლოთ, ხოლო ზოგი — არახშულად.

საბოლოოდ: „რთული“ გამოდის მხოლოდ ისეთი ბგერა,
რომლის წარმოსაქმნელად საჭიროა ხშვისა და ნაპრალის ისეთი
თანამიმდევრობა, როდესაც ჯერ არის ხშვა, ხოლო შემდეგ — ნაპ-
რალი. აფრიკატებზე ქვემოთ ცალკე გვექნება მსჯელობა: ამჟა-
ნად უნდა დავასვენათ შემდეგი: შერეული რაგვარობა ან
საერთო ნიშანი არ არის [ძ ც წ ჯ ჩ ჰ ნ რ ლ მ] ბგერებისათ-
ვის და არც პარადიგმატულ ნიშნად გამოდგება, ანდა იგი მოიცავს
მხოლოდ [ძ ც წ ჯ ჩ ჰ] ბგერებს და უდრის ნიშანს „რთუ-
ლი“. მეორე განსაზღვრებით „შერეული რაგვარობისა“, რა თქმა
უნდა, ვერ იქნება, ერთი მხრით [ნ რ ლ მ] და, მეორე მხრით
[ყ], რომელშიც ხშვა და ნაპრალი; გ. ახვლედიანის მიხედ-
ვით, „რთულ“ ბგერათა შებრუნებული რიგით ხორციელდება.

[ნ მ] ბგერების მოქცევას ხშულთა შორის გ. ახვლედიანის
ცხრილის მიხედვით ახლავს სერიოზული უხერხულობა, კერძოდ:
ცხრილს მიხედვით [ნ მ] ხასიათდება როგორც „ცხვირისმიერი“,
„ხშული“ ბგერები. ცხვირისმიერობა და ხშულობა კი ქართულში
ერთიმეორის გამომრიცხველი ნიშნებია — ც ხ ვ ი რ ს მ ი ე რ ი
ნიშნავს ბგერას, რომლის წარმოთქმის დროს ნაპრალი იქმნება
ცხვირის დრუში, მამსადაამე, დახასიათება „ცხვირისმიერი“, „ხშუ-
ლი“ ნიშნავს ამას: „არახშული“⁹³, „ხშული“ — ეს ორი ნიშანი
კი, დიფერენციალური ნიშნების თვალსაზრისით ურთიერთგამომ-
რიცხველია. პარადიგმატულ ანალიზში ორივე ნიშანი არ შეიძ-
ლება ერთდროულად რელევანტური იყოს. ერთ-ერთი მათგანი
უთუოდ ქარბია.

თუ [მ ნ]-ს ხშულებში მოვაქცევთ, მაშინ „ცხვირისმიერი“

⁹³ ცხვირისმიერი თანხმონები ნაპრალოვნებად მიიჩნია რ. იაკობსონმა
(об. К характеристике Евразийского языкового союза: R. Jakobson.
Selected writings. 1962, გვ. 163).

ელარ არის რელიგანტური, ე. ი. ცხრილში აღარ უნდა შევიტანოთ ეს ნიშანი, ხოლო თუ [მ ნ]-ს დაეხასიათებთ როგორც „ცხვირის-მიერს“ (ანუ „არახშული“), მაშინ მათ ვეღარ მოვაქცევთ ხშულთა გრაფაში.

ცხრილში ეს წინააღმდეგობა მოგვარებული არ არის, ამდენად [მ ნ]-ს განაწილების საკითხი ღიად რჩება.

როგორც ვხედავთ, არტიკულაციური ანალიზი [მ ნ]-ს შემთხვევაში იძლევა არტიკულაციურ ნიშანთა განსხვავებული კლასიფიკაციის საშუალებას დისტინქციური (რელიგანტურობა-სიჭარბის) თვალსაზრისით და პარადიგმატულ პლანში ძნელდება კრიტიკურიუმის მოძებნა ფონემათა ადგილის დასადგენად ცხრილში.

მაშასადამე, [მ ნ] ბგერებს, ერთი მხრით, ახასიათებს ხშვა (პირში), მეორე მხრით — ნაპრალი (ცხვირში). მათი ცხვირისმიერობა ისეთი ნიშანია, რომლითაც ეს ორი ბგერა ქარტულში დაუპირისპირდება ყველა დანარჩენ თანხმოვანს (როგორც ხშულებს, ისე არახშულებს), მხოლოდ ხშულობით კი ისინი ვერ დაუპირისპირდებიან სხვა ხშულებს ([მ] ვერ დაუპირისპირდება [ბ]-ს, [ნ] კი — [დ]-ს). ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში რელიგანტურად მივიჩნით ნიშანი „ცხვირისმიერი“, რომელიც აუცილებელ ქვენიშნად შევა „არახშული“ ნიშნის გრაფაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცხვირისმიერობა ამავე დროს ნიშნავს არახშულობას. ხშულობა/არახშულობა თანხმოვანთა ორ ჯგუფს ქმნის, რომელთაგან თითოეულის მეორესთან მიმართებისას სხვა ნიშანი („მელრობა“, „სიყრუე“, „ვევრდითობა“... დაუმატოთ „ცხვირისმიერობა“) შეიძლება არარელიგანტურად მივიჩნოთ.

[მ ნ] არაცხვირისმიერი ნაპრალოვნებისაგან განსხვავდება მხოლოდ ნაპრალის მიხედვით, და არა ნაპრალის ქონა-არქონით. ყველა „ცხვირისმიერი“ „არახშულია“, მაგრამ ყველა „არახშული“ არ არის „ცხვირისმიერი“. „არახშული“, მაშასადამე, აერთიანებს როგორც ორალურ, ისე ცხვირისმიერ ნაპრალოვნებს.

ზემონათქვამის საფუძველზე პარადიგმატულ ცხრილში „ცხვირისმიერები“ „ხშულებს“ დაუპირისპირდებიან როგორც „არახშულები“, ხოლო ორალურ ნაპრალოვნებს — როგორც ცხვირისმიერი ნაპრალოვნები.

საქიბის ასე გადაწყვეტა პარადიგმატულ ცხრილში კარგად მოწმდება სინტაგმატური კანონზომიერებებით, რამდენადაც სინტაგმატურ პლანში ხშულები და არახშულები ფუნქციით მკვეთრად უპირისპირდებიან ერთიმეორეს. ამ თვალსაზრისითაც ქართულ ენაში [მ ნ] თანხმოვნები უნდა მოთავსდეს არახშულთაგრაფაში, რადგანაც ისინი იქცევიან არახშულთა მსგავსად: [მ ნ], ისევე როგორც სიბილანტები და ფრიკატივები, ხშულებთან კომბინაციაში ქმნიან მეორე სეგმენტს⁹⁴.

ეს მეორე (სინტაგმატური) წესი ხშულობა-არახშულობის განსაზღვრისა განსაკუთრებით გამოდგება /ლ/-ს განაწილებისათვის პარადიგმატულ ცხრილში: /ლ/ სინტაგმატური ფუნქციით დგას არახშულ თანხმოვნებთან⁹⁵, ამდენად მისთვის დამახასიათებელი ენისმიერი ხშვა არ არის რელევანტური, რელევანტურია ნაპრალი, რომელიც ამ ბგერის წარმოქმნისას იქმნება ენის გვერდის საშუალებით.

ამ კონტექსტში უკვე შესაძლებელია, შევეხოთ იმ უხერხულობას, რომელიც იქმნება [ლ] და [ნ] ბგერათა ლოკალური განაწილებით პარადიგმატულ ცხრილებში, კერძოდ [ლ ნ]-ს შესაძლებელია ხშვა ჰქონდეს როგორც კბილებთან, ისე ნუნებთან (იხ. ზემოთ, გვ. 55).

[ნ]-ს ხშვის ადგილი მხოლოდ [მ]-სთან მიმართებით იზღუდება: რადგან [მ] და [ნ] ორივე „არახშული“ და „ცხვირისმიერი“ა, ამიტომ პირში ჰაერნაკადის ჩაქეტვის ადგილი მათ არ შეიძლება ერთი ჰქონდეს. სწორედ ეს გვექონდა მხედველობაში ზემოთ, როცა ვაცხადებდით: ხშვა ზოგჯერ ემსახურება ნაპრალოვნობის თავისებურებას (იხ. ზემოთ). [მ]-სა და [ნ]-ს შორის დაპირისპირება მყარდება ბაგისმიერობა-არაბაგისმიერობით. მეორე მხრივ /ნ/ დანარჩენ ბგერებს უპირისპირდება ან ნაპრალოვნობით (ხშულებს) ან ცხვირისმიერობით (არახშულებს), რის გამოც მას შესაძლებლობა აქვს კბილებიდან დაწყებული და მაგარი სასით გათავებული — სადაც მოუხერხდება, იქ განახორციელოს ხშვა. კოარტიკულაციის საფუძველზე [ნ]-ს ექმნება საშუალება ხშვის გა-

⁹⁴ თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ფონემატური სტრუქტურა სალიტერატურო ქართულთან მიმართებით, კრებულში: მეტყველების ანალიზის საკითხები, 1969, გვ. 169 და შემდეგ.

⁹⁵ /ლ/ ბგერის ხშვის ადგილის ვარიაციულობასთან დაკავშირებით იხ. А. И. Томсон, Общее языковедение, Одесса, გვ. 207.

დაადგილებისათვის წინაენის მოქმედების არეში, რასაც აქვს კიდევ ადგილი.

რაც შეეხება /ლ/-ს, არც მას ექმნება წინაწარმოების თანხმონებთან დაპირისპირების საფრთხე კბილ-ნუნის არეში ხშვის გადაადგილებით: (1) „ენაკბილისმიერი“ /ლ/ „ენაკბილისმიერი“ /ლ/-ს დაუპირისპირდება როგორც „არახშული“ „ხშულს“, ხოლო (2) „ენანუნისმიერი“, „არახშული“ /ლ/ „ენანუნისმიერი“ და „არახშული“ /ზ/-ს დაუპირისპირდება როგორც „გვერდითი“ „არაგვერდითს“ — საქმე ის არის, რომ, სადაც [ზ]-ს ნაპრალი აქვს, იქ [ლ]-ს ხშვა უხორციელდება, ნაპრალი კი ენის გვერდის საშუალებით იქმნება, რითაც [ზ]-სა და [ლ]-ს შორის მყარდება ტემბრალური სხვაობა. ამის საფუძველზე „გვერდითობა“ იქცევა /ლ/ ფონემის რელევანტურ ნიშნად, რითაც ის დაუპირისპირდება ნებნისმიერ ფონემას წინაენისმიერთა ჯგუფში. სწორედ ეს ნიშანი აძლევს [ლ]-ს ხშვის გადაადგილების საშუალებას წინაენის მოქმედების არეში.

განვიხილოთ კიდევ შემდეგი ნიშნები: „მთრთოლი“, „ნახევრად ხშული“, „სონანტი“ და „აფრიკატი“.

„მთრთოლი“. ამ ნიშნით ხასიათდება მხოლოდ ბგერა [რ]: ნიშნები ნახევრად ხშული და სონანტი თანხმონებთან პარადიგმატულ ცხრილში შემოაქვს ჰ. ფოგტს.

ნახევრად ხშული. ნახევრად ხშულებად მიიჩნეულია აფრიკატები⁹⁶, რადგან ეს ნიშანი ვარაუდობს ბგერაში ხშვის შემდეგ ნაპრალის რეალიზაციასაც.

როდესაც ბგერაში რავგარობის ისეთი ორი მომენტია წარმოდგენილი, რომლებიც პარადიგმატული მიმართების მიხედვით ერთმეორეს გამორიცხავენ (ხშვა და არახშვა), ბუნებრივია, ამ ორი ნიშნიდან ერთ-ერთი ჰარბად მივიჩნიოთ, ხოლო მეორე — რელევანტურად. გამოსავალი არის სინტაგმატური მიმართება (იხ. ზემოთ /ლ/-ს კვალიფიკაცია). მართლაც, ჰ. ფოგტი გადადის ასეთი მიმართების განხილვაზე და სინტაგმატურ კანონზომიერებაზე დაყრდნობით ნახევრადხშულებს (აფრიკატებს) ხშულებად მიიჩნევს: „დენტალურ ხშულებში ჩვენ ვგულისხმობთ არა მხოლოდ საკუთრივ ხშულებს, არამედ სისინა და შიშინა ნახევრადხშულებსაც (აფრიკატებს)⁹⁷“.

96 ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1962, გვ. 10.

97 იქვე, გვ. 14.

თუ ასეა, პარადიგმატულ ანალიზში საკმარისია ნიშანი ხ შუ-
ლი აფრიკატთა დასახასიათებლად. სინა და შიშინა აფრიკატ-
თა ლოკალური რიგი მათ უპირისპირებს როგორც ერთიმეორეს,
იე ხშულთა სხვა ჯგუფებს.

ჩვენ ასევე გაუპართლებლად მიგვაჩნია სონანტი ნიშნის
შემოტანა ცხრილში. სონორობა ბგერათა ისეთი ნიშანია, რომ-
მელიც მეტ-ნაკლებად ახასიათებს ნებისმიერ თანხმოვანს⁹⁸. ნიშა-
ნი, რომელიც უკლებლივ ყველა ბგერას ახასიათებს, დიფერენცია-
ლურ ნიშნად ვერ გამოდგება.

ბგერათა მეტ-ნაკლები სონორობა გამოიყენება მხოლოდ სინ-
ტაგმატურ ანალიზში. როგორც ჩანს, ეს ნიშანი ცხრილში შე-
მოტანილ იქნა სწორედ სინტაგმატური ანალიზის საფუძველზე, მაგ-
რამ პარადიგმატულ ანალიზში სინტაგმატური მონაცემები შემო-
ღის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პარადიგმატული მონაცე-
მები ერთიმეორეს გაძორიცხავენ (იხ. ზემოთ), აქ კი ასეთი ვითა-
რება არა გვაქვს.

თუ პარადიგმატულ ანალიზში სინტაგმატურ ქცევას გავითვა-
ლისწინებთ, მნ რლ/სა და /ვ/-ს გაერთიანება შეიძლება მოხ-
დეს იმის საფუძველზე, რომ ეს ფონემები, როგორც წესი, თანხმო-
ვანთა კომპლექსებში არ იცავენ ჰომოგენურობის პრინციპს — კომ-
ბინაციაში შედიან როგორც მჟღერ, ისე ყრუ თანხმოვნებთან. ამ
საფუძველზე თანხმოვნები შეიძლება დაგვეყო სონორებად
(ე-ს ჩათვლით) და არასონორებად.

ჩვენ ვიჩვენებთ კლასიფიკაციას, სადაც სერიები ერთიმეორეს
უპირისპირდება ხშულობით, ე. ი. გვაქვს დაპირისპირება „ხშული“,
„არახშული“.

„სონორი“: „არასონორი“ დაყოფის შემთხვევაში „არასონო-
რის“ ჯგუფში ერთიანდება „ხშული“ და „არახშული“ ჩქამიერი
ფონემები. ამავე დროს ყველა „სონორი“ არის „არახშული“ —
ეს, ჩვენი აზრით, უხერხულობას უქმნის ცხრილს, რადგანაც ერ-
თი ნიშნის („არახშული“) ნაცვლად გვჭირდება შემოვიტანოთ
ორი — „სონორი“ და „არასონორი ნაპრალოვანი“. სონორთა და
ჩქამიერ ნაპრალოვანთა გაერთიანება „არახშულის“ გრაფაში ამ
უხერხულობას ხსნის. ასეთი დაყოფის მიზანშეწონილობა თავს
იჩენს სინტაგმატურ ანალიზშიც, სადაც სონორი და ჩქამიერი არა-
ხშულები ფუნქციონალურად უტოლდება ერთიმეორეს.

⁹⁸ გ. ახელედინი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 50.

სიმპტომატურია, რომ ჰ. ფოგტის კლასიფიკაციაში ნიშანი „სონორი“ ცხრილში საკმაო უხერხულობას ქმნის, კერძოდ: (1) ცხრილში /ვ/ შეტანილია სპირანტებისა და ფრიკატივების (ანუ არასონანტების) ჯგუფში⁹⁹, სინტაგმატური ანალიზით კი განიხილება /მ ნ რ ლ/-სთან: „პირველია სონანტების კლასი ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით: რ ლ მ ნ და ე“¹⁰⁰; (2) ცხრილის მიხედვით /ნ რ ლ/ განისაზღვრება როგორც „დენტალური“, „სონანტი“. ცხრილში არ ჩანს ნიშნები „ცხვირისმიერი“ და „გვერდითი“, რომლებაც აუცილებელია ამ საში ფონემის განსასხვავებლად. სამაგიეროდ, როგორც ვნახეთ, შეტანილია ნიშანი „ნახევრადხშული“, რომელიც დიფერენციაციის თვალსაზრისით საჭირო არ არის; (3) ცხრილში /ლ ხ/ გადატანილია /ვ ყ/-ს ჯგუფში სინტაგმატური ანალიზის საფუძველზე, როგორც ხშული ფონემები.

თუ თანხმოვანთა სინტაგმატურ ფუნქციას კლასიფიკაციის კრიტერიუმად მივიღებთ, მაშინ ჰ. ფოგტისავე ანალიზზე დამყარებით /ჩ ც წ ჯ ჩ ქ/-ც უნდა გადაგვეტანა დენტალურთა ჯგუფში, ანდა, პირიქით. დენტალური ხშულები გადაგვეტანა ალვეოლართა ჯგუფში — ეს ჯგუფები ხომ ერთნაირი აღმოჩნდა ფუნქციით: „დენტალურ ხშულებში ჩვენ ვგულისხმობთ არა მხოლოდ საკუთრივ ხშულებს, არამედ სისინა და შიშინა ნახევრადხშულებსაც (აფრიკატებს)“¹⁰¹. გამოდის, ცხრილი ვერ ასახავს უკანასკნელად ციტირებულ ორ დებულებას: (1) /ლ ხ/ ცხრილში შეტანილია არა ხშულთა გრაფაში, არამედ „სპირანტებისა და ფრიკატივების“ გრაფაში; ხოლო (2) წინაენისმიერი ხშულები წარმოდგენილია არა ერთ, არამედ სამ ჯგუფში (დენტალური, პოსტ-დენტალური და პრე-ალვეოლარული). აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ /ლ ხ/, რა თქმა უნდა, ვერც პარადიგმატული და ვერც სინტაგმატური ანალიზით ვერ გაერთიანდება ხშულებთან. ამავე დროს ჩვენთვის მიუღებელია /ყ/-ს ხშულობაც.

ქვემოთ ვიმსჯელებთ /ყ/-ს წარმოების ადგილზე და რაგვარობაზე უკანაენისმიერ სხვა ფონემებთან მიმართებით.

1. წარმოების ადგილი. გ. ახელედინი და ა. ჩარგეიშვილი [ყ]-ს მიიჩნევენ ფარინგალურ ბგერად: „ამგვარად, სავსებით დადასტურდა კ—ყ-ს საარტიკულაციო ადგილი იქ, სადაც

99 ჰ. ფოგტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

100 იქვე, გვ. 14.

101 ჰ. ფოგტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

ჩვენ მიერ იყო დადგენილი: ეს თანხმობები ფარინგალურებია და იწარმოება ენისძირით ფარინგსის უკანა კედლის მიმართ¹⁰² — წერს გ. ახვლედიანი, როდესაც ეხება ა. ჩარგეიშვილის ექსპერიმენტს /y/-ს წარმოების ადგილისა და რაგვარობის შესწავლასთან დაკავშირებით.

უფრო გვიან (1954) გამოითქვა ვარაუდი, რომ სპეციალური ექსპერიმენტით [y] აღმოჩნდა რბილსასისმიერი თანხმობანი და არახახისმიერი. [y]-ს ექსპერიმენტულ შესწავლას ამჟამად აწარმოებდნენ ლარინგოლოგი ს. ხეჩინაშვილი და ფონეტიკოსი გ. დოლიძე.

გ. დოლიძე წერს: „ენის ძირის ხახის კედელთან ხშვა, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურაშია (გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ა. ჩარგეიშვილი), ჩვენს რენტგენოგრაფიაზე არა ჩანს. ამის გამო საგანგებოდ მივმართეთ y თანხმობის წარმოების ფარინგოსკოპიულად შესწავლას. აღმოჩნდა, რომ ჩვენი წარმოთქმით y თანხმობანი იწარმოებოდა გაცილებით უფრო წინ, ვიდრე ეს ზემოდასახელებულ ავტორებთანაა დადასტურებული“¹⁰³.

მოგვაქვს ამ მხრივ საყურადღებო ამონაწერი y-ს შესწავლის ოქმიდან: „ამრიგად, ქართული y-ს წარმოთქმისას (ვგულისხმობთ გ. დოლიძის წარმოთქმას) ენა ხშვას აწარმოებს რბილი სასის თითქმის მთელ ზედაპირთან. ხშვის წინა საზღვარი აღწევს მაგარი სასის კიდეს. აღნიშნული გარემოება საშუალებას გვაძლევს დავსვათ კითხვა: ხომ არ არის მერყეობა საწარმოთქმო ადგილის მიხედვით ქართულში y ბგერის წარმოთქმისას...“¹⁰⁴

2. წარმოების რაგვარობა. ა. ჩარგეიშვილის ექსპერიმენტზე დამყარებით რიგმა ენათმეცნიერმა [y] ქართულ ენაში მიიჩნია სპირანტიოდად (გ. ახვლედიანი, ს. ქლენტი...).

გ. ახვლედიანის განსაზღვრით, სპირანტიოდში განხორციელებულია სპირანტისებური ჩქამი (შემართვაში) + ხშული¹⁰⁵. სპირანტისებური ჩქამი დაკავშირებულია იმ ნაპრალთან, რომელიც რჩება ხახის გვერდითი კედლების მიერ შექმნილი ღარის ფსკერზე.

¹⁰² გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 315; იხ. კიდევ ა. ჩარგეიშვილი, ქართული თანხმობების „ყ“ და „ქ“ ბიომექანიკის საკითხისათვის, სმამ. ტ. VII, № 8, 1946.

¹⁰³ გ. დოლიძე, ქართული ენის თანხმობები, 1954, გვ. 118 (დისერტაცია, ხელნაწერი).

¹⁰⁴ გ. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

¹⁰⁵ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 314.

ღარის ფსკერზე ფიქსირებული ნაპრალი, ა. ჩარგეიშვილის მტკიცე-
ბით, „განუთენილია ლორწოვანი სითხისათვის, რომლის დახმარე-
ბითაც ჰაერი აწარმოებს სკლომას“¹⁰⁶. /y/-ს წარმოთქმისას სქელი
ლორწოს ბაღე „აიწმინდება ზევიტკენ“, 2—3 სანტიმეტრის სიმაღლე-
ზე“¹⁰⁷. ა. ჩარგეიშვილი წერს: „ვეფიქრობთ, რომ სითხის არ-
სებობა აღნიშნულ ნაპრაღში ფრიაღ მნიშვნელოვანი მოვლენაა
„ყ“-ს წარმოთქმისათვის და, შესაძლებელია, აუცილებელიც“¹⁰⁸.

უნდა ვიფიქროთ, რომ გ. დოლიძეს /y/ ხშულ-მსკდომ
თანხმოვნად მიაჩნია, რამდენადაც მის საღისერტაციო ნაშრომში
ლაპარაკია ხშვაზე და არაფერია ნათქვამი ნაპრაღოვანი ელემენ-
ტის შესახებ.

მართალია, რ. ჰ. რობინსი და ნატალი ვატერსონი /y/-ს მიიჩ-
ნევენ ყელბშულ უკანაენისმიერ მსკდომად, მაგრამ ექსპერიმენტს
გამოუვლენია /y/-ს ნაპრაღოვანი ალოფონიც: „q (/y/ თ. უ.)—
ყელბშული, ჩვეულებრივ ყრუ, უკანაენისმიერი მსკდომი.
მსკდომები ისა და აფრიკატების წინ, აგრეთვე
ხმოვნებშუა პოზიციისში რეალიზდება რო-
გორც ყელბშული ნაპრაღოვანი X (ხ. ჩ.; თ. უ.)“¹⁰⁹.

ჩვენი ვარაუდით, [y] არის ყელბშული, უკანაენისმიერი ნაპ-
რაღოვანი, ყრუ ბგერა. უნდა ვიფიქროთ, რომ ერთიმეორესთან
ძიახლოებულ ხახის გვერდით კედლებს შორის მოქცეული ამო-
ბურცული ნაწილი ენის ძირისა სრულ ხშვას ვერ ახდენს ვერტიკა-
ლური ღარის როგორც ფსკერზე (ა. ჩარგეიშვილი), ისე ფსკერს
ზემოთაც. ამავე დროს ს. ხეჩინაშვილისა და გ. დოლიძის ექსპე-
რიმენტი გვაგარაუდებინებს, რომ /y/-ს საწარმოთქმო ადგილის მი-
ხედვით ქართულში არის მერყეობა — იგი შეიძლება უფრო ზემო-
თაც იწარმოებოდეს, რბილი სასის არეში, კერძოდ იქ, სადაც [კ
ქ კ] იწარმოება, ოღონდ ენის სრული ხშვის გარეშე.

რა გვაძლევს ასეთი ვარაუდის საფუძველს?

1) „ყ-ს მეტ-ნაკლებად გაგრძელებული წარმოთქმის შესაძ-
ლებლობა“, როგორც აღნიშნავს ა. ჩარგეიშვილი¹¹⁰; 2) თუ, რო-

106 ა. ჩარგეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 539.

107 იქვე.

108 იქვე.

109 რ. ჰ. რობინსი და ნატალი ვატერსონი, შენიშვნები ქარ-
თული სიტყვის ფონეტიკის შესახებ; „მიმოზნილველი“, № 4—5, გვ. 150.

110 ა. ჩარგეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 539.

ვოკალ ა. ჩარგეიშვილი წერს. ხახის ღარის ფსკერის ლორწო „აიწმინდება ზევიატენ“ 2—3 სანტიმეტრის სიმაღლეზე¹¹¹, უნდა ვივარაუდოთ. რომ აქ ადგილი არა აქვს სრულ ხშვას და 3) ოსცილოგრაფიული ანალ-ზით [ყ] უთუოდ ნაპრალოვანი ბგერაა. თუ შევადარებთ [ყ] ბგერის ოსცილოგრაფას. მაგალითად, მისივე რიგის ხშულთა [გ ქ ე]-ს ოსცილოგრაფებს, მათ შორის სხვაობა ხშულობა-ნაპრალოვნობის თვალსაზრისით ფაქტად თვალსაჩინოა. გამოიყოფა განსხვავების სამი მომენტი: ა) შემართვის მომენტში ხშულებთან აღინიშნება უბგერობა, [ყ]-ს შემართვა კი გამოხატულია ყრუ ნაპრალოვანთათვის დამახასიათებელი რხევებით, ბ) ყოველი ხშულას ოსცილოგრაფაში უბგერობას მოსდევს სკდომის მომენტისათვის დამახასიათებელი სურათი, [ყ]-ს ოსცილოგრაფაში კი ამ ადგილზე ნაპრალოვნობისთვის დამახასიათებელი რხევები გრძელდება; გ) ხშულთა ოსცილოგრაფებში სკდომის შემდეგ მოდის ფშვინვიერთა და ყელხშულთათვის დამახასიათებელი მცირე ამპლიტუდის აპერიოდული რხევები, /ყ/-ს კი ამ ადგილზე ახასიათებს უბგერობა.

ამ აღწერის მიხედვით თუ [ყ]-ს ოსცილოგრაფას შევადარებთ არაყელხშული, ფშვინვიერი ნაპრალოვნის, მაგალითად, [ხ]-ს, ოსცილოგრაფას, აჩნებითი სხვაობა გვექნება დამართვაში, კერძოდ, [ხ]-ს არ ექნება უბგერობის მომენტი. ეს გასაგებიც არის: [ყ] არის ყელხშული, უკანაენისმიერი ნაპრალოვანი — მისი ნაპრალოვნობა ხორციელდება მანამ, სანამ სახმო სიმები დაკეტილია, მაშასადამე, ოსცილოგრაფაზე უბგერობის მომენტი შეესაბამება არტიკულაციის იმ მომენტს, რომელიც მოქცეულია [ყ]-ს წარმოქმნის დასასრულსა და სახმო სიმების ხშვის მოშლას შორის. [ყ] ისმის როგორც უკანაენისმიერი ნაპრალოვანი, გაბგერება ზდება დაკეტილ სახმო სიმებს ზემოთ მოქცეული ჰაერით, რომლის გათავების (რაც [ყ]-ს გაბგერებას ხმარდება) შემდეგლა იხსნება სახმო სიმები. უბგერობა ოსცილოგრაფაზე სწორედ ამ გარდამავალ მომენტს შეესაბამება.

რაც შეეხება წარმოების ადგილის მიხედვით მერყეობას, იგი სრულიად დასაშვებია, რადგან /ყ/ ფონოლოგიურად ისეთი ნიშნებით ხასიათდება, რომ მას არ ელის უკანაენისმიერ სხვა ფონეტიკში აღრვეის საფრთხე (იხ. ქვემოთ).

განვიხილოთ /ყ/ ფონოლოგიური თვალსაზრისით.

111 ა. ჩარგეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 539.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში /ყ/ ფონოლოგიური თვალსაზრისით მიჩნეულია როგორც ნაპრალოვნად, ისე ზმულად. „...ჟ ფონეტიკურად აბრუპტივია, ხოლო ფონოლოგიურად ნაპრალოვანი“¹¹²; „...ვინაიდან ორ ფრიკატივს ღ—ხ-ს პრაქტიკულად იგივე ფუნქციები აქვს, რაც ზმულებს, ჩვენ შეგვიძლია ისინი განვიხილოთ, თითქოს ისინი იყვნენ ზმულები, რომლებიც ყ-სთან ერთად შეადგენენ სრულ ველარულ სერიას სამი წევრით და რომლებიც ფუნქციონალურად პოსტ-პალატალური სერიის თანაბარია“¹¹³.

წინა მკვლევართა თვალსაზრისები, როგორც ვხედავთ, ზოგად პუნქტში ერთია — /ყ/ უნდა განიხილებოდეს /ღ ხ/-ს ჯგუფში (resp. /გ ქ კ ლ ხ/-ს ჯგუფში). სხვაობა, მაშასადამე, დიფერენციალური ნიშნის მიხედვით კვალიფიკაციაშია: (1) ჰ. ფოგტი სამივეს ფუნქციით აქცევს ზ მ უ ლ თ ა ჯ გ უ ფ შ ი, (2) გ. ახვლედიანი სამივეს, აგრეთვე ფუნქციის მიხედვით, აქცევს ნ ა პ რ ა ლ ო ვ ნ ა დ თ ა ჯ გ უ ფ შ ი.

ორივე ვარაუდს ახლავს უხერხულობანი: ჰ. ფოგტის ვარაუდს, ჩვენი აზრით, ორი უხერხულობა აქვს. პირველი ის, რომ /ღ ხ/ ზმულებად მიიჩნია მაშინ, როდესაც ისინი სწორედ თავისი ფუნქციით ტიპური ნაპრალოვნებია. ფონეტიკური თვალსაზრისით ამას ჰ. ფოგტი არც უარყოფს (იხ. მისი ცხრილი). მეორე ის, რომ, მისი აზრით, /ყ/-ც ზმულია თავისი ფუნქციით.

გ. ახვლედიანის ვარაუდში უხერხულობა მინიმუმამდეა დაყვანილი, კერძოდ, როგორც ზემოთ ვნახეთ, არ არის სწორი, რომ /ყ/ ზმულია ფონეტიკურად. ფონოლოგიური კვალიფიკაციის მიხედვით უთუოდ სწორია: /ყ/ ნაპრალოვანია /ღ ხ/-სთან ერთად, მაშასადამე, უხერხულობა იქმნება იმ მხრივ, რომ ბგერათა ფიზიოლოგიურ სპეციფიკაზე დამყარებულ ფონოლოგიურ სისტემაში შესაბამისობაა — ზ მ უ ლ ი გამოდის არა ზ მ უ ლ ი.

/გ ქ კ ლ ხ/-ს ჯგუფში /ყ/-ს გაერთიანება იძლევა ფონოლოგიურ საფუძველს /ყ/ ჩავთვალოთ ყ ე ლ ზ მ უ ლ, უ კ ა ნ ა ე ნ ი ს მ ი ე რ ნ ა პ რ ა ლ ო ვ ნ ა დ. ა) „არაზმული“ /ყ/ დაუპირისპირდება „არაზმულ“ /ღ ხ/-ს „ყელსზმულობით“; შდრ.: მაგალითად, შეპირისპირება /ლ/:ზ/ — თუმცა ორივე „არაზმულია“, მაგრამ /ლ/-ს აქვს ენისმიერი ხშვა, რომელიც განაპირობებს მის „გვერდითობას“,

112 გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 291.

113 ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონეტიკური სტრუქტურა, 1949, გვ. 14.

ე. ი. ქმნის სპეციფიკურ არახშულობას. ასევე ყელსშულობა /ყ/-ს უქმნის სპეციფიკურ არახშულობას, რაც არა აქვს /ღ ხ/ ფონემებს.

ბ) /ყ/ დაუპირისპირდება /კ/-ს. როგორც — „უკანაენისმიერი“ „ყელსშული“. „არახშული“ (= უკანაენისმიერი ნაპრალოვანი) ფონემა „უკანაენისმიერს“, „ყელსშულსა“ და „ხშულს“.

ვ) /ვ ქ/-სთან /ყ/-ს საერთო ექნება მხოლოდ „უკანაენისმიერობა“. მათ დაუპირისპირდება „ყელსშულობითა“ და „არახშულობით“.

აფრიკატი. ბოლოს განვიხილოთ აფრიკატები და მათი ადგილი თანხმოვანთა პარადიგმატულ ცხრილში რავგარობის თვალსაზრისით.

ქართული ენის მკვლევარი აფრიკატებს ერთხმად აქცევენ ხშულთა რივში (გ. ახვლედიანი, პ. ფოგტი, შ. გაფრინდაშვილი და სხვ.). წინასწარ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი განაწილებითაც აფრიკატები ხშულთა სერიაში ხვდება. ქვემოთ განვიხილავთ იმ პრინციპს, რომელთა მიხედვითაც ხდება ამ ფონემათა კლასიფიკაცია თანხმოვანთა ცხრილში.

თანხმოვანთა ცხრილების განხილვისას ვნახეთ, რომ აფრიკატებს უწოდებენ რთულ ბგერებსაც (გ. ახვლედიანი) და ნახევრად ხშულებსაც (პ. ფოგტი). „რთული“ და „ნახევრადხშული“ უკვე გამოირიყვას მათ „მარტივობას“. განსხვავებით სხვა მკვლევრებისაგან, შ. გაფრინდაშვილს აფრიკატეში მიაჩნია მარტივ ხშულებად, რომლებიც სხვა მარტივ ხშულთაგან განსხვავდებიან „ხშულობის გადაღახვის თავისებურებით“¹¹⁴, კერძოდ: „აფრიკატებს, როგორც წესი, სკდომის მონენტო 1,5—2-ჯერ უფრო ხანგრძლივი აქვთ, ვინემ მარტივ ხშულმსკდომებს“¹¹⁵.

პ. ფოგტი, მართალია, აფრიკატებს უწოდებს „ნახევრადხშულებს“. მაგრამ აღნიშნავს, რომ ფუნქციონალურად ისინი უტოლდებიან „ხშულებს“. „დენტალურ ხშულებში ჩვენ ვგულისხმობთ არა მხოლოდ საკუთრივ ხშულებს, არამედ სისინა და შიშინა ნახევრადხშულებსაც (აფრიკატებს)“¹¹⁶.

„ნახევრადხშულის“ გამოყოფას „ხშულისგან“ ცალკე ჭკუფად

114 შ. გაფრინდაშვილი. საწარმოთქმო დაბრკოლებათა რავგარობის საკითხი ქართულში. იყე. X11, 1961, გვ. 171.

115 იქვე. გვ. 178.

116 პ. ფოგტი. ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1961, გვ. 14.

პარადიგმატულ ანალიზში არა აქვს გამართლება, რადგანაც „ხშული“: „არახშული“ დაპირისპირება იდენტურია „ნახევრადხშული“: „არახშული“ დაპირისპირებისა, ამ ორ წყვილში „ხშული“ და „ნახევრადხშული“ ერთნაირ მიმართებას იჩენენ „არახშულისადმი“. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ფუნქციონალური თვალსაზრისით „ნახევრადხშული“ (აფრიკატი) „ხშულს“ უერთდება. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ჰ. ფოგტის შემდეგი დებულება: „...ფუნქციონალური თვალსაზრისით ყველა ფონემატიკურ განსხვავებას არა აქვს ერთი და იგივე მნიშვნელობა. მნიშვნელოვანი ფონემატიკური განსხვავებანი, როგორც, ჩვენი აზრით, ჩვენმა გამოკვლევამ გვიჩვენა, შემდეგია: განსხვავება ხშულებსა (ნახევრადხშულების ჩათვლით), სიბილანტებსა და სონანტებს შორის (ხ. ჩ., თ. უ.)“¹¹⁷

ჰ. ფოგტი იქვე წერს „ფუნქციონალური განსხვავება დენტალური ხშულების კლასში წმინდა ხშულებსა და ნახევრადხშულებს შორის ნაკლებად მკაფიოა“...¹¹⁸

გამოდის, აფრიკატთა სპირანტული ელემენტი მხედველობაში არ არის მიღებული, რადგან იგი აფრიკატთა ფუნქციაზე გავლენას ვერ ახდენს. ნახევრადხშულების (აფრიკატების) დენტალურ ხშულებთან გაერთიანება, როგორც ვხედავთ, ემყარება მათ ფუნქციურ იდენტობას სინტაგმატურ პლანში.

მაგრამ ჰ. ფოგტი „ქართული ენის ფონემატურ სტრუქტურაში“ სხვა ადგილას მიუთითებს ფუნქციურ სხვაობაზე „ხშულთა“ და „ნახევრადხშულთა“ შორის: იგი წერს: ტერმინოლოგია „ხშული“ და „ნახევრადხშული“ გამართლებულია ფუნქციების შესწავლით.¹¹⁹

ოთხწევრა კომპლექსებში, როგორცაა ჯ ღ რ დ-, წ ყ ლ ტ-, წ ყ რ თ- „თავიიდურად ყოველთვის ნახევრადხშულია, ხოლო ბოლოკიდურად — წმინდა დენტალური“¹²⁰.

ჩვენი აზრით, ფონემათა ცალკეული კლასების წევრთა შიდა მიმართება მხედველობაში ვერ მიიღება იმ სინტაგმატური ფუნქციების დაღგენისას, რომლებიც პარადიგმატული ანალიზის შესამოწმებლად გამოიყენება. ან კერძო შემთხვევაში ჩვენ ვაღგენთ „ხშულისა და „არახშულის“ პარადიგმატულ მიმართებას და

117 ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1961, გვ. 83.

118 იქვე.

119 იქვე, გვ. 14.

120 იქვე, გვ. 55.

ცალკეული კლასის წევრთა შიდა მიმართება ვერ გამოგვადგება ამისთვის, რადგან კლასის „ხშული“ და „არახშული“ წევრები ურთიერთმიმართებაში იღვნიტურია. ეს კარგად ჩანს თუნდაც იმ ფორმათა მიხედვით, რომლებიც ჰ. ფოგტის მაგალითებში ურეგია ტკრციალი, ტკრცოლა. აქ შებრუნებული რიგი გვაქვს იმისა, რასაც ჰ. ფოგტი ქცევის ნორმად დებს „ხშულთა“ და „ნახევრადხშულთათვის“—თავიიდურად „წმინდა დენტალური ხშულია“, ხოლო ბოლოვიდურად — „ნახევრადხშული“, ამავე დროს ენაში არის სხვა ვარაიანტებიც (1) თრთოლა (ორივე „წმინდა დენტალური ხშულია“). (2) ძრწოლა (ორივე „ნახევრადხშულია“). როგორც ვხედავთ, ფუნქციური სხვაობა გაქრა. ეს ასეც იყო მოსალოდნელი.

აღა განვიხილოთ აფრიკატები გ. ახვლედიანის პარადიგმატულ კრილიში. აფრიკატებს გ. ახვლედიანი რთულ ბგერებად მიიჩნევს და ახასიათებს შემდეგნაირად: აფრიკატის შემადგენელი თანხმოვნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა წარმოების ადგილით, არამედ რაგვარობით...¹²¹ აფრიკატის კომპონენტთა „განუყოფელი შერწყმულობა კი შესაძლებელია იმიტომ, რომ ხშული და მასთან შერწყმული ნაპრალოვანი (ანუ სპირანტი) უეჭველად ჰომორგანული (ერთსა და იმავე ადგილას ნაწარმოები) თანხმოვნებია, მ.გ., დ წინაენის ხშულია, ჯ წინაენისავე ნაპრალოვანი (შერწყმულად ჰქმნიან ძ-ს)...¹²²

თუ ამ დებულებას მივიღებთ, გ. ახვლედიანისავე ცხრილის მიხედვით აუხსნელი დაგვრჩება /ჯ ჩ ქ/-ს აფრიკატობა, რადგან მათ კომპონენტებად მიჩნეული ხშული და ნაპრალოვანი ელემენტები ჰომორგანული არ არის, კერძოდ: /დ თ ტ/ კბილისმიერებია, ხოლო /ყ შ/ სპირანტები — ნუნისმიერები¹²³.

თუ /ჯ ჩ ქ/-ში ვერ გავაერთიანებთ ჰომორგანულ ხშულებსა და სპირანტებს, ამის საფუძველზე აუცილებელი არ არის /ძ ც წ/-შიც ვივარაუდოთ ჰომორგანულ სპირანტთა და ხშულთა შერწყმის აუცილებლობა.

121 გ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

122 იქვე.

123 იქვე, გვ. 85.

ოსცილოგრაფიული მონაცემები აფრიკატებში ადასტურებს როგორც განხშვას, ისე სპირანტულ ელემენტს, მაშასადამე, ამ ბგერათა წარმოთქმაში ხორციელდება ხშვაცა და ნაპრალიც — ჯერ არის ხშვა, შემდეგ — ნაპრალი. აფრიკატთა პარადიგმატულ კვალიფიკაციაში უნდა მივმართოთ იმავე კრიტერიუმს, რომელიც ზემოთ გამოვიყენეთ /ნ მ ლ/ ფონემებთან, კერძოდ, აფრიკატთა სინტაგმატურ ქცევას. ამ მხრივ კი ისინი, როგორც ზემოთ ვნახეთ, უთუოდ ხშულთა თვისებას იჩენენ. მაშასადამე, აფრიკატები პარადიგმატულ ცხრილში ექცევიან ხშულთა სერიისში. ქართული ენის აფრიკატები, რამდენადაც ისინი არ წარმოადგენენ ნაპრალოვანთა არც კომბინატორულ და არც თავისუფალ ვარიანტებს, ფონოლოგიურად მხოლოდ ხშულებად ჩაითვლებიან¹²⁴.

აფრიკატთა ნაპრალოვანი ელემენტი მისი ირელევანტურობის გამო შეიძლება დაიკარგოს კიდევ¹²⁵.

ნიშნები „რთული“ და „ნახევრადხშული“ პარადიგმატული ცხრილისთვის ზედმეტია, რადგანაც აფრიკატები ლოკალური რიგით განსხვავდებიან როგორც ერთიმეორისგან, ისე სხვა ხშულთაგან და ამავე დროს არ წარმოადგენენ ჰომორგანულ ბგერათა შერწყმის შედეგს (იხ. ქვემოთ).

ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობაში ჩვენ შევეცადეთ, გვეჩვენებინა ქართული ენის თანხმოვანთა პარადიგმატულ მიმართებათა რგლევანტური ლოკალური და ლიაობის ნიშნები. ასეთი ნიშანი თორმეტია. აქედან შვიდი არის ლოკალური (ბაგისმიერი, კბილისმიერი, წინანუნისმიერი, შუაენისმიერი, უკანანისმიერი, რბილსასისმიერი, სახმოსამებისმიერი), ხოლო ხუთი — ლიაობისა (ფშეინვიერი, ყელხშული, ხშული, ცხვირისმიერი და გვერდითი).

ჩვენი აზრით, ეს ნიშნები საკმარისია და აუცილებელი ქართული ენის თანხმოვანთა პარადიგმატული აღწერისათვის.

ქვემოთ წარმოდგენილია მატრიცა, სადაც ქართული სალიტერატურო ენის თანხმოვნები დახასიათებულია სისტემაში მოქმედი დისტინქციური ნიშნების მიხედვით.

¹²⁴ აფრიკატთა ხშულად/ნაპრალოვნად კვალიფიკაციისათვის იხ. Кузнецов Ю. К.. Определение различительного признака аффрикат; კრებულში: Лингвистические исследования, Ленинград, 1970.

¹²⁵ Charles F. Hockett, A manual of phonology. 1955. გვ. 109.

ქართული ენის თანხმოვანთა დიფერენციალური ნიშნები

		ლოკალური ნიშნები						
		1	2	3	4	5	6	7
		ბაკისძეო	ქბოლისძეო	წისახუცისძეო	შუანუნისძეო	ჟუანანუნისძეო	რბისძეო	სახ.ოპიზებისძეო
	+	-	-	-	-	-	-	-
	-	+	-	-	-	-	-	-
	-	-	+	-	-	-	-	-
	-	-	-	-	-	-	-	-
	-	-	-	-	+	-	-	-
	-	-	-	-	-	+	-	-
	-	-	-	-	-	-	+	-
	+	+	+	-	-	-	-	+

		I		II			
		ბ	გ	მ	ნ	ს	ც
	ბ	ბ	გ	მ	ნ	ს	ც
	გ	ბ	გ				
	მ	ბ	გ				
	მ	ბ	გ	მ	ნ	ს	ც
	ნ	ბ	გ				
	ს	ბ	გ	მ	ნ	ს	ც
	ც	ბ	გ	მ	ნ	ს	ც

ლოკალური ნიშნები	1	ყელხშილი
	2	ფშენიძეო
	3	ჯგუდო
	4	ცხვირისძეო
	5	ბზელი

განმარტება მატრიცისთვის: 1) ყელხშილი ბგერა სახმო ნიშნების მდგომარეობით უპირისპირდება ფშენიძეოსა და მქლეჩს. მატრიცისათვის საკმარისია ნიშნები „ყელხშილი“ და „ფშენიძეო“. მედერი გამოიხატება როგორც „არაფშენიძეო“, „არაყელხშილი“. მედერობა, როგორც ვიცით, ფონოლოგიურად რელევანტური არ არის იმ ფონემებისათვის. რომლებიც რეალიზდება მედერი ალოფონებით, „ცხვირისძეობა“ და „გვერდითობა“, მაგალითად, /მ ნ/-სა და /ლ/-ს განასხვავებს ნებისმიერი სხვა ფონემისგან — გინდ მედერი იყოს და გინდ ყრუ: ასევე /ვ/ თავის რიგში /პ ბ ფ/-ს უპირისპირდება „არახშულობით“, ხოლო /მ/-ს — „არაცხვირისძეობით“. ამდენად დამატებით აღარ საჭიროებს სხვა ნიშანს, /რ/ თავის რიგში ცალკე დგას, ამდენად მას სხვა მედერებთან თუ ყრუებთან აღრევას საშიშროება არა აქვს: შდრ. /პ/, რომელიც თავის რიგში ცალკეა და არ ირევა სხვა „ფშენიძეო“, „არახშილი“ ფონემებ-

ში, მაშასადამე, /რ/ და /ჰ/ ფონემებისთვის არსებითია ლოკალური რიგი, მეორეც, „მეღერი“ ქართულში შეიძლება რეალიზდებოდეს როგორც ყრუ¹²⁶, რის საფუძველზეც მეღერობა არ წარმოადგენს რელევანტურ ნიშანს¹²⁷. ის ფაქტი, რომ დაყრუებისას მეღერი ზოგჯერ არ იძენს ფშვინვას (ალარც მეღერია), ადასტურებს სწორედ იმას, რომ ამ რიგის ფონემები უნდა დახასიათდეს როგორც „არაფშვინვიერი“ (და „არამკვეთრი“). მაშასადამე, არსებითია ის, რომ დაპირისპირებაში მეღერი — ფშვინვიერი ფშვინვა არის მუდმივი ნიშანი ფშვინვიერი წვერისთვის, მეღერობა კი არ არის მუდმივი მეღერი წვერისთვის და მეღერის დაყრუების შემთხვევაში რჩება დაპირისპირება „არაფშვინვიერი“: „ფშვინვიერი“.

2) მატრიცში /ნ/-ს ხაზები გახსნილი აქვს მე-3, მე-4 და მე-5 რიგებშიც, ე. ი. /ნ/ შეიძლება იწარმოებოდეს, გარდა მე-2 რიგისა, ამ რიგებშიც, მაშასადამე, /ნ/-სთვის ამ რიგების შიგნით არსებითია „ცხვირისმიერობა“, ლოკალური რიგი რელევანტური ხდება /ჰ/-სთან მიმართებაში...

3) უკანაენისმიერებაში /ყ/-სთვის ლოკალური რიგი რელევანტური არ არის, მისი რეალიზაცია ხდება რბილსასისმიერთა რიგშიც.

4) ლიაობის მე-5 ნიშანი — „ხშული“ ამავე დროს არის სერიის ნიშანიც. ამ ნიშნის მიხედვით თანხმოვნები როგორც ცალკეულ რიგებში, ისე მთელ სისტემაში ნაწილდება ხშულთა (I) და არახშულთა (II) სერიებში.

რაც შეეხება /ვ/ და /ვ/ ფონემებს, მათ ვხვდებით მხოლოდ დიალექტებში. /ვ/ დამახასიათებელია მთის კილოებისთვის უკლებლევ, ბარის კილოთაგან კი აქა-იქ გვხვდება რამდენიმე თქმაში, მაგ. ქიზაყურში (კახური) და ალგეთის ხეობის ქართულურში. ახასიათებს ფერეიდნულ დიალექტს¹²⁸.

126 Т. Г. Абзанидзе, Степень звонкости звонких смычных согласных в грузинском языке; Фонетический сборник, I, 1959, гл. 116.

127 Л. К. Гамсахурдия, Шумные смычные фонемы грузинского языка; Фонетический сборник, I, 1959; Roman Jakobson, Ejectives, implosives, clicks; თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახელდიანს, 1969.

128 გ. ახელდიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 89; ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, § 4; კრებულში: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957, გვ. 12; ე. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, III, „საქართველოს არქივი“, წიგნი

/ჟ/ ფონემა მხოლოდ თემურ დიალექტს ახასიათებს. იგი შედგება ამ დიალექტის ნახურ ენებთან შერევისა¹²⁹.

ამ ფონემებს აქ სპეციალურად აღარ ვიხილავთ, ოღონდ ფონემათა კონსონანტურ კლასებში და კლასთა კომბინაციებში მათ უკველავის ვითავალისწინებთ.

11. ქართული ენის თანხმოვანთა სინტაგმატური ანალიზი

ენის ფონემათა სინტაგმატურ სტრუქტურაში გასარკვევად უფროდ საჭიროა გამოიყოს ფონემათა კლასები. კლასი აერთიანებს ფონემებს, რომლებიც ფუნქციით ერთიმეორეს ჰგავს სისტემაში. კვლევის შემდგომ საფეხურზე განიხილება ფონემურ კლასთა სინტაგმატური მიმართებები და ამის საფუძველზე გამოიყოფა თანხმოვან ფონემათა სხვადასხვა სიგრძის კომპლექსები, რომლებზე დაყარებოდაც ხდება ენის კონსონანტური სისტემის სინტაგმატური კანონზომიერების დადგენა.

რადგანაც ფონემურ კლასთა მიმართებანი განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ მორფემათა ზღვარზე და მორფემის ფარგლებში¹³⁰, ჩვენ მათ განვიხილავთ ცალ-ცალკე, რაც საშუალებას იძლევა შევადაროთ ამ ორი რიგის კომპლექსები და დავადგინოთ ფონეტიკურ ცვლილებათა მიზეზები. ამ თვალსაზრისით უფროდ საყურადღებოა ნახესხებ ფორმებში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებებიც, როგორც შედეგი ენის ფონემატური სტრუქტურის ვაკუენისა უცხო ენობრივ სტრუქტურაზე.

პირველ რიგში განვიხილოთ სიტყვის თავკიდურა კომპლექსები მორფემების ფარგლებში.

ქართულ ენას ერთი მორფემის ფარგლებში არ ახასიათებს იდენტურ თანხმოვანთა კომპლექსი. ეს ვითარება შეიძლება გა-

11. 1927; არნ. ჩიქობავა. მთიულურის თავისებურებანი, ენიშკის მოამბე, II, 137, არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებები; ტუმ, VIII, 1927; O. Kažaja, Мохевский диалект (Автореферат...), 1954, გვ. 4; ალ. კინკარაული. ხესურულის თავისებურებანი, 1960, გვ. 1 და სხვ.
129 თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგიერთი თავისებურება, 1966, გვ. 20 და შემდეგ.

130 H. Vogt, Phoneme classes and phoneme classification, „Word“, april, 1954, v. 10, N 1; ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1961, გვ. 15; Bengt Sigurd, Phonotactic structures in Swedish, 1965, II, 3,9 და სხვ.

შოვიყენოთ ამოსავლად თანხმობანთა კლასების ჩამოყალიბებისას, ე. ი. აკრძალული კომპლექსების მიხედვით შექმნათ მსგავსი ფუნქციის მქონე ფონემების კლასი. კლასიფიკაცია, მაშასადამე, იწყება მარტივად: ერთი მორფემის ფარგლებში თავიიდურად არ შეიძლება, ვთქვათ, მმ-, ბბ-, პპ- და სხვ. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ერთი მორფემის ფარგლებში აკრძალულია ჰომორგანული თანხმობებიც?

მათლაც, ბაგისმიერთა ლოკალური რიგის შიგნით ფონემები ერთიმეორის მომდევნოდ არ გვხვდება ერთი მორფემის ფარგლებში სიტყვის თავიიდურად, ე. ი. ქართულში არა გვაქვს მმ-, მპ-, მფ-, მვ-; ბმ-, ბპ-, ბფ-, ბვ-; ფმ-, ფპ-, ფბ-, ფვ- კომპლექსები. გამონაკლისს ქმნის მ ბ ო ბ ა, რომელიც ნაწარმოებია ნასესხები ამბავ (<ჰამბავ) სიტყვიდან (იხ. ქვემოთ).

ბაგისმიერი თანხმობები გამოვყოთ ცალკე კლასად, ვუწოდოთ C_1 კლასი, მაშასადამე, C_1 კლასი აერთიანებს შემდეგ ფონემებს: /ბ ფ პ მ ვ/.

ზ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე მ წინაენისმიერებისთვის — /ღ თ ტ ძ ც წ ზ ს ჯ ჩ ქ ე შ/ გამოიყვანა საყურადღებო წესი: აღნიშნული თანხმობები ვერ ქმნიან კომპლექსებს დეცესიური თანმიმდევრობით. მანვე გააკეთა საგულისხმო შენიშვნა: აკრძალულ კომპლექსებში შემავალი ბგერები იწარმოება ერთი აქტიური ორგანოთი. მაშასადამე, აქ აკრძალვისთვის არსებითია ორი ნიშანი: „საზიარო აქტიური ორგანო ბგერის წარმოებისას და დეცესიური რიგი“¹³¹. წინაენისმიერთა კლასს ვუწოდოთ C_2 კლასი. C_2 კლასის ჩამოყალიბებისას ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ წარმოების რიგს და, მაშასადამე, წესის დარღვევა, როგორც C_1 კლასში, გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ. C_3 კლასში ერთიანდება /რ ლ ნ/ ფონემები. ეს კლასი გამოყოფილია მხოლოდ ფონემატურ საფუძველზე; კლასის წევრები სიტყვის თავიიდურად ერთი მორფემის ფარგლებში ერთიმეორეს არ მოსდევენ.

C_4 კლასი აერთიანებს უკანაენისმიერებს ფარინგალებსა და ლარინგალებს — /გ ქ კ ლ ხ ყ ვ ჰ ჯ/ . მართალია /ჰ/ და /ჯ/ მხოლოდ მორფემათა შესაყარზე შედიან სხვა მორფემებთან კომბინაციაში, მაგრამ ისინი შეიძლება გავაერთიანოთ C_4 კლასში. რად-

¹³¹ ზ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე მ, თანხმობანთა განაწილების ერთი წესი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში; კრებულში: მეტყველების ინალიზის, სინთეზისა და სტატისტიკის საკითხები, თბილისი, 1967.

ვან კერ არღვევენ აკრძალვის ძირითად ფონემატურ წესს მორფემის ფარგლებში.

საბოლოოდ, ოთხივე კლასისათვის ძირითადი ფონემატური წესი ყალიბდება შემდეგნაირად: ერთი და იმავე კლასის წევრები ერთი მორფემის. შიგნით კომპონენტიაში არ შედის ერთიმეორესთან სისტემის თავკიდურა პოზიციაში.

ზოგადი თვალსაზრისით საყურადღებოა იდენტურ თანხმოვანთა კომპლექსის არარსებობის კავშირი კლასის ფარგლებში პონორვანულ ფონემათა კომპლექსის აკრძალვასთან. ინდო-ევროპულ ენებს ახასიათებს იდენტურ თანხმოვანთა კომპლექსები, როგორცაა: ss, kk, mm, tt, pp და სხვ. ეს ენები ამავე დროს არ ერიდებიან პონორვანულ თანხმოვანთა კომპლექსებსაც და ზოგმა ქართულ ენაშიც შენაღწია სხვადასხვა გზით¹⁸².

ჩვენ მიერ ზემოთ მიღებული აკრძალვის წესისთვის გამოწინააღმდეგები, როდენ მცირეც არ უნდა იყოს მათი რიცხვი, რა თქმა უნდა, უხერხულობას ქმნიან. სასურველია მიეთითოს ამ ფორმათა ნასესხობაზე ანდა მორფოლოგიურ საზღვარზე კომპლექსის კომპონენტებს შორის. რაც უფრო სრულად იქნება წარმოდგენილი ამ რიგის ანალიზი, მით უფრო სარწმუნო გახდება აკრძალვის წესი.

აქვე უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, რომ „გამონაკლისი“ არ ნიშნავს, თითქოს საქმე გვექონდეს ენის არასტრუქტურულ ფაქტთან. არა, ისინი წარმოდგენენ ენის ფაქტს და ზოგჯერ გავრცელებული არიან არა მხოლოდ რომელსავე ქვესისტემაში, არამედ მთელს ენაში. ეს კომპლექსები ქმნიან მცირე სისტემებს და წარმოდგენენ ალტერნაციას ძირითადი სისტემის მიმართ.

ენაში ალტერნაციული მოდელები მათავიდანვე არ მოდის. ბუნებრივია, დაისვას საკითხი ამ მოდელების პირველადობა-მეორადობისა და ენაში მათი გაჩენის შესახებ, რის გარკვევაც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ენის ფონემატური სტრუქტურის ცვლილება დიაქრონიულ პლანში. სინქრონიულ დონეზე კი მათ „გამონაკლისებს“ ვუწოდებთ, რამდენადაც ძირითადი წესის გამორიცხვა ხდება ფრიად მცირე რაოდენობის შემთხვევებით.

¹⁸² იხ., მაგალითად, ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1961 (გვ. 19, 24).

C₁: ვიდრე კლასთა მიმართებაზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ აღნიშნული გამონაკლისები. გამონაკლისები გვაქვს მხოლოდ C₁ და C₂ კლასში.

მბობა, მბილო (ზ. იმერ.) „რბილი“, მბილაჟი (თუშ.) „რბილი“; მფონე (მოხ.) „მოშვებული“, „ფართო“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მ ბ ბ ა მიღებულია, ნასახელარი ამ ბ ბ ს ზმნისგან. ამბობს <აამბობს>; შდრ. უამბობს, იამბობს [ამოსავალია ამბავ <ჰამბავ (სპარს.)]. მ ბ ბ ა შ ი თავკიდურად მბ-კომპლექსის მიღებას, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო ამ ბ ბ ს ფორმაში ძირეული ა-ს საარვისო ქცევის ნიშნად გადაზრებამ, რის გამოც საწყისში ძირეული ა აღარ გამოჩნდა¹³³. საარვისო ქცევით აქ ორი ა უნდა მიგვედო, მართლაც, თუშურში გვაქვს ვ ა ა მ ბ ბ ბ, ა ა მ ბ ბ ბ „ვეპორავ“, „სკორავ“; გაგა ა მ ბ ბ ბ ს „გაგალაპარაკებს“ ფორმები, რომლებშიც ძირეული ა-ს წინ ქცევის ა ზის.

მ ბ ი ლ ო, მ ბ ი ლ ა ჟ ი, ჩ ა მ ბ ა ლ ი მიმღობის ფორმაა (ჩა-მ-ლბ-ალ, შდრ. ა-ლბ-ობ-ს), მ ბ ი ლ ო, მ ბ ი ლ ა ჟ -ში კი ერთი შეხედვით ადგილი აქვს რ/შ მონაცვლეობას. თავკიდურა რბ-ძირითადი სისტემის კომპლექსად ვერ ჩაითვლება, რადგან, ჭერ ერთი, მის გვერდით ენაში არ არის რეალიზებული რფ-, რპ-კომპლექსები და, შეიძლება ითქვას, არ არის რვ-ც, რადგან რ ვ ა ლ ი ნასესხებია სპარსულიდან¹³⁴, ხოლო რ ვ ა სემიტური წარმომავლობის ჩანს¹³⁵; მეორე, რ-თანხმოვანთა წინ სიტყვის თავში იშვიათია. რაც არის, არსებითად ჩვენს თვალწინაა გაჩენილი ს/რ სუბსტიტუციით; მესამე, ამ პოზიციაში იშვიათია სხვა სონორებიც (დაწვრილებით იხ. ქვემოთ სხვადასხვა კლასის თანხმოვნების კომპლექსთა რეალიზაციის შესაბამის ცხრილებში); მეოთხე, ამ თვალსაზრისით სიმპტომატურია თვით ის ფაქტიც, რომ ამ პოზიციაში რ-მყარად ვერ დგას: გარდა მ-სთან სუბსტიტუციისა, იგი ენის ზოგ ქვესისტემაში იყარგება კიდევ, მაგალითად, რაჭულში (ბ ი ლ ი <რბილი, ქდ, I, გვ. 681). მაგრამ ჩვენ უნდა ავხსნათ მბ-ს გა-

¹³³ შხ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1966, გვ. 268; ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 531.

¹³⁴ იქვე, გვ. 365.

¹³⁵ Г. А. Климов, Заимствованные числительные в общекартвельском. კრებულში: Этимология, 1965, გვ. 308—9; მისივე: Вопросы методик сравнительно-генетических исследований, 1971, გვ. 52.

ჩენის მიხეზი სიტყვის თავიიდურად ამ პოზიციადი ბაგისმიერ ფონემათა კომპლექსის აკრძალვის პირობებში. სავარაუდებელია შემდეგი პრაციკა: <ბილი>ბილი>მბილი (და არა სუბსტიტუცია ბ/მ) მ- მასახლებელი (სახელად მომქევეი, სახელის მაწარმოებელი). ანუ ნომენაციის ელემენტია და არ ემორჩილება ფონემატურ კანონზომიერებას (მდრ. კაცრ/მკაცრ, არდარ/მართალ, რვეალ/მრვეალ, ჰველი/მჰველი, დირე/მდირე, ცა/მცა და სხვ.).

რაც შეეხება მოხეურ მფონე-ს. იგი მიღებულია ფონე (მდრ. თუმ. ფონაჟ) ფორმაზე ნომენაციის იმავე მ-ს დართვით, რომელიც მბილო-ში გვაქვს.

კანონაკლებები ც₂ კლასიდან: თეორიულად შესაძლო 139 წყვილიდან ქართული ენის სხვადასხვა ქვესისტემაში სიტყვის თავიიდურად ც₂ კლასის ფარგლებში (ე. ი. ც₂ც₂-) დასტურდება 10 კომპლექსი, კერძოდ:

ზდ: თუმ. ზდელი „შემოდგომა“, ზდვაჟ „რთვა“; იმერ. ზდურთვა „გაქცევა“

სთ: მოხ. სთჟელი, სთვა; ლეჩხ. სთურე/სტურე „თურნე“

სტ: სტაფილო, სტუდენტი... სტვენა/შტვენა, სტვირი/შტვირი, სტუმარი

სწ: სწავლა, სწორი, სწრაფი (გურ. სტავლა, სტო-რი, სტრაფი...)

სჯ; სჯა/შჯა

შთ: შთება, შთა- (ზმნისწინი)

შტ: შტო, შტოფი, შტერი...

ჩდ: ჩდილი (ქართ., კახ...) /ჩთილი/შთილი (ლეჩხ.), ჩნდება/ჩთება „ჩნდება“

ცდ: ცდება/ცთება, ცდა

ქდ: ქდობა, ქდე

ჭდ: ჭდობა/ჭდება (გურ.) /ქილარიენ (გურ.) „სხედან“ შააქედუმლეს (აქარ.), „შესევს“.

ც₂ც₂-სიტყვის თავიიდურად ძირითადად გვხვდება ნასესებ სიტყვებში და ისეთ ფორმებში, სადაც მომხდარა მორფემათა შეხორცება ანდა საქმე გვაქვს ექსპრესიული წარმომავლობის ფორმებთან¹³⁶.

¹³⁶ თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა კონსონანტიზმი სალიტერატურო ქართულთან მიმართებით, კრებულში: მეტყველების ანალიზის საკითხები, 1969, გვ. 134—140.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სქ-, ჯდ-, ცდ-, ჰდ- მხოლოდ ზმნათა ფორმებში დასტურდება და მოდის განმოვანებული ძირიდან (cvc->cc-). ამ რიგის კომპლექსები შექმნილი არის მორფოლოგიური მოდელის დაწოლით ფონემატური სტრუქტურისაგან დამოუკიდებლად; ოღონდ შემდგომი ცვლილება (მაგალითად: ჯდილარიენ>ქდილარიენ>ქილარიენ) უკვე ფონემატური მოდელის მორფოლოგიურ მოდელზე დაწოლის შედეგია (დაწვრილებით ამ რიგის ცვლილებებზე ქვემოთ).

ამჟამად ჩვენს კლასიფიკაციას შევუდარებთ სხვა კლასიფიკაციებს, რათა ვაჩვენოთ თანხმობანთა 4 კლასად დაყოფის სიმარჯვე და მოხერხებულობა ქართული ენის თანხმობანთა სინტაგმატური ანალიზის დროს.

ავიღოთ 3. ფოგტის კლასიფიკაცია. აქ თანხმობენები სამ კლასად ჯგუფდება: „ყველა ჯგუფის მთლიანობაში განხილვა ჩვენ გვაპირისპირებინებს ხშულებსა და სიბილანტებს სონანტებთან“¹³⁷.

ჯგუფის — სონანტი+სონანტი განხილვისას 3. ფოგტი წერს: დისტრიბუციის ეს ფაქტები ახლავე გვაძლევს საშუალებას კლასიფიკაცია ვუყოთ თანამედროვე ქართული ენის სონანტებს ფუნქციების მიხედვით შემდეგნაირად: ერთი მხრივ, რ და ლ სონანტები და, მეორე მხრივ, ვ და მ ქმნიან ორ აშკარად განსხვავებულ კლასს. თითოეული კლასის წევრები ერთმანეთს არ უერთდებიან, მაგრამ სამაგიეროდ ისინი უერთდებიან სხვა კლასის წევრებს. სონანტი ნ ქმნის ცალკე კლასს, უერთდება რა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში რ-ს და ლ-ს, უფრო ხშირად კი მ-სა და ვ-ს“¹³⁸...

სონანტთა კლასში, მაშასადამე, მივიღეთ სამი ქვეკლასი, რომელთაგან თითოეული განსხვავებულ წესს ემორჩილება.

თუ /ვ მ/ ფონემებს მოვაქცევთ წყვილბაგისმიერთა კლასში, კლასის შიგნით ქვეკლასების გამოყოფა აღარ დაგვიკირდება, რადგან (1) ურთიერთმიმართებაში ყველა წყვილი და უფრო მრავალწევრიანი კომბინაციაც აკრძალული იქნება, (2) კლასის წევრები სხვა კლასის მიმართ ერთნაირ ფუნქციას ავლენენ. სანიმუშოდ ავიღოთ c_1 კლასის ფონემათა კომბინაციები c_3 კლასის /ნ/ ფონემასთან. /ნ/-ს მიმართ c_1 კლასი იქცევა ერთნაირად, კერძოდ, (ა) /ნ/

137 3. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1961, გვ. 14 და 16.

138 იქვე, გვ. 18.

აკრძალულია c_1 -ის წინ, ე. ი. თავკიდურად ერთი მორფემის ფარგ-
ლებში არ გვექნება $ნბ-$, $ნფ-$, $ნპ-$, $ნმ-$, $ნვ-$ კომპლექსები; (ბ) დაშ-
ვეწულია თანმიმდევრობა $c_1 + n$: $ბნ-$, $მნ-$, $ვნ-$. $ფნ-$, $პნ-$. აქ არსე-
ბითია ის, რომ /ბ ფ/ ფონემები ისევე იქცევა, როგორც /მ ვ/: არ
მოსდევენ /ნ/-ს და შეიძლება წინ უძლოდნენ
მას.

3. ფოგტის მიხედვით /ვ/ გვხვდება /ნ ლ/ ფონემების წინ,
მაგრამ /ბ/-ც ხომ გვხვდება ამ პოზიციაში (ბნელი, ბლუ)? მაშა-
სადამე, ამ მხრივაც გამართლებულია /მ ვ/-ს გაერთიანება ბაგისმი-
ერთა კლასში და სხვა.

ზოგჯერ სხვაობა 3. ფოგტისა და ჩვენს კლასიფიკაციას შორის
ფაქტობრივია, რაც უთუოდ რაიმე გაუგებრობის შედეგია, რად-
გან ჩვენი კლასიფიკაციები წარმოადგენენ ვარიანტებს ენის ფონე-
მატური ანალიზისადმი ერთი და იმავე პრინციპით მიდგომისა.
პრინციპის თვალსაზრისით ჩვენ დიდად დავალებული ვართ
3. ფოგტის შრომებისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე
პრინციპით შესაძლოა სხვა ვარიანტების შექმნაც, საქმე ეხება მხო-
ლოდ კლასიფიკაციის სიმარჯვეს და სტრუქტურული თვალსაზრი-
სით განხილვას ყველა იმ შედეგისა, რაც ამა თუ იმ კლასიფიკაცი-
იდან გამომდინარეობს.

შევვხებით ზოგიერთ ფაქტობრივი ხასიათის სხვაობას:
3. ფოგტს /ბმა/ და /ბმო/ ფორმათა ჩვენების მიხედვით ქარ-
თულში დადასტურებულად მიაჩნია ბმ- კომპლექსი სიტყვის თავ-
კიდურად. იგი წერს: „ფმ-სა და პმ-ს სრული უქონლობა ჩვენ გვა-
ფიქრებინებს, რომ ჭგუფი ბმ- ოდნავ სისტემის გარეთაა, უპირის-
პირდება რა ზოგიერთ ფონემიკურ ტენდენციას, მაგრამ დაცულია
ქორფოლოგიური სისტემის ძალით“¹³⁹.

/ბმა/ საწყისია. ბ-ამ-ა და არა ბამ-ა, როგორც 3. ფოგტი
ვარაუდობს. მაშასადამე, ბმ- მორფემათა საზღვრის კომპლექსია და
იმდენადვე შესაძლებელი, რამდენადაც ფმ- და პმ- სადმე მორფე-
მათა შესაყარზე (თუ ადგილს არ მივცემთ მნიშვნელობას). რაც
შეეხება /ბმო/-ს, აქაც მორფემათა ზღვარის კომპლექსთან გვაქვს
საქმე: ბ-მ-ო. ალ. ჰინჭარაულის მოწმობით, ხევსურულში გვაქვს
მ ბ მ ო „მუწუკი“ (ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით არის მოტანი-
ლი საბა ორბელიანის სიტყვის კონაში და დ. ჩუბინაშვი-
ლის სამენოვან ლექსიკონში). მ ბ მ ო მიღებული ჩანს მ-ბ-მ-გ

¹³⁹ 3. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, გვ. 18.

მიმღეობისგან; შდრ. მ-კლ-ე „ხეიბარი“ (ვისაც რაღაც აკლია)¹⁴⁰. ალ. ჭინჭარაულისავე ცნობით, ხევსურულში გვაქვს მ-სხ-მ-ო მიმღეობაც, ცხადია, მსხმო<მ-სხ-მ-ე; შდრ. თუშ. ა-მ-ლ-ე „ამღებელი“ და ხევს. მ-ლ-ე „ამღებელი“. მაშასადამე, *მ-მ-მ-ე>მბმო>ბშო, — მიმღეობის -ე სუფიქსის ლაბიალიზებით თემის ნიშნის მ-ს მომღევნოდ და მიმღეობის მ- პრეფიქსის დაკარგვით.

3. ფოგტისავე ცხრილის მიხედვით აკრძალული არ არის /ნ/-ს კომბინაციები /რ ლ/ ფონემებთან: „სონანტი ნ ქმნის ცალკე კლასს უერთდება რა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში რ-ს და ლ-ს“ (იხ. ზემოთ).

ჩვენი კლასიფიკაციით რნ- და ლნ-, აგრეთვე ნრ- და ნლ- აკრძალულია, რამდენადაც ჩვენ /რ ლ ნ/ ერთ კლასში (ცა) მოვაქციეთ. 3. ფოგტის ნაშრომში, ჩვენი აზრით, რაღაც ლაფსუსთან გვაქვს საქმე, რადგან ქართულში ეს კომპლექსები არ დასტურდება ერთი მორფემის ფარგლებში სიტყვის თავიკიდურად. სამწუხაროდ, აღნიშნულ ნაშრომში სათანადო მითითება არ არის საილუსტრაციო მაგალითებზე, რომ მსჯელობა გაგვემართა კონკრეტული ფორმების მიხედვით. თუ აქ ივარაუდება არათავიკიდურა კომპლექსი (მაგ. ბალნის), მაშინ თავიკიდურა კომპლექსთა კანონზომიერებები გავრცელებული ჩანს არათავიკიდურა კომპლექსებზე. ამ შემთხვევაში ჩვენი კლასიფიკაციები უკვე პრინციპულ განსხვავებას იწყებს და მიღებული შედეგები, რა თქმა უნდა, ერთნაირი ვეღარ იქნება (იხ. ქვემოთ).

ჩვენ არ ვეხებით თანხმოვანთა რ. მდივნიველ სინტაგმატურ კლასიფიკაციას¹⁴¹, რომელიც ფონემათა კომბინაციებს შეისწავლის მარცვლის ფარგლებში, სადაც შეიძლება მოხვდეს როგორც მორფემათა შიგნითა, ისე მორფემული საზღვრის ფონემათა კომპლექსებიც და, მაშასადამე, ფონემატური კანონზომიერებები ემყარება ორივე რიგის მონაცემებს, რაც ჩვენი თვალსაზრისისთვის მიუღებელია.

თანხმოვანთა განსხვავებული სინტაგმატური კლასიფიკაცია წარმოადგინა გ. ნებიერიძემ 1974 წელს¹⁴².

ამ კლასიფიკაციით თანხმოვანთა პირველ კლასში ერთიანდ-

¹⁴⁰ ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, გვ. 85.

¹⁴¹ Р. Г. М д и в а н и, Дистрибутивный анализ начальных консонантных групп современного грузинского языка (автореферат), 1966.

¹⁴² გ. ნებიერიძე, სალიტერატურო ქართული ენის გენერატორულ-ფონოლოგიური მოდელი და მისი აგების პრინციპი. თბილისი, 1974.

ბა ზედიხი თანხმონენები (ეს არის C კლასი), მეორეში — ფრიკატი-
ვები (F კლასი), მესამეში — სონორები (S კლასი). კლასიფიკა-
ცია ხდება სონორობის ხარისხის მიხედვით. ფონემათა მე-4 კლასს
ქმნიან ზმონენები (V კლასი).

... კლასის ფარგლებში ფონემები დალაგებულია სონორობის მა-
ტებით: მომდევნო ფონემა წინას აღმატება სონორობის ხარისხით.

C (ხშულთა კლასი): პ<ფ<ბ<ტ<თ<დ<წ<ც<ძ<ჭ<ჩ<
ჯ<კ<ქ<გ<ყ;

F (ფრიკატივთა კლასი): ს<ზ<შ<ჟ<ხ<ღ;

S (სონორთა კლასი): ვ<მ<ნ<ლ<რ;

V (ხმოვანთა კლასი): უ<ი<ო<ე<ა.

კლასთა შორის სონორული მიმართება კი გამოხატულია ფორ-
მულით $C < F < S < V$ (გვ. 10 და შემდეგ).

გ. ნებეირიძე აცხადებს, რომ ის აგებს ქართული ენის
განერატორულ-ფონოლოგიურ მოდელს ო. ესპერსენის ფარ-
დობითი სონორობის პრინციპზე დამყარებით.

ჩვენთვის მიუღებელია როგორც ეს კლასიფიკაცია, ისე მასზე
დამყარებული შემდგომი მსჯელობანი, რადგან, ჩვენი აზრით, ამო-
საჯალ დებულებებს აკლია დამაჯერებლობა, რის ჩვენებასაც შევე-
ცდებით ქვემოთ.

სონორობის რაობასა და ქართულ ენაში ფონემათა სონორო-
ბის ხარისხის მიხედვით ურთიერთმიმართებათა განსაზღვრისას
გ. ნებეირიძე უთითებს ო. ესპერსენისა და გ. ახვლედიანის ცნო-
ბილ შრომებზე და აცხადებს: „აღსანიშნავია ერთი გარემოებაც:
ფარდობითი სონორობის მიხედვით გამოყოფილი კლასები, სერიე-
ბი და რიგები ემთხვევა დისტინქციური კრიტერიუმის მიხედვით
გამოყოფილ კლასებს, სერიებსა და რიგებს. სწავავარად რომ
ვთქვათ, ქართული ენის ფონემების დახასიათებისას ფარდობითი
სონორობის პრინციპის მიხედვით ჩვენთვის ამოსავალი და საყრ-
დენი საფუძველია ის ტრადიციული ფონოლოგიური მოდელი, რო-
მელიც პირველად აღწერილი და დალაგებულია დისტინქციურ
კრიტერიუმებზე დაყრდნობით გ. ახვლედიანის მიერ. ეს იმას ნიშ-
ნავს, რომ ეს ორი საკლასიფიკაციო კრიტერიუმი ერთმანეთს ემ-
თხვევა და ამიტომაც ფონემების დალაგება ფარდობითი სონორო-
ბის მიხედვით წარმოადგენს უბრალოდ დისტინქციურ კრიტერი-
უმებზე დაყრდნობით მიღებული კლასების, სერიებისა და რიგების
გარდასახვას ფარდობითი სონორობის ტერმინებში“¹⁴³.

ენახოთ, რამდენად სწორია ეს წინასწარი განცხადებები, რომლებიც შრომის დასაწყისშია, რათა განისაზღვროს ის თეორიული საწყისები, რომლებზე დამყარებითაც გ. ნებიერიძე ცდილობს შეიმუშაოს ქართული ენის გენერატორულ-ფონოლოგიური მოდელი. უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ, რა მიმართებაა გ. ნებიერიძისა და ო. ესპერსენის ბგერათა სონორული ფარდობის სქემებს შორის.

ო. ესპერსენის სქემაში სონორობის რვა საფეხურია წარმოდგენილი. პირველ საფეხურზე მოთავსებულია ყრუ ბგერათა (Stimmlose) ხშული (Verschlusslaute) და ნაპრალოვანი (Engelaute) ქვეჯგუფები: a) [p, t, k], b) [f, s, ç, x]; მეორე საფეხურზეა მქლერი ხშულები (Stimmhafte verschlusslaute)—[b, d, g]; მესამე საფეხურზეა მქლერი ნაპრალოვნები (Stimmhafte Engelaute)—[v, z, ʒ] და სხვ. ყველაზე მეტი სონორობით ხასიათდება დაბალი აწეულობის ხმოვნები (niedrige Vokale)—[a, œ, ə]¹⁴⁴.

როგორც ვხედავთ, გ. ნებიერიძისაგან განსხვავებით, ო. ესპერსენს ყრუ ნაპრალოვნები ნაკლები სონორობის ბგერებად მიიჩნია მქლერ ხშულებთან შედარებით. ეს უფრო თვალსაჩინოდ წარმოდგენილია ო. ესპერსენის ნაშრომის მომდევნო, 192-ე გვერდზე წარმოდგენილ ხაზობრივ სქემაში, რომელზეც [sprengst] სიტყვის [f, p, s, t] ბგერები სონორობის პირველ საფეხურზეა წარმოდგენილი; გ. ნებიერიძის ნაშრომში კი ნებისმიერი ფრიკატივი სონორობით მეტია ნებისმიერ ხშულზე და გამოიხატება ფორმულით C < F.

რა მდგომარეობაა მეორე ნაშრომში, რომელზეც მიუთითებს გ. ნებიერიძე?

გ. ახელედიანიც, მსგავსად ო. ესპერსენისა, ყველა ყრუ ჩქა-ნიერს, მიუხედავად იმისა, ხშულია იგი თუ ნაპრალოვანი, ნაკლები სონორობის მქონედ მიიჩნევს მქლერ ხშულებთან შედარებით. აი, გ. ახელედიანის მიერ გამოყოფილი ქვეჯგუფები თანხმოვანთა „სონორობის თანდათან ზრდადობის კვალობაზე“: 1. პ-ტ-წ, 2. (ფ), 3. ფ-თ-ც, 4. კ-ქ-ყ (კ), 5. ს, 6. კ-ჩ, 7. ხ-შ, 8. ბ-დ-ძ, 9. ვ, 10. გ, 11. ზ, 12. ჯ, 13. ლ-ქ, 14. მ-ნ-ლ-რ¹⁴⁵.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: თუ მითითებულ ნაშრომებში,

¹⁴⁴ Otto Jespersen. Lehrbuch der Phonetik, 1926. გვ. 191.

¹⁴⁵ გ. ახელედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 62.

რომლის მონაცემების მიხედვითაც ჩამოყალიბებულია გ. ნებიერიძის სქემები, რაიმე მიუღებელი იყო და მოხდა მისი გასწორება, რატომ არ არის სათანადო მსჯელობა ამის შესახებ, რატომ არ გვაგებინებს ავტორი, რის საფუძველზე და რა გზით ხდება ეს გასწორებები? წინააღმდეგ გ. ნებიერიძის განცხადებისა, სონორული ფარდობის ზოგადი პრინციპიცა და კონკრეტული კვალიფიკაციებიც სრულიად განსხვავებულია, ერთი მხრით, ო. ესპერსენ-გ. ახვლედიანის შრომებში, მეორე მხრით, გ. ნებიერიძის ნაშრომში, კერძოდ: რომელიმე [სძოვს], [სჯობს]... ტიპის ლიტ. გამოთქმებში ესპერსენ-ახვლედიანის მიხედვით ანლაუტში საქმე გვაქვს თანზმონთანა მზარდი სონორობის კომპლექსთან ხმოვნის მიმართულებით, გ. ნებიერიძის მიხედვით კი, პირიქით, ეს კომპლექსები კლებადი სონორობისაა ამ მიმართულებით. მიზეზი სხვაობისა გასაგებია: გ. ნებიერიძე აქ მხედველობაში არ იღებს მელერობის წვლილს სონორობის შექმნაში და სიმძიმის ცენტრი გადააქვს ხშულობა-ნაპრალოვნობაზე.

ასევე ხშულთა სონორული მიმართებების დადგენისას გ. ნებიერიძე ჰეტერორგანულ ჯგუფებში ყურადღებას არ აქცევს მელერობა-სიყრუეს და არსებითად მიიჩნევს წარმოების ადგილს (რაც უფრო უკანა წარმოებისაა ბგერა, მით უფრო სონორია), ამიტომ [კ] სონორობით მეტია მასზე წინ ნაწარმოებ ნებისმიერ ხშულზე, გინდ მელერიც იყოს (ეთქვათ, [ბ, დ, ძ, ჯ]-ზე); ესპერსენ-ახვლედიანის თეორიის მიხედვით კი [კ] სონორობით ნაკლებია ნებისმიერ მელერ ხშულზე¹⁴⁶, კერძოდ, [ბ, დ, ძ, ჯ]-ზეც. კ ბ ი ლ ი, ტ ბ ა, წ ბ ი ლ ი... ფორმებში, გ. ნებიერიძის მიხედვით, კბ-, ტბ-, წბ- მარჯვენა მიმართულებით კლებადი სონორობის კომპლექსია, ესპერსენ-ახვლედიანის მიხედვით, პირიქით, მზარდი სონორობისაა. ბჟე-ში სონორული მიმართება [ბ]-სა და [ჟ]-ს შორის აგრეთვე საპირისპირო შეფასებას მიიღებს ამ ორი თვალსაზრისით.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ გაუმართლებლად გვეჩვენება გ. ნებიერიძის განცხადება: „ჩვენ შევეცდებით ასეთი მოდელი (სალიტ. ქართული ენის გენერატორულ-ფონოლოგიური მოდელი — თ. უ.) ავაგოთ ფარდობითი სონორობის პრინციპზე დაძყარებით, რომელიც დამუშავებულია ო. ესპერსენის მიერ“¹⁴⁷.

¹⁴⁶ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 62; Otto Jespersen. Lehrbuch der Phonetik. გვ. 131.

¹⁴⁷ გ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

აქ შეიძლება დაისვას ასეთი კითხვა: საიდან არის მიღებული სონორული შეფარდების ფორმულა $C < F$? ო. ესპერსენისა და გ. ახვლედიანის სქემების მიხედვით, როგორც ვნახეთ, ეს ფორმულა არ მიიღება (ყრუ F ყოველთვის ნაკლები სონორობისაა მქლერ C-ზე). ეს ფორმულა ad hoc შემოდის გ. ნებიერიძის მსჯელობაში, რამდენადაც მას არ დაუმტკიცებია, რომ ყრუ ნაპრალოვნები სონორობით მეტია მქლერ ხშულებზე.

ახლა ვნახოთ, რამდენად მართალია ავტორის განცხადება, რომ ქართული ენის ფონემების ფარდობითი სონორობის პრინციპით დახასიათებისას მისთვის ამოსავალი იყო გ. ახვლედიანის მიერ შექმნილი ფონოლოგიური მოდელი, რომ გ. ნებიერიძის ნაშრომში საქმე გვაქვს გ. ახვლედიანის მიერ ჩამოყალიბებული დისტინქციური კრიტერიუმების „უბრალო გარდასახვასთან“ სონორობის ტერმინებში.

საქმის ვითარება ასეთია: გ. ნებიერიძემ თანხმოდანთა თითოეულ კლასში სონორობის ხარისხი გაანაწილა მხოლოდ წარმოების ადგილის მიხედვით და მხედველობაში არ მიიღო ფონემათა რაგვარობა: რაც უფრო უკანა წარმოებისაა თანხმოდანთა ჩგუფი, მით მეტი სონორობის ხარისხი მიანიჭა მას, კერძოდ, [დ თ ტ] ჩგუფის თითოეული წევრი სონორობით მეტი გამოვიდა [ბ, ფ, პ] ჩგუფის ნებისმიერ წევრებზე: ნაშრომში ჰეტერორგანული თანხმოდანების სონორული ფარდობისათვის არაერთი მნიშვნელობა არაა აქვს იმას, თუ რა სახისაა სახმო სიმების მონაწილეობა ბგერის წარმოებაში; გ. ახვლედიანს კი ფონემათა რაგვარობა (მქლერობა, ფშეინვა, მკვეთრობა) ჰეტერორგანული თანხმოდანების სონორული მიმართების აღწერის დროსაც აქვს გათვალისწინებული. ამ განსხვავებულმა მიდგომამ განაპირობა ის, რომ პრინციპულად განსხვავებული სონორული დახასიათება მიიღეს ფონემებმა გ. ახვლედიანისა და გ. ნებიერიძის სქემებში.

გ. ნებიერიძის „სონორული ფარდობის სქემა“ ჰომორგანული ჩგუფის ფარგლებშიც არ მისდევს გ. ახვლედიანის ფონემათა პარადიგმატული ცხრილის ჩვენებას. გ. ახვლედიანის ცხრილში ენაკბილისმიერთა რიგში გაერთიანებულია /დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ზ, ს/ ჩქამიერები (იხ. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 87). რადგან /დ/ და /ძ/ ფონემები ჰომორგანულია და ჰომოგენური, გ. ახვლედიანი მათ ანიჭებს სონორობის თანაბარ ხარისხს (იხ. და-

სახ. ნაშრომის 62-ე გვერდი, მე-8 ჯგუფი). თუ გ. ნებიერიძის ნაშრომში გ. ახვლედიანის ცხრილის სონორულ ტერმინებში „უბრალო გარდასახვასთან“ გვაქვს საქმე, გ. ნებიერიძის საკლასიფიკაციო პრინციპით ერთი და იმავე რიგის /ლ/ და /d/ აგრეთვე თანაბარი სონორობით უნდა დახასიათებულიყო, სქემაში კი /ლ/ ნაკლებ სონორია /d/-ზე, ე. ი. გ. ახვლედიანის პარადიგმატული ცხრილის ჩვენება მხედველობაში არ არის მიღებული. აქ საკითხავია სხვათ: ვიდრე გ. ნებიერიძეს არ დაუმტკიცებია, რომ ყრუ ნაპრალოვანი სონორობით მეტია მეღერ ხშულებზე, რის საფუძველზე უნდა მიენიქოს ყრუ /ს/-ს სონორობის უფრო მეტი ხარისხი ჰომორგანულ მეღერ: /ლ/ და /d/ ფონემებთან შედარებით? ეს კითხვა დაისმება ჰომორგანული ყრუ /შ/ და მეღერი /ჟ/ ფონემების სონორული შეფარდების მიმართაც. გ. ახვლედიანი ფონემათა რაგვარობას ყოველთვის ითვალისწინებს და ამის გამო მასთან „სონორულ ტერმინებში გარდასახვა“ საპირისპირო შედეგს იძლევა იქნისა, რასაც გ. ნებიერიძე იღებს.

ო. ესპერსენისა და გ. ახვლედიანის შრომებში სამეტყველო ბგერათა მეტ-ნაკლები სონორობა დამყარებულია ბგერათა მეტ-ნაკლებ გასაგონრობაზე. აი რას წერს გ. ახვლედიანი: „...ა — მეტად სონორია ანუ მეტად ბგეროვანია ზ-ზე. ა უფრო შორს ისმის ერთნაირი პირობების დაცვით (წარმოთქმის სიძლიერე, ამინდი, ბგერითი გარემოცვა...), ვიდრე ზ; რ მეტია სონორობით ჩ-ზე და ა. შ. (ზოგადი ფონეტიკური საფუძვლები, გვ. 60). გ. ახვლედიანი აქ იმეორებს ო. ესპერსენის დებულებას, რომ ხმამაღლიობა (Klangfülle) პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია რხევადი ტალღის მიერ გავლილ მანძილთან¹⁴⁸.

ამეამად სადავო აღარ უნდა იყოს, რომ სონორობისა და გასაგონრობის ასეთ მიმართებას ო. ესპერსენის სქემა აღარ შეეფერება. საენათმეცნიერო ლიტერატურაში, ჩვენშიც და საზღვარგარეთაც, აღნიშნულია, რომ გასაგონრობით თანხმოვანი შეიძლება ხმოვანსაც კი აღვმატებოდეს; მაგ.: **ო ტ ო ფ ო ნ ე ს ე ნ ი ს** ცხრილით ხმოვანი **ა** მე-7 ადგილზე დგას, თანხმოვანი **ი** — მესამეზე, **ე** და **ლ** კი — მეოთხე ადგილზე...¹⁴⁹ ხოლო **ნ. ე ი ნ კ ი ნ ი ს** განცხადებით, სისინა და შიშინა სპირანტები შეიძლება ხმოვანსაც

¹⁴⁸ O. Jespersen, *Lehrbuch der Phonetik*, გვ. 190.

¹⁴⁹ Otto von Essen, *Über die spezifische Schallwirksamkeit der laute*; „Zeitschrift für Phonetik“, 1953, H 1/2.

კი ალმატებოდნენ ხმადალობით: „Есть согласные, которые в слове звучат, как правило, громче чем гласный „и“ в словах „пнши“ и „пншн“...“¹⁵⁰

გ. ნებიერიძე კი ამ საკითხზე საერთოდ არც მსჯელობს, ჩვენ ვრცლად განვიხილეთ გ. ნებიერიძის ნაშრომში წარმოდგენილი ბგერათა სონორული შეფარდების სქემა ო. ესპერსენისა და გ. ახვლედიანის იმ შრომების ფონზე, რომლებიც, გ. ნებიერიძის განცხადებით, მისი სქემის საფუძველს წარმოადგენენ, ხოლო შემდეგ სქემაზე დამყარებით იქმნება ქართული ენის გენერატორულ-ფონოლოგიური მოდელი.

როგორც დავინახეთ, გ. ნებიერიძე პრინციპულად ენიჭნება ო. ესპერსენისა და გ. ახვლედიანის ვარაუდებს და სონორობის განსაზღვრის საკუთარი პრინციპი შემოაქვს, კერძოდ: ხშულთა და ფრიკატივთა კლასების შიგნით სონორობის ხარისხი განისაზღვრება მხოლოდ ლოკალური რიგით (მაგ., [ბ] ნაკლებ სონორია მკვეთრ [ტ]-ზე) და არ უცდია ამის დამტკიცება არც ექსპერიმენტული და არც ფონოლოგიური გზით; ო. ესპერსენზე მითითება კი, როგორც ვნახეთ, გაუმართლებელია.

ხშულთა და ფრიკატივთა კლასების სონორულ შეფარდებას $C < F$ არგუმენტაცია არ ახლავს საერთოდ. იგი არ გამოიყვანება იმ პრინციპებიდან, რომლებზეც უთითებს გ. ნებიერიძე.

ფონემათა სონორობის ხარისხის განსაზღვრამ ლოკალური რიგის მიხედვით უხერხულობა შექმნა s კლასში: ბაგისმიერი /ვ/ და /მ/ ფონემების სონორული მიმართება „დადგინდა“ მიუღებელი მსჯელობით, კერძოდ, /ვ/ ხან ფრიკატივად არის მიჩნეული (გვ. 11), ხან სონორია (იხ. s კლასი), ხანაც /ვ მ/ თანმიმდევრობა დეცესიურ კომპლექსად ცხადდება! (გვ. 29). ეს არ არის შემთხვევითი დაბნეულობა, რომლის გასწორებაც შესაძლებელია თეორიის ფარგლებში. საქმე შემდეგშია: /ვ/ რომ ფრიკატივად ჩაითვალოს, როგორღა გამოვა იგი სონორობით აღმატებული მასზე უკან ნაწარმოებ ფრიკატივებზე — /ზ ს ე შ ლ ხ/-ზე? მეორე მხრით, /ვ/-ს

150 Н. И. Жинкин, Восприятие ударения в словах русского языка; 1954.

ფრიკატივობა იმიტომ არის საჭირო, რომ სონორობით ნაკლები გამოვიდეს ჰომორგანულ /მ/ სონორზე. შედეგად ამ განსხვავებულ კვალიფიკაციებს ვიღებთ.

გ. ნებიერიძე ამავე დროს არ განასხვავებს ფონემათა მორფემის შიგნითა თანამიმდევრობებს მორფემათა საზღვრის თანამიმდევრობებისაგან, რაც ჩვენ არასწორად მიგვაჩნია.

ყოველივე ზემოთ თქმულის გამო ჩვენთვის მიუღებელია ქართული ენის ფონემათა სინტაგმატური ანალიზი, რომელსაც გ. ნებიერიძე იძლევა თავის წიგნში¹⁵¹.

ფონემურ კლასთა მიმართულებანი

ენისთვის დამახასიათებელი კომპლექსები (ანლაუტი). ზემოთ შევეხეთ თანხმოვანთა კომპლექსებს, რომლებიც იკრძალება ენაში და მათს საფუძველზე ჩამოვყალიბეთ ფონემათა ოთხი კლასი (კლასში გაერთიანებული თანხმოვნები ერთიმეორესთან კომბინაციაში არ შედის# —v პოზიციაში ერთი მორფემის შიგნით).

ქვემოთ განვიხილავთ ენისთვის დამახასიათებელ კონსონანტურ კომპლექსებს სიტყვის თავიდან დასრულებულია თანხმოვნები დაეყოთ ორ დიდ კლასად — ხშულთა და ნაპრალოვანთა (არახშულთა) კლასად.

ნაპრალოვანთა კლასის შიგნით ქვეკლასების გამოყოფა ხდება ინდუქციური მეთოდით¹⁵².

მაშასადამე, თანხმოვნები წარმოდგენილია ორი კლასით: ხშულები (C): /ბ ფ პ დ თ ტ ძ ც წ ჯ ჩ ქ გ ქ კ კ/ (სულ 16 ფონემა);

ნაპრალოვანები (C⁰): /ზ ს ე შ ღ ხ ყ ვ მ ნ ლ რ/ (სულ 12 ფონემა).

ხშულთა კლასი აღნიშნულია C სიმბოლოთი, ნაპრალოვანთა კლასი კი — C⁰-თი.

ამ ორი კლასის თანხმოვანთა სინტაგმატური მიმართებები შეიძლება განვიხილოთ შემდეგი ფორმულების მიხედვით: (1) CC⁰, (2) C⁰C, (3) CC და (4) C⁰C⁰.

(1) CC⁰ ფორმულა გამოხატავს აღმავალი ანუ მზარდი ნაპრა-

151 დაწვრილებით იხ. ჩვენი რეცენზია აღნიშნულ ნაშრომზე.

152 თ. უთუ რგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა კონსონანტიზმი... კრებულში: მეტყველების ანალიზის საკითხები, 1969, გვ. 64 და შემდეგ.

ლოენობის კომპლექსთა მოდელს, სადაც მეორე წევრი (ნაპრალო-
ვანი) პირველს (ხშულს) აღემატება ნაპრალოენობით;

(2) C°C ფორმულა გამოხატავს დამავალი ნაპრალოენობის კომპ-
ლექსთა მოდელს, სადაც ნაპრალოვან თანხმოვანს მოსდევს ხშუ-
ლი;

(3) CC ფორმულით გამოხატულია ხშულთა (ნულოვანი ნაპრა-
ლოენობის) კომპლექსების მოდელი;

(4) C°C° ფორმულის კომპლექსები ნაწილდება მზარდი და
დამავალი ნაპრალოენობის მოდელებს შორის იმის მიხედვით, კომ-
პლექსი აღმავალი ნაპრალოენობისაა თუ დამავალი ნაპრალოენო-
ბიაა.

ცხრილი CC°

	ზ	ს	ც	შ	ლ	ხ	ყ	ქ	შ	ნ	რ	
ბ	+	-	+	-	+	-	-			+	+	+
ფ	-	+	-	+	-	+	-			+	+	+
ვ	-	-	-	-	-	-	+			+	+	+
ღ					+	-	-	+	+	+	+	+
თ					-	+	-	+	+	+	+	+
ძ					-	-	+	+	+	+	+	+
ძ					+	-	-	+	+	+	+	+
ც					-	+	-	+	+	+	+	+
წ					-	-	+	+	+	+	+	+
ჩ					+	-	-	+	+	+	+	+
ჩ					-	+	-	+	+	+	+	+
ჭ					-	-	+	+	+	+	+	+
ბ	+	-	-	-				+	+	+	+	+
ქ	-	+	-	+				+	+	+	+	+
ქ	-	-	-	-				+	+	+	+	+
კ	-	+	-	+				+	+	+	+	+

... ღრთი და იმავე კლასის თანხმოვანთა კომბინაციების გაშორი-
ციების შემდეგ (ისინი ცხრილში წარმოდგენილია ცარიელი
უჯრებით) ცხრილის მიხედვით შეიძლება მივიღოთ შემდეგი დე-
ბულებები: (1) CC° კომბინაცია დაშვებულია სხვადასხვა კლასის
ჰომოგენურ ჩამიერ თანხმოვნებს შორის. /გ უ/ კომპლექსი
ი ავლება ვირტუალურად CC° მოდელის სხვა
კომპლექსთა გვერდით /გზ/, /ქს/ და /ქშ/ წყვი-
ლების არსებობის გამო¹⁵³.

(2) სონორთათვის არ არსებობს CC° ფორმულაში ჰომოგენუ-
რობის შეზღუდვა: ისინი მოსდევნენ ნებისმიერ ხშულს.

კომპლექსის კომპონენტთა განსხვავებული კლასის წევრობა
და ჰომოგენურობა ჩამიერთა წყვილში — აი შეზღუდვები, რომ-
ლებიც ედება CC° მოდელის კომპლექსებს. სხვა შეზღუდვების (მა-
გალითად, აქცენია-დეცენიის) შემოტანა მოდელს დაავიწროებს და
ცხრილის მონაცემები წესის გარეთ დარჩება.

CC° ცხრილის კომპლექსთა შემცველ ფორმებში შემოდის ენის
ქვესისტემათათვის საზიარო ლექსიკა, როგორცაა: ღღე, ტყე,
ღრო, ბზე, ბღავის, ბნელი (ღუბლეთი ბლენი არ არღვევს
სტრუქტურულ ფორმულას), ქრელი, ქვარი, გროვა და სხვ.

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე მზარდი ნაპრალოვ-
ნობის კომპლექსები მიგვაჩნია ქართული ენისთვის დამახასიათებელ
კომპლექსებად.

აქ, მაშასადამე, ლაპარაკია CC° მოდელის ორშემადგენლიან
კომპლექსებზე. მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსთა სხვა რიგის
წყვილებიც გვაქვს; ენაში არის ამავე ზოგადი მოდელის (მზარდი
ნაპრალოვნობის) სამ- და მეტკომპონენტიანი კომპლექსებიც, რო-
მელთა შესახებ სხვა ცხრილებთან დაკავშირებით ქვემოთ ვიმსჯე-
ლებთ და საერთო წესებსაც ბოლოს გამოვიყვანთ.

C°C ცხრილის (იხ. გვ. 93) კომპლექსები შედის დამავალი ნაპ-
რალოვნობის მოდელში. ცხრილის ყველა წყვილში ნაპრალოვან
თანხმოვანს მოსდევს ხშული (არანაპრალოვანი) თანხმოვანი.

ცხრილში მ-ს რიგი წარმოდგენილია მინუსით, თუმცა ქარ-
თულ ენაში მ-თი დაწყებული თანხმოვანთა კომპლექსი საკმაოდ
ხშირია სიტყვის თავკიდურად. პ. ფოგტის შენიშვნით, „დ. ჩუბი-
ნაშვილთან მოინახება ასო მ-ზე 145 ასეთი ჯგუფი, რომლებიც

¹⁵³ ვირტუალური კომპლექსების შესახებ იხ. H. Vlogt, Phoneme
classes and phoneme classification, „Word“, V. 10, № 1, 1954.

გვიჩვენებენ, რომ მ-ს შეუძლია წინ უძღოდეს ყოველ თანხმომთან, ვ-ს გარდა¹⁵⁴.

ცხრილი C^c

	ბ	გ	ვ	ღ	თ	ძ	ც	ც	წ	ჩ	ჭ	კ	კ	ქ	კ	ქ
ბ	—	—	—											—	—	—
გ	—	+	+											—	+	+
ვ	—	—	—											—	—	—
ღ	—	+	—											—	+	+
თ	—	—	—	+	—	—	+	—	+	+	—	—				
ძ	+	+	+	+	+	+	—	—	—	—	+	—				
ც	+	—	—	+	—	+	—	—	—	—	—	—				
ც				—	—	—	—	—	—	—	—	—				
წ				—	—	—	—	—	—	—	—	—				
ჩ	—	—	—	+	+	—	—	—	+	—	—	—				
ჭ	+	—	+	—	—	+	—	—	—	—	—	—				
კ	+	—	—	—	+	+	+	—	+	+	÷	÷	+	+	+	—

მ- ზმნური პრეფიქსია (აწარმოებს მიმღობას). ეს პრეფიქსი არც თუ იშვიათად ისეა შეხორცებული ძირეულ მორფემასთან, რომ ხშირად ველარ ხერხდება მისი ცალკე გამოყოფა. აქ არსებითია ერთი ფაქტი: მ-თი დაწყებული ფორმები ამ თანხმომთანის გარეშეც წარმოითქმის ქართულის თითქმის ყველა ქვესისტემაში, რამაც საშუალება მისცა ჰ. ფოგტს თავიიდურა კონსონანტურ ჯგუფში მ- არ მიეღო მხედველობაში¹⁵⁵.

ჩვენი მხრით, ვიზიარებთ რა ამ მსჯელობას, დავძენთ, რომ (1) მ-, გარდა ზმნური წარმომავლობისა, შეიძლება იყოს ნომენაციის პრეფიქსიც (გელი/მგელი, კაცი/მკაცი, ცა/მცა, ძველი/მძველი ... შდრ. არღარ/მართალ); (2) ამავე დროს ჩვენ მ-ს ფონემატურ ფუნქციაზე მსჯელობისას ვემყარებით მ/მ-ს კლასის მეორე ნაპრალოვანი თანხმომთანის — ვ/ვ-ს ჩვენებას. კომპლექსის მეორე წევრად ეს ორი ფონემა ერთნაირად იქცევა და ეს იდენტუ-

¹⁵⁴ ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, გვ. 152.

¹⁵⁵ იქვე, გვ. 15.

რი ქცევა მოსალოდნელია კომპლექსის პირველ ადგილზეც, ე. ი. როცა ისინი თავიიდურა წყვილში პირველი კომპონენტებია.

/ვ/ არ გვხვდება ხშულთა წინ სიტყვის დასაწყისში. ამ საფუძველზე /მ/-ც არ ივარაუდება ჩქამიერ ხშულთა წინ ამ პოზიციაში.

ამ განმარტების შემდეგ შეიძლება განვიხილოთ $C^{\circ}C$ ცხრილის ჩვენება. თეორიულად მოსალოდნელი 138 კომპლექსიდან (192— $54=138$) რეალიზებულია 40 (ერთი და იმავე კლასის წევრთაგან შედგენილი 54 კომპლექსი აქაც ცარიელი უჯრებით არის წარმოდგენილი და ანგარიშში არ შედის), ოღონდ რეალიზებული კომპლექსებიდან ზოგი ერთიმეორის დუბლეტს წარმოადგენს, მაგალითად, ხბ- კომპლექსი გვხვდება ხფ- და ხპ- სახითაც ერთადერთ სიტყვაში ხ ბ ო (ლიტ. ქართული, ქართლ., კახ.), ხ ფ ო (გურ.) და ხ პ ო (ლეჩხ.).

ასევე ღძ-, ღჭ-, ღპ- ერთიმეორის დუბლეტებს წარმოადგენენ შემდეგ ფორმებში: ღძუ, ღჭუ, ღჭილი, ღჭა, ღპონები. ყველა ფორმა მოდის ღ რ ძ-კომპლექსიდან (ღრძილი). ასე რომ, მათი დაყვანა შესაძლებელია ღძ- (<ღრძ) კომპლექსზე. ასევე დუბლეტებს წარმოადგენენ ერთადერთ სიტყვაში დადასტურებული ყბ- (ყბა) და ყპ- (ყპა) კომპლექსები.

$C^{\circ}C$ ცხრილში რეალიზებული კომპლექსები, განსხვავებით CC° ცხრილის კომპლექსთაგან, არსებითად რომელიმე ქვეკლასის სპეციფიკას წარმოადგენენ და ხშირად მათ სხვა ქვესისტემებში ვერ დაედასტურებთ, ასე, მაგალითად ხ ფ ო და ხ პ ო სრულიად უცნობია აღმოსავლური დიალექტებისთვის, გურული შპორება „სითხის მოურიდებლად სხმა“ (ხომ არაა რუსული шпарить?). სხვა დიალექტებში არ გვხვდება. რომელიმე ლ ბ ი-ლი მხოლოდ ლიტერატურული ქვესისტემის კუთვნილებაა და სხე.

როგორც ვნახეთ, $C^{\circ}C$ ცხრილში თეორიულად მოსალოდნელი 138 კომპლექსიდან 100-ზე მეტი ენაში არ რეალიზდება (თუ დუბლეტებს დავიყვანთ ერთიმეორეზე), ე. ი. მთელი შესაძლებლობის 70%-ზე მეტი. თანაც ხშირად ეს კომპლექსები, როგორც ქვემოთ ვნახეთ, ერთი ან ორი ფორმით არის რეალიზებული. ჩვენ ამ კომპლექსებს ვუწოდებთ ენის არაძირითადი მოდელის კომპლექსებს და მიგვაჩნია მეორეულად. ენაში ისინი შემოსულან სესხების გზით, ან მორფემათა შერწყმის ნიადაგზე, ანდა სხვა რიგის მორფოლოგიკური ცვლილებების შედეგად.

ქვემოთ განვიხილავთ იმ ფორმებს, რომლებშიც რეალიზებუ-

ლია C°C არაძირითადი მოდელის დამავალი ნაპრალოვნობის კომპლექსები.

სფ: ეს კომპლექსი რეალიზებულია ბერძნულიდან ნასესხებ სფერო და სფკრიდ სიტყვებში. ბერძნული სფაირა (ή σφαῖρα) ქართული ფონემატური წესის თანახმად, კარგავს ერთ ნმოვანს.

ჩვენთვის ამჟამად უცნობია რაპული სფორა-ს „მარჩილას ნაწილი“ წარმომავლობა.

სპ: „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ ამ რიგის სხვა კომპლექსებთან შედარებით ბევრი აღმოჩნდა სპ-კომპლექსით დაწყებული სიტყვები: სპანი (რაქ.), სპარა (გურ.), სპარს-ანგელოზი (მოხ.), სპერვა (ლეჩხ.), სპირო (ქართლ.), სპონდიო (ლეჩხ.). ამას დაემატება სალიტერატურო ქართულში სპ-თი დაწყებული უცხოური სიტყვები (სპორტი, სპიდვეი და სხვ.).

ყოველგვარი ძიების გარეშე — თუ საიდან არის ნასესხები ესა თუ ის სიტყვა ან რა მორფონოლოგიური ცვლილების შედეგია იგი — შეიძლება ს+მკვეთრი თანხმოვანი მივიჩნიოთ ქართულისთვის არაბუნებრივ კომპლექსად სიტყვის დასაწყისში, რადგან, ჯერ ერთი, არ არის დაცული ჰომოგენურობა, რაც ასე დამახასიათებელია ძირითადი მოდელის ჩქამიერი კომპლექსებისათვის; მეორეც, ენაში არა გვაქვს ქართული წარმომავლობის შ+მკვეთრი თანხმოვანი, როგორცაა: შპ-, შტ-, შწ-, შკ-, შესამე, რაც არსებითია, არა გვაქვს /ზ/-ს შესაბამისი რიგი ზბ-, ზძ-, ზჯ-, ზგ-. ყოველივე ამის საფუძველზე ს+ჩქამიერი ხშული ს ნებისმიერი კომბინაცია სიტყვის დასაწყისში გვიანდელია ქართული ენისათვის. მაგრამ ისინი ენაში ფეხს იკიდებენ სხვა ხალხებთან კულტურული თუ პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთობის საფუძველზე სიტყვათა სესხების გზით და გავლენას ახდენენ ენის ფონემატურ სტრუქტურაზე. ხელშეწყობად იქცევიან გარკვეული მორფოფონემატური ცვლილებებისთვის¹⁵⁶.

შფ: დასტურდება მხოლოდ ირანულიდან სომხურის გზით ნასესხებ ერთადერთ სიტყვაში — შფოთი¹⁵⁷.

¹⁵⁶ Harry Holjer. Linguistic and cultural change. „Language“. v. 24. N. 4. 1948. გვ. 340.

¹⁵⁷ ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა, IX—X სს-ში, 1944, გვ. 108; შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები..., გვ. 398.

/შ/ გვხვდება უკანანისმიერ /ქ/-სა და /კ/-ს წინ ორიოდ ფორმაში, აი ისინიც: შქერი (გურ.; იმერ.) /შქერი/შქორე/შქორე (ლენხ.) მცენარეა, შქმუთი (ზ. იმერ.) „სადურგლო ხელსაწყო“, შკაფანი (ლენხ.) „ხმაური“ და შქუნვა (ფშ.) „ქშენა“. ამთგან ორი უკანასკნელი ექსპრესიული ფორმაა. ასახსნელია შქერი/შქერი/შქორე, შქმუთი. ამათ მეორეულობაზე: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუთითებს /ზ/-ს რიგის უქონლობა, რასაც ახლა დაემატება /ე/-ს რიგის უქონლობაც (შბ-, შდ-, შძ-, შგ-).

რუსულიდან ნასესხები შკაფი დღეს ყველა დიალექტში გავრცელებული.

ხბ-/ხფ-/ხპ-: ისტორიულად ეს კომპლექსები ქართულ ენაში არ არსებობდა. ისინი ახლაც არა გვაქვს მთის დიალექტებში, სადაც ჭერ კიდევ შემონახულია /კ/ ხშული.

ხბ-, კბ-. ძველ ქართულში დასტურდება მხოლოდ კბო, კბოვარ (შდრ. კბოვრედი). მაშასადამე, ხბ-ს გაჩენა ენაში დაკავშირებულია კ/ხ პროცესთან. ასევე ხდ-/ხთ- (ხდება, ხთება) ენაში შედგება კ/ხ ისტორიული მონაცვლეობისა; შდრ. მთის კალოებისა და ძვ. ქართულის ჯდების (მოკდომა). ქდ-<ქედ ზმნაში ხმოვანთა რედუქცია მორფოლოგიურ ფუნქციას უკავშირდება, ამდენად ქედ>ქდ პროცესი მორფოლოგიურია და შეიძლება არღვევდეს წმინდა ფონემატურ მიმართებებს. ხტ.<ხლტ< <ხლდ; შდრ. ძვ. ქართულის ხლდომა, ხლტომა. ლ. კიკნაძე ხ-ს განვითარებულად მიიჩნევს¹⁵⁸.

ასევე ხჩ-ც მიღებულია სამწევრა ხჩჩ- კომპლექსისგან. ამ რიგის სამწევრა კომპლექსები თავის მხრივ რთული შედგენილობისა არიან (იხ. ქვემოთ).

ღ+ჩქამიერი ხშული: ღდინი, ღძუ, ღჯუ, ღკონები. ღდინი უცხოური (არაბული) წარმომავლობისაა, სხვა დანარჩენები კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ღრძ- რთული კომპლექსის ნაყარია. ზოგ ქვესისტემაში ღრძ- შეცვლილია ღირძ- კომპლექსით (ღირძილი, მთის დიალექტები), რაც მიუთითებს ღრძ- კომპლექსის მეორეულობაზე: ენა ცდილობს მის დაძლევას ანაბტიქსური ხმოვნით. ლიტერატურული ღწ-:[ღწოლა] მიღებულია ღვაწ ირიდან [ძვ. ქართ. ღუაწ (ღუაწა)], შედგება მორფოლოგიური ცვლილებისა.

¹⁵⁸ ლ. კიკნაძე, ხ ბგერის განვითარების შემთხვევები ქართულში, თსუ შრომები, XXIV, 1942.

ყ- ნაპრალოვანი ჩქამიერ ხშულთა წინ გეხვდება ხოლოდ ორ შემთხვევაში და დადასტურებულია თითო სიტყვაში: ყ ბ ა (ღუბ-
ლეტი ყ ბ ა), ყ დ ა (ღუბლეტი ყ ტ ა). უნდა ვივარაუდოთ, რომ,
თუ ეს სიტყვები ნასესხები არ არის, საქმე გვაქვს ხმოვანდაკარგულ
ფორმებთან და ბოლო ხმოვანი არ არის ძირეული. ამ სიტყვათა
მორფოლოგიური ცვლილების გზა მთლად ნათელი არ არის
ჩვენთვის.

ნ- ჩქამიერ ხშულთა წინ იშვიათად გეხვდება. გვაქვს სულ 3
შემთხვევა 16 შესაძლებლობიდან. რეალიზებულია ეს კომპლექ-
სები თითო ფორმაში: ნდ- /ნდომა/, ნთ- /ნთება/, ნჯ- /ნჯიქვება/
ჩიქვება (გურ.) „ჯიკავი“ — ნიდაყვის კვრა.

როგორც ვხედავთ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ნ-ს
გაყოფა ამ ფორმებიდან ისტორიულად: უ-ნ-ებ-ს შდრ. უ-ნ-დ-ა.
ნ დ ო მ ა ფორმა თითქოს გვევარაუდებინებს ნ ე დ ძირს (შდრ.
ნ დ ო მ ა — ძედ, შურომა — შურ, კუდომა — კუედ და სხვ.), მაგრამ
ასეთი ძირი არ ჩანს. სავარაუდებელია -დ სუფიქსის ძირთან შე-
ხორცება.

ნ თ ე ბ-ში ძირეულია თ- (შდრ. მ-თ-იები, გან-თ-ენ-ა, ნა-თ-
ელ). ასე რომ, ნათ ძირი შედგენილია, ხოლო ნათ > ნთ შედეგია
მორფოლოგიური ცვლილებებისა.

გურულ ნჯიქვება-ს აქვს ღუბლეტი ჩიქვება და
ამასთანავე გამჟვირვალე ეტიმოლოგია. უკავშირდება ჩიკავ-ს.
ეს ნ- (ნჯიქვი) იგივეა, რაც სამწვერა კომპლექსებში: ნქრევა,
ნძრევა. გან- ზნისწინის ანალოგიით ნ- ჩნდება ა ქცევისნიშ-
ნიან ფორმებში (შდრ. გან-ქარვება — ა-ნ-ქრევს, აქედან ნქრე-
ვა; გან-ძრევა — ა-ნ-ძრევს, აქედან ნძრევა).

ლ-ც სამ შემთხვევაში გეხვდება ხშულთა წინ: ლბ- (ლობა,
ლბილი), ლტ- (ლტობა) და ლპ- (ლპობა).

ლპობა, ლტობა, ლპობა (ლბილი) ფორმებში ლ- აშ-
კარად ექსპრესიულ ფუნქციას ატარებს¹⁵⁹, ლტოლვა კი
ვალ, ვლდომა ფორმებთან ჩანს დაკავშირებული და შედეგია
მორფოლოგიური ცვლილებისა.

თანამედროვე ქართულში რ- ხშულთა წინ სიტყვის თავიკიდუ-
რად სკეპოდ გავრცელებულია. როგორც ცხრილიდან ჩანს, არ
დასტურდება მხოლოდ 4 კომბინაცია: რფ- რპ-, რდ- და რვ-.

უნდა ვივარაუდოთ, რომ რ+ხშული კომპლექსები მეო-

159 ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, გვ. 21.

რეულა, რადგან, ჯერ ერთი, ამავე კლასის სხვა ნაპრალოვანი ფონემები /ნ/ და /ლ/, როგორც ვნახეთ, ამ პოზიციაში იშვიათია და მეორეული წარმომავლობასა; მეორეც, დადასტურებულ კომპლექსთაგან მრავალი ჩვენს თვალწინაა გაჩენილი ცნობილი ს/რ ნონაცვლეობით ანლაუტში, კერძოდ: სძ/რძ, სც/რც, სჩ/რჩ, სწ/რწ, სჟ/რჟ, სჭ/რჭ. ს- ამ კომპლექსებში ისტორიულად დამოუკიდებელი მორფემაა¹⁶⁰, ამაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ს- უძღვის როგორც ფშენიერი, ისე მქდერი და მკვეთრი შხულებით დაწყებულ მორფემებს, მაშინ როცა ამ ადგილზე არ დასტურდება /ზ/, /ქ/ ან /შ/ ფონემა არც ჰომოგენურობის პრინციპის დაცვითა და არც სხვარიგად.

მეორეულია რბ-ც. იგი მიღებულია ან ექსპრესიული ლ-ს (იხ. ზემოთ) დისიმილაციით (ლბილი > რბილი), ან ზმნური ძირის მორფოფონემატური ცვლილებით რებ > რბ (რბენა).

სიმპტომატურია რჟ- კომპლექსის არქონა ანლაუტში ძველ ქართულსა და მთის დიალექტებში. ამის საფუძველზე მეორეულად უნდა მივიჩნიოთ რ+ჟ კ ა ნ ა ე ნ ის მ ი ე რ ი ხ შულისგან შედგენილი კომპლექსებიც, როგორცაა რ გ ა ე ს რ გ ო ლ ი, რ ჭ ა, რ ქ უ ა, რ კ ო.

თუ შევადარებთ CC° (შზარდი ნაპრალოვნობის) მოდელის ცბრლის ჩვენებას C°C (დამავალი ნაპრალოვნობის) მოდელის ცბრლის ჩვენებასთან, ე. ი. ძირითადი მოდელის ჩვენებას არაძირითად- მოდელის ჩვენებასთან, მათ შორის უთუოდ დიდი განსხვავებაა: სხვაობას ქმნის ცბრილთა შემდეგი თვისებები: (1) CC° (შზარდი ნაპრალოვნობის) ცბრილის კომპლექსები ენაში რეალიზებულია 100%-ით, C°C (დამავალი ნაპრალოვნობის) ცბრილის კომპლექსების რეალიზაცია 30%-საც ვერ აღწევს; რეალიზებული არ არის 70%-ზე მეტი; (2) CC° ცბრილში თავს იყრის ენის საერთო ლექსიკა და ფორმები, C°C ცბრილში რეალიზებული ფორმები კი ნაწილდება სხვადასხვა ქვესისტემებში და, თუ საერთო ნასესხობა არ არის (მაგალითად, შკაფი), ამა თუ იმ ქვესისტემის სპეციფიკას წარმოადგენს. რაც საერთოა, ისაც ხშირად განსხვავებულ რეალიზაციას იღებს ენის ქვესისტემებში, მაგალითად: ხ ბ ო (ქართლ., კახ.), ხ ფ ო (გურ.), ხ პ ო (ლეჩხ.), კ მ ო (თუშ.); ს ძ ა ლ ი / რ ძ ა ლ ი (ლიტ. ქართული), ძ ა ლ ო / ძ ა ლ უ ა (ქართლ., კახ.).

¹⁶⁰ თ. უთუ რგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა კონსონანტიზმი.- კრებულში: მეტყველების ანალიზის საკითხები, გვ. 138 და შემდეგ.

ზალი (თუშ. ხევს.); სძე/რძე (ლიტ. ქართული), ზე (აქარ., თუშ.), შდრ. ხევს. ზისცვარი; სწორი, სწავლა (ლიტ. ქართულ...), წორი, წავლა (ქართლ., კახ.); სტაფილო (ლიტ. ქართ.), ტაფილო (ქართ., კახ.)... რკო/კურკო/კო „რკო“, რქა/ქა „რქა“ და სხვ.

ამ ფონეტიკურ ცვლილებათა ხასიათისა და მიმართულების შესახებ ქვემოთ გვეჩვენება საუბარი, აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ეს ცვლილებები ენის ფონემატური სტრუქტურის დაწოლის შედეგია და ხდება ისეთ ფორმებში, რომლებშიც არაძირითადი მოდელის კომპლექსები გვაქვს.

ცცეცხილი

	ზ	ს	ჟ	შ	ლ	ხ	ყ	ვ	შ	ნ	რ	ლ
ზ					+	-	-	+	+	+	+	+
ს					-	+	-	+	+	+	+	+
ჟ					+	-	-	+	+	+	+	+
შ					-	+	-	+	+	+	+	+
ლ	-	-	-	-				+	+	+	+	+
ხ	-	+	-	+				+	+	+	+	+
ყ	-	-	-	-				+	+	+	+	+
ვ	-	+	-	-	-	-	-			+	-	+
შ	-	-	-	-	-	-	-			+	+	+
ნ	-	-	-	-	-	-	-	-	-			
ლ	-	-	-	-	-	+	-	+	+			
რ	-	-	-	-	-	+	+	+	-			

კლასის ფარგლებში კომბინაციათა გამორიცხვის შემდეგ (რაც ცარიელი უჯრებით არის წარმოდგენილი) აღმოჩნდა, რომ (1) /ზ ს ჟ შ/ მეორე კლასის ნაპრალოვან ფონემათაგან თითოეულს შეიძლება მოსდევდეს სხვა კლასის ჩქაშიერი ნაპრალოვანი ფონემა, თუ ჰომოგენური იქნება. ლაპარაკია /ლ ხ/ ფონემებზე; /ყ/,

როგორც მკვებრი ნაპრალოვანი ფონემა, მკლერთა და ფშვინევიერთა კომბინაციებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. მაშასადამე, პომოვანურობის დაცვით რეალიზებულია ზღ-, ხხ-, ჟღ-, შხ- კომპლექსები.

მსგავსად CC° ცხრილისა (გვ. 91), აქაც არ არსებობს შებრუნებული რიგი: ღზ- და ღჟ-; აგრეთვე ხხ- და ხშ-ც იმ ქვესისტემებში, სადაც /ვ/ ფონემა არ გადასულა /ხ/-ში და იმ ქვესისტემებში, სადაც ხხ- და ხშ- მეტათეზისით გადავიდნენ ხხ-სა და შხ-ში (ხხნა > ხხნა, ხშირი > შხირი...), ხხ-სა და ხშ-ს ენაში არსებითად იცავს და ავრცელებს ლიტერატურული ქვესისტემა. ეს კომპლექსები მეორეულია, ისინი ჩვენს თვალწინაა გაჩენილი კ/ხ სუბსტიტუციის შედეგად, ამდენად ძირითადი ფონემატური კანონის რეალიზაცია ხდება ხხ- და შხ- კომპლექსებით, ზღ-, ჟღ- კომპლექსებთან ერთად და არა ხხ- და ხშ- კომპლექსებით, რომელთაც გვერდით არ უდგას ღზ- და ღჟ-.

თუ ამოვალთ იქიდან, რომ ხშული + ნაპრალოვანი თანხმოვნების რეალიზებულ ბზ-, გზ-, კს-, კშ-, ფზ-, პჟ-... კომპლექსებში (იხ. ცხრილი CC°) მომდევნო წევრი წინას აღემატება ნაპრალოვანობით და არ რეალიზდება შებრუნებული რიგით (დამავალი ნაპრალოვანობით), ინდუქციური მსჯელობით (ცნობილი ანალოგიიდან მთლიან ანალოგიაზე გადასვლით) რეალიზებული ხხ-, შხ-, ზღ-, ჟღ- კომპლექსები შეიძლება მივიჩნიოთ მზარდი ნაპრალოვანობის მოდელის კომპლექსებად, ზოლო ამათი შებრუნებული რიგი ჩავთვალოთ დამავალი ნაპრალოვანობის კომპლექსებად.

ამ მსჯელობის საფუძველზე მზარდი ნაპრალოვანობა და დამავალი ნაპრალოვანობა ფონემატური ტერმინებია და ფონემათა გარკვეულ სინტაგმატურ უნარზე მიუთითებენ.

(2) ახლა ვნახოთ c_2 კლასის ნაპრალოვანთა /ზ ს ე შ/-ს მიმართება სონორებთან $C^{\circ}C^{\circ}$ ცხრილის მიხედვით. როგორც CC° ცხრილში, აქაც სონორები მოსდევენ ნებისმიერ c_2 ჩქამიერ ნაპრალოვანს, ე. ი. /ზ ს ე შ/-ს: სვ- ზვ-, შვ-, ჟვ-, ზშ-, ზრ-, ზნ-, ზღ-... და არსებითად არა გვაქვს შებრუნებული რიგი: ვზ-, რზ-, ნზ-, ღზ-... ახსნას მოითხოვს /შ/-ს რიგი და შემდეგი კომპლექსები, რომლებიც ენაში დასტურდება თითო-ორჯელა ფორმაში: ვს+ (ვსება), ღხ- (ღხინი), რხ- (რხევა) და რყ- (რყევა).

/შ/-ს რიგზე აქაც /ვ/-ს მიხედვით ვიძსჯელებთ (იხ. ზემოთ), ამიტომ ვ+ჩქამიერი ნაპრალოვნის არარსებობის პირობებში მეორეჯელად არის მიჩნეული მ+ჩქამიერი ნაპრალოვანი. სწორედ ამ

საფუძველზე ჩნდება ენაში ღუბლეტები მზე /ბზე/ზე; მსხალი/სხალი და სხვა მრავალი.

ვს: ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც /ვ/ წინ უძღვის ჩქამიერ თანხმოვანს. ეს გასაგებიცაა: ვს ძირი ნასესხებია ირანულიდან¹⁶¹. ქართული ენის დასავლურ დიალექტებში მას აქვს ღუბლეტი ფს- (ვსება/ფსება).

/ნ/- ჩქამიერ ნაპრალოვანთა წინ არ გვხვდება.

ლხ-: ჩვენთვის უცნობია ლხენა (ლხინი) სიტყვის წარმომავლობა. ლხენა ზმნური ფუძეა და გამორიცხული არ არის თავკიდურა კომპლექსი მიღებული იყოს ზმოვნის ჩაყარდნით, ე. ი. მორფონოლოგიური ცვლილების გზით.

რხ-, რყ-: ეს კომპლექსები რეალიზებულია თათო სიტყვაში. მათი წარმომავლობა ჩვენთვის უცნობია.

მაშასადამე, თეორიულად შესაძლო 35 შემთხვევიდან სონორი ჩქამიერ ნაპრალოვანთა წინ გვხვდება მხოლოდ 4 შემთხვევაში (იეარაუდება. რომ ვს- მხოლოდ ნასესხები სიტყვის თავკიდურად გვხვდება), ე. ი. არ არის რეალიზებული 88%-ით.

ანალოგიური მიმართება მყარდება /ლ ხ/ ფრიკატივებსა და /ვ მ ნ რ ლ/ სონორებს შორის: ფრიკატივებს მოსდევს ნებისმიერი სონორი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ე. ი. ენაში რეალიზებულია ღვ-, ღმ-, ღნ-, ღლ-, ღრ-; ხვ-, ხმ-, ხლ-, ხრ-... შებრუნებული რიგით კი კირს კომპლექსთა რეალიზაცია სიტყვის თავკიდურად, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ბოლოს განვიხილოთ /ვ მ/ — C₁ ნაპრალოვანი ფონემების მიმართება /რ ლ ნ/-სთან, ე. ი. C₃ კლასის ნაპრალოვნებთან. ორივე რიგის ნაპრალოვნები სონორებია.

C₁ + C₃ სონორთა მიმართებაში გვაქვია ვრ- კომპლექსი, რაც ვირტუალურად უნდა ჩაითვალოს ვლ-, მრ- და სხვა ამ რიგის კომპლექსთა (ვნ-, მლ-, მნ-) არსებობის პირობებში. შებრუნებული რიგი კი არსებითად არ არსებობს: რვ- მხოლოდ ნასესხებ სიტყვებშია. რვა გ. კლიმოვმა ჩრდილო-სემიტური წარმომავლობისად მიიჩნია¹⁶², რვალი კი ფალაურიდან აღმოჩნდა ნასესხე-

161 ვ. ზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები..., გვ. 87.

162 Г. А. Климов, Вопросы методики сравнительно-генетических исследований, 1971 гв. 52.

ბი, მკვლევარნი იმასაც აღნიშნავენ, რომ „არ არის გამორიცხული ახალი სპარსულიდან სესხებაც“¹⁶³.

ღვ- დასტურდება ერთ სიტყვაში — ლ ვ ი ლ ი. სხვა ქვესიტემებში იგი ან გამარტივებულია, ან დაშლილია: ვ ი ლ ი (თუშ.) და ლ ი ლ ვ ი (ლიტ. ქართული). თუ ლმ- (ლმობა, ლმობიერი) ლმ-ს დაუკავშირდება¹⁶⁴, მაშინ ლ- ექსპრესიული ელემენტია. ზმნურ კომპლექსში გამორიცხული არ არის ზმოვნის რედუქციაც, ე. ი. მორფოლოგიკური ცვლილებებით შეიძლებოდა თავკიდურა ლმ-ს მიღება.

ნვ-, რმ- და ნმ- არ არსებობს სიტყვის თავკიდურად.

შამასადაძე, $C_3 + C_1$ 6 სონორული კომპლექსიდან (ღვ-, რვ-, ნვ-, ლმ-, რმ-, ნმ-) არა გვაქვს 4 (აქვე ივარაუდება რვ-ც, რადგან ავც მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში აღმოჩნდა), ე. ი. არ არის რეალიზებული შესაძლებლობის 66%.

ზემოთ ჩატარებული ანალიზის საფუძველზე თანხმოვანათა ნაპრალოვნობის მიხედვით ურთიერთმიმართების ფონემატური სქემა შეიქმნება წარმოვადგინოთ ამ სახით:

- | | |
|-----|---------------------------------|
| 1 | ხშულები (ნულოვანი ნაპრალოვნობა) |
| 2 | ზ ს ყ უ |
| 3 | ღ ხ ყ |
| ↓ 4 | ვ მ |
| 5 | რ ლ ნ |

ისარი მიუთითებს ნაპრალოვნობის ზრდის მიმართულებაზე. ნაპრალოვნობის ხარისხის მიხედვით თანხმოვნები დაიყო 5 ჯგუფად. ამა თუ იმ ჯგუფის ფონემებს შეუძლიათ მოსდევდნენ მათზე ნაკლები ნაპრალოვნობის სხვა ჯგუფის ფონემებს — ჩქამიერებში ჰომოგენურობის დაცვით, სონორებისთვის კი ეს შეზღუდვა არ არსებობს; მაგალითად, მე-5 ჯგუფის ნებისმიერი თანხმოვანი წინა ოთხი ჯგუფის ნებისმიერი თანხმოვნის მომდევნოდ შეიძლება შეგვხვდეს სიტყვის თავკიდურად.

ჩვენ გვქონდა წყვილები: ბზ-, ბყ-, ფს-, ფშ-, რომლებშიც გაერთიანებულია ხშული და C_2 ნაპრალოვანი.

გვქონდა წყვილები: ზღ-, ზლ-, სხ-, შხ-, რომლებშიც გაერთიანებულია C_2 და C_4 ჩქამიერი თანხმოვნები;

¹⁶³ მ. შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები..., გვ. 365.

¹⁶⁴ თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კლოთა კონსონანტიზმი...

გვექონდა წყვილები ღვ-, ღმ-; ხვ-, ხმ-, რომლებშიც გაერთიანებულია C_2 და C_1 ნაპრალოვნები და ბოლოს გვაქვს წყვილები ვნ-, ვლ-; მრ-, მნ-, რომლებშიც გაერთიანებულია სონორი ნაპრალოვნები ($C_1 + C_2$). შესაძლებელი არის ამ წყვილთა ან ცალკეულ ფონემათა გაერთიანება მზარდი ნაპრალოვნობით; მაგალითად; ფშხვ- (ფშხვენ), ზღვ- (ზღვა), სხვ-, ფლლ-, ფლმ-, ზღვრ-, ბუღვრ-, ფშხვნ- და სხვ.

თუ კომპლექსი იწყება ხშულით და მის შემდეგ მოდის ნაპრალოვანი თანხმოვნები, ფონემები ლაგდება მზარდი ნაპრალოვნობით, რომელიც ზემოთ წარმოდგინებულ სქემაზეა გამოხატული. მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსში შეიძლება მაქსიმუმ წარმოდგენილი იყო 5 თანხმოვანი, მაგალითად, ფშხვნა, ბუღვრიალი.

ასეთი კომპლექსიდან შეიძლება თანხმოვანთა ამოღება, შესაძლებელია რომელიმე წევრის მოკლება მარცხნიდან ან მარჯვნიდან, ოღონდ შეუძლებელია ნაპრალოვნობის რიგის არევა, ვთქვათ, სხვ- წარმოდგეს ხსვ- ან ვსხ-ს სახით¹⁶⁵. ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ დამავალი ნაპრალოვნობაცა და სხვა რიგის კომპლექსებიც ენისთვის ბუნებრივი არ არის (ზოგიერთ მათგანზე ქვემოთ სპეციალურად გვექნება მსჯელობა).


საბოლოოდ: სიტყვის თავკიდურად ქართული ენის ძირითად ფონემატურ თვისებად მიგვიჩნია კომპლექსთა მზარდი ნაპრალოვნობა.

მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსში მომდევნო ჩქამიერი წევრი ნაპრალოვნობით აღემატება წინას და მისი ჰომოგენურიც; მომდევნო სონორ წევრზე ჰომოგენურობით შეზღუდვა არ ვრცელდება. დიაგრამაზე ეს შეიძლება შემდეგნაირად გამოვხატოთ (იხ. გვ. 104).

C ნიშანი ხშულის სიმბოლოა, C° კი — ნაპრალოვანი თანხმოვნისა, რიცხვითი ინდექსები (2, 4, 1, 3) მიუთითებს თანხმოვნის კლასზე. დიაგრამის ცვლა შეიძლება წევრის/წევრების ამოღებით

¹⁶⁵ თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა კონსონანტიზმი... კრებულში მეტყველების ანალიზის საკითხები, 1969, გვ. 180.

კომპლექსი ჰომოგენურია |



არ იზღუდება ჰომოგენურობით

და უკიდურესი წევრის/წევრების ჩამოცოლებით მარჯვნიდან/მარცხნიდან: $C-C^0_2-C^0_1-C^0_3$, $C^0_2-C^0_4-C^0_1-C^0_3$, $C-C^0_2-C^0_4$,

$C-C^0_3$ და სხვა.

CC ცხრილი

	ბ	გ	კ	ღ	თ	ძ	ძ	ც	წ	ჩ	ხ	კ	გ	ქ	ც	ბ
ბ				-	+	-	+	-	-	+	-	+	+	-	-	-
გ				-	+	-	-	-	-	-	+	-	-	+	-	+
კ				-	-	-	-	-	-	+	-	-	-	-	+	-
ღ	-	-	-										+	-	-	-
თ	+	+	-										-	+	-	-
ძ	+	-	+										-	-	+	-
ძ	-	-	-										+	-	-	-
ც	+	+	-										-	+	-	-
წ	+	-	+										-	-	+	-
ჩ	-	-	-										+	-	-	-
ხ	+	-	-										-	+	-	-
კ	-	-	+										-	-	+	-
გ	+	-	-	+	-	-	+	-	-	-	-	-	-	-	-	-
ქ	+	+	-	-	-	-	-	+	-	-	-	-	-	-	-	-
ც	+	-	+	+	-	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბ	+	-	-	+	-	-	-	-	-	-	+	-	-	-	-	-

CC- ცხრილში შედის ნულოვანი ნაპრალოვნობის კომპლექსები, რადგან მათი ორივე კომპონენტი ხშირია. ცხრილის მიხედვით თეორიულად მოსალოდნელი 150 კომპლექსიდან რეალიზებულია 43 (ანგარიშში არ შედის 106 კომპლექსი, რომლებიც შედგენილია ერთი და იმავე კლასის თანხმონენებისაგან. ისინი ცხრილში ცარიელი ეჭრებით არიან წარმოდგენილი).

თუ დუბლეტებს ერთ კომპლექსზე დავიყვანთ (მაგალითად, ბთე ბთ-ს შემცველი ერთადერთი სიტყვაა და წარმოადგენს ფთე-ს დუბლეტს. ასევე გვაქვს ტბა/ტპა, ცბობა/ცფობა, ქბილი/ქფილი დუბლეტები), ხშირია წყვილწერილი კომბინაციები 40-ზე ნაკლები გამოდის, რაც შეადგენს მთელი შესაძლებლობის დაახლოებით მეოთხედს — 25%-ს, ამიტომ, მსგავსად C°C-ცხრილის კომპლექსებისა, CC-ცხრილის კომპლექსებსაც ვუწოდებთ ენის არაძირითადი მოდელის კომპლექსებს. ამათაც ახასიათებს მცირე რეალიზაცია კომპლექსის ფარგლებში, მაგალითად: ცბ-, ტბ-, ქბ-, ფქ-, კბ-, ჰპ- და ბეგრი სხვა მხოლოდ თითო ფორმაშია რეალიზებული. ამავე დროს ეს ფორმები დამახასიათებელია ცალკეული ქვესისტემებისთვის და არ წარმოადგენს მთელი ენის კუთვნილებას, ასე მაგალითად: გურული ჰპანვა „ჰუჰრუტანის ამოქოლვა“ და მთიულური ფჭიქა „ყველის მატლი“ სხვა დიალექტებში არ შეგვხვდება; ასევე პწიალი „პორწილი“ მხოლოდ გურულის კუთვნილებაა და ექსპრესიულ იერს ატარებს.

CC — ცხრილის ნულოვანი ნაპრალოვნობის კომპლექსები მეორეულია, რაც კარგად ჩანს ზმნათა ფორმებში, მაგალითად:

დგ- დეგ (დგომა, დგიმი, დგამი; შდრ. დავდეგ)

ცდ- ცედ/ცად (ცდა; შდრ. შევეცდ/თ. ვცადე)

ჭდ- ჭედ (ჭდომა; შდრ. ვჭედ)

ქდ- ქიდ (ქდობა, ქდომა; შდრ. მოექიდა)

ქც- ქეც (ქცევა; შდრ. მოექეც)

წბ- წვბ (წბილი)

ცბ- ცვბ¹⁶⁶ (ცბიერ)

საერთოდ, ზმნურ მორფემებში ხმოვნის დაკარგვა გრამატიკულ ფუნქციას ექვემდებარება და, ამდენად, ძირეულ ფონემატურ კანონზომიერებას არ უკავშირდება, თუმცა უთუოდ ახდენს გავლენას მასზე.

¹⁶⁶ Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, 1964, გვ. 195.

CC — ცხრილის ჩვენებაში სტრუქტურული თვალსაზრისით არსებითია, რომ (1) ენას არა აქვს ლაბიალურ და დენტალურ (C₁ და C₂ კლასის) ხშულთა კომბინაციები. დადასტურებული ბძ-, ბჭ-, ბჟ-, ფთ- ... მიღებულია სამწევრა კომპლექსების გამარტივებით (ბძ-<ბრძ-, ბჭ-<ბრჭ, ფთ-<ფრთ-...), ამ რიგის სამწევრა კომპლექსები თავის მხრივ რთული შედგენილობისაა (იხ. ქვემოთ); (2) სტრუქტურული თვალსაზრისით არსებითია ის ფაქტიც, რომ ძველ ქართულში არა გვაქვს ბ ა გ ი ს მ ი ე რ ი / წ ი ნ ა ე ნ ი ს მ ი ე რ ი ხ შ უ ლ ი + კ (ფჟ-, თჟ-, ცჟ-, ჩჟ-) და ისიც, რომ ეს კომპლექსები არ განვითარდნენ იმ დიალექტებში, სადაც დღემდე ფუნქციონირებს /ჟ/ (ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს მთიულური ფჟიქა („ყველის მატლი“), ამ კომპლექსთა არარსებობა მიგვივითბებს ბგ-, თჟ-, დგ-... რიგის (ბაგისმიერი/წინაენისმიერი ხშული+ველარული ხშული) კომპლექსების მეორეულობაზე. დგ-, შავალითად, ერთადერთ მორფემაში დასტურდება და ყველა ვითარებაში ივარაუდება დგგ გახმოვანებული მორფემის ვარიანტად გარკვეულ ფონოლოგიურ გარემოში. ხშულთა კომპლექსებში კომბინაციები რეალიზდება როგორც აქცესიური (გბ-, გდ-, გძ-, ქც-...), ისე დეცესიური (ბძ-, ბჭ-, ბჟ-, ფჟ-...) რიგით; როგორც ჰომოგენურ (გდ-, დგ-, ქც-, ცჟ-...), ისე ჰეტეროგენურ (თბ, ბთ-, კბ-, ბჟ-...) წყვილებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეორეული კომპლექსები სესხებან ან მორფოფონემატური ცვლის შედეგად მიღებული კომპლექსებია (არსებითად ზმოვნის დაკარგვითა და მორფემების შერწყმით).

ხშულთა კომპლექსების ან რომელიმე კომპლექსის ცალკეულ ხშულთან შეერთება, როგორც გვქონდა ეს ძირითადი მოდელის მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსებში, შეუძლებელია, მაგალითად. ბთ-, ბძ-,... ბგ-... კომპლექსებს სხვა ხშულს, მით უმეტეს ზრულთა კომპლექსს, ველარ შეფუერთებთ. სალიტერატურო ენაში არის ერთადერთი სამხშულიანი კომპლექსი ტკბ-, რომელსაც ენის ქვესისტემებში აქვს დუბლეტები ტკვ- და ტკმ-, მასთანადავ, მესამე ხშული ნაპრალოვან თანხმოვნად იცვალა და უარიყო სამხშულიანი კომპლექსი. ჭერ კიდევ ძველ ქართულში გაუჩნდა ტკბ-ს ნაპრალოვნაანი დუბლეთი — ტყბ- (შეიტყბო, შეიტყბნა და სხვ.). ამ თიხის წარმოქმნა სარკვევია.

დასავლურ დიალექტებში ოთხწევრა, რთული ბრწყ- კომპლექსიდან განვითარდა სამხშულიანი აწყ- კომპლექსი.

რა თქმა უნდა, ორ კომპლექსს არ შეუძლია რაიმე კანონზომიერების შექმნა, როდესაც ენაში ჯერ კიდევ გამოუყენებელი რჩება ხშულთა სამწევრა კომბინაციების ასეულობით შესაძლებლობები.

წყვეტილი ნაპრალოვნობის კომპლექსები. გვაქვს ერთი რიგის კომპლექსები, რომლებიც არ განგვიხილავს ზემოთ წარმოდგენილ ოთხ ცხრილში, რადგან წყვეტილი ნაპრალოვნობის კომპლექსების სტრუქტურა განსხვავდება ამ ცხრილებში წარმოდგენილი კომპლექსების ფონემატური სტრუქტურისაგან. აი ეს კომპლექსები: ბრძ- (ბრძენი, ბრძანება), ბრჯ- (ბრჯენა), ბრწყ- (ბრწყინავს), ბრღვ- (ბრღვენავს), ფრჩხ- (ფრჩხილი), წრფ- (წრფელი), ვრც- (ვრცელი) და სხვა.

ჩვენ ამათ ვუწოდებთ წყვეტილი ნაპრალოვნობის კომპლექსებს¹⁶⁷, რადგან ამ კომპლექსებში მზარდი ნაპრალოვნობა წადება ხშულით. ხშულს, რომელიც მზარდ ნაპრალოვნობას წყვეტს, შეაღება მოსდევდეს ერთი ან რამდენიმე თანხმოვანი. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, ეს ხშული საწყისი ხდება მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსისა, მაგალითად: ბრწყ-, ბრღვ-, ბრტყ-, ფრჩხ- კომპლექსებში დასაწყისის წყვილები (ბრ-, ფრ-) და ამავე კომპლექსთა მეორე ნახევრის ხშულით დაწყებული კომპლექსები (-წყ-, ღღვ-, ტყ-, -ჩხ-) მზარდი ნაპრალოვნობის მოდელის კომპლექსებია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თრთ-, წრწ-/ძრწ-, ურუ- ექსპრესიული კომპლექსებია და მათ აქ არ განვიხილავთ, რადგან ექსპრესიული კომპლექსები ფონემატურ კანონზომიერებებს არ ემორჩილება.

რაც შეეხება ბრტყ-, ბრღვ- ... ტიპის წყვეტილი ნაპრალოვნობის კომპლექსებს, ისინი რთული შედგენილობის ჩანს ისტორიულად, შედეგი მორფემათა შერწყმისა. შემდეგ კი განიცადეს მთელი რიგი მორფოფონემატური ცვლილებები, რაც დღემდე გრძელდება და საკმაოდ ჰრელი სურათი იქმნება ქართული ენის ქვესისტემებში.

თ. გამყრელიძე და გ. მაქავარიანი იძლევიან ამ ისტორიულად რთული კომპლექსების გრძელ სიას:

* ფერ-თ[ხ] > . . . ფრთხ-ილ-ი

¹⁶⁷ თ. უთურგაიძე. ქართული ენის მთის კლთა კონსონანტიზმი..., გვ. 180.

- *კერ-თ > კრთ-ა
- *წერ-ფ > წრფ-ელ-ი
- *გერ-ძ > გრძ-ელ-ი
- *ბერ-ცხ > ფრცხ-ილ-ი
- *უერ-ც > ვრც-ელ-ი
- *ჩერ-დ > ჩრდ-ილ¹⁶⁸

ჩვენი ვარაუდით, ამ რთულ მორფემებს ზმოვნების დაკარგვა შეეძლოთ ზმნურ ფუძეში, ე. ი. ზმოვნის დაკარგვას წინ უძლოდა მორფემების შერწყმა. ამ მორფოფონემატურ ცვლილებას შედეგად მოჰყვა ენის ძირითადი ფონემატური სტრუქტურით დაუშვებელი კომპლექსების გაჩენა სიტყვის დასაწყისში და, ბუნებრივია, მოსალოდნელი იყო ნაირ-ნაირი დუბლეტების გაჩენა, მართლაც, ქართული ენის ქვესისტემებში შევხვდებით ასეთ პარალელურ ფორმებს: ვ რ ც ე ლ ი/ვ ც ე ლ ი, ბ რ დ ღ ვ ნ ა/ბ დ ღ ვ ნ ა, ფ რ ჩ ხ ი ლ ი/ფ რ ჩ ხ ი ლ ი/მ რ ჩ ხ ი ლ ი, ფ რ ჩ ვ ნ ა/ფ შ ხ ვ ნ ა, პ რ ტ ყ ე ლ ი/მ ტ ყ ე ლ ი/პ ტ ყ ე ლ ი/ტ ყ ე ლ ი, ფ რ თ ხ ი ა ლ ი/ფ თ ხ ი ა ლ ი/თ ხ რ ი ა ლ ი და სხვ. ამათ გვერდით გვაქვს ანაპტიქსური ზმოვნისანი ფორმებიც, ბ რ კ ო ლ ა/ბ ი რ კ ო ლ ა, ფ რ ჩ ხ ი ლ ი/ფ ი რ ჩ ხ ი ლ ი, ჩ რ დ ი ლ ი/ჩ ი რ დ ი ლ ი, გ რ კ ა ლ ი/გ ი რ კ ა ლ ი, გ რ წ ყ ი ლ ი/გ ი რ წ ყ ი ლ ი და სხვ.

ჩვენ ეს ფონეტიკური ცვლილებები მიგვაჩნია ენის ძირითადი ფონემატური სისტემის ზემოქმედების შედეგად (იხ. ქვემოთ).

ინტერვოკალური კონსონანტური კომპლექსები. V—V პიზიცი-
აში ქართულში შეიძლება შეგვხვდეს წყვილი თანხმოვნის ნებისმიერი კომბინაცია. როგორც საკუთარ, ისე ნასესხებ ლექსიკაში ორკომპონენტისანი კომპლექსი ინტერვოკალურ პიზიციაში ცვლილებას არ განიცდის, რადგან მარცვლის გამყარი ამ თანხმოვნებს შორის გაივლას. ამ მიზეზით სხვადასხვა ფორმებში და ნარედუქციულ ფუძეებში თრ ზმოვანს შორის შევხვდებით ისეთ კომპლექსებს, რომლებიც არასოდეს შეგვხვდებოდა თავკიდურად და სიტყვის ბოლოს, ანდა რომელსამე პიზიციაში ამათგან; მაგალითად: საპალნე, მელან-მელნის, ბალან-ბალნის; კარნავალი, მარან-მარნის ... ქართულში ღნ საერთოდ არ გვხვდება სიტყვის თავკიდურად და ბოლოში: ნრ არა გვაქვს თავკიდურად, სიტყვის ბოლოს კი ერთადერთ სიტყვაში — ნასესხებ ჟანრ-ში გვხვდება.

¹⁶⁸ თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართულურ ენებში, 1965, გვ. 310.

სპარსულ ზ ა ჰ რ უ მ ა ფორმაში ორ ხმოვანს შორის კარ-
ვად გრძნობს თავს -ჰრ- კომპლექსი, რომელსაც ვერც თავიიდუ-
ჩად შევხვდებით და ვერც სიტყვის ბოლოს.

V—V პოზიციის თანხმოვანთა კომპლექსები ენაში უნდა აკმა-
ყოფილებდეს მარცვლის მოთხოვნებს, ე. ი. უნდა იშლებოდეს ისე,
რომ წინა მარცვლის იმპლოზია და მომდევნო მარცვლის ექსპლო-
ზია აკმაყოფილებდეს ენაში მოქმედ დისტრობუციულ წესებს, ანუ
ენას ფონემატური სისტემის მოთხოვნილებებს.

აეილოთ მ ა რ ნ ის ფორმა. მ ა რ ნ -ის სახით დამარცვლა
გაუმართლებელია, რადგან ცნობილი უნივერსალის საფუძველზე
ორ ჩმოვანს შორის მოქცეული თანხმოვანი ეკუთვნის მომდევნო
ხმოვანს (იხ. ქვემოთ) ... ასევე მიუღებელია მ ა რ ნ ის სახით დამარ-
ცვლა, რადგან რ ნ - კომპლექსი, როგორც ნ რ -, სიტყვის თავი-
დურად ქართულმა არ იცის. ერთადერთი უმტკივნეულო და სწო-
რი დამარცვლაა მ ა რ -ნ ის, რაც გამართლებულია იმით, რომ პირვე-
ლი მარცვლის იმპლოზიას წარმოადგენს -/რ/; ქართულში კი სიტყ-
ვის ბოლო ხმოვანს შეიძლება მოსდევდეს /რ/ (ფარ, ქარ... კარდა-
ქარ), ასევე სიტყვა შეიძლება იწყებოდეს პრეფოკალური /ნ/-თი
(ნება, ნადი...).

იმის გამო, რომ ქართულში შესაძლებე-
ლია სიტყვა თავდებოდეს პოსტვოკალური
ნებისმიერი თანხმოვნით და იწყებოდეს პრე-
ვოკალური ნებისმიერი თანხმოვნით, V—V პო-
ზიციაში დაშვებულია ნებისმიერი ორი თან-
ხმოვანი ნებისმიერი კომბინაციით. ეს წესი
გაგრძელდება ისეთ თანხმოვანთა კომპლექსებზეც. სადაც მეორე
კომპონენტი არის /ვ/, ხოლო ბოლო ხმოვანი არის /უ/ ან /რ/,
მაგალითად: /თაგური/ და /თაგობა/. ასეთი კომპლექსი ქართულ-
ში იქმნება მხოლოდ მორფემათა საზღვარზე და იმის გამო, რომ
/გვ/ უთუოდ იყოფა ხმოვნებს შორის და /ვ/ ხვდება /უ/-ს წინ,
/ვ/ იკარგება. წინააღმდეგ შემთხვევაში /ვ/ არ დაიკარგებოდა.

რაც შეეხება სამ- და მეტაკომპონენტიან თანხმოვანთა კომპლექ-
სებს ინტერვოკალურ პოზიციაში, დამარცვლის კანონზომიერებებს,
რა თქმა უნდა, ისინიც უნდა აკმაყოფილებდნენ; მაგალითად: მერ-
ცხალი, მარწყვი... აქ ორსავე ფორმაში მარცვალთა გამყარი გაივ-
ლის /რ/ სონორის შემდეგ, რაც დააკმაყოფილებს როგორც წინა
მარცვლის იმპლოზიას, ისე მომდევნო მარცვლის ექსპლოზიას
(მერ-ცხა-ლი, მარ-წყვი):/რ/ შეიძლება მოსდევდეს სიტყვის ბოლო

ხმოვანს და ამთავრებდეს სიტყვას, ასევე სიტყვები შეიძლება იწყებოდეს /ცხ-/ და წყვ-/ კომპლექსებით.

არის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ფორმაში მორფემათა საზღვარზე ან ნასესხებ სიტყვაში თავს იყრის თანხმოვანთა ისეთი კომპლექსები, რომელთა განაწილება ვერც ერთი ვარიანტით ვერ დააკმაყოფილებს ენისთვის დამახასიათებელ დისტრიბუციულ კანონზომიერებებს; მაგალითად: ლ ა ნ დ შ ა ფ ტ ი, მ ა ს შ ტ ა ბ ი, კ ე დ ე ლ ს ზ ე, კ ე დ ე ლ ს შ ი (შდრ. მასზე, მასში). აქ თანხმოვანთა ყოველნაირი განაწილება ორ /ა/-სა და ორ /ე/-ს შორის არღვევს ქართული ენის ძირითად სინტაგმატურ კანონზომიერებებს, რომლებიც ზემოთ დავადგინეთ. ამიტომ ენაში ხორციელდება სათანადო ცვლილებები: კომპლექსები მარტივდება — ლანდშაფტი წარმოითქმის როგორც [ლანშაფტი], მასშტაბი — როგორც [მამშტაბი], კედელსზე და კედელსში ხომ გამარტივების შედეგად ითქმება და იწერება როგორც კედელზე, კედელში; ამ საკითხებზე მსჯელობა გვექნება ქვემოთაც (იხ. ქვეთავები მარცვლისა და სახელთა ფუძეების კუმშვის შესახებ).

რა თქმა უნდა, სხვა კოდთან შეგუება განაპირობებს ლანდშაფტისა და მასშტაბის ისე წარმოთქმას, როგორც გამსესხებულ ენაშია.

თანხმოვანთა კომპლექსეში სიტყვის ბოლოს. აუსლაუტის თანხმოვანთა კომპლექსები პოზიციის თვალსაზრისით ნაწილობრივ მსგავსებას პოულობს ანლაუტის კომპლექსებთან: ორსავე შემთხვევაში კომპლექსები მოთავსებულია ხმოვანსა და პაუზას შორის, თუმცა შებრუნებული რიგით (ანლაუტში გვაქვს პოზიცია #—v, აუსლაუტში, პირიქით, v—#), მაგრამ მსგავსება მიიწინებს არის: კომპლექსი მხოლოდ ცალი მხრით არის ხმოვნით შემოსაზღვრული. ამ მსგავსებამ შესაძლებელია განაპირობოს ამ ორი პოზიციის კომპლექსთა გარკვეული მსგავსებაც შედგენილობის მიხედვით.

უპირველეს ყოვლისა, დგება კითხვა: რამდენად გავრცელებულია თავკიდურა პოზიციის ძირითადი მოდელის (ე. ი. მზარდი ნაპრალოვნობის) კომპლექსები სიტყვის ბოლოში, პაუზის წინ, და როგორი რეალიზაცია ახასიათებს ამავე პოზიციის არაძირითადი მოდელების (დამავალი და ნულოვანი ნაპრალოვნობის) კომპლექსებს?

მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსები სრულად რეალიზდება v-# პოზიციაში. ქართულ ენაში

სიტყვები ჩვეულებრივ ბოლოვდება -ბლ, -ლლ, -ზლ, -ულ, -ვლ, -ზრ, -ზლ... -ფხ, -თხ, -სხ, -შხ, -ფრ, -თრ, -სლ, -შლ, -ურ, -სნ, -ზნ, -შნ, -ხლ, -ხრ, -ლლ, -ლრ, -წყ, -კყ, და მზარდი ნაპრალოვნობის მოდელის სხვა კომპლექსებზე, რაც ერთხელ კიდევ გვიდასტურებს იმას, რომ მზარდი ნაპრალოვნობის მოდელი ქართული ენის თანზომიერანთა კომპლექსებისათვის ძირითადია.

რაც შეეხება არაძირითადი მოდელის კომპლექსთა რეალიზაციას, აქ თვალში საცემია მათი ნაკლებობა ამ პოზიციაში. ვნახოთ ცალ-ცალკე.

(ა) ნულოვანი ნაპრალოვნობის (CC მოდელის) კომპლექსთა რეალიზაცია სიტყვის ბოლოს შევამოწმოთ, მაგალითად, თავკიდურად დადასტურებული კომპლექსების მიხედვით. თავკიდურად დადასტურებული 40 კომპლექსიდან არ გვხვდება 50%-ზე მეტი, კერძოდ: -ტბ, -ჩბ-, -ქბ, -კბ, -კბ/-ხბ, -თფ, -თბ, -ცფ, -ქფ, -ტპ, -წპ, -ბპ-, -ბთ, -გლ, -კლ/-ხლ, -ბძ, -გძ, -გბ, -ბგ, -ღგ, -ქჩ, -ფჩ.

ხშულთა კომბინაციების რეალიზაციის სიტყვის დასაწყისში არსებული ვითარება უფრო მკვეთრად წარმოჩნდა სიტყვის ბოლოს: კომპლექსებს რეალიზაცია თითქმის არა აქვს და, რაც არის, არსებითად ცალკეული ქვესისტემების კუთვნილებას წარმოადგენს და არა საერთოდ ქართული ენისა. კომპლექსები შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ნასესხები ლექსიკით. ამ თვალსაზრისით განვიხილოთ ზოგიერთი კომპლექსი: (1) -ცბ, -წბ, -კლ და -ბჭ კომპლექსთაგან თითოეული წარმოდგენილია თითო სიტყვაში: -ცბ (უცბი), -წბ (ქარწბი), -კლ (კაკლი) და -ბჭ (ნაბჭი). ამათგან უცბი ბესიკ გაბაშვილს უხმარია უცების-ნაცვლად (იხ. ქეგლი) და ლექსის მოთხოვნის მიხედვით შექმნილი ხელოვნური ფორმაა. ქარწბი ქეგლში დამოწმებულია რ. ერისთავის მიხედვით. სიტყვა შედგენილი ჩანს და თანამედროვე ქართულში თითქმის უცნობია, წიგნის გზითა შემორჩენია ლიტერატურულ ენას. კაკლი მოხეური დიალექტის კუთვნილებაა („თოვლზე საცურაო ფიცრები“). გამორიცხული არ არის მისი ნასესხობა ნახურიდან (ჩაჩხურ-ინგუშურიდან). ძირეული ჩანს კაკ (შღრ. ბატბ. ქოკ და ჩაჩნ. ქოგ „ფეხი“ და თუშური დიალექტის ქოკები „ციგურები“), ამდენად, კაკლ(ი) ნახურშია საძებნი. ნაბჭი რაჭული დიალექტის კუთვნილებაა.

საყურადღებოა, რომ -ფთ დასტურდება ოთხ სიტყვაში და ოთხივე ნასესხებია: აფთ-ი თურქული წარმომავლობისაა (იხ.

დ. ჩ უ პ ი ნ ა შ ვ ი ლ ი) მუფთი-ი, ბაფთი-ი, ჯუფთი-ი არაბული წარ-
მომავლობის სიტყვებია (იხ. ქეგლა); ასევე -ტჩ მხოლოდ ნასეს-
ნები სიტყვების ბოლოს გვხვდება: მატჩი-ი, სკეტჩი-ი, პუტჩი-ი.

რაც შეეხება დამავალი ნაპრალოვნობის მოდელის რეალიზა-
ციას. აქაც პირველად გვაქვს კომპლექსები, რომლებიც, მსგავსად
თავიკიდურისა, არ გვხვდება v — # პოზიციაში, კერძოდ, სრულ-
ღებით არ არის რეალიზებული დამავალი ნაპრალოვნობის შემდე-
გი კომპლექსები: -ზბ, -ზფ, -ყბ, -ყფ, -რფ, -შფ, -რჟ, -ლჟ, -სქ,
-ლშ. -ლძ, -ვძ, -ვწ და სხვ.

დამავალი ნაპრალოვნობის მოდელიდან შედარებით სრული
რეალიზაცია აქვთ იმ კომპლექსებს, რომელთაც სონორი ურევია.
ამ ლექსიკიდან ბევრია ნასესხები, რაც, ჩვენი აზრით, მოითხოვს
სპეციალურ შესწავლას, რის შემდეგაც ფონემატური დებულებები
ამ ნაწილში უფრო დამაჯერებელი გახდება. არსებული ლიტერატურ-
ის მიხედვით ქვემოთ მივუთითებთ ნასესხებ ლექსიკაზე, რომელ-
შიც დამავალი ნაპრალოვნობის კომპლექსებში სიტყვის ბოლოს სო-
ნორია წარმოდგენილი:

- ნდ: ფალავანდი-ი (სპ.), გუნდი-ი (სპ.), იაგუნდი-ი (სპ.) ყანდი-
ი (სპ.) შარავანდი-ი (სპ.), ხათბანდი-ი (სპ.), ქარაბანდი-ი (სპ.)
ამინდი-ი (ოს.) ქამანი-ი (სპ.);
- ნძ: სპილენძი-ი (სპ.), განძი-ი (სპ.);
- ნჯ: ტანჯი-ი (სპ.), უნჯი-ი (სპ.), ბრინჯი-ი (სპ.), ოხუნჯი-ი (აზერბ.), ნა-
რინჯი-ი (თურქ.), თურინჯი-ი (თურქ.), ფუნჯი-ი (სომხ.).
- ნგ: დანგი-ი (სპ.), ნიანგი-ი (სპ.), სარანგი-ი (სპ.), ჭანგი-ი (სპ.) ჰანგი-
ი (სპ.), თუნგი-ი (სპ.), ზანგი-ი (სპ.), პერანგი-ი (სპ.).
- ნყ: მანყი-ი (სპ.)
- ნყ: ქანყი-ი (სპ.)
- ნჩ: ქანჩი-ი (თურქ.), ყანჩი-ი (თურქ.)
- რთ: ეუართი-ი (სპ.), წარმართი-ი (სპ.), ფართი-ი (სპ.), კართი-ი (სომხ.),
ჩორთი-ი (თურქ.).
- რგ: ბარგი-ი (სპ.).
- რდ: ფარდი-ი (სპ.), ნარდი-ი (სპ.), ვარდი-ი (სპ.), ღუქარდი-ი (სპ.),
ქურდი-ი (სპ.), ლაქვარდი-ი (სპ.), ჯომარდი-ი (სპ.), დარდი-
ი (სპ.), მარდი-ი (სპ.), შეგიardi-ი (სპ.).
- რჯ: ხარჯი-ი (არაბ.), გურჯი-ი (თურქ.).
- რჩ: ჯავაირჩი-ი (თურქ.), ჩარჩი-ი (თურქ.), ჯარჩი-ი (თურქ.).
- რკ: ხარკი-ი (არაბ.)
- რხ: ჩარხი-ი/ჩალხი-ი (სპ.)

- რზ: გურზ-ი (სპარს.).
- რპ: კერპ-ი (სპარს.).
- რძ: კერძ-ი (სპ.), ანდერძ-ი (სპ.), ვერძ-ი (სპ.).
- რთ: კირთ-ი (სპ.), ჳკრთ-ი (სპ.).
- რს: ქარს-ი (არაბ.), ქურს-ი (არაბ.)
- რფ: შარფ-ი (ფრანგ.)
- რქ: ქურქი (თურქ.), ჩირქ-ი (სპ.).
- რბ: ხარბ-ი (სპ.), ჳარბ-ი (სპ.).
- რც: ბურც-ი (სპ.), ხორც-ი (სეკ. აღან.).
- ლტ: კოლტ-ი (ოს.).
- ლქ: ოლქ-ი (თურქ.)
- ლხ: ხალხ-ი (არაბ.)
- ვთ: ნავთ-ი (სპ.), ნივთ-ი (სომხ.), ზავთ-ი (არაბ.).
- ვზ კოვზ-ი (სპ.), ჳავზ-ი (სპ.).
- ლფ: ზილფ-ი (სპ.).
- ლყ: ყალყ-ი (არაბ.)

რამდენიმე მაგალითი ჩქამიერთაგან შედგენილი დამავალი ნაპრალოვნობის კომპლექსებისათვის ნასესხებ ლექსიკაში სიტყვის ბოლოს: კუბასტ-ი (სპ.), ვაშტ-ი (სპ.), მიზღ-ი (სპ.), ანაზღ-ი (სპ.), მუშტ-ი (სპ.), ლახტ-ი (სპ.), ტახტ-ი (სპ.), კოშკ-ი (სპ.), პარტახტ-ი (სპ.), ზურმუხტ-ი (სპ.), ჳიჳნაუხტ-ი (სპ.) ოხტ-ი (არაბ.), ვახშ-ი (სპ.), პიტიახში (სპ.), ნაღღ-ი (არაბ.).

აქ ჩამოთვლილ სიტყვებში v — # პოზიციაში წარმოდგენილია დამავალი ნაპრალოვნობის შემდეგი კომპლექსები: -სტ, -შტ, -ზღ, -ხტ, -შკ, -ხშ- და -ღღ. ამათგან -ღღ ქართულში არაბული წარმომავლობის ამ ერთადერთ სიტყვაში დასტურდება მხოლოდ.

ნასესხებ ლექსიკაში ძირითადი მოდელის კომპლექსებიც გვაქვს (ნავალითად, არაბ.: ა დ ლ -ი, ბ ა ს რ -ი, სპარსული ჳ ა ვ რ -ი და სხვ.), მაგრამ ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ვითარებიდან არსებითია შემდეგი ფაქტები: (1) დამავალი ნაპრალოვნობის კომპლექსთა ხაკმაოდ დიდი ნაწილი არ რეალხდება სიტყვის ბოლოს და (2) ხშირად, რაც არის. ისიც მხოლოდ ნასესხებ ლექსიკაშია, როგორც, მაგალითად, -ლწ (ბილწ-ი), -ლყ (ყალყ-ი), -ლც (ვალც-ი, ფალც-ი) და სხვ. ეს ორი ფაქტი ენის ერთსა და იმავე თვისებაზე მიუთითებს, რადგან კომპლექსთა რეალიზაცია მხოლოდ ნასესხებ ლექსიკაში ნიშნავს იმას, რომ თვით ენას სტრუქტურული თვალსაზრისით ეს კომპლექსები არ გააჩნია (ამ რიგის კომპლექსთაგან ბევრი

ბომ საერთოდ არ იყო წარმოდგენილი არც საკუთარ და არც ნასესხებ ლექსიკაში!). ეს ორი ფაქტი, მაშასადამე, ენის სინტაგმატურ სტრუქტურას გვიხასიათებს.

ბოლოს საჭიროდ მიგვაჩნია, მიუვითითოთ ამავე რიგის კომპლექსებზე, რომლებიც ენაში გაჩნდნენ მორფოფონემატური ცვლილებების შედეგად. მაგალითად: ს- და თ მორფემების შეხორცებით ზმნის თავკიდურად მივიღეთ კომპლექსი სთ- (ს თ უ ა/ს თ ვ ა), რომელიც მიმღეობაში იქცევა ბოლოკიდურად: ნასთ-ი. ამ კომპლექსმა ქართული ენის ქვესისტემებში ორსავე პოზიციაში, როგორც მოსალოდნელი იყო, განიცადა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ: (1) ს/რ პროცესის შედეგად ს თ ვ ა/რ თ ვ ა და შესაბამისად — ნ ა ს - თ ი/ნ ა რ თ ი-ი; (2) სთ/ზდ: ზდვა (თუშ.) და აქედან მიმღეობა ნა-ზდ-ი. ზდება მიმღეობათა სუბსტანტივაცია და ქართულში გაჩნდა არსებითი სახელები, რომლებიც ბოლოვდება -სთ, -ზდ-, -რთ კომპლექსებით (ნასთ-ი, ნაზდ-ი, ნართ-ი) და თითქმის წაიშალა კვალი ქველი ვითარებისა. აღნიშნულ სიტყვებში, მაშასადამე, ეს კომპლექსები მუდარეულია და მკაფიოდ გვიჩვენებენ ენის ფონემატურ ცვლილების გზას მორფოლოგიური გარდაქმნების შეხებით.

ზემოთ განვიხილეთ თანხმოვანთა კომპლექსები სამ პოზიციაში (#-V, V-V და V-#).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ერთი საერთო წესი არ უყალიბდება თანხმოვანთა კომპლექსებს სიტყვის თავკიდურად და ბოლოში¹⁶⁹, რომ სიტყვის ბოლოკიდურა კომპლექსები არსებითად წარმოდგენენ თავკიდურა კომპლექსების სარკისებურ ასახვას¹⁷⁰.

ჩვენი მასალის მიხედვით, როგორც ზემოთ ვნახეთ, თავკიდურადაც და ბოლოკიდურადაც ძირითადია მზარდი ნაპრალოვნობის მოდელის კომპლექსები. ინტერკონსონანტურ პოზიციაში კი თანხმოვნები ისე უნდა ნაწილდებოდეს მარცვლებში, რომ მარცვალთა იმპლოზიასა და ექსპლოზიაში არ მოხედეს არაძირითადი მოდელის (წელოვანი და დამავალი ნაპრალოვნობის) კომპლექსები.

169 Дж. Гринберг, Некоторые обобщения, касающиеся возможных начальных и конечных последовательностей согласных, ВЯ, № 4, 1964, зб. 45.

170 Е. Курнилович, Очерки по лингвистике, 1962, зб. 34; В. И. Перебийнос, Количественные и качественные характеристики системы фонем современного украинского литературного языка (автореферат... 1970), зб. 37.

სტრუქტურული თვალსაზრისით ფონეტიკური ცვლილებები ორი ბასიათისაა: (1) ცვლილება, რომელიც არ ეხება სტრუქტურას, ე. ი. ცვლილება ხდება ძირითადი მოდელის /მოდელების ფარგლებში; მაგალითად: ეინი/ჯინი, ეანგი/ჯანგი, კესი/კეზი, სხვენი/ზღვენი, სხვა/ცხვა, შხამა/სხამა და სხვ.

აქ წარმოდგენილ დუბლეტებში ენის სინტაგმატური სტრუქტურის კანონზომიერებათა თვალსაზრისით არავითარი ცვლილება არ მომხდარა, რადგან თითოეული ვარიანტი ერთნაირად ხასიათდება ზოგადი სინტაგმატური მოდელის თვალსაზრისით (ხმოვნის წინ დაშვებულია როგორც მკლერი, ისე ყრუ თანხმოვანი და სხვ.); (2) ფონეტიკური ცვლილება თანხმოვანთა კომპლექსში ხშირად სტრუქტურულ ხასიათს ატარებს, ე. ი. იცვლება თანხმოვანთა განაწილების მოდელი; მაგალითად: კბილი/კვილი. კბ- ნულოვანი ნაპრალოვნობის მოდელის კომპლექსია, კვ- კი — მზარდი ნაპრალოვნობის და სხვ.

ჩვენთვის არსებითია სტრუქტურულ ცვლილებათა მიმართულების დადგენა და საერთოდ გარკვევა იმ მიზეზებისა, რომლებიც ენას აყენებენ ფონეტიკური ცვლილების წინაშე.

ყველა ენას აქვს ფონემათა განაწილების საკუთარი წესები. ამიტომ არის, რომ ერთნაირი ფონემური ინვენტარის მქონე ენები არსებითად განსხვავდებიან ერთიმეორისგან ფონემათა განაწილების სინტაგმატური კანონზომიერებით. ეს ის კანონზომიერებებია, რომელთაც ე. სეპირი უწოდებს „შინაგან“, ანუ „იდეალურ“ სისტემას. ე. სეპირი სრულიად სამართლიანად უარყოფს არტიკულაციის შესახებუქების ტენდენციას ენებში, რადგან ერთისთვის ადვილი მეორისთვის რთულია და პირიქით¹⁷¹.

არსებითია ის, რომ ენები ხასიათდება ფონემათა შეზამების გარკვეული კანონზომიერებებით, რომელიც ხასიათდება სიმკაცრით, იცვლება ძალიან ნელა და რეალიზაცია დამახასიათებელი კომპლექსებისა სრულებითაც არ წარმოადგენს რაიმე სიძნელეს მეტყველთა თვალსაზრისით.

ასეთი მიდგომით გარკვეულად ექვის ქვეშ დგება უმცირესი ძალის ხმევის, ანუ ეკონომიის პრინციპის მოქმედება სინტაგმატურ კანონზომიერებებში. ჯერ კიდევ ფ. დე. ს. ო. ს. ი. უ. რ. ი. მიუთითებდა,

¹⁷¹ Э. Сепир, Язык, 1934, стр. 144.

რომ უმცირესი ძალის ხმევის კანონი ვერ აგვიხსნის ფონეტიკურ ცვლილებებს. რადგან, რა მოვლენაც არ უნდა ავიღოთ, შეგვიძლია ენაში მისი შებრუნებული ხასიათის მოვლენაც დაეადასტუროთ¹⁷². ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქ ეკონომია არაფერ შუაშია: Фонетически едва ли возможно определить в отношении каждого языка, что является более легким для произнесения, что более трудным...¹⁷³ აზნ გამოიწვია ის პესიმიზმი, რასაც ფ. სოსიური იჩენს ფონეტიკურ ცვლილებათა მიზეზებისა და მიმართულების დადგენის საქმეში. თავიდათვი მიზეზი კი ასეთი აზრის ჩამოყალიბებისა იყო ენობრივი ნიშნის ნებისმიერობა, მისი დამოუკიდებლობა მნიშვნელობისაგან: „Кто пожелает выяснить эффект фонетических изменений, легко убедится, что он безграничен и неисчислим, иначе говоря, невозможно предвидеть, где остановится действие этих изменений. Было бы ребячеством думать, что слово может видоизмениться лишь до определенного предела, как будто бы в нем есть нечто оберегающее его от дальнейших превращений. Это свойство фонетических изменений обусловлено произвольностью языкового знака, ничем не связанного со значением“¹⁷⁴ ფ. სოსიურის შემდეგ ლ. ბლუმფილდსაც მიაჩნია, რომ ბგერათცვლილებების მიზეზი უცნობია¹⁷⁵.

ა. მარტინე ვარაუდობს, რომ ბგერათა ცვლილებები არ არის „ბრმა“ და ცვლილებათა მიზეზები შეიძლება დადგინდეს სტრუქტურული ლინგვისტიკის მეთოდებით¹⁷⁶, რის ჩვენებასაც ის კარგად ახეარებს პარადიგმატულ სისტემაში¹⁷⁷, მაგრამ სინტაგმატურ მიმართებულთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი ფონეტიკური ცვლილებების შესახებ, რასაც აღნიშნავენ კიდევ საენათმეცნიერო ლიტერატურაში¹⁷⁸.

¹⁷² Ф. де Соссюр, Курс общей лингвистики, 1933, гл. 141.

¹⁷³ იქვე. გვ. 143.

¹⁷⁴ იქვე.

¹⁷⁵ Л. Блумфильд, Язык, 1968, об. XX და XXI თავები.

¹⁷⁶ A. Martinet, *French structure and change*. „Word“, v. 8. N 1. 1952.

¹⁷⁷ A. Martinet, *Принцип экономии в фонетических изменениях*, 1960, об., მაგალითად, III, § 21.

¹⁷⁸ об., მაგალითად. В. Звегинцев, *Структуральная лингвистика и теория экономии А. Мартина* (შესავალი წერილი ა. მარტინეს ზემოთ დასახელებული წიგნის რუსული თარგმანისა).

ეკონომიის კანონი სინტაგმატურ ცვლილებებში მიუღებელი ჩანს პ. ფოტისთვისაც¹⁷⁹.

მაშ ასე, რა არის ფონეტიკურ ცვლილებათა მიზეზი, აქვს თუ არა მას განსაზღვრული მიმართულება და ცვლილების საზღვრები?

ენობრივი ნიშნის ნებისმიერობა, როგორც გაირკვა, ვერ გახდება საფუძველი ფ. დე სოსიურის ზემოთ წარმოდგენილი ვარაუდისა, რადგან ენობრივი ნიშანი, როგორც ნებისმიერი სემიოტიკური სისტემის ნიშანი, უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ აღმნიშვნელისა და აღსანიშნის დამოკიდებულებით, არამედ ნიშნის სხვა ნიშნებთან მიმართების თვალსაზრისითაც როგორც აღმნიშვნელის, ისე აღსანიშნის დონეზე, რაც გარკვეულად განაპირობებს ფონეტიკურ ცვლილებათა მიმართულებას¹⁸⁰.

იმის გამო, რომ აღმნიშვნელთა მიმართებები მოტივირებულია, არ შეიძლება ვილაპარაკოთ ფონეტიკურ ცვლილებათა განუპირობებლობაზე და შეუზღუდველ ხასიათზე: „Принцип мотивированности отношений между означаемыми накладывает определенные ограничения на фонетические изменения знаков...“¹⁸¹

ჩვენ უთუოდ უნდა დავუშვათ, რომ ენებს აქვთ ფონემათა შეერთების ძირითადი სინტაგმატური მოდელები, რომლებიც არეგულირებს ფონემათა განაწილებას სიტყვებში. ეს მოდელები ფონემატურია. ენებს აქვთ მორფოლოგიური დონის მოდელებიც მორფემათა არანეირების საკუთარი წესებით. არც თუ ისე იშვიათად ამ ორი საფეხურის (ფონემატურისა და მორფოლოგიურის) მოდელები ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნას უყენებენ სიტყვის უორმას; ასე მაგალითად, ქართულ ენაში ობიექტური II პირის ნიშანი გ- პრეფიქსია და თანხმოვნით დაწყებულ ზმნის ძირეულ მორფემას, როგორც წესი, წინ უსწრებს: გ-ც-ემ-ს, გ-ქელ-ავ-ს, გ-წონ-ი-ს, გ-კლ-ავ-ს და სხვ. ამ დროს მორფემის ფარგლებში არა ვვაქვს არც ერთი შემთხვევა სიტყვის თავკიდურად ან ბოლოში გვ, გქ, გწ, გკ კომპლექსების რეალიზაციისა.

მორფოლოგიურ ელემენტთა ზოგადი მიმართებები შეიძლება განსხვავებული იყოს მეტყველების ნაწილთა მიხედვით, კერძოდ, არა ვვაქვს არც ერთი სახელი, რომელიც ჭდ- კომპლექსით იწყე-

¹⁷⁹ H. V o g t. Phoneme classes and phoneme classification. „Word“, v. 10, № 1, 1954, გვ. 29.

¹⁸⁰ Т. В. Г а м к р е л и д з е, К проблеме «произвольности» языкового знака, ВЯ, № 6, 1972.

¹⁸¹ ი ქ ე ე, გვ. 37₁₈.

ბა. მაგრამ ვეაქვს ზნინა ფორმა ჯდება, რომლის ჯდ დაკავშირებულია ჯედ მორფემასთან. სახელში შესაძლებელია /ჟ/ და /ღ/ ამ პოზიციაში მხოლოდ ხმოვნით გაყოფილი შეგვხვდეს, მაგალითად: ჯადა (ქართლ.), ჯადაგირი (რაჭ.), ჯადავარი (გურ.)¹⁸². ასევე ზნინაში გვაქვს ჯდ- (კდების, მთის კილოები), რომელიც ჯედ მორფემასთან არის დაკავშირებული. სახელში კი მსგავსი რამ არა ვეაქვს და სხვ. მაშასადამე, მორფოლოგიური კანონზომიერებები ზნინასთან და სახელთან განსხვავებულია და შესაბამისად განსხვავებულია მორფოლოგიური ცვლილებებიც მეტყველების ნაწილთა ამ ორ სახეობაში.

ქედ > ჯდ (ვ-ჯედ. ჯდ-ა) ცვლილება მორფოლოგიურია და სიტყვაში თავს ეხვევა ფონემატურ მოდელს, რომელმაც აქამდე არ იცოდა ჯდ- თანამიმდევრობა ამ პოზიციაში. მორფოლოგიური ხასიათი ამგვარი ცვლილებებისა კარგად ჩანს შემდგომი ფორმების მიხედვით: და-ხარ-ა (წყევტ.) და და-ხრ-ა (საწყისი). აბსოლუტურად თანაბარ პარობებში ხმოვნის რედუქცია ერთ შემთხვევაში ხდება, მეორეში კი — არა. ასევე ძველ ქართულში და დღესაც მთის დიალექტებში ხრ-ი-ს (აწმყო) და ხარ-ი-ს (II ხოლმეობითი) ფორმება ერთიმეორეს მხოლოდ ხმოვნის ქონა-არქონით უპირისპირდებიან. რა თქმა უნდა, ხმოვნის დაკარგვა (resp. შენახვა) რეგულირდება მორფოლოგიური მოდელების ზემოქმედებით და არა ფონემატური კანონზომიერებით.

საყურადღებოა ერთი მომენტიც: მორფოლოგიურმა ელემენტებმა შეიძლება დაკარგონ თავისი ფუნქცია, მაგრამ სიტყვაში დარჩნენ. ასეთ შემთხვევაში აღგილი აქვს მორფემათა შერწყმას ერთ მორფემად, ასე მაგალითად: ეალ ფორმა გეავარაუდებინებს, რომ სვლაში ს- ოდესღაც დამოუკიდებელი ფუნქციის მქონე პრეფიქსი იყო (შდრ. სრვაჲ, სრბაჲ); ასევე ყიდ-ი-ს- გეავარაუდებინებს, რომ ს ყიდვა-ში ს- არ ეკუთვნის ძირეულ მორფემას: მაგრამ რწევა ფორმაში, რომელიც ს-წევა-ა ფორმისაგან არის მიღებული (მოხ. ისწევა „ირწევა“; შდრ. კიდევ წევ ვადაწევა ფორმაში), აღარ ჩანს კვალი მორფოლოგიური საზღვრისა. ამ ორი შემთხვევიდან საყურადღებოა სხვა ფაქტებიც: ს- და ვლ მორფემათა შერწყმით (სვლა) არ დარღვეულა მზარდი ნაპრალოვნობის ძირითადი ფონემატური წესი; მაგრამ ს ყიდ-

¹⁸² ალ. დლონტი, ქართულ კილო-შემათა სიტყვის კონა, II, 1974.

ვა-სა და სწევ ა/რ წევ ა-ში დაიხრება და მორფემათა შერწყმამ წარმოქმნა არაძირითადი მოდელის ახალი კომპლექსები.

მორფონოლოგიური ცვლილებები ხმოვნის ჩაეარდნითა (ყედ >ქდ, ჭედ >ჯდ...) და მორფემათა შერწყმით (ს-ყიდ >სყიდ, ბრ-წყ >ბრწყ...) ხშირად წარმოქმნის ფონემატურად მიუღებელ კომპლექსებს სიტყვის ამა თუ იმ ადგილას, რაც ძირითადი ფონემატური მოდელის ზემოქმედების შედეგად შეიძლება იქცეს ფონეტიკურ ცვლილებათა მიზეზად ენის ამა თუ იმ ქვესისტემაში, ანდა მთლიანად ენაში. ვნახოთ რამდენივე მაგალითი. თუშურ დიალექტში ა. შანიძისა და ჩვენ მიერ დადასტურებულია I პირის ფორმები, რომლებშიც სუბიექტური ნიშანი ვ- მეტათეზისით სიტყვის შიგნით არის გადამჯდარი: ვ ტ ი რ ი/ტ ვ ი რ ი, ვ ჳ ა მ ე/ჳ ვ ა-მ ე. ვ ჩ ე ჩ/ჩ ვ ე ჩ და სხვ.

ვტ-/ტვ-, ვჳ-/ჳვ- და ვჩ-/ჩვ-, რა თქმა უნდა, შედეგია ძირითადი ფონემატური მოდელის დაწოლისა: დამავალი ნაპრალოვნობის კომპლექსები მეტათეზისით იქცნენ მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსებად, რის შედეგადაც მორფოლოგიური არანეირების წესი აღნიშნულ ფორმებში შეიცვალა ისე, რომ დააკმაყოფილა ენის ძირითადი ფონემატური მოდელის მოთხოვნილება.

ფონემატურად შეუთავსებადი კომპლექსი შეიძლება. როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, სესხების გზითაც შემოვიდეს ენაში. ამ შემთხვევაშიც მოსალოდნელია ფონეტიკური ცვლილებები ძირითადი ფონემატური მოდელის დაწოლით (ვოტკა >ოტკა, ზავოდი >ზაოტი, ნალი >ნალი, მასშტაბი >მაშტაბი და სხვ.).

მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია ფონეტიკურ ცვლილებათა მიზეზად მივიჩნიოთ მორფონოლოგიურ ცვლილებათა გზით მიღებულ ფონემატურად შეუთავსებად ფორმებზე ძირითადი ფონემატური მოდელის ზემოქმედება და ამავე მოდელის ზემოქმედება ფონემატურად შეუთავსებად ნასესხებ ლექსიკაზე, ხოლო ფონეტიკურ (ანუ ფონემატურ) ცვლილებათა გეზის მიმცემად მივიჩნიოთ ძირითადი ფონემატური მოდელის სტრუქტურა.

ჩვენ არ გვქირობთ, თეაქოს სიტყვის ფორმათა ცვლილების სხვა მიზეზები არ არსებობდეს ენაში. უთუოდ დიდი წონა აქვს ანალოგიის კანონს. ძველი ქართული ს ლ ვ ა (<სვლა) მშვენიერი მაგალითია ამისა: -ვა- დაბოლოებიან საწყისთა (ფარ-ვა, ძრ-ვა, კლ-ვა, ქრ-ვა-ა...) ანალოგიით ფონემატურად და მორფოლოგიურად სრულიად კანონიერი ს ლ ვ ა ფორმა იცვალა ს ლ ვ ა -დ.

ასევე ანალოგიით ჩანს მიღებული ქრმის, ძრმის, ლმის ფორმები, რომლებიც კანონიერ ფორმათა — ქმრის, ძმრის, ხმლის დუბლეტებს წარმოადგენენ; შდრ. ბრმის, კლდის, ფრთის, ბრქნის, და სხვა ამ ტიპის ფორმები, რომლებშიც თანხმოვანთა თავკიდურა კომპლექსის ჰეორე წევრი C₂ კლასის სონორია.

ქვემოთ წარმოდგენილია ფონეტიკურ ცვლილებათა სახეები ქართულ ენაში და არის ცდა ამ ცვლილებათა მიმართულებისა და მიზეზთა ახსნისა.

ძირითადი და არაძირითადი მოდელების შემოწმება, გარდა ჰელ-ბაკის პროცენტისა, ხდება ფონეტიკური პროცესებითაც: არაძირითადი მოდელის კომპლექსებში ფონეტიკური ცვლილებები მიმართულია მზარდი ნაპრალოვნობის მოდელის კომპლექსად გარდაქმნისკენ.

არაძირითადი მოდელების გადასვლა ძირითადზე ხდება მეტათეზისით. ნაპრალოვანთა დეჰსპირანტიზაციით, ხშულთა სპირანტიზაციით, თანხმოვანთა დაკარგვით, ანაბტიქსური ხმოვნის გაჩენით... (1) დამავალი ნაპრალოვნობის მოდელი გადადის ძირითადზე მეტათეზისით:

ხს>სხ: (ვსნა>) ხსნა>სხნა

ხშ>შხ: (ვშირი>) ხშირი>შირი

ვტ>ტვ: ვტირი>ტირი

ვჩ>ჩვ: ვჩეჩ>ჩეეჩ და სხვ.

ხს- (ხსნა) და ხშ- (ხშირი), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეორეული კომპლექსებია, შედეგი კ/ხ სუბსტიტუციისა ენის რიგ ქვესისტემებში. ძველმა ქართულმა და თანამედროვე მთის კილოებმა ეს კომპლექსები არ იცის. აქ /ვ/ და /ხ/ განსხვავებული ფუნქციის მქონე ფონემებია, მაგალითად, სიბილანტებთან მათ სხვადასხვა ადგილი უკავიათ¹⁸³.

ქართული ენის ბარის კილოთა პარადიგმატულ სისტემაში მოხდა ცვლილება: /ვ/ შეერწყა /ხ/-ს, რაც სინტაგმატიკაში აისახა ახალი, მანამდე ენისთვის სრულიად უცნობი, კომპლექსების გაჩენით. მაგრამ, რამდენადაც ეს კომპლექსები არაძირითად მოდელში მოხვ-

¹⁸³ ვ. თ. ფურიია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, III, 2 და ხ სიბილანტ-აფრიკატებთან მეზობლობაში, „საქართველოს არქივი“, წიგნი II, 1927.

და, საკირო გახდა ფონეტიკური ცვლილება მათ ძირითად მოდელზე გადასაყვანად, რაც განხორციელდა მეტათეზისით: ხს>სხ, ხშ>შხ.

ხს- და ხშ- კი ამ ქვესისტემებს ოდითგანვე ახასიათებდა. ისინი ჩვეულებრივია როგორც ძველ ქართულსა და მთის კილოებში, ასე ქართულის სხვა ქვესისტემებში და განეკუთვნებიან მზარდი ნაპრალოვნობის ძირითად მოდელს.

ყურადღებას იქცევს /ვ/-ს მეტათეზისი -ავ თემისნიშნთან ზმნათა საწყისებში ძრ-ავ-ს — ძრ-ვ-ა /ძვრა, კრვა/კვრა, ხრვა/ხვრა და სსგ. ეს მოვლენა დიდი ხანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას და გარკვეული მოსაზრებებიც გამოითქვა. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ვარაუდები ვერ იძლევა ვ-ს მეტათეზისის დამაჩერებელ ახსნას¹⁸⁴. ვიდრე უშუალოდ ამ ფორმებში მომხდარ ცვლილებებს შევხებოდეთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ მზარდი ნაპრალოვნობის მოდელში გვაქვს არახლეჩადი კომპლექსები, რომლებშიც ერთიმეორეს მოსდევენ ნაპრალოვნობის ხარისხის მატების მიხედვით მომდევნო საფეხურის ფონემები; მაგალითად: ბზ-, ზღ-, ღვ-, ვნ- და სსგ.¹⁸⁵

ამ კომპლექსებში არ ხდება სხვა თანხმოვნის ჩართვა. ახლა დავუბრუნდეთ ძრ-ვ-ა, ხნ-ვ-ა, კლ-ვ-ა ფორმებს, რომლებიც ძველ ქართულში რეალურად არსებობდა და დღეს შეგვიძლია წარმოვადგინოთ მორფემათა არანეირების წესის დაცვით -ავ- თემისნიშნთან ზმნებში. რადგანაც თემის ნიშანი ძირეულ მორფემას ნოსდევს, ამიტომ მოსალოდნელი იყო სწორედ ეს ფორმები (მღრ. ბარ-ვ-ა, ფარ-ვ-ა და სსგ.). მაგრამ მორფოლოგიურმა მოდელმა დაარღვია მზარდი ნაპრალოვნობის ფონემატური მოდელის სტრუქტურა მორფემათა საზღვარზე. ძრვა, ხნვა, კლვა... ფორმებში /რ ნ ლ/ ფონემები ნაპრალოვნობით აღემატება /ვ/-ს (იხ. ზემოთ). ენის ძირითადი ფონემატური მოდელის დაწოლით კომპლექსში განხორციელდა მეტათეზისი (ძრ ვ ა > ძ ვ რ ა, ხნ ვ ა > ხ ვ ნ ა, კლ ვ ა > კ ვ ლ ა) და კომპლექსი გადავიდა მზარდი ნაპრალოვნობის მოდელზე.

(2) ნაპრალოვანთა დესპირანტიზაცია:

მ > ფ: მხ > ფხ: მხალი > ფხალი, მზარი > ფზარი.

¹⁸⁴ იხ. ჩვენი „ქართული ენის მთის კილოთა კონსონანტური სისტემა...“ გვ. 162.

¹⁸⁵ იქვე.

მშ>ფშ: მშვილდი>ფშვინდი, მშველი>ფშველი, (პ-შაე-
-ელ-ი>) მშაველი>ფშაველი (მღრ. ნახ. შოე
..ფშაველი“).

ღ>პ: მზ>პზ: მზე>პზე, მზად>პზად.

მყ>ბყ: მყავე>ბყავე.

ვ>ფ: ვს>ფს: ვსება>ფსება.

(3) ხშულთა სპირანტიზაცია:

ძ>ჯ: ბძ>ბჯ: ბძანება>ბჯანება.

ბ>ვ: კბ>კვ: კბილი>კვილი.

თბ>თვ: თბილი>თვილი.

ქ>ხ: ფქვ>ფხვ: ფქვიერი>ფხვიერი.

ბ>მ: წბ>წმ: წბილება>წმილება.

კბ>კმ: კბილი>კმილი, კბენა>კმენა, კბოდე>კმოდე.

კბ>კმ: კბო>კმო.

ყბ>ყმ: ყბა>ყმა, ყბედი>ყმედი.

ტბ>ტმ: ტბოში>ტმოშტი

კენეტა და კმენდა ფორმებში კვ- და კმ- მიღებულია
კბ- კომპლექსიდან: *კბნეტა>კენეტა, *კბენდა>კმენდა. კვ- და
კმ- კომპლექსთა ამოსავალი კბ- იგივეა, რაც კბილ-ის ძირე-
ული კბ-, რომლიც, თავის მხრივ, ხმოვნის დაკარგვით ჩანს მიღე-
ბული.

ნაპრალოვანთა დესპირანტიზაცია და ხშულთა სპირანტიზაცია,
როგორც მაგალითებიდან ჩანს, ემსახურება ძირითადი მოდელის
კომპლექსების აღდგენას. ჩვენ მიერ წარმოდგენილ ფონეტიკურ
პროცესებში არაძირითადი მოდელის კომპლექსები თანხმოვანთა ამ
რავის ცვლილებებით გადავიდნენ მზარდი ნაპრალოვანობის კომპ-
ლექსებზე.

ამ ფონეტიკურ პროცედურებში შეიმჩნევა ერთი კანონზომიე-
რება: სპირანტიზაცია და დესპირანტიზაცია ხდება კლასის ფარგ-
ლებში — I კლასის ხშული შეიძლება გადავიდეს მხოლოდ ამავე
კლასის ნაპრალოვანში და პირიქით: ბ>ვ, ან ბ>მ; მეორე კლა-
სის ხშული ძ გადავიდა ამავე კლასის ზ სპირანტში; ასევე სპირან-
ტებიც მზარდი ნაპრალოვანობის მოდელის მოთხოვნილებით გადა-
ვიან თავისივე კლასის ხშულებში: მ>ფ, მ>ბ; ე>ფ (იხ. ზემოთ).

(4) თანხმოვანთა დაკარგვა. დამავალი ნაპრალოვანობის კომპ-
ლექსებში თავიღურა თანხმოვანთა დაკარგვა ქართულის ქვესის-
ტემებში ჩვეულებრივი ამბავია. ამ ცვლილებით კომპლექსი იშლე-

მა და გადაღის ერთ-ერთ ძირითად მოდელზე CV-ზე. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი.

რ ↓ : რბილი > ბილი; რკო > კო, რკინა > კინა, რქა > ქა...

ლ ↓ : ლვილი > ვილი.

ს ↓ : სწორი > წორი, სტუმარი > ტუმარი, სძალი > ძალო...

მ ↓ : თავიკიდურა მ- თითქმის ნებისმიერი ჩქამიერის წინ იკარგება ქართულში, მაგალითად: მგელი > გელი, მხარი > ხარი, მსხალი > სხალი, მკლე > კლე, მფრინველი > ფრინველი და სხვ.

ქვემოთ შევეხებით ფონეტიკურ ცვლილებებს, რომელთაც ადგილი აქვთ წყვეტილი და ნულოვანი ნაპრალოვნობის არაძირითად მოდელთა კომპლექსებში, როდესაც კომპლექსები ვერ ახერხებენ გადავიდნენ მზარდი ნაპრალოვნობის ძირითად მოდელზე.

წყვეტილი ნაპრალოვნობის კომპლექსებში რ-ს დაკარგვის შემდეგ თავიკიდურა ბ ან ფ ხშული გადაღის მისივე კლასის მ ნაპრალოვანში: ბრტყ->ბტყ->მტყ- (ბრტყელი > ბტყელი/მტყელი > მტყელი)

ფრჩხ->ფჩხ->მჩხ- (ფრჩხილი > ფჩხილი > მჩხილი)

ფრთხ->ფთხ->მთხ- (ფრთხება > ფთხება > მთხება)

ბრწყ->ბწყ->წყ-/მწყ- (ბრწყინავს > ბწყინავს >

წყინავს/მწყინავს).

ბრქყ->ბქყ->მქყ- (ბრქყინავს > ბქყინავს >

მქყინავს).

აქ წარმოდგენილ ცვლილებათა მიხედვით ჩანს, რომ ენა ცდილობს განთავისუფლდეს ოდესღაც მოჩუქმათა შეჩუქებით მიღებული (იხ. ზემოთ) წყვეტილი ნაპრალოვნობის კომპლექსებიდან, ე. ი. აქცოის ისინი მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსებად. მაგრამ რ-ს ჩავარდნის შემდეგ ბტ- თანამიმდევრობაც ამ პოზიციაში არ არის ძირითადი მოდელისთვის დამახასიათებელი. შემდგომი ცვლილებით ბ გადაღის მ-ში (ბტყელი > მტყელი). რაც მიუთითებს იმაზე, რომ ენა არაძირითადი მოდელებიდან დამავალი ნაპრალოვნობის მოდელს უფრო ეგუება. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ფიზიოლოგიურად ნშული უფრო ადვილად ეგუება ნაპრალოვანს, ვიდრე ხშულს¹⁸⁶.

მაგრამ შეიძლება დავსვათ კითხვა: რატომ არ მივიდა პროცე-

¹⁸⁶ Г. С. Ахвледиани, Две системы гармоничных смычных в грузинском языке; კრებულში: «Памяти Л. В. Щербя». Ленинград, 1951, გვ. 115.

სი პოლომდე, ე. ი. ამ კომპლექსებმა საბოლოოდ რატომ ვერ მიადგინეს მზარდი ნაპრალოვნობის მოდელაპდე?

ყველა კომპლექსს არ ძალუძს ასეთი ცვლილებების განხორციელება: როგორც ვიცი, თანხმოვანთა II კლასში გაერთიანებულია სამი ლოკალური რიგი: (1) დენტალური /დ თ ტ/, ალვეოლარული /ძ ც წ ზ ს/ და პალატალური /ჩ ხ ქ ყ შ/. ამ სამი რიგიდან დენტალურებს არა აქვთ კომორგანული ნაპრალოვანი, მაშასადამე. ბტყელ ფორმაში, კერძოდ ბტყ-კომპლექსში ტ-ს არ შეუძლია განაპრალოვნდეს. თუ თანხმოვანთა დაკარგვა აღარ გავრძელდა, რჩება ერთადერთი გზა: ორი არაბირითადი მოდელიდან ენამ აირჩიოს ერთ-ერთი და ირჩევს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამავალი ნაპრალოვნობის მოდელს, რის გამოც ხდება ბ>მ პროცესი (ბტყელი->მტყელი). ანალოგიური მსჯელობა ჩატარდება ფრთხ>ფთხ>მთხ პროცესის მიმართაც, სადაც ო-ს არ შეუძლია განაპრალოვნება. მაგრამ რჩება ერთი გზა ამ კომპლექსთა მზარდ ნაპრალოვნობაზე გადასვლისთვის: უნდა გავრძელდეს თანხმოვანთა დაკარგვა. მართლაც, ინგილოურში და, ალბათ, ბევრ სხვა დიალექტშიც, ჩვეულებრივია ტყელი (<ბტყელი) ფორმა, ასევე თუშურში გვაქვს თხოლეღაჲ „მფრთხალი“.

რაც შეეხება რ- დაკარგულ ისეთ ფორმებს, რომლებშიც თავიკიდურა ხშულს მოსდევს ალვეოლარული ან პალატალური ხშულეზი (აფრიკატები), რომელთაც თავის რიგში აქვთ ნაპრალოვნობი და, მაშასადამე, აქვს სპირანტიზაციის შესაძლებლობა, მათ ფონეტიკური ცვლილებების სხვა შესაძლებლობაც უჩნდებათ: ფჩხ-<ფჩჩხ-> შეიძლება გადავიდეს მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსზე ჩ>შ სპირანტიზაციით, მართლაც: ფჩხენა>ფშხენა. ბრწყყ- (ბრწყინავს), ბრჰყ- (ბრჰყვინავს) კომპლექსები ზოგიერთ ქვესისტემაში გადაიქცნენ მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსებად მთელი რიგი გარდაქმნების გზით, კერძოდ: ბრწყყ>ბწყყ>ბზ. ბოლო პროცედურა -წ-ს სპირანტიზაცია და ყ-ს დაკარგვა ერთდროულად ხორციელდება, რადგან ჯყ ქართულისთვის ამ პოზიციაში მიუღებელი კომპლექსია. ასეთი ვარაუდის მხარდამჭერად მიგვაჩნია შემდეგი: (1) ფორმათა მსგავსება და სემანტიკური იდენტობა: ბრწყყინავს და ბზინავს ერთი მნიშვნელობით იხმარება ხშირად; (2) ბრწყყინავს/ბწყყინავს ქართულის უძველეს ძეგლებშივე გვხვდება, მაშინ როცა ბზინვა შეიძლება.

დაკლასტუროთ მე-12 ან ამის შემდგომ საუკუნეებში გადაწერილ ჯეგლებში.

ბ რ ჭ ყ ვ ი ა ლ ი > ბ ჭ ყ ვ რ ი ა ლ ი > ბ ე ღ ვ რ ი ა ლ ი. აქ საუკრადლებო ცვლილებები ხდება და კარგად ჩანს გარდაქცევის კანონზომიერება: როგორც ბწყინვა-ში წ გადავიდა ჰომორგანულ ზ-ში მეღერი ბ-ს მომდევნოდ, აქაც ჭ გადავიდა ჰომორგანულ ყ-ში ბ-ს მომდევნოდ, ოლონდ, განსხვავებით ბწყინვა > ბ ზ ი ნ ვ ა პროცედურისაგან, მკვეთრი ყ, რომელიც შეუთავსებელია ამ პოზიციაში მეღერი ჟ- ნაპრალოვნის მომდევნოდ, კი არ დაკარგულა, არამედ იქცა ჰომორგანულ მეღერ ღ-დ (ყ-ს მომდევნოდ ყ-ს კლასში სხვა ყველა მიუღებელია) და არაძირითადი მოდელის ბ ჭ ყ ვ რ- კომპლექსი იქცა მზარდი ნაპრალოვნობის ბ ე ღ ვ რ- კომპლექსად.

თუ ფონეტიკური ცვლილებით მივიღებთ ხშულთა კომბინაციებს, ერთი და იმავე კლასის ფარგლებში (მაგალითად: ჩრდ > ჩღ, ჯედ > ჯღ), რომელიმე კომპონენტის დაუკარგავად ძირითად მოწეულზე გადასვლა თეორიულად შეუძლებელია. რა ხდება ამ დროს? (1) ჩრდ > ჩღ/ჩთ > შთ (შთილი „ჩრდილი“) — ნულოვანი ნაპრალოვნობის კომპლექსი გადავიდა დამავალი ნაპრალოვნობის მოდელზე; (2) ჯღ > ეღ > ყ: ჯღ ე ბ ა > ეღ ე ბ ა. გვაქვს კიდევ ე ი ლ ა რ ი ე ნ, რომელიც უთუოდ მიღებულია ე დ ი ლ ა რ ი ე ნ (<ჯდილარიენ) ფორმისგან. მაშასადამე, აქ ძირითად CV- მოდელზე გადასვლა ხერხდება იმ ხშული კომპონენტის დაკარგვით. რომელსაც არ შეუძლია გასპირანტება (ღ-ს დაკარგვით).

წყვეტილი ნაპრალოვნობის კომპლექსები შეიძლება აცილებულ იქნას ანატიქსური ხმოვნის საშუალებითაც: ჩრდილი > ჩირდილი, ბრკოლა > ბირკოლა, ღრძილი > ღირძილი. ი-ს ჩართვით წყვეტილი ნაპრალოვნობის კომპლექსი იყოფა ორად და დამავალი ნაპრალოვნობის კომპლექსები (რდ, რკ, რძ) ექცევა ხმოვნებს შორის; ინტერვოკალურ პოზიციაში კი ახატანია ნებისმიერი კომბინაციის წყვილი თანხმოვანი (იხ. ზემოთ), რადგან მარცვლებრს გამყარი ამ თანხმოვნებს სხვადასხვა მარცვალში ანაწილებს (ჩირდილი-ლი...).

ანატიქსურ ხმოვანს ქართული ენა ძველიდანვე იყენებს მორფემათა გამყარად, როდესაც არაძირითადი მოდელის კომპლექსები იქმნება V — # პოზიციაში მორფემათა საზღვარზე. მხედველობაში გვაქვს წყვეტილისა და უწყვეტლის I და II პირის მრავლობითი რიცხვის ფორმები: ვწერდ-ი-თ, წახვედ-ი-თ (ძვ. ქართ. წარ-ხუედით), მოკა-ლ-ი-თ და სხვ.

როგორც ვხედავთ, ი ხმოვნით დაიძლევა როგორც ნულოვანი, ისე დაშავალი ნაპრალოვნობის კომპლექსები. ეს წესი ქართულის ნებისმიერ ქვესისტემაში მოქმედებს. ამ პოზიციაში მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსი თეორიულად გამორიცხულია, რადგან ფორმის ბოლო ფონემა არის /თ/.

გასათვალისწინებელია მორფოლოგიურ ელემენტთა ფონოლოგიური ფუნქცია კომპლექსთა რეალიზაციის თვალსაზრისით, კერძოდ: (1) ზმნისწინის ხმოვანი ხელს უწყობს ძირეული მორფემის თავიკიდურა კომპლექსების რეალიზაციას, ხოლო ბრუნვის ნიშანთა ხმოვნაინი აღმომრფები: -მა (მოთხრ. ბრ.), -სა (მიც. ბრ.) ხელს უწყობენ სახელთა აუსლაუტის თანხმოვანთა კომპლექსების რეალიზაციას¹⁸⁷.

კომპლექსთა ვარდაქცევის კანონზომიერებებში ყურადღებას იქცევს ერთი და იმავე პროცესის ორი ფონიკურად განსხვავებული შედეგი ერთი ფონემატური მოდელის ფარგლებში, კერძოდ: კბ-ს თბ- კომპლექსები მზარდი ნაპრალოვნობის მოდელზე გადადიან ბ-ს განაპრალოვნებით, მაგრამ სხვადასხვა ქვესისტემებში ბ-ს შეტლა სხვადასხვა ფონემა მოგვეცეს: (1) ბ>ე და (2) ბ>მ (მაგალითად: კბილი>კვილი, კბილი>კმილი; თბილი>თვილი, თბილი>თმილი). ეს ბუნებრივი ჩანს, რადგან /ვ/-ცა და /მ/-ც ორივე /ბ/-ს კლასის ნაპრალოვნებია, ხოლო /კ/-ს მომდევნოდ მზარდი ნაპრალოვნობის მოდელით დაშვებულია როგორც /ვ/, ისე /მ/. მაშასადამე, ერთი და იმავე ფონემატური მოთხოვნით ერთი ფორმიდან ვიღებთ საერთო მოდელის ფონიკურად განსხვავებულ ორ კომპლექსს (კბ>კვ და კბ>კმ...) ისე, რომ ისინი ერთიმეორისგან არ გამოიყვანება. ასეთ კომპლექსებს ჩვენ ვუწოდებთ სტრუქტურული შესატყვისები. მათ შევხვდებით როგორც ენის ქვესისტემების ფარგლებში, ისე მონათესავე ენათა დონეზე¹⁸⁸.

ლიასისტემური მეთოდი და ენის ფონემატური ისტორია. ლიასისტემური მეთოდის საშუალებით, როგორც ვნახეთ, შეიძლება დადგინდეს ენის ძირითადი და არაძირითადი ფონემატური მოდლები.

¹⁸⁷ თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა კონსონანტიზმი სალტერატურო ქართულთან მიმართებით, კრებულში: მეტყველების ანალიზის საკითხები, 1969, გვ. 184.

¹⁸⁸ დაწერილებით იხილეთ თ. უთურგაიძე, სტრუქტურული შესატყვისები სპირანტიზაციისა და დესპირანტიზაციისათვის ქართულურ ენათა სისტემებში, იყე, XVIII, 1973, გვ. 243.

ზოგიერთი კომპლექსის ცვლილების ისტორიის გათვალისწინებით შესაძლებელია ცალკეული ფონემის ისტორიის შესახებაც ვიმსჯელოთ.

ქ/ხ შენაცვლება საყოველთაოდ რომ გატარებულყო, ძველი ქართულის მონაცემების გარეშე ჩვენ მაინც შეგვეძლო ქ/-ს აღდგენა ფონემურ ინვენტარში გარკვეული კომპლექსების ისტორიის მახედვით. ვიმსჯელოთ მხოლოდ ამ სისტემების მიხედვით, რომლებშიც გატარდა ქ/ხ ცვლილება და ნუ გავითვალისწინებთ ქ/ფონემის მქონე სისტემათა ჩვენებას.

დიალექტური სხნა და შხირი თანამედროვე სალიტერატურო ქართულის სხნა და ხშირი ფორმების საპირისპიროდ მიგვაითითებს იმაზე, რომ ამ ალტერნაციულ დუბლეტთაგან (ერთი მხრით მზარდი ნაპრალოვნობის სხ-, შხ-, მეორე მხრით — დამავალი ნაპრალოვნობის ხს-, ხშ-) ერთი რიგი მეორეულია. იმის გამო, რომ ენაში ძირითადი აღმოჩნდა მზარდი ნაპრალოვნობის მოდელი, მეორეული უთუოდ ხს- და ხშ- კომპლექსებია, მაგრამ, თუ ზესხებას გამოვრიცხავთ, თავდაპირველი სხ- და შხ არ შეიცვლებოდა ხს- და ხშ-დ, ამიტომ ბუნებრივია ასეთი გადაწყვეტა: ხს->სხ-, ხშ->შხ-; ხს- და ხშ- კი ისტორიულად შეიძლება მიგველო კომპლექსებიდან, რომლებშიც ქ/ხ-ს ადგილზე იჭდა მისი კლასის ფშვინვიერი ბშული, რომელიც ზუსტად ქ/ფ-ს დახასიათებას მიიღებს. ქ/ფ-ს ამ ადგილზე ვერ აღვადგენთ, რადგან ენაში ქს- და ქშ- არ გადადის და ვერც გადავა ხს- და ხშ- კომპლექსებში. გამოდის: ქს->ხს->სხ და ქშ->ხშ->შხ-. მაშასადამე, თანამედროვე სხნა-ში და შხირ-ში სხ- და შხ- მესამეული წარმოების კომპლექსები ყოფილა.

თუ ისტორიულად ქართულში არსებობდა რ/ჟონემა, მას უნდა მოეცა რზ = და რჟ = კომპლექსები (შდრ. ჯს =, ჯშ =). რ/ლ-სთან შერწყმის შემდეგ (შდრ. კ/ხ) უნდა მიგველო ლზ- და ლჟ- კომპლექსები შესაძლო ზდ-, ჟდ- დუბლეტებით. მაშინ შეგვეძლო რ/ლ-ს აღდგენა სინტაგმატურ საფუძველზე. ახლა კი ამ ფონემას აღადგენენ პარადიგმატულ დონეზე. თუ ეს ვარაუდი სწორია, უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ლზ-სა და ლჟ-ს მეტათეზიით მოუტია ზდ- და ჟდ-.

ჩვენ მიერ განხილული სინტაგმატური მიპართებების მიხედვით მსჯელობა შეგვიძლია აფრიკატების წარმოშობის შესახებაც: იმის გამო, რომ აკრძალულია წინაენისმიერთა კომბინაცია ცერძოდ: არა გვაქვს C₂ კლასის ფონემათა დეცესიური რიგით

რეალიზაციის არც ერთი შემთხვევა), ვერ ვივარაუდებთ, რომ აფრიკატები ორი ფონემის შერწყმის გზით მიღებული რთული ფონემებია (თშ>ჩ, თს>ც...).

ჩაც შეეხება თს>ც, თშ>ჩ პროცესს მორფემათა შესაყარ-ზე, უნდა ვივარაუდოთ შემდეგი ფონეტიკური ცვლილება: თს>ცს, თშ>ჩშ (ეს უკანასკნელი შებრუნებული რიგითაც ხორციელდება: შთა>ჩა). მაშასადამე, დენტალური ხშული /თ/ მონაცვლეობს ხშულ /ც/-სთან და /ჩ/-სთან /ს შ/ ფონემების მეზობლად, შემდეგ კი ხდება სიბილანტთა დაკარგვა: თს>ცს>ც, თშ>ჩშ>ჩ. ასეთ ვარაუდს ადასტურებს ისეთი შემთხვევებიც, როცა აფრიკატები მიიღება აღნიშნულ კომპლექსთა გარეშეც, კერძოდ: ვერსად/ვერცად, ველზე/ველზე, გილზი/გილძი და სხვ. აქ აფრიკატი მიღებულია სიბილანტისაგან. ხეცსურულ ერთეულს ფორმაში ადგილი აქვს თ/ც მონაცვლეობას: ერთურთს/ერთუთს>ერთუცს. შემდეგ ხდება პარადიგმების გასწორება მიცემითზე, ერთეულ-ი, ერთეულ-მა და ა. შ.

ლიასისტემური მეთოდი, ადგენს რა ენაში მოქმედ სინტაგმატურ კანონზომიერებებს, საშუალებას იძლევა არაძირითადი მოდელების მიხედვით ადვილად გამოვარჩიოთ ნასესხები ლექსიკა; მაგალითად: (1) ორი ხმოვანი ერთი მორფემის ფარგლებში, თუ არა ჩანს მისი მორფონოლოგიური ცვლილების გზით მიღების გზა, შეიძლება ითქვას, რომ ნასესხებია; (2) ასევე ეპვის ქვეშ დგება ქართული წარმომავლობა სიტყვისა, რომელსაც რომელსამე პონიციში აქვს ენის ძირითადი სინტაგმატური მოდელისთვის შეუთავსებელი თანხმოდანთა კომპლექსი. როდესაც გაირკვევა, რომ კომპლექსი არ არის მიღებული მორფონოლოგიური ცვლილებებით, მისი წარმომავლობა სხვა ენებშია საძიებელი, მაგალითად, ვს- ერთადერთი კომპლექსია ქართულ სიტყვათა ანლაუტში, როცა ჩქამიერ თანხმოდანს წინ უძღვის ვ-. მისი შედარება მონათესავე და არამონათესავე ენებთან საბოლოოდ განამტკიცებს აზრს, რომ ეს სიტყვა ნასესხებია პრა- ქართველური ენის დონეზე და განუცდია რიგი ფონეტიკური ცვლილებები ქართული და ზანურ-სვანური ფონემატური სისტემის დაწოლით¹⁸⁹.

¹⁸⁹ მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები... გვ. 87; თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ფონემატური სტრუქტურა სალიტერატურო ქართულთან მიმართებით, კრებულში: მეტყველების ანალიზის საკითხები, 1969, გვ. 187; თ. უთურგაიძე, სტრუქტურული შესატყვისები, სპირანტიზაციისა და დესპირანტიზაციისათვის ქართველურ ენათა სისტემებში, ივე, XVIII, 1973, გვ. 250.

ჩვენ მიზანს არ წარმოადგენს მარცვლის თეორიების მიმოხილვა და არც მარცვალთან დაკავშირებული ყველა საკითხის განხილვა, რამდენადაც თანამედროვე ქართულის ვითარება ამის საშუალებას იძლევა, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს სონანტების საკითხი.

ამოსავალი ვითარება მომდევნო მსჯელობისთვის შემდეგია: (1) ქართული ენის ფონემებიდან ხუთი ხმოვანია, დანარჩენი კი — თანხმოვანი ნებისმიერ პოზიციაში; (2) ხმოვნები მარცვლის შექმნის უნარის მქონეა, თანხმოვნები კი — ამ უნარს მოკლებული.

ჩვენი მიზანია იმ ზოგადი წესების დადგენა, რომელთა მიხედვითაც ქართულ ენაში ხდება თანხმოვანთა განაწილება ინტერვალურ პოზიციაში, კერძოდ: რა პრინციპით ხდება თანხმოვანთა განაწილება ხმოვნებს შორის.

შველევარნი არ დაბეზნ იმ ძირითად დებულებაზე, რომელიც განსაზღვრავს მარცვალს. მარცვალი არის ერთი მთლიანი ფონემიკური ერთეული. განსხვავება მარცვალზე მსჯელობაში იწყება ამის შემდეგ, კერძოდ, იმ საკითხების კვალიფიკაციაში, რომლებიც ამ განსაზღვრის შედეგად დგება. აი ეს საკითხები: (1) რა ელემენტები ქმნიან ამ ფონემიკურ ერთეულს (მარცვალს) და (2) რა პირობებია საჭირო, რომ ეს ელემენტები მოექცნენ მარცვლის ფარგლებში, ე. ი. რა ქმნის მარცვლის მთლიანობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველ საკითხს ჩვენ შეგნებულად აუუარეთ გვერდი იმის გამო, რომ ეს საკითხი ქართულში ისე მწვავედ არ დგას, როგორც ზოგიერთ სხვა ენაში.

ქვემოთ ვიმსჯელებთ იმ პირობების შესახებ, რომელთა საფუძველზეც ქართულ ენაში ხდება ხმოვნისა და თანხმოვნის ან თანხმოვნების გაერთიანება ერთი მარცვლის ფარგლებში.

ვიღრე უშუალოდ ქართული ენის მასალის მიხედვით შევედგებოდეთ საკითხზე მსჯელობას. უნდა აღვნიშნოთ ორი ასპექტი მარცვლის გამოყოფასთან დაკავშირებით: წმინდა ფონემიკური (ფონემიკური ვიწრო გაგებით) და ფონემატური (ფონემიკური დართო გაგებით).

ფონემიკური მიდგომა არის ფიზიოლოგიურ-აკუსტიკური მიდგომა საკითხისადმი; ფონემატური მიდგომა კი ემყარება ფონო-სტატიკური ძიების შედეგებს, ანუ ენაში მოქმედ დისტრიბუციულ კანონებს.

მეორე შემთხვევაში მარცვალი განხილულია ფონმატურ ასპექტში — ენის ფონმატური კანონების გათვალისწინებით.

ქართულ ენაში „ჰარმონიულ კომპლექსთა“ გამოვლენის შემდეგ გ. ახვლედიანს დამარცვლის კანონზომიერებაში შემოაქვს ახალი წესები, კერძოდ: ჰარმონიული კომპლექსი დამარცვლის დროს არ დაიშლება — მარცვალთგანყარი ჰარმონიულ კომპლექსზე არ გაივლის.

ზოგადი თვალსაზრისით ეს არის ფონმატური ასპექტის შემოტანა ენობრივ ანალიზში, რადგანაც დამარცვლის კანონზომიერება ემყარება ენის ფონმატური სტრუქტურის კანონზომიერებებს. საქმე გვაქვს ექსპლიციტურ ვარაუდთან, რომელიც არ ატარებს შემთხვევითი მიგნების ხასიათს და ამდენად აღის თეორიის რანგში.

თუ ჩვენს მსჯელობაში ქვემოთ ზოგი რამ არ ემთხვევა გ. ახვლედიანის წესებს, არა იმისათვის, რომ თეორიულად სხვადასხვა ასპექტთან გვაქვს საქმე, არამედ იმის გამო, რომ კონკრეტული ფონმატური ანალიზი განსხვავებულ შედეგებს იძლევა.

მარცვლის ფონმატურ განსაზღვრაში ჩვენთვის მისაღებია: გ. ჰაუგენის შემდეგი დებულება: „მარცვალი არის ფონმატურ თანმიმდევრობათა განმეორებადი უმცირესი ერთეული“¹⁹⁰.

ფონმატა გამოვლენა განსაზღვრულ თანმიმდევრობათა ერთეულის სახით არ არის შემთხვევითი — ყოველ ენას აქვს ფონმატა თანმიმდევრობის გარკვეული შესაძლებლობა. კომპლექსთა განმეორებადი თანმიმდევრობა უნდა განიხილებოდეს მარცვლის და არა მორფემის ან სიტყვის ფარგლებში. ამ გზით მარცვალი ხდება წმინდა ფონოლოგიური ერთეული, რის საფუძველზეც თვით მორფემები და სიტყვები შეიძლება აღიწეროს მარცვლის ტერმინებში¹⁹¹.

რადგან მარცვალი ერთი მთლიანი დისტრიბუციული ერთეულია, რომელიც მეორდება, მაშასადამე, ამ ერთეულის მისაღებად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, რომ მისი კომპონენტები გარკვეული „მიზიდულობით“ იყოს ერთიმეორესთან დაკავშირებული. რაც უფრო დიდია მიზიდულობის ხარისხი, მით უფრო მყარი იქ-

¹⁹⁰ „The smallest unit of recurrent sequences“—E. Haugen. The Syllable In linguistic description. „For Roman Jakobson“, 1956. გვ. 216.

¹⁹¹ იქვე.

ნება ერთეულის სახე, ე. ი. მაღალი იქნება განმეორებადობის ხარისხი.

ავილოთ a და b ელემენტები. შესაძლებელია ენაში გვეყონდეს თანამიმდევრობა ab , რომელიც მეორდება კიდევ, იგი ვლინდება სხვადასხვა ფორმაში. ამ შემთხვევაში a -სა და b -ს შორის არის გარკვეული მიზიდულობა. ამის საპირისპიროდ დაეუშვათ, რომ ba თანამიმდევრობა არ გვხვდება ენაში. b და a ელემენტთა მიზიდულობა იქნება ნულის ტოლი.

ჩვენი წესები რომ უფრო განზოგადებულ ხასიათს ატარებდეს, მსჯელობის შემდეგ საფეხურზე a და b ელემენტების ურთიერთობის ნაცვლად ოპერაციები უნდა ვაწარმოოთ A -სა და B -ს ტერმინებში: A იქნება სიმბოლო ყველა იმ ელემენტისა, რომელიც იჩენს a -ს თვისებას გარკვეულ ურთიერთობაში, ასევე B იქნება სიმბოლო იმ ელემენტებისა, რომლებიც ამკლავებენ b -ს თვისებას, ე. ი. A აერთიანებს $a_1, a_2, a_3, \dots, a_n$ ჯგუფს, ხოლო B — $b_1, b_2, b_3, \dots, b_n$ ჯგუფს. ამით მსჯელობას ავიყვანთ მოდულების დონეზე და მათზე დამყარებულ დებულებებს ექნებათ წესთა ჩანგი.

ენაში ფონემათა კლასებისა (resp. რიგებისა) და სერიების გამოყოფა ამ ოპერაციების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მარცხლის სტრუქტურის დასადგენად უნდა დადგინდეს ფონემურ ელემენტთა თანამიმდევრობის მოდულები შემდეგ კომპლექსითაღვის:

1) ხმოვანი + ხმოვანი

2) ხმოვანი + თანხმოვანი

3) თანხმოვანი + ხმოვანი

4) თანხმოვანი + თანხმოვანი სიტყვის თავსა და ბოლოში ერთი მორფემის ფარგლებში. ამ თანამიმდევრობათა მიხედვით მოდულები უნდა შემოწმდეს ენაში მომხდარი თუ მიმდინარე ფონეტიკური ცვლილებებით.

1) ხმოვანი + ხმოვანი.

დისტირბუციული ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ ერთი მორფემის ფარგლებში ქართულში ძირითადად აკრძალულია ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობა. ისინი გვაქვს მორფემათა საზღვარზე. ამ წესის დადასტურებას თანამედროვე ქართულში წარმოადგენს ის მორფონოლოგიური ცვლილებები, რომელთაც ადგილი აქვთ ენაში, კერძოდ, კვეცა, დიფთონგიზაცია, ასიმილაცია და დისიმილაცია ბრუნებისა და უღლების ფორმებში. თანხმოვანთა ჩართვა ორ ხმოვანს შორის და ერთ-ერთი ხმოვნის დაკარგვა

პიატუსის შემთხვევაში აგრეთვე ამ ძირითადი მოდელის მოთხოვნით ხორციელდება ქართულ ენაში (იხ. ზემოთ). შეგვიძლია მივიღოთ I წესი. რომლის თანახმად ქართულში ორი ხმოვანი ერთ მარცვალში არ ვეკენება (მათი მიზიდულობა ძირითადი მოდელით წულის ტოლა) და დიფთონგიზაციის ნიადაგზე შეცვლილი ხმოვანი თანხმოვანს გაუტოლდება¹⁹².

მეორე და მესამე შემთხვევა შეიძლება ერთად განვიხილოთ. ცნობილია, რომ ქართულში ნებისმიერი თანხმოვანი შეიძლება უსწრებდეს ან მოსდევდეს ნებისმიერ ხმოვანს სიტყვის თავსა და ბოლოში ერთი მორფემის ფარგლებშიცა და მორფემათა საზღვარზეც. გარკვეული შეზღუდვა აქვს მხოლოდ /ვ/-ს /ოუ/ ხმოვნების წინ და მომდევნოდ, რაც ძირითად წესზე, რა თქმა უნდა, გავლენას ვერ მოახდენს. ამ წესის თანახმად CV- და VC-, ასევე -CV და -VC ერთი მარცვლის ფარგლებში დასაშვებია. გასარკვევია მხოლოდ კომპლექსის დამარცვლის კანონზომიერება: თანხმოვანი რომელ ხმოვანთან უნდა განაწილდეს მარცვლებში — წინა ხმოვანთან თუ მომდევნოსთან?

როგორც ცნობილია, მარცვლის სტრუქტურის განსაზღვრისათვის ამა თუ იმ ენაში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება სიტყვის დასაწყისსა და დაბოლოებას. სიტყვის დასაწყისითა და დაბოლოებით (ექსპლოზიითა და იმპლოზიით) წინასწარ განსაზღვრულია მარცვლის დასაწყისი და დაბოლოება, რამდენადაც საჭივე გვაქვს რეალურად დადასტურებულ სტრუქტურულ ფაქტთან: სიტყვის დასაწყისი ამავე დროს არის მარცვლის დასაწყისი, ხოლო დაბოლოება სიტყვისა ამავე დროს არის მარცვლის დაბოლოება. ამის საფუძველზე, როგორც ზემოთ ითქვა, სიტყვის ბოლო განსაზღვრავს მარცვლის დაბოლოებას საერთოდ, ხოლო სიტყვის დასაწყისი — მარცვლის დასაწყისს საერთოდ.

თუ ენაში სიტყვები შეიძლება იწყებოდეს თანხმოვნით, ეს ნიშნავს, რომ ყოველი მომდევნო მარცვალი შეიძლება იწყებოდეს თანხმოვნით; ასევე, თუ სიტყვები ბოლოვდება თანხმოვნით, ეს

¹⁹² აქ დგება თეორიულად მეტად საინტერესო საკითხი; თუ ე. წ. უმარცვლო ხმოვანი მარცვლოვან ხმოვანთან დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაა, ასეთი უმარცვლო ვარიანტი დამოუკიდებელ ფონემად ჩითვლება, თუ, როგორც ფონემა, ისე ხმოვანად უნდა იქნეს მიჩნეული, ანდა ამ ვარიანტების (ხმოვანი ~ თანხმოვანი) არსებობის საფუძველზე გამოვყოთ ფონემათა ცალკე კლასი (სონანტები)?

ნიშნავს იმას, რომ ყოველი მარცვალი შეიძლება ბოლოვდებოდეს თანხმობით.

განვიხილოთ კონკრეტული შემთხვევები ქართული ენის მასალაზე.

ქართულში სიტყვათა დიდი უმრავლესობა იწყება თანხმობით და ასევე დიდი უმრავლესობა ბოლოვდება თანხმობით. ეს დებულება შეიძლება საერთო-ქართველური სისტემისთვისაც გამოვიყენოთ, რამდენადაც ქართველური მორფემების კანონიკური მოდელები თანხმობაზე იწყება და თანხმობაზე ბოლოვდება¹⁹³.

ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, უფლება გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ ქართული ენის მარცვალს მიღრეკილება აქვს დახურულობისაკენ¹⁹⁴. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა შემდეგი ფაქტები: (1) შეიძლება ვთქვათ, რომ ზმნათა ფორმების დიდი უმრავლესობა ბოლოვდება თანხმობით, რადგანაც (ა) მრავლობითი რიცხვის ფორმები, როგორც წესი, უგამონაკლისოდ თანხმობაზე დაბოლოებული. ეს უკვე ზმნის ფორმათა 50% უდრის. (ბ) ამას ემატება მხოლოდობითი რიცხვის ფორმები, რომლებიც თანხმობით ბოლოვდება და რომელთა რიცხვი არც თუ ისე მცირეა ქართულში; (გ) რაც შეეხება სახელებს, თუ ბრუნვის ნიშანთა მიხედვით ვიმსჯელებთ, ძირითადად თანხმობაზე დაბოლოებულ ფორმებთან გვექნება საქმე მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით, ვითარებით, ნაწილობრივ მოთხრობით და წოდებით ბრუნვებში; (დ) ზმნიზედათა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმობით ბოლოვდება.

ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით საყურადღებოა ჩვენებას იძლევა სახელთა და ნაწილაკთა ღია და დახურული დაბოლოების განხილვა ფონეტიკური გარემოს გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვის ნიშნები (-ი ~ -ე; -მან ~ -მა ~ -მ), აგრეთვე ე. წ. ემფატიკური ზნოვნები მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში ნაცვალსახელური წარმომავლობისა და უკავშირდება სახელის განსაზღვრულობას, დაკონკრეტებას (ზოგადიდან გამოყოფას). ამდენად მათი არსებობა ენაში ენის მორფოლოგიურ მოდელს უკავშირდება და არა ფონემატურს, თუმცა ამ უკანასკნელში გარკვეული ცვლილება შეაქვს.

193 თ. გამყრელიძე, გ. მაქავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965, გვ. 304 და შემდეგ.

194 შდრ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 151.

საკუთრადღებოა ის ცვლილებები. რაც ფონემატური მოდელის დაწოლა ხორციელდება ამ ნიშნებით წარმოდგენილ სახელებთან ძველ ქართულში და თანამედრ. ქართულში (ლიტ. ენა, დიალექტები). კერძოდ, (1) სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა ძველ ქართულსა და თანამედროვე ქართულის დიალექტებში, (2) ემფატიკური ხმოვნის დისტრიბუცია.

უკვე ძველ ქართულში ნასესხები საკუთარი სახელი კარგავს ფუძისეული ი ბოლო ხმოვანს საკუთარ სახელებში: ანტონი > ანტონ, გრაგოლი > გრიგოლ და სხვ. ასევე ძველ ქართულში საკმაოდ გვხვდება ფორმები, რომელთაც დაუკარგავთ სახელობითი ბრუნვის ი, როდესაც წინადადებაში ამის ფუნქციონალური მოთხოვნა არის, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს საზოგადო სახელები პირდაპირი დამატების რთულში ფუძის სახით, მაგალითად: „მოსე აღაშალა გუელ უდაბნოსა“ ი. 3, 14; „ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავ მიიდრიკოს“ მ. 8,20; ლ. 9,58 და სხვ.

აღნიშნულ ფორმებში გრამატიკული თვალსაზრისით მოსალოდნელია ი სუფიქსი (პირდაპირი დამატება დგას სახელობით ბრუნვაში).

თანამედროვე მთის დიალექტებში იკარგება ნასესხები საკუთარი სახელების ფუძისეული ი (აკაკი > აკაკ, გიორგი > გიორგ...), ასევე სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან (კაცი > კაც, სახლი > სახლ და სხვ.).

როგორც ვხედავთ, ძველი ქართულის ზემოთ განხილული ვითარება ეხმაურება მთის დიალექტებში დღეს არსებულ ვითარებას, ზუნებრივია, მათ ერთი საერთო ახსნა მოეძებნოს.

დამაკმაყოფილებელი ახსნა ქართული ენის სხვადასხვა სისტემებში მომხდარი პროცესისა, ვფიქრობთ, არის შემდეგი: სიტყვის ბოლოს ი, ფუძისეული თუ ბრუნვის ნიშანი, იკარგება დახურული მარცვლისკენ მიდრეკილებით. ეს მიდრეკილება მეტაფორულ მოთხრობით ბრუნვაშიც: ხმოვანფუძიანი სახელები სალიტერატურო ქართულში ბოლოვდება მოთხრობითის მ ალომორფით და არა მა-თა (დედა-მ და არა დედა-მა, ძმა-მ და არა ძმა-მა, წყარო-მ და არა წყარო-მა...). -მა ალომორფის განაწილება კარგად არის ცნობილი: იგი გვხვდება თანხმოვანფუძიან სახელებთან (ქალ-მა, სახლ-მა...). -მან სუფიქსის ცვეთა თანხმოვანფუძიან სახელებთან შეჩერდა ხმოვნით დაბოლოებულ ვარიანტზე სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში თანხმოვანთა თავმოყრის ასაცილებლად პაუზის წინ. მთის დიალექტები ამ პოზიციაშიც მ ვარიანტს იყენებენ (ქალ-მ,

კაც-მ...), -მა-ს კი იმ შემთხვევაში, როცა ამ ფორმას ერთვის ნაწილაკი, რომელიც ან თანხმონით იწყება, ან მხოლოდ თანხმონიანია (ქალ-მა-ც, სახლ-მა-ც...), ამ შემთხვევაში მა — მოთხრობითის ხმოვნაანი ალომორფი დაკავშირებულია თანხმონთანა თავმოყრასთან, ამ თავმოყრის დასაძლევად. სალიტერატურო ქართულზე ეს ეითარება სრული პარალელიზმით ხასიათდება (დედა-მ, დედა-მა-ც...); -ვე, -ლა ნაწილაკები, განსხვავებით მთის დიალექტებისგან, სალიტერატურო ქართულში ხმოვანს არ კარგავენ. ამიტომ შესაძლებელია დე დამ და, დე დამ ვე ტიპის ფორმები. ნაწილაკის ხმოვანი მარცვალთგამყარს ქმნის თანხმონებს შორის, რის შემდეგაც ამ პოზიციაში -მ ალომორფი დასაშვებია.

ანალოგიური მსჯელობა შეიძლება ჩავატაროთ მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვათა ფორმებთან დაკავშირებით: შღრ. დე დას და დე დას აც, დე დის და დე დის აც, დე დით და დე დით აც.

ძველი ქართულის ბრუნვათა მოკლე და გრძელი ფორმების დაპირისპირების საფუძველზე ფრიად საყურადღებო მორფოლოგიურ-სემანტიკურ ანალიზს იძლევა ჰ. ფოგტი: გრძელი ფორმების (კაც-ი, კაც-მან; კაც-ის-ა, კაც-ით-ა) გაჩენა ენაში მორფოლოგიური მოდელის ცვლილებას მიეწერება გვარეობითი სახეებიდან კერძობითი ფორმების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით¹⁹⁵.

მთის დიალექტებში ნაწილაკებთან ერთად და კავშირი ენკლიტიკურად უკავშირდება წინამავალ სიტყვას, კარგავს ხმოვანს და ქმნის დახურულ მარცვალს: სახლი და >სახლი-ღ', კარი და >კარი-ღ' და სხვ.

დახურული მარცვლისკენ მიდრეკილება ქართულისთვის უძველესი ჩანს. ამ ვარაუდს განამტკიცებს სვანური ენა, რომელიც დღესაც დიდ მიდრეკილებას ამქავენებს დახურული მარცვლისადმი. მაუშლაუტებელი ხმოვნის დაკარგვა სიტყვის ბოლოს სვანურში, ჩვენი აზრით, სწორედ ენის დახურული მარცვლისკენ მიდრეკილებით აიხსნება. აქ შეიძლება მოვიშველიოთ ა. შანიძის შემდეგი დაკვირვება: „... ამ დაპირისპირებიდან ისე ჩანს, რომ თითქო ფართო ხმოვნის დავიწროება უკანასკნელი მარცვლის დახურვასთან იყოს დაკავშირებული...“¹⁹⁶ სვანურის რიგი ფორმები ანე-

195 ჰ. ფოგტი, ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში, „მიმოხილველი“, 4—5, 1968.

196 ა. შანიძე, უშლაუტი სვანურში, კრებულში: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, 1957, გვ. 363.

თი მტკიცების საწინააღმდეგოდ მიიჩნია ა. შანიძემ¹⁹⁷. შემდგომში ძიებამ, ჩვენი აზრით, პირველი ვარაუდი ა. შანიძისა უფრო გახამტკიცა.

ნიცილოთ დებულება: ქართული ენა ამჟღავნებს მიდრეკილებას დახურული მარცვლისადმი და ამავე დროს სიტყვათა უმრავლესობა ქართულში იწყება თანხმოვნით და გადავიდეთ თანხმოვნისა და თანხმოვანთა კომპლექსების განაწილებაზე ხმოვნებს შორის.

1. VCV: ზემოთ ჩატარებული აღწერის მიხედვით ქართულში ფონემატურად დასაშვებია როგორც VC-V, ისე V-CV დაყოფა: VC-V დაშვებულია დახურული მარცვლისადმი მიდრეკილებით, ხოლო V-CV — სიტყვის დასაწყისის ბუნებით. ასეთ სიტუაციაში ვადაწყვეტი ჩანს ბგერათშეხორცების ფიზიოლოგიური ბუნება.

ცნობილია, რომ ფიზიოლოგიურად შეხორცების მეტი ხარისხი აქვს თანამიმდევრობას თანხმოვანი + ხმოვანი, ვიდრე თანამიმდევრობას ხმოვანი + თანხმოვანი:

«Артикуляционное тяготение согласного к последующему гласному сильнее, чем к предшествующему»¹⁹⁸.

«Все случаи предвокального примыкания характеризуются наибольшей спаянностью, которая сопровождается так называемой сильноконечностью, согласных, т. е. мышечным напряжением органов, производящих предвокальный отступ и вызывающих артикуляционное тяготение согласных к последующему гласному»¹⁹⁹.

ამის საფუძველზე VCV დამარცვლება შემდეგნაირად: V-CV. უნივერსალია — „ორ ხმოვანს შორის მოქცეული თანხმოვანი ეკუთვნის მომდევნო მარცვალს“²⁰⁰ განპირობებულია სწორედ იმით, რომ (1) ენებში სიტყვის თავიკიდურად ხმოვანთა წინ დაშვე-

¹⁹⁷ ა. შანიძე, უმაღლესი სკანურში, კრებულში: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, 1957, გვ. 363.

¹⁹⁸ А. Л. Трахтеров, Основные вопросы слога и его определение, ВЯ, 1956, № 6, 23.

¹⁹⁹ იქვე.

²⁰⁰ «Согласный перед гласным никогда не будет частью имплозии» — Е. Курилович, Вопросы теории слога, კრებულში: Очерки по лингвистике, 1962, გვ. 273.

ბულია თანხმოვანი²⁰¹ (ფონოლოგიური საფუძველი²⁰²) და (2) ფიზიოლოგიურად თანხმოვანთა შეხორცება მეტია მომდევნო თანხმოვანთან, ვიდრე წინ მდგომთან. ამ წესს, რომელიც უნივერსალის ხასიათს ატარებს, ვუწოდოთ II წესი.

უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი ენის მასალაზე ჩატარებული აუდიომეტრია ამ წესს ადასტურებს²⁰³. ჩვენი დაკვირვებით, გამონაკლისს არც ქართული ენა ქმნის.

შემდეგი წესი უნდა დადგინდეს წყვილ თანხმოვანთა მარცვლებში განაწილებისათვის ინტერვოკალურ პოზიციაში:

VCCV: რადგანაც (1) ქართულში არის მიდრეკილება დახურული მარცვლისკენ, (2) თანხმოვანი შეხორცების ყველაზე დიდ უნარს იჩენს მომდევნო ხმოვანთან და (3) ნებისმიერ ორ თანხმოვანს შორის ფიზიოლოგიურად შეხორცების უნარი ნაკლებია, ვიდრე თანხმოვანსა და ხმოვანს შორის (resp. ხმოვანსა და თანხმოვანს შორის), ბუნებრივია, ქართულში VCCV დიამარცვლება შემდეგნაირად VC-CV. ამას ვუწოდოთ დამარცვლის III წესი. შეგვეძლოს ეს წესი უფრო დაწვრილებით გავევჩილა ცალკეული მოდელების მიხედვით (იხ. ქვემოთ), მაგრამ, ჩვენი აზრით, მოცემული საერთო ახსნა -CC- კომპლექსის დაშლისა ინტერვოკალურ პოზიციაში ფონოლოგიური და ფიზიოლოგიური თვალსაზრისით სრულიად დამაკმაყოფილებელია.

ვანვიხილოთ სამი და მეტათანხმოვნიანი კომპლექსების თანხმოვანთა მარცვლებში განაწილების წესი ინტერვოკალურ პოზიციაში. ამისთვის საჭიროა მორფემის შიგნით სინტაგმატურ თანამიმდევრობათა დადგენა სიტყვის თავში ან სიტყვის ბოლოს. საკმარისია ერთ-ერთი. თუ სიტყვის დასაწყისის თანხმოვანთა თანამიმდევრობას დავადგენთ, ამით განვსაზღვრავთ მომდევნო მარცვლის ექსპლოზიას, პირიქით, სიტყვის ბოლოს თანხმოვანთა თან-

201 «Среди известных нам языков мы не знаем языка, в котором слог не начинался бы с согласной или не оканчивался бы на гласную, в то время как имеется достаточно большое число языков, в которых слог не может начинаться с гласной или кончаться на согласную» — Р. Якобсон, Г. М. Фант, М. Халле, Введение в анализ речи, НЛ, вып. II, 1952, стр. 180.

202 «... Интервокальный согласный принадлежит всегда последующему слогу: с фонологической точки зрения он равноценен начальному согласному, а не конечному...» — Е. Курилович, დასახ. ნაშრ., გვ. 259.

203 E. Pulgram. Consonant cluster, consonant sequence and the Syllable. „Phonetika“, 13, 1965, გვ. 78.

მიმდევრობა განსაზღვრავს პირველი მარცვლის იმპლოზიას. რადგანაც ქართული ენის სიტყვათა დასაწყისში თანხმოვანთა კომპლექსები უფრო მრავალშემადგენლიანია და უფრო მრავალრიცხოვან-ც. ჩვენ ვირჩევთ დამარცვლაში გამოვიყენოთ თავიკიდურა კომპლექსებში მოქმედი წესები.

ქართული ენის სიტყვათა დასაწყისის თანხმოვანთა კომპლექსებში მოქმედი სინტაგმატური წესები შეიძლება განვიხილოთ სამი მოდელის მიხედვით. I მოდელში ერთიანდება მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსები (ყოველი მომდევნო თანხმოვანი ნაპრალოვნობით მეტია წინამავალზე); II მოდელში ერთიანდება დამავალი ნაპრალოვნობის კომპლექსები (ყოველი მომდევნო თანხმოვანი ნაპრალოვნობით ნაკლებია წინამავალზე); III მოდელში გაერთიანებულია ნულოვანი ნაპრალოვნობის კომპლექსები (ეს არის ხშულთა კომპლექსები).

ქართულისთვის სინქრონიულ დონეზე ძირითადია I მოდელი, რომლის კომპლექსთა რეალიზაცია თითქმის 100%-ს უდრის. დანარჩენი ორი მოდელი ქართულისთვის არაძირითადია — მათი კომპლექსების რეალიზაცია ქართულში დაბალია. არაძირითადი მოდელების კომპლექსები ენაში მეორეულია — შედეგი ენაში მომხდარი მორფონოლოგიური ცვლილებებისა (იხ. ზემოთ).

ინტერვოკალური პოზიციის თანხმოვანთა განაწილება მარცვლებში ხდება, უპირველეს ყოვლისა, ძირითადი მოდელის კანონზომიერებათა გათვალისწინებით, შემდეგ არაძირითად მოდელებში მოქმედი წესების მიხედვით. შეიძლება მივიღოთ წესი: ინტერვოკალური პოზიციის სამ და მეტთანხმოვანი კომპლექსებში მარცვალთვასაყარი დაიდება იქ, სადაც ირდევვა მზარდი ნაპრალოვნობის წესი. ამ წესს ვუწოდოთ დამარცვლის IV წესი ქართულში.

დანარჩენ შემთხვევებში (მზარდი ნაპრალოვნობის, დამავალი ნაპრალოვნობის და ნულოვანი ნაპრალოვნობის კომპლექსები) დამარცვლისას პირველი თანხმოვანი ეკუთვნის პირველ ხმოვანს, ყველა დანარჩენი — მომდევნო ხმოვანს. ამ წესს ვუწოდოთ V წესი. V წესი ნაკარნახევეია მარცვალთვასაყარის დადებისას მარცვლის ექსპლოზიიდან ანოსვლით. წესი შესაალებელია შეიცვალოს სიტყვის ბოლო თანხმოვანთა კომპლექსების ჩვენებათა საფუძველზე, აუშკვა ჩვენ მიერ წარმოებული დაკვირვება ამ წესს თითქოს აპაროლებს²⁰⁴.

²⁰⁴ საჭიროა დიდილი აუდიომეტრიული მასალის მოპოვება სხვადასხვა განათლებასა და ასაკის ქართველთა ჯგუფში.

მაშასადამე, ქართული ენის ხმოვანთა მარცვლებში განაწილებისათვის გვეჭირდება ერთი წესი:

1 (I წესი) — ორი ხმოვანი ერთ მარცვალში არ გვექნება.

ინტერვოკალური პოზიციის თანხმოვნისა და თანხმოვნების მარცვლებში განაწილებისათვის გვეჭირდება ოთხი წესი:

1 (II წესი) — ორ ხმოვანს შორის მოქცეული თანხმოვანი ეკუთვნის მომღვენო ხმოვანს.

2 (III წესი) — ორ ხმოვანს შორის მოქცეული ორი თანხმოვანი იშლება დამარცვლისას: პირველი თანხმოვანი ეკუთვნის პირველ ხმოვანს, ხოლო მეორე თანხმოვანი — მომღვენო ხმოვანს.

3 (IV წესი) — თუ ინტერვოკალური პოზიციის თანხმოვნებში ირდევია მზარდის ნაპრალოვნობა, მარცვალთგასაყარი დაიდება იქ, სადაც მზარდი ნაპრალოვნობა ირდევია, მაგალითად: აფრ-თხილებს, იბრ-ძეოს, ან-თხევს და სხვ.

4 (V წესი) — დანარჩენ შემთხვევებში ინტერვოკალური პოზიციის თანხმოვნებიდან პირველი მისდევს პირველ ხმოვანს, დანარჩენი თანხმოვნები მომღვენო ხმოვნის ექსპლოზიას წარმოადგენს; მაგალითად:

ა) დაფ-ხვნა, საზ-ღვრუ-ლი

ბ) გას-კდა, ას-ტყევ-და

გ) სიტ-კბო

როდესაც წყვეტილი ნაპრალოვნობის კომპლექსების მქონე სიტყვები (აფრ-თხილებს, იბრ-ძეოს, იზრ-დებ ა...) იმარცვლება V წესის მიხედვით, მაშინ მეორე მარცვალი იწყება არაძირითადი მოდელის კომპლექსით; ამას შედეგად მოსდევს მარცვლის თავიიდურა რ-ს დაკარგვა (აფრ-თხილებს > აფ-თხილებს, იბრ-ძეოს > იბ-ძეოს, იზრ-დებ > იზ-დებ), რაც ჩვეულებრივია დამავალი ნაპრალოვნობის კომპლექსებისათვის სიტყვის ანლაუტში (რქა > ქა, რკინა > კინა, მქადი > კადი, სტაფილო > ტაფილო და სხვ.). ამ შემთხვევა, როდესაც სიტყვის ფორმის ცვლილება უაკავშირებელია მარცვალთან.

სახელის ფუძის კუმშვისათვის ქართულში

ენის მორფოლოგიკური სტრუქტურის შესასწავლად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სახელის, ზმნისა და სხვა მეტყველების ნაწილთა ფორმალურ-სემანტიკური ცვლილებების შესწავლას. აღ-

ნიშნულ ცვლილებათა სრული აღწერა საშუალებას მოგვცემს ჩამოვავალიბოთ დამაჯერებელი მორფოფონემატური დებულებები.

ელიზია სახელთა და ზმნათა ფუძეებში, ჩვენი ღრმა რწმენით, ცალ-ცალკე უნდა იქნეს შესწავლილი, რადგან ისინი ფრიად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ ამ მხრივ²⁰⁵. სახელისა და ზმნის გამოწვლილვით შესწავლის შემდეგ შესაძლებელია მოხერხდეს ელიზიას წესთა გაერთიანება.

ქვემოთ განვიხილავთ მხოლოდ სახელის ფუძეთა კუმშვას.

ფუძის კუმშვა ნიშნავს სახელის ფუძიდან ხმოვნის ამოღებას (ქერამ-ის > ქერმ-ის).

მსჯელობაში გამოყენებულ ტერმინთათვის:

1. ხმოვანი, რომელიც ამოვარდება სახელის ფუძიდან სხვა მორფემის დისტანციური გავლენით, არის რედუცირებადი ხმოვანი (ა: ქერამ-ის > ქერმ-ის).

2. სახელის ფუძის რედუცირებად ხმოვანსა და მის მომდევნო ცალ თანხმოვანს, რომელიც ფუძეს აბოლოებს, ვუწოდებთ რედუცირებად სეგმენტს (ამ: ქერამ-ის > ქერმ-ის). რადგან ქართულში ორი ან ორზე მეტი თანხმოვნით დაბოლოებული მორფემა არ იკუმშება, რედუცირებადი სეგმენტის ფორმულა ქართულ ენაში არის -VC. ერთადერთი რედუცირებადი სეგმენტი ორი თანხმოვნით (-VCC), რომელსაც შეიძლება შევხვდეთ თანამედროვე ქართულში არის -ერთ (ღმერთ-ის > ღმრთ-ის). ღმრთის ფორმა დღეს მხოლოდ სტილის მოთხოვნით იხმარება (ფრაზის არქაიზაცია). თანამედროვე ქართულისათვის (ლიტ. ენა, დიალექტები) ნორმაა ღმერთის ან ღვთის ფორმები (ღმერთები; უღვთო/უხვთო).

რედუცირებადი სეგმენტი -VC შეიძლება დამოუკიდებელი მორფემა იყოს (მეზობელი; შღრ. ეზო) ან მრავალფონემიანი მორფემის სემანტიკურად განუყოფელი ნაწილი (ქერამ).

3. სეგმენტი, რომელიც იწვევს სახელის ფუძის კუმშვას, არის მარედუცირებელი სეგმენტი (-ის: ქერამ-ის ქერმ-ის). იგი მარცხოვანია და შეიძლება შედგებოდეს ერთზე მეტი მარცხლისაგან (მაგ.: -ოვან, იან — ქერმ-ოვან, ქერმ-იან). ყველა შემთხვევაში ფუძისეული ხმოვნის ამოღებას იწვევს ფუძის მომდევნო ხმოვანი, ანითომ მარედუცირებელი სეგმენტი ფორმულაში მარტივად შეიძლება გამოიხატოს -V სიმბოლოთი. ერთადერთ შემთხვევაში მარე-

²⁰⁵ H. Vogt, Alternances vocaliques en georgian. NTS. XI. 1939. 35. 126.

დუცირებელი სეგმენტი -CVC შედგენილობისაა. ეს არის კრები-
ჯობის -ნ არ სუფიქსი (ეკალ — ეკლ-ნარ).

4. იმის გამო, რომ VC ტიპის სახელურ ფუძეში რედუქცია არ
ჩდება არც დამოუკიდებლად (ალ-ის, ას-ის, ათ-ის; ერ-ის, ეჭ-ის;
ორ-ის, ოც-ის; ომ-ის; იყ-ის; უმ-ის და სხვ.) და არც სხვა ხმოვან
ან ხმოვნით დაბოლოებულ მორფემათა მომდევნოდ (ჟალ-ო, მეას-
ის, მეთათ-ის ნათათ-ალ, საერ-ო, მეორ-ე, ნაოც-ალ, ნაომ-არ. უიყ-ო,
მეიყ-ე, საომ-არ...), ხოლო თანხმოვნით დაბოლოებული მარცვლის
მომდევნოდ რედუცირებადი სეგმენტი გარკვეულ სიტუაციებში
ხმოვანს კარგავს (ნაწვერ-ალ — ნაწვერლ-ის, აპარ-ელ — აპარლ-ის),
რედუქციის მექანიზმისათვის აუცილებელ ელემენტად უნდა მივიჩ-
ნიოთ რედუცირებადი ხმოვნის წინ თანხმოვნის არსებობა. ამ თან-
ხმოვანს ვუწოდებთ რედუქციის საყრდენ თანხმოვანს (რ: ჰერა-
მ-ის > ჰერმ-ის).

ქართულში გვაქვს ორიოდე შემთხვევა, როცა VVC თანმიმ-
დევრობაში VC სეგმენტი რედუცირებადია (იორ — ივრის, ნიორ —
ნივრის²⁰⁶). ლაბიალური ო ხმოვანი რედუცირებულია სხვა ხმოვ-
ნის ან თანხმოვნის მომდევნოდ სონორი თანხმოვნის წინ. ამ რე-
დუქციას აქვს გამართლება: ო ხმოვანთა და თანხმოვანთა მომდევ-
ნოდ მონაცვლეობს ვა-სთან, ე. ი. V/>CV. სწორედ ეს C (ე-)
წარმოადგენს რედუქციის საყრდენ თანხმოვანს. ენახოთ ო/ვა მო-
ნაცვლეობის რამდენიმე მაგალითი: დიაკონ/დიაკვან, გიორგი/გი-
კარგი, სიონი/სივანი, ყალიონი/ყალივანი, ფოთოლი/ფათვალი.

5. რედუქციის საყრდენ თანხმოვანს ორ- და მეტმარცვლიან
ფუძეებში, როგორც წესი, წინ ყოველთვის უძღვის ხმოვანი, რო-
მელსაც ვუწოდებთ რედუქციის საყრდენ ხმოვანს (ე: ჰერამ-ის >
ჰერმ-ის). რედუქციის საყრდენ ხმოვანსა და რედუქციის საყრდენ
თანხმოვანს შორის შეიძლება იდგეს სხვა თანხმოვანი ან თანხმო-
ვანთა კომპლექსი (მაგალითად: კურტან — კურტნის, კოშინშხალ —
კოშინშხლის). რედუქციის საყრდენ ხმოვანს ყველა მომდევნო
თანხმოვნით ვუწოდებთ რედუქციის საყრდენ სეგმენტს. მისი
ფორმულა არის VC/VC_n, სადაც n ინდექსი გამოხატავს თანხმო-
ვანთა სიმრავლეს.

²⁰⁶ ძველად უკუმშველი იყო ეს ფუძეები. კახეთში სოფელს ჰქვია სან ი-
ორ ე — შემონახულია ფუძის უკუმშველობა. მაგრამ ადგილს, სადაც ნიორი
უნდა დაითესოს, ჰქვია სან ივრ ე — დღეს უკუმშვა განხორციელებულია; შდ.
კიდე ნივრ ნან, უნივრ ო.

ქართულ ენაში სახელის ფუძის შეკუმშვისთვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, რა უძღვის წინ რედუქციის საყრდენ სეგმენტს.

6. რედუქციის საყრდენ სეგმენტსა და რედუცირებად სეგმენტს ერთად ვუწოდებთ სარედუქციო სეგმენტს (ერამ: ჳერამ — ჳერამ-ის).

7. სიტყვის ნაწილს, რომელიც მოიცავს სარედუქციო სეგმენტსა და მარედუცირებელ სეგმენტს ერთად, ვუწოდებთ სარედუქციო პოზიციას (ერ-ამ-ის: ჳერამ-ის — ჳერამის).

ზემოთ თქმულიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა: სახელთა ფუძის კუმშვის განხორციელებისათვის საჭიროა ორმარცვლიანი სარედუქციო სეგმენტი და მარედუცირებელი სეგმენტი, რომელიც აგრეთვე მარცვლოვანია. ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს ენის სახელთა ასეულობით ფორმა. მაგრამ სახელის კუმშვა გვაქვს ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც სარედუქციო სეგმენტი ერთმარცვლიანია, კერძოდ, მას არ გააჩნია რედუქციის საყრდენი ხმოვანი (ბალ — ბლ-ის, მხარ — მხრ-ის, მტერ — მტრ-ის და სხვ.).

ასეთ სეგმენტთა რიცხვი ქართულში 40-მდე აღის. ჩვენ შათ ვუწოდებთ გამონაკლისებს საერთო წესიდან და მიგვაჩნია მეორეულად, ე. ი. კუმშვა აქ მეორეული მოკლენაა, ისტორიულად ისინი მიღებულია სწორედ ძირითადი წესის მოქმედებით (ე. ი. გამონაკლისი ადასტურებს წესს), მაგრამ ენობრივი ანალოგიის საფუძველზე შემდგომში ქცეულან გამონაკლისებად, ე. ი. გამოვიდნენ ძირითადი წესის ფარგლებიდან.

განვიხილოთ სახელთა კუმშვადი ფუძეები, რომელთა სარედუქციო სეგმენტი ორმარცვლიანია, ხოლო შემდეგ შევხვით ჩვენ მიერ გამონაკლისებად წოდებულ კუმშვად ფუძეებს, რომელთა სარედუქციო სეგმენტი ერთმარცვლიანია.

ენახოთ ორ- და მეტმარცვლიან სახელთა ფუძეები უკუმშველი და შეკუმშული სახით: ბაღან-ის — ბაღნ-ის, ახოვან-ის — ახოვნ-ის, იასამან-ის — იასამნ-ის, იორდასალამ-ის — იორდასალმ-ის.

სარედუქციო პოზიცია, მიუხედავად იმისა, რამდენი მარცვლისაგან შედგება სახელის ფუძე, ყველგან ერთნაირია: იგი მოიცავს სიტყვის ბოლო სამ მარცვალს (რედუქციის საყრდენი სეგმენტი + რედუცირებადი სეგმენტი + მარედუცირებელი სეგმენტი). პირველ სიტყვაში ეს იქნება აღან + ის (ბაღან-ის > ბაღნ-ის), მეორეში — ოვან-ის (ახოვან-ის > ახოვნ-ის), მესამეში — ამან-ის (იასამან-ის > იასამნ-ის), მეოთხეში — აღამ-ის (იორდასალამ-ის > იორ-

დასალმ-ის). როგორც ვხედავთ, რედუქციის პროცედურა ყველა შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ სამი მარცვლის ფარგლებში (სარედუქციო სეგმენტი—2 მარცვალი და მარედუცირებელი სეგმენტი—1 მარცვალი) და არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ წინ რა უძღვის სარედუქციო სეგმენტს.

ამ გზით მოხერხდა სხვადასხვა რაოდენობის მარცვალთა შემცველი ფუძეების დაყვანა საერთო მნიშვნელზე, რაც საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ რედუქციის (resp. კუმშვის) საერთო წესი/წესები სახელთა ორ- და მეტმარცვიან ფუძეთათვის.

რედუქციის საყრდენი სეგმენტის გამოყოფა მექანიკურად ზღვება (ეს არის რედუცირებადი სეგმენტის წინა მარცვალი), ასევე მექანიკურად გამოიყოფა მარედუცირებელი სეგმენტი (მორფემა, რომლის დართვა სახელის ფუძის კუმშვას იწვევს).

რედუქციის მექანიზმის გარკვევაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თანხმოვანთა კომპლექსების ბუნების შესწავლას სარედუქციო სეგმენტში, კერძოდ, გასარკვევია შემდეგი: როგორია თანხმოვნის/თანხმოვანთა კომპლექსის ფონემატური ბუნება რედუქციის საყრდენ სეგმენტში და რა მიმართებაშია მასთან რედუცირებადი სეგმენტის თანხმოვანი, რომელიც ხმოვნის ამოღების შემდეგ შეუერთდება რედუქციის საყრდენი სეგმენტის თანხმოვანს/თანხმოვნებს. მასადასამე, საჭიროა შევისწავლოთ თანხმოვანთა თანამიმდევრობა რედუქციის საყრდენ სეგმენტში რედუქციამდე და თანხმოვანთა თანამიმდევრობა სარედუქციო სეგმენტში რედუქციის შემდეგ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კუმშვად სახელთა რედუცირებადი სეგმენტი (VC) ყოველთვის ცალთანხმოვნიანია, მაგალითად: არ, ან, ელ, აჟ, ალ, ორ და სხვ. (ჩინჩხვარ, მსუქან, ბეჭედ, არაჟ, მარცვალ, მინდორ...) განსახილველია რედუქციის საყრდენი სეგმენტი, რომელშიც რედუქციის საყრდენი ხმოვნის მომდევნოდ ქართულში ერთიდან ოთხამდე თანხმოვანი გვხვდება ხოლმე, მაგალითად: ერთი თანხმოვანი—ატამ, ორი თანხმოვანი — ფართალ, სამი თანხმოვანი — მარცვალ, ოთხი თანხმოვანი — ჩინჩხვარ.

რედუქციის საყრდენი სეგმენტის თანხმოვანი/თანხმოვნები ინტერვოკალური პოზიციისაა: წინ უძღვის რედუქციის საყრდენი ხმოვანი, მოსდევს რედუცირებადი სეგმენტის ხმოვანი (ჩინჩხვარ) და მარცვლებში ეს თანხმოვნები სწორედ აღნიშნულ ხმოვ-

ნებს შორის ნაწილდება. მარცვლის სტრუქტურას პრინციპული მნიშვნელობა აქვს რედუქციის პროცედურაში.

განვიხილოთ თანხმოვანთა განაწილება სარედუქციო სეგმენტის ორ მარცვალში რედუქციამდე მარცვალთა სტრუქტურასთან მიმართებით.

(1) რედუქციის საყრდენ სეგმენტში ერთი თანხმოვანია: ატამ, ქათამ, იასამან და სხვ.

დამარცვლისას ეს თანხმოვანი ეკუთვნის რედუქციურებადი სეგმენტის ხმოვანს: ა-ტამ, ქა-თამ, ი-ა-სა-მან... (იხ. ზემოთ — მარცვალი).

(2) რედუქციის საყრდენ სეგმენტში ორი თანხმოვანია: აკვან, აბჯარ, ამბარ და სხვ.

ქართულში ორ ხმოვანს შორის შესაძლებელია გვექონდეს ნებისმიერი ორი თანხმოვანი — როგორც სხვადასხვა კლასის, ისე ერთი და იმავე კლასისა, განურჩევლად მათი რაგვარობისა, რაც იმით არის განპირობებული, რომ ინტერვოკალურ პოზიციაში მარცვალთა გამყარი გაივლის თანხმოვნებს შორის. მაშასადამე, თუ რომელიმე კომბინაცია არ გვხვდება ენაში, იგი შეიძლება ვირტუალურად ჩაითვალოს. საერთოდ, ორ- და მეტმარცვლიან სიტყვებში ბევრია სხვა ენიდან ნასესხები ფუძე; ცნობილია, რომ ქართული წარმომავლობის ორ- და მეტმარცვლიანი ფუძეები არსებითად მორფემათა შერწყმითაა მიღებული (მ-ალ-ალ, დაბ-ალ, მ-სუქ-ან, მ-წერ-ალ, დედ-ან და სხვ.).

თანხმოვანთა სხვადასხვა მარცვალში განაწილების ზემოთ აღნიშნული შესაძლებლობა ენას საშუალებას აძლევს ადვილად დააწიოს როგორც ნასესხები, ისე მორფემათა შერწყმის გზით მიღებული ფუძეების წყვილი თანხმოვნები ინტერვოკალურ პოზიციაში. ამიტომაც აქ ჩვენ შევხვდებით ქართული ენისთვის სხვა პოზიციაში მიუღებელ წყვილებს, მაგალითად; ბღ: აბღალ („არაბ. აბღ ალპ“ — ქეგლი), ნუ: ინჟინერი („ფრანგ. ingenieur...“ ქეგლი), ხგ: ლუსგარ (ქეგლი), დრაპკან (სპ. დრაპკანნი — ქეგლი). ჩყ: ბოჩყა და სხვ.

წყვილ თანხმოვანთა ზოგი კომბინაცია ამ პოზიციაში თითქმის არ ჩანს, როგორცია, მაგალითად, წინაენისმიერი სპირანტები წინაენისმიერ ხშულთა მომდევნოდ: ტს, ტშ, ტყ, ტზ; ცს, ცშ; ჩს; ჭს; ცზ; თზ; ჭზ და სხვ. მაგრამ ესენიც, ჩვენი აზრით, ვირტუალურად უნდა ჩაითვალოს ამ პოზიციისთვის, რადგან ერთი სიტყვის ფარგლებში, ერთი მახვილის ქვეშ გაერთიანებული, ისინი მა-

ინც გვხვდება ქართულში და რაიმე ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდიან: კეტზე, კეტში, კრეტსაბმელი; ათსავე, ათზე და სხვ.

(3) რედუქციის საყრდენ სეგმენტში სამი თანხმოვანია: თირკმელ, კურცხალ, ლურსმან, კარჩხალ, კურდღელ, კურძვალ, ნაპერწყალ, ხონთქარ და სხვ.

სახელთა კუმშვად ფუძეებში რედუქციის საყრდენი სეგმენტის სამთანხმოვანიან კომპლექსებში არსებითი მნიშვნელობა აქვს თანხმოვანთა რიგსა და რაგვარობას. ეს ბუნებრივიც არის, თუ ამოვალთ მარცვლის სტრუქტურიდან: ინტერვოკალურ პოზიციაში სამი თანხმოვანი ისე არ დაიშლება, რომ ან წინა მარცვლის იმპლოზიაში ან მომდევნო მარცვლის ექსპლოზიაში თავი არ მზიყაროს ორმა თანხმოვანმა, ხოლო უშუალო თანამიმდევრობის ორი თანხმოვანი ამა თუ იმ მარცვალში უნდა შეესაბამებოდეს სიტყვათა შესაბამისი პოზიციის თანხმოვანთა თანამიმდევრობას.

ვიდრე ვიმსჯელებდეთ აღნიშნულ ფუძეთა ჩვენთვის საინტერესო მარცვლების იმპლოზია-ექსპლოზიაზე, ვნახოთ რა თანხმოვნები იყრის თავს რედუქციის საყრდენ სეგმენტში. კუმშვადი ფუძეები, რომელთა რედუქციის საყრდენ სეგმენტში არის 3 თანხმოვანი, ქეგლის მიხედვით დადასტურდა 36. აი ისინიც:

- | | | |
|------------------------|--------------|---------------|
| 1. კიბორჩხალ | 13. მარცვალ | 25. წართხალ |
| 2. კოშინშხელ/კოშინშხალ | 14. მარცხალ | 26. კარკვან |
| 3. ნაკერჩხალ/ნეკერჩხალ | 15. სარკმელ | 27. კინქველ |
| 4. ნაკვერჩხალ | 16. ურთხელ | 28. ჭარველ |
| 5. თირკმელ | 17. ფარზეალ | 29. ჯირკვალ |
| 6. კარჩხალ | 18. ფერცხალ | 30. ბოჯინჯვალ |
| 7. კუმფხალ | 19. ფინჩხალ | 31. ნაპერწყალ |
| 8. კურდღელ | 20. ფოცხვერ | 32. დინდგელ |
| 9. კურცხალ | 21. ფურჩხალ | 33. ყურდგელ |
| 10. კურძვალ | 22. ჩინჩხვარ | 34. წინწყალ |
| 11. კირწყალ | 23. ჩირჩვალ | 35. ხონთქარ |
| 12. ლურსმან | 24. ცინცხალ | 36. ხუნწყალ |

საყურადღებოა, რომ აქ წარმოდგენილი 36 კუმშვადი ფუძიდან რედუქციის საყრდენი სეგმენტის თანხმოვანთა კომპლექსი 35 ფორმაში იწყება სონორით (ნ, რ, მ): კიბორჩხალ, კოშინშხალ, კუმფხალ... მხოლოდ ერთ შემთხვევაში — ჩქამეერთი: ფოცხვერ,

დამარცვლის შემთხვევაში მარცვალთა გამყარი გაივლის სონორის შემდეგ (კიბორ-ჩხალ, კოშინ-შხალ, კუმ-ფხალ), რადგან სონორი + ჩქამიერი არაძირითადი მოდელის კომპლექსია და ნაკლებად გვხვდება სახელის ფუძის ბოლოს, ვიდრე მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსები ფუძის დასაწყისში (იხ. ზემოთ — მარცვალი)²⁰⁷.

რაც შეეხება ფოცხვერ ფუძეს, იგი დაიმარცვლება ასე: ფოც-ხვერ (იხ. ზემოთ — მარცვალი). მაშასადამე, სარედუქციო სეგმენტში ბოლო მარცვლის ექსპლოზიას ამ შემთხვევაში წარმოადგენს მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსი. ეს ვითარება ირღვევა 7 შემთხვევაში (ბოჯინ-ჯგალ, ნაპერ-წყალ, დინ-დგელ, ყურ-დგელ, წინ-წყალ, ხონ-თქარ, ხუნ-წყალ).

ეს ფუძეები უთუოდ შედგენილია. მზარდი ნაპრალოვნობის ძირითადი მოდელის მოქმედების თვალსაზრისით სიმპტომატურია ექსპლოზიური დგ-კომპლექსის გადაქცევა დღ-დ: ყურდგელ > კურდღელ. ეტიმოლოგიურად, ჩვენი აზრით, ყურდგელ შეიძლება გამოიყვანოთ ყურდგერ თხზული სიტყვიდან (შდრ: ყურცქვიტა და ძვ. ქართულის დგერ, დგრომა, „დგომა“): ყურ-დგერ > ყურდგელ (დისიმილაცია: რ—რ > რ—ლ) > კურდღელ. მაშასადამე, ნულოვანი ნაპრალოვნობის ექსპლოზიურმა დგ-კომპლექსმა მოგვცა მზარდი ნაპრალოვნობის დღ-. ეს ცვლილება ბუნებრივია ექსპლოზიური ნულოვანი ნაპრალოვნობის კომპლექსისთვის, რამდენადაც ენისთვის სიტყვის თავიკიდურად, როგორც ზემოთ ვნახეთ, დამახასიათებელია მზარდი ნაპრალოვნობის თანხმოვანთა კომპლექსები. ამავე რიგის ცვლილება ჩანს ბანჯგვლიანი > ბანჯღვლიანი, სადაც ექსპლოზიური ჯგ- (ბანჯგვლი-ანი) გადადის ჯღ-კომპლექსში. ანალოგიური ცვლილება დასტურდება ნულოვანი ნაპრალოვნობის აქცესიურ კომპლექსებში, როდესაც ისინი წარმოადგენენ მარცვლის ექსპლოზიას: პორტველი (პორ-ტფე-ლი) > პორ-თფე-ლი > პორ-თვე-ლი. თფ- გადადის თვ კომპლექსში მარცვლის თავიკიდურად. მართალია, პორ-

207 ასეთი დამარცვლა სწორად მიაჩნიათ ა. შანიძესა და ს. ჟღენტს: ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 20 (ფრინ-ვე-ლი... ნერ-ცხა-ლი. კვერ-ცხი, თუმცა იქვეა ნა-მგა-ლი); ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, მარცვლის აგებულების პრობლემა, 1960, გვ. 147 (პორ-ფლი, ორ-თქლი, ურ-ჩხუ-ლი...), შდრ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 151 (მარ-ცვა-ლი, ასევე ბუნებრივია მარცვა-ლი).

თველი ლიტერატურულ ფორმად არ ითვლება, მაგრამ იგი გავრცელებულია როგორც დიალექტებში, ისე სალიტერატურო მეტყველებაში (მდრ. სიტყვის დასაწყისის ცვლილებები: თბილ > თვილ, კბილ > კმილ და სხვ. იხ. ზემოთ).

ახლა განვიხილოთ თანხმოვანთა თანამიმდევრობა სარედუქციო სეგმენტში რედუქციის შემდეგ.

(1) თუ რედუქციის საყრდენ სეგმენტში ერთი თანხმოვანია (ვთქვათ, ეჭ — ბეჭედის), მაშინ სარედუქციო სეგმენტში რედუქციის შემდეგ თავს მოიყრის ორი თანხმოვანი: ეჭდ (ბეჭდის). სარედუქციო პოზიციაში ეს კომპლექსები ყოველთვის ხმოვნებს შორის ექცევა: ეჭლი, ეჭლე, ეჭლო... ბეჭდის, საბეჭლე, უბეჭლო...

რადგან რედუქციის შედეგად მიღებულ წყვილ თანხმოვანთა პოზიცია ინტერვოკალურია, ისინი განაწილდებიან ორ მარცვალში. მარცხნიდან პირველი იქნება რედუქციის საყრდენი ხმოვნის იმპლოზია, ხოლო მომდევნო თანხმოვანი — მარედუქტირებელი სეგმენტის ხმოვნის ექსპლოზია: ბეჭ-დის.

რადგან ინტერვოკალური პოზიციის წყვილთანხმოვნიანი კომპლექსი იშლება და სხვადასხვა მარცვალში ნაწილდება, რედუქცია შეიძლება განიცადოს ნებისმიერი სახელის ფუძემ, რომელსაც ექნება VCVC ტიპის სარედუქციო სეგმენტი, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ რედუქციის შედეგად სარედუქციო პოზიციაში შეიძლება აღმოგვაჩნდეს თანხმოვანთა როგორც ერთი და იმავე კლასის, ისე სხვადასხვა კლასის წევრები; ასევე თანხმოვანთა კომპლექსები შეიძლება იყოს როგორც მზარდი, ისე დამავალი და წულოვანი ნაპრალოვნობისა:

(ა) ფუძის კუმშვით მიღებული ერთი და იმავე კლასის წყვილთანხმოვნიანი კომპლექსები: მელან — მელნის, ყორან — ყორნის, ბეჭედ — ბეჭდის, წელიწად — წელიწადეული და სხვ.

(ბ) ფუძის კუმშვით მიღებული მზარდი ნაპრალოვნობის წყვილთანხმოვნიანი კომპლექსები: ატამ — ატმის, ქათამ-ქათმის, მაღალ — მაღლის...

(გ) ფუძის კუმშვით მიღებული დამავალი ნაპრალოვნობის წყვილთანხმოვნიანი კომპლექსები: ელამ — ელმის, ურემ — ურმის, ყასაბ — ყასბის, შაშაბ — შაშბის...

(დ) ფუძის კუმშვით მიღებული წულოვანი ნაპრალოვნობის წყვილთანხმოვნიანი კომპლექსები: ნიჩაბ — ნიჩბის, კაკაბ — კაკბის, ნაბალ — ნაბდის.

თვალში საცემია ორი ფაქტი: პირველი ის, რომ კუმშვის შედეგად მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსებს ქმნიან მხოლოდ სონორი ფონემებით დამთავრებული ფუძეები (იხ. ზემოთ). არა გვაქვს არც ერთი შემთხვევა ჩქამიერთაგან ასეთი კომპლექსის მიღებისა, ვთქვათ, აბაზ-აბზის, ოთახ — ოთხის და სხვ.

მეორე ის, რომ ძალიან მცირეა რიცხვი კუმშვის შედეგად მიღებული იმ წყვილთანხმოვნიანი კომპლექსებისა, რომელთა მეორე კომპონენტი ჩქამიერი თანხმოვანია. ქეგლის მიხედვით ასეთი სულ 11 შემთხვევა დასტურდება, აი ისინი:

- | | |
|--------------------------|--------------------|
| 1. ბეჰედ — ბეჰდის | 7. ლაყაბ — ლაყბის |
| 2. კაკაბ — კაკბის | 8. ყასაბ — ყასბის |
| 3. ნაბად — ნაბდის | 9. შაშაბ — შაშბის |
| 4. ნიჩაბ — ნიჩბის | 10. ხოხობ — ხოხბის |
| 5. წელიწად — წელიწადეული | 11. ნილაბ — ნილბის |
| 6. არაყ — არყის | |

რა უნდა იყოს ამისი მიზეზი?

— რა თქმა უნდა, რედუქცია თვითმიზანი ვერ იქნებოდა ენაში იმთავითვე. მაგრამ თუ ამოვალთ იქიდან, რომ ქართული ენის მორფემები წარმოშობით ერთმარცვლიანია (თუ განზოგადებულია) და მათი რედუქცია ხდება ნაწარმოებ ფუძეში, რედუქცია მეორეულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ და მისი არსებობის გრძელ მანძილზე რედუქციის სისტემა ხელს უწყობდა ენაში ისეთი მორფემების დაკარგვას, რომლებიც აფერხებდნენ ამ სისტემის მოქმედებას. ამ თვალსაზრისით სიმპტომატური ჩანს ჩქამიერი თანხმოვნებით დასრულებული -VC ტიპის სახელური მორფემების შემცირება პროდუქტულობის დაკარგვის გზით, მაგალითად, თანამედროვე ქართულში თითქმის აღარ ფუნქციონირებს -ედ, -ად სუფიქსები (კარ-ედ, ფესტ-ედ, პურ-ად...). მათ მეცნიერულ ტერმინოლოგიაშილა აღადგენენ ხოლმე ხელოვნურად.

ზემოთ ჩამოთვლილი 11 შემთხვევა, რომლებშიც რედუქცირებადი სეგმენტის თანხმოვანი ჩქამიერია, არსებითად ნასესხებ ლექსიკაზე მოდის: ბ ე ჰ ე დ ი, ლ ა ყ ა ბ ი, ნ ა ბ ა დ ი სპარსულიდან არის შემოსული ქართულ ენაში, ხოლო ა რ ა ყ ი, ყ ა ს ა ბ ი — არაბულიდან: წ ე ლ ი წ დ ე უ ლ ი მორფემათა შერწყმის გზითაა მიღებული. დანარჩენთაგან ნაწილი, ალბათ, ნასესხებია, ნაწილიც მორფემათა შერწყმით უნდა იყოს მიღებული.

აღნიშნული კომპლექსები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფუნქციონირებს არ არის მოულოდნელი, ამიტომ თვით ქართული წარმოების ფორმებშიც გვაქვს თითო-ორი შემაჯავებელი ჩამოყალიბების შორის ხმოვნის რედუქციისა:

წელიწად-ეულ > წელიწდეულ, ძველ ქართულში ხუცეს (ხ-უ-ც-ე-ს) ფუძიდან იწარმოა ხუცსობა (ჩამოყალიბების შორის ე ხმოვნის რედუქციით); ძველსავე ქართულში დასტურდება ეეშპის (<ვეშპ-ის) ფორმაც. მაგრამ არა გვაქვს არც ერთი შემთხვევა ჩამოყალიბების შორის ან ჩამოყალიბების თანხმობის წინ ხმოვნის რედუქციისა, როდესაც რედუქციის საყრდენ სეგმენტში ერთზე მეტი თანხმობანია. ეს გასაკვირვებელი არის: ასეთ შემთხვევაში რედუქცია ხშირად არღვევდა მარცხის სტრუქტურას. როგორც ჩანს, შემდეგ ეს განზოგადდა ისეთ სარედუქციო სეგმენტებზეც, სადაც რედუქციის საყრდენი სეგმენტი ცალთანხმობიანი იყო. სწორედ ეს გვეჩვენებს მხედველობაში ზემოთ, როდესაც მორფემათაგან რედუქციის სისტემის შეფერხებაზე ვლაპარაკობდით.

(2) ისეთ სარედუქციო სეგმენტში, რომლის რედუქციის საყრდენი სეგმენტი ორი თანხმობით ბოლოვდება, რედუქციის შედეგად თავს მოიყრის სამი თანხმობანი. პოზიცია თანხმობანთა კომპლექსისა ინტერვოკალურია, მაგალითად: აბდალ — აბდლის, აბჯარ — აბჯრის, ავშან — ავშნის, ამბარ — ამბრის და სხვ.

რედუქციის შედეგად მიღებული სამი თანხმობიდან ჩვენი მასალის მიხედვით ბოლო ორი თანხმობანი ყველგან ქმნის აღმავალი ნაპრალოვნობის კომპლექსს, ამიტომ ფუძის კუმშვისთვის მნიშვნელობა არა აქვს თვისებებს კომპლექსის თავიდაურა თანხმობისა, რადგანაც ეს თანხმობანი წინა მარცვალს (რედუქციის საყრდენი ხმოვნის მიერ შექმნილ მარცვალს) გაჰყვება და ამის გამო მომდევნო მარცვალს ყოველთვის დაიწყება მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსით: აბ-დლის, აბ-ჯრის, ავ-შნის, ამ-ბრის, ბე-ზირ-გნის, ბუ-ღალ-ტრის, ა-ჯათ-სან-დლის, ქორ-მა-ის-ტრის და სხვ.

სიმპტომატურია, რომ, თუ ფუძეში რედუქციის საყრდენი სეგმენტი მარედუქციურებელი სეგმენტის თანხმობანთან რედუქციის შემდეგ კერ შექმნის მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსს, ასეთი ფუძე არ იკუმშება, მაგალითად: ფილიგრან — ფილიგრანის, კაპრალ — კაპრალის, პაეროპლან —

ჰაერობლანის, შაფრან — შაფრანის, ეკრან — ეკრანის, ეურნალ — ეურნალის და სხვ.

რადგან რედუცირებადი სეგმენტი ჩვენს შემთხვევაში ყოველ-
თვის ბოლოვდება III კლასის თანხმონით (სონორებით — რ. ლ.
ნ). რედუქციის შედეგად მზარდი ნაპარალოვნობის კომპლექსს ვერ
შექმნიან მხოლოდ ისეთი სარედუქციო სეგმენტები, რომელთა
რედუქციის საყრდენი სეგმენტის ორი თანხმონიდან ბოლო წევ-
რი ისევე ერთ-ერთი ამ სონორთაგანი იქნება (მაგალითები იხ. ზე-
მოთ).

თუ ამ ერთი და იმავე კლასის თანხმონებს აღნიშნავთ C_{id}
სიმბოლოთი (id-იდენტური), შეიძლება მივიღოთ ზოგადი წესი:
 $VCC_{id} VC_{id}$ სარედუქციოდ სეგმენტის მქონე ფუძეში კუმშვა არ
ჯანხორციელდება. ამის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ
სახელის ფუძის ბოლოს, როგორც პაუზის
წინ, ისე ფუძისეული ბოლო ხმოვნის წინ
ერთი მორფემის ფარგლებში ქართულ ენას
არ ახასიათებს სამთანხმონიანი კომპლექ-
სი, რომლის ბოლო ორი წევრი თანხმოვან-
თა ერთსა და იმავე კლასს განეკუთვნება.

ჩვენ შევამოწმეთ ნებისმიერი თანხმონისა და III კლასის
თანხმონების წყვილთა ამნაირი სამკომპონენტიანი კომპლექსების
არსებობა სახელთა ფუძეების აბსოლუტურ ბოლოში და ფუძისე-
ული ბოლო ხმოვნის (ა, ე, ი, ო, უ) წინ „ქართული ენის განმარ-
ტებით ლექსიკონში“ („ინვერსიული ლექსიკონის“ საშუალებით).
ასეთი კომპლექსები, მართლაც, არ აღმოჩნდა სახელთა ფუძის
აუსლაუტში! ლექსიკონში დადასტურებული ღრნა „ღრღნა“
და ებრნ დაბოლოების მქონე ფორმები (ვაზისებრნ-ი,
იისებრნ-ი) დებულებას ვერ უარყოფს, რადგან ღრნა
არის ზმნა, ხოლო -ებრნ დაბოლოების ნ თანხმოვანი ფუძეს არ
ეკუთვნის: ვაზისებრნ-ი; შდრ. ვაზისებრნ-თა.

საყურადღებოა ცვლილება, რომელიც მოხდა ნასესხებ ამ-
ბავ კუმშვად ფუძეში: ამბავის >ამბვის>ამბის. კუმშვის შედე-
გად თავი მოიყარა ერთი და იმავე კლასის (I კლ.) სამმა თანხმო-
ვანმა (მზვ). სარედუქციო სეგმენტში იქმნებოდა ენისთვის მიუ-
ღებელი სტრუქტურის მარცვლები: ამბ-ვის ან ამ-ბვის. პირველ
შემთხვევაში მიუღებელია პირველი მარცვლის იმპლოზია, მეორე

შემთხვევაში ბოლო მარცვლის ექსპლოზია. ვ-ს დაკარგვით ორსავე მარცვალში შენარჩუნებულია ბუნებრივი სტრუქტურა (ამ-ბის).

ყურადღებას იქცევს არაკუმშვადი ნასესხები ფორმა (ვერს-ტ (-ი) (რუს. верста). აქაც მარცვალი ბოლოვდება ფონემატურად მიუღებელი კომპლექსით, რის გამოც ენაში განხორციელდა ფონეტიკური ცვლილება: ვერსტი > ვერსი.

CC_{id} C_{id} კომპლექსები შეიძლება მივიღოთ მორფემათა საზღვარზე/საზღვრებზე. ისინი წარმოიქმნება მორფემათა არანეირების ლექსიკურ-გრამატიკული წესების მოთხოვნით, მაგალითად: ეკლ-ნარ, წიფლ-ნარ; ეკალ-ს-ში, ეკალ-ს-თან, ეკალ-ს-ზე და სხვ.

კლნ, ფლნ; ლსშ, ლსთ; ლსჯ... ინტერვოკალური პოზიციის კომპლექსებში ბოლო ორი თანხმოვანი ერთსა და იმავე კლასს განეკუთვნება. ამ ფორმებში განხორციელებული ფონეტიკური ცვლილება წარიმართება სწორედ ზემოთ მიღებული წესის მოთხოვნით. კერძოდ: როგორც წესი, კომპლექსი მარტივდება და ინტერვოკალურ პოზიციაში მხოლოდ ორი თანხმოვანი გვრჩება, როდესაც მარცვალთა სტრუქტურას დარღვევა ემუქრება.

„მცენარეთა კრებულის სახელები“, რომლებშიც გვხვდება ინტერვოკალური პოზიციის აღნიშნული ტიპის კომპლექსები, როგორც წესი, წარმოთქმაში კარგავენ ერთ სონორს. ა. შანიძე მათ შემდგენაირად წარმოგვიდგენს: წაბ(ლ)-ნარ-ი, წიფ(ლ)-ნარ-ი, იფნ(ნ)არ-ი, მურყნ-(ნ)ალ-ი²⁰⁸.

სიმპტომატურია ისიც, რომ ნარსუფიქსი არასოდეს არ იკუმშება: ი გ ი ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს და ე რ თ ვ ი ს თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი თ და ბ ო ლ ო ე ბ უ ლ ფ უ ძ ე ს და მ ი ს ი კ უ მ შ ვ ი თ შე ი ქ მ ნ ე ბ ო დ ა CC_{id} C_{id} კ ო მ პ ლ ე ქ ს ი. მ უ ხ ნ ა რ ი ს და ა რ ა მ უ ხ ნ რ ი ს, ყ ვ ა ვ ი ლ ნ ა რ ი ს და ა რ ა ყ ვ ა ვ ი ლ ნ რ ი ს...

ამ სამთანხმოვნიან კომპლექსებში მაინც უნდა გაირჩეს ორი ტიპი: (ა) როდესაც კომპლექსში III კლასის მხოლოდ ორი სონორია (წიფლნარ) და (ბ) როდესაც კუმშვის შედეგად კომპლექსში ამ კლასის სამივე სონორი მოიყრიდა თავს (ყურნალ — ყურნლ-ის).

პირველ (ა) შემთხვევაში მაინც შესაძლებელია მარცვლის

208 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძელები, 1973, გვ. 144.

სტრუქტურის დაურღვევლად წარმოითქვას სიტყვა: წიფლ-ნარ. ამდენად ფონემატურად ეს შესაძლო ვარიანტია და ვხვდებით კიდევ მათ ქართულში. ლ იკარგება წიფ-ლნარ სახით დამარცვლისას.

რაც შეეხება მეორე (ბ) ტიპში წარმოდგენილ კუმშვას, იგი არასოდეს არ განხორციელდება ქართულში, რადგან დამარცვლის ყველა ვარიანტით რომელიმე მარცვლის სტრუქტურა ირღვევა: ჟურ-ნლის, ჟურნ-ლის — პირველ დამარცვლაში მიუღებელია ბოლო მარცვლის ექსპლოზია, ხოლო მეორე დამარცვლაში — პირველი მარცვლის იმპლოზია.

ახლა განვიხილოთ ლსშ, ლსთ, ლსზ... კომპლექსები ინტერვოკალურ პოზიციაში. ამ თანხმოვანთა ნებისმიერი განაწილება ორ მარცვალში არღვევს მარცვლის სტრუქტურას (ეკალ-სში, ეკალს-ში...), რის გამოც მიცემითი ბრუნვის ს იკარგება (ეკალში, ეკალსში...), უთანდებულო მიცემით ბრუნვაში ს-ს დაკარგვა (ეკალ-ეეკალს“) ზოგიერთ დიალექტში იმაზე მიუთითებს, რომ ეს კომპლექსი მიუღებელია მარცვლის ბოლოს.

(3) ისეთ სარედუქციო სეგმენტში, რომლის რედუქციის საყრდენი სეგმენტი სამი თანხმოვნით ბოლოვდება, რედუქციის შედეგად თავს მოიყრის ოთხი თანხმოვანი. პოზიცია ინტერვოკალურია; მაგალითად: კიბორჩხალ — კიბორჩხლის, კუმფხალ — კუმფხლის, მერცხალ — მერცხლის და სხვ.

აქაც, მსგავსად სამთანხმოვნინი შეკუმშული ფორმებისა (იხ. ზემოთ), პირველი თანხმოვნის შემდეგ მომდევნო სამი თანხმოვანი ქმნის მზარდი ნაპარალოვნობის კომპლექსს (კი-ბორ-ჩხლის, მერცხლის, კუმ-ფხლის და სხვ.), რომელიც წარმოადგენს მარედუქციურებელი სეგმენტის ხმოვნის ექსპლოზიას.

ანალოგიური ვითარება გვაქვს რამდენიმე სახელშიც, რომელთა კუმშვის შედეგად თავს იყრის ხუთი თანხმოვანი (ჩინჩხვარ — ჩინჩხვრის). აქაც ბოლო მარცვალი იწყება მზარდი ნაპარალოვნობის კომპლექსით (ჩინ-ჩხვრის).

შევვებით კიდევ ზოგიერთ საკითხს სახელის ფუძის კუმშვასთან დაკავშირებით.

1. განსხვავებით სხვა ხმოვნებისგან, რედუქციურებული ო და უ ლაბიალური ხმოვნები შეკუმშულ ფორმაში წარმოდგენილი არიან ლაბიალურივე ვ თანხმოვნით.

ო და უ ხმოვნების რედუქცია ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მათი ვ-ში გადასვლის შედეგად წარმოიქმნება მარცვალი მზარდი ნაპარალოვნობის მქონე ექსპლოზიით: მინდორ — მინდ-

ვრის (მინ-დვრის), პამიდორ — პამიდვრის (პა-მიდ-ვრის), მაწონ — მაწვნის (მაწ-ვნის) და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ასეთი ვ ვარ-
დება ფორმიდან, თუ წინ უძღვის ლაბიალური ხმოვანი: ობოლ —
/ოზღლის>/ოზღის, გოდორ — /გოდვრის>/გოდრის. ამ შემ-
თხვევებშიც ვ არ დაარღვევდა მარცვალში მზარდი ნაპრალოვნო-
ბის პრინციპს (ობ-ვლის). ვ აქ იკარგება ო- სთან დისიმილაციის
საფუძველზე, რადგან ლაბიალობა ხმოვანთა მარკირების ნიშანია.
ნი გ ო ზ-ნი ი გ ვ ზ ის შემთხვევაში კი პირველი მარცვლის იმპ-
ლოზია არის მზარდი ნაპრალოვნობის მქონე: ნიგე-ზის.

სალიტერატურო ქართულში უ-ს რედუქციის შემთხვევები აღარ
დასტურდება [შდრ. ძვ. ქართ. შურდულ — (შურდვლის>) შურდ-
ლის], დიალექტებში კი სპორადულად გვხვდება, მაგ., ლეჩურ²⁰⁹
— ლეჩვრელი (ლეჩ-ვრელი).

2. უთუოდ განსახილველია თანხმოვანთა ჩართვის შემთხვევე-
ბი რედუცირებად ფუძეებში, კერძოდ, გასარკვევია, რა გავლენას
აქდენენ ისინი მარცვალთა სტრუქტურაზე. ჯერ ვნახოთ მაგალი-
თები: კუფხალ/კუმფხალ, ბოცვერ/ბონცვერ, პამიდორ-პამინდორ...
ჩართულია სონორი მ და ნ ბგერები. რამდენადაც მათ მოსდევს
ან ფუძის კუმშვის შემდეგ შეიქმნება მზარდი ნაპრალოვნობის
კომპლექსები, რომლებიც მომდევნო მარცვლის ექსპლოზიას ქნი-
ან, ხოლო თვით ეს სონორები წინა მარცვლის იმპლოზიას წარმო-
ადგენენ (კუმ-ფხალ, კუმ-ფხლის; ბონ-ცვერ, ბონ-ცვრის; პა-მინ-
დორ, პა-მინ-დვრის), ამდენად მათი ჩართვა არ არღვევს მარცვ-
ლის ბუნებრივ სტრუქტურას.

ასევე სონორთა ჩართვით არ ირღვევა მარცვლის სტრუქტურა
არაკუმშვად სახელებშიც: ვეც-ხლი/ვერ-ცხლი, წმი-და/წმინ-და,
ბი-ბი-ლო/ბიმი-ბი-ლო, პილ-პი-ლი/პიმ-პი-ლი და სხვ. თუ პი მ-
პილი ფორმის ამოსავალია პილპილი, მაშინ ლ-ს დაკარგვა
იქნება რეალიზაცია აღრე ჩამოყალიბებული წესისა, რომლის მი-
ხედვით ინტერვოკალურ პოზიციაში იკრძალება CC_{id} C_{id} კომპ-
ლექსი.

3. ფუძის კუმშვის თვალსაზრისით საყურადღებოა ე. წ. კუმ-
შვად-კვეცადი სახელები, როგორიცაა: ქარხანა — ქარხნის, ფან-
ჯარა — ფანჯრის, ბეგარა — ბეგრის, ტომარა-ტომრის, მოყვარე —
მოყვრის და სხვ. ჩვენ მათ სპეციალურად განვიხილავთ სახელთა

209 სოფელია თელავის რაიონში, ფშალები ცხოვრობენ.

ბრუნების მორფონოლოგიაში, ახლა კი საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: არც ამ ფუძეთა კუმშვა იწვევს მარცვლის სტრუქტურის დარღვევას. ფან-ჯრის, ქარ-ხნის, მოყ-ვრის ფორმებში მარედუქირებელი სეგმენტის ხმოვნის ექსპლოზიას ქმნის მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსი. ბ გ ე რ ი ს, ტ ო მ რ ი ს ფორმებში კი მხოლოდ ორი თანხმოვანი ხვდება ინტერვოკალურ პოზიციაში და ისინი სხვადასხვა მარცვალში ნაწილდებიან: ბეგ-რის, ტომ-რის.

ჩვენ განვიხილეთ სახელთა ორ- და მეტმარცვლიანი კუმშვადი ფუძეები, რომლებიც წარმოადგენენ ერთ დაუშლელ მორფემას სინქრონიულ დონეზე.

სახელთა კუმშვის პროცედურის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: სახელის ფუძეში რედუქცია ხორციელდება მაშინ, თუ სარედუქციო მონაკვეთის თანხმოვნები მარცვლებში იცავენ მზარდი ნაპრალოვნობის პრინციპს.

„ქართული ენის განმარტებითა ლექსიკონიდან“ ამოღებული მთელი მასალის მიხედვით, რომელიც მოიცავს ასეულობით კუმშვად ფუძეს, წესი ირღვევა 6 შემთხვევაში, როდესაც სარედუქციო პოზიციაში მარედუქირებელი სეგმენტის ხმოვნის მიერ შექმნილ მარცვალს ექსპლოზია ეწყება ხშულთა წყვილით (დინდგელ — დინ-დგლის, ნაპერწყალ — ნაპერ-წყლის, წინწყალ — წინ-წყლის, წებწყალ — წებ-წყლის, ხონთქარ — ხონ-თქრის, ხუნწყალ — ხუნ-წყლის). ყ უ რ დ გ ლ ი ს ფორმას აღარ ვიღებთ მხედველობაში, რამდენადაც მისი ადგილი მთელ ქართულში უკვე დაიკავა კ უ რ დ ლ ლ ი ს ფორმამ, რომელიც აკმაყოფილებს წესის მოთხოვნილებას.

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ ორ- და მეტმარცვლიან სახელთა ერთმორფემიანი ფუძეების (ძირეული მორფემების) კუმშვის მექანიზმი სარედუქციო პოზიციაში. ენაში არის კიდევ ორმარცვლიანი მორფემები, რომლებიც დამოუკიდებლად მნიშვნელობას მოკლებულია, მაგრამ სახელთა ძირეული მორფემებიდან აწარმოებენ ახალ ფუძეებს, მათ უწოდებენ წარმოქმნის ელემენტებს²¹⁰.

ზოგიერთი წარმოქმნის ელემენტი ყურადღებას იქცევს სახელთა ფუძეების კუმშვის თვალსაზრისით: ჯერ ერთი, მათ შეუძლიათ ძირეულ მორფემათა შეკუმშვა და, მეორე, თვითონაც გა-

²¹⁰ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973 (იხ., მაგალითად, § 158, გვ. 116).

ნიციანი კუმშვას სარელექციო პოზიციაში. ასეთი ორმარცვლიანი წარმოქმნის ელემენტი ქართულში სამია: -ოსან, -ოვან, -იერ. სამივე სუფიქსია, სამივე იწყება ხმოვნით, სამივე წარმოადგენს მარელექციურებელ მორფემას და სახელის ფუძეზე მოქმედებით არ განსხვავდება სხვა ამ ტიპის მორფემათაგან, რომლებიც ჩვენ VC ფორმულით გამოვხატეთ ზემოთ. ამდენად მათი მოქმედება ძირეულ მორფემებზე კუმშვის თვალსაზრისით უკვე განხილულია და რაიმე ახალს ამ თვალსაზრისით არ გვიჩვენებენ (შდრ. აბჯარ — აბჯარის და აბჯარ-ოსან).

ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ თვით ამ მორფემათა კუმშვას სარელექციო პოზიციაში.

-ოსან და -ოვან სუფიქსები თავისი აგებულებით (VCVC) სარელექციო სეგმენტს წარმოადგენს: მათ თვითონ გააჩნიათ რელექციის საყრდენი ხმოვანი (ორივეგან ო). რელექციის საყრდენი თანხმოვანი (ხ — ოსან და ვ — ოვან) და რელექციურებადი სეგმენტი (ორივეგან -ან); ამიტომ, ბუნებრივია, მათ კუმშვა განიცადონ ნებისმიერი სახელური ფუძის მომდევნოდ. როგორც აღრე აღვნიშნეთ, კუმშვისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა უბნის წინ სარელექციო სეგმენტს.

-ოსან: ა) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კუმშვადი ფუძეები -ოსან სუფიქსის დართვით აგრეთვე იკუმშებიან (ხანჯალ-ხანჯალის; შდრ. ხანჯალ-ოსან და სხვ.). ქველში დადასტურდა ერთადერთი ორმარცვლიანი კუმშვადი სახელური ფუძე, რომელიც -ოსან სუფიქსის წინ უკუმშველად არის წარმოდგენილი — მე დ ო ს ა ნ ი შდრ. მედალ — მედლის, იხ. ქველი. მე დ ლ ო ს ა ნ ი (შეკუმშულფუძიანი) ფორმაც ხშირად იხმარება როგორც დიალექტებში, ისე ლიტერატურულ მეტყველებაში. ორივე ფორმა ფონემატურად დასაშვებია და ამით აიხსნება პარალელიზმი.

ჩვენი აზრით, აჯობებდა, რომ ნორმად მიგვეჩინა მე დ ლ ო ს ა ნ ი, რითაც გამოინაკლის ავტდებოლით და ფონემატურად სრულიად ნორმალურ ფორმას მიეცემდით სანქციას სალიტერატურო ცნაში.

ბ) -ოსან სუფიქსი სარელექციო პოზიციაში ყოველთვის შეკუმშულია (მედალოსან — მედალოსნის, ფრთოსან — ფრთოსნის...). ქველის მიხედვით ამ მხრით არა გვაქვს არც ერთი გამოინაკლისი.

-ოვან: ა) -ოვან სუფიქსი კუმშავს საერთოდ კუმშვად სახელებს (ფოთოლ — ფოთლ-ის — ფოთლ-ოვან...).

ბ) სარედუქციო პოზიციაში თვით -ოვან, -ოსან სუფიქსისგან განსხვავებით, კუმშვის მიხედვით დიდ სიჭრელეს გვიჩვენებს: ხშირად გვხვდება როგორც უკუმშველი, ისე შეკუმშული სახით. განვიხილოთ ორივე შემთხვევა ქეგლის მიხედვით, დავარქვათ ა და ბ შემთხვევები.

ა: 1. თანხმოვანფუძიანი უკუმშველი ფუძე-მორფემის მომდევნოდ -ოვან უკუმშველია: ხ ა რ ი ს ხ ო ვ ა ნ ი ს ა, ნ ი ს ლ ო ვ ა ნ ი ს ა, პ ი რ ო ვ ა ნ ი ს ა და სხვ.

2. შეკუმშული ფუძე-მორფემის მომდევნოდ -ოვან უკუმშველია. ს ა ხ ს რ ო ვ ა ნ ი ს ა, ძ ე ლ ო ვ ა ნ ი ს ა, ჭ ი რ კ ე ლ ო ვ ა ნ ი ს ა, წ ლ ო ვ ა ნ ი ს ა და სხვ.

3. ხმოვანფუძიანი კვეცადი და უკვეცელი სახელების მომდევნოდ -ოვან უკუმშველია: დ რ ო შ ო ვ ა ნ ი ს ა, ც ი ლ ო ვ ა ნ ი ს ა, ტ ა ლ ლ ო ვ ა ნ ი ს ა, ხ ა ჭ ო ვ ა ნ ი ს ა, ო ქ რ ო ვ ა ნ ი ს ა და სხვ.

ბ: 1. თანხმოვანფუძიანი უკუმშველი ფუძე-მორფემის მომდევნოდ -ოვან კუმშვადია: პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა, კ ე თ რ ო ვ ნ ი ს ა, ფ ე რ ა დ ო ვ ნ ი ს ა, ლ ა რ ო ვ ნ ი ს ა, ყ ი ნ უ ლ ო ვ ნ ი ს ა, ც ვ ა ვ ი ლ ო ვ ნ ი ს ა და სხვ.

2. შეკუმშული ფუძე-მორფემის მომდევნოდ -ოვან კუმშვადია: ს ა მ ა რ თ ლ ო ვ ნ ი ს ა, ც ი ს კ რ ო ვ ნ ი ს ა, ე კ ლ ო ვ ნ ი ს ა, ფ უ რ ც ლ ო ვ ნ ი ს ა, შ ა ჭ რ ო ვ ნ ი ს ა, მ ა რ ც ე ლ ო ვ ნ ი ს ა და სხვ.

3. ხმოვანფუძიანი კვეცადი და უკვეცელი სახელების მომდევნოდ -ოვან კუმშვადია: ჩ უ ქ უ რ თ მ ო ვ ნ ი ს ა, ფ რ თ ო ვ ნ ი ს ა, ს ა მ ა რ ო ვ ნ ი ს ა, ს ა ხ ო ვ ნ ი ს ა, წ ე ბ ო ვ ნ ი ს ა, წ ი ბ ო ვ ნ ი ს ა, ფ უ ღ უ რ ო ვ ნ ი ს ა და სხვ.

როგორც ჩანს, -ოვან სუფიქსის კუმშვის ერთი წესი არ არის გატარებული იდენტურ სარედუქციო პოზიციაში: ა და ბ შემთხვევები ერთიმეორის საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა.

სურათი უფრო აჭრელდება, თუ -ოვან სუფიქსის კუმშვას განვიხილავთ სხვადასხვა მარედუქტირებელი მორფემის წინ ანდა -ოვან სუფიქსის წინ მდგომ სახელს, რომელსაც სუფიქსის კუმშვაზე არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლია, წარმოვადგენთ სხვადასხვა ვითარებაში (სხვადასხვა კომპოზიტში ანდა ცალკე და კომპოზიტში). ენახოთ რამდენიმე მაგალითი ქეგლის მიხედვით:

პიროვანისა, შდრ. პიროვნება; ხელოვანისა, შდრ. ხელოვნება; სახსროვანისა და ძვალსახსროვანისა, შდრ. ორსახსროვანისა; წახნაგოვანისა, ოთხწახნაგოვანისა და რვაწახნაგოვანისა, შდრ. სამწახნაგოვანისა და ხუთწახნაგოვანისა; მრავალრიცხოვანისა, შდრ. მცირერიცხოვანისა და სხვ.

სიკრულე -ოვან სუფიქსის კუმშვისა დაკავშირებულია ენის ფონემატურ შესაძლებლობასთან — ყველა კერძო შემთხვევა ენის ფონემატური სტრუქტურით დასაშვებია. ავიღოთ პ ი რ ო ვ ა ნ ი ს და პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ფორმები. -ოვან სუფიქსი, მიუხედავად იდენტური პოზიციისა, პირველ ფორმაში უკუმშველია (პირ-ოვან-ის). მეორეში კი — შეკუმშული (პირ-ოვან-ება). პ ი რ ო ვ ა ნ ი ს ფორმა იმითაა გამართლებული, რომ ენაში ჩვეულებრივია ხმოვანთა და თანხმოვანთა მონაცვლეობითი თანამიმდევრობა (CVCV... ან VCVC...), მაგალითად: ა ხ ა ლ ი, მ ე ზ ო ბ ე ლ ი და სხვ. ამავე დროს ასეთი თანამიმდევრობები შეიძლება უკუმშველიც იყოს სარედუქციო პოზიციაში; მაგალითად: თავან — თავანის, ძუვან — ძუვანის, ჰავან („ნავსადგური“) — ჰავანის, მეთან — მეთანის, კატარ — კატარის, სეპარატორ — სეპარატორის და სხვ. თუ სარედუქციო სეგმენტის ხმოვანი ი ან უ არის, მაშინ ხომ საერთოდ აღარ ხდება კუმშვა (ვეზირ — ვეზირის, ლალუმ — ლალუმის...). ახლა ავიღოთ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა. ამ ფორმასაც გააჩნია იავისი მოდელი ენაში: ენის ფონემატური სტრუქტურით ინტერვოკალურ პოზიციაში დასაშვებია არამც თუ სხვადასხვა კლასის, არამედ ერთი და იმავე კლასის ორი თანხმოვანიც კი (იხ. ზემოთ), მით უმეტეს ვნ კომპლექსი (რომელიც პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა-ში გვაქვს ხმოვნებს შორის) სიტყვის თავიიდურშიც გვხვდება (ვნება).

ყოველივე ზემოთ თქმულის გამო ქართული ენის ქვესისტემებში შესაძლებელია სხვაობა -ოვან სუფიქსის კუმშვის მიხედვით, რაც აისახა კიდევ ლიტერატურულ ენაში და ამდენად „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც“.

ყურადღებას იქცევს -ოვან სუფიქსის შეკუმშვა ფორმაში მის წინ მდგომი უკუმშველი და კუმშვადი ფუძე-მორფემების მომდევნოდ: ერთი რიგის მაგალითების მიხედვით შეიძლება გვევარაუდოდა, რომ -ოვან სუფიქსი არ იკუმშება შეკუმშული ფუძე-მორფემების მომდევნოდ; მაგალითად: წლ-ოვან-ისა, ნაცრ-ოვან-ისა, ძვლ-ოვან-ისა, ჭირკვლ-ოვან-ისა და სხვ. მეორე რიგის მაგალითების მიხედვით კი, პირიქით, -ოვან სუფიქსი იკუმშება შეკუმშული ფუძე-მორფემების მომდევნოდაც: ფოთოლ — ფოთლ-ოვან-

ისა, ეკალ — ეკლ-ოვნ-ისა, შაქარ — შაქრ-ოვნ-ისა, ფურცელ — ფურცლ-ოვნ-ისა და სხვ.

ეს სხვაობა ფონოლოგიურად შეპირობებული არ არის და ამდენად რაიმე წესის დადგენა შეუძლებელია. გამორიცხული არ არის, საქმე გვექონდეს ძველი ვითარების გადმონაშთთან, რომელიც ფუძეთა კუმშვის მქაჩიანობაში არსებით როლს ასრულებდა, კერძოდ, შესაძლებელია მორფემის კუმშვა-უკუმშველობაზე გავლენა ჰქონდა იმას, მის წინ მდგომი მორფემა შეკუმშული იყო თუ არა, როგორც ეს სვანურში გამოავლინა ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა. მ. იგი აღნიშნავდა, რომ სვანურში «ერთდროულად ორი ხმოვნის ამოღება ჩვეულებრივ არ ხდება, გარდა გარკვეული პირობებისა»²¹¹.

ქართული ენის მიმღეობებს თუ დაეაკვირდებით, უკუმშველი -ვბ, -ობ თემის ნიშნების მომდევნოდ -ელ სუფიქსი არსებითად რედუცირდება, მაგალითად: მშენებელ — მშენებლის, მკეთებელ — მკეთებლის, დამწყობელ — დამწყობლის, დამამხობელ — დამამხობლის და სხვა, მაშინ როცა -ავ და -ამ თემის ნიშანთა რედუცირებული ალომორფების (-ვ, -მ) მომდევნოდ -ელ სუფიქსი თითქმის უკუმშველია, მაგალითად: სვ-ამ-ს, სა-სვ-მ-ელ — სასმელის, ხაზ-ავ-ს, მ-ხაზ-ვ-ელ — მხაზველის, ხედ-ავ-ს — მ-ხედ-ვ-ელ — მხედველის, ზოგ-ავ-ს — მ-ზოგ-ვ-ელ — დამზოგველის, რისხ-ავ-ს — მ-რისხ-ვ-ელ — შემრისხველის, ა-სხ-ამ-ს — და-მ-სხ-მ-ელ — დამსხმე-ლის, ფრინ-ავ-ს — ფრინ-ვ-ელ — ფრინველის და სხვ.

ანალოგიური ვითარება შეიმჩნევა უთემისნიშნო შეკუმშულ ფუძემორფემებთანაც: ჰამ-ს — შე-მ-ჰმ-ელ — შემჰმელის, ი-ცავ-ს — და-მ-ცვ-ელ — დამცველის, საჯ — სჯ-ი-ს — და-მ-სჯ-ელ — დამსჯელის, კემ (ძვ. ქართ. გან-ვ-კემ) — ჰმ-ელ — ჰმელის (ახ. ქართ. ხმელ-ის, გა-მ-ხმ-არ — გამხმარისა) და სხვ.

სახელთა -ოვან სუფიქსიან ფუძეთაგან ყურადღებას იქცევს ორი ფორმა ქველიდან: ხ ნ ო ვ ა ნ ი და ხ ა ნ ო ვ ა ნ ი. რა თქმა უნდა, ორივე ნაწარმოებია ერთი და იმავე მორფემების შეერთებით: ხან+ოვან, მაგრამ ერთ შემთხვევაში ხან მორფემა იკუმშება, მეორე შემთხვევაში კი — უკუმშველია, ოღონდ ფუძემორფემაში კუმშვის მიხედვით განსხვავება აისახება ფორმათა ლექსიკურ მნიშვნელობაში, რაც სხვაგან არ შეიმჩნევა.

ხნოვანი „ხნიერი“, „ხანში შესული“ (ქველი).

ხანოვანი „ხანგრძლივი“ (ქველი).

²¹¹ ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა. მ., რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იკვ. I, 1946.

როცა ასაკს არ უკავშირდება, ხან გარკვეულ კონტექსტში შეიძლება უკუმშველი იყოს არანაწარმოებ ფუძემიცი, მაგალითად: მომდევნო ხანის მწერლობა (ხანის „დროის“); შდრ. მომდევნო ხნის ბავშვი (ხნის „ასაკის“).

ასეთი დაპირისპირება გვიანდელია. ხან ფუძე ძველ ქართულში უკუმშველი იყო და, მაშასადამე, ეს დაპირისპირებაც არ გვეჩვენებოდა. კუმშვადი და უკუმშველი ფორმების პარალელურად ხმარებამ შესაძლებელი გახადა მათი ლექსიკური დიფერენციაცია.

საბოლოოდ რა შეიძლება ითქვას -ოვან სუფიქსის კუმშვის შესახებ სახელთა ფუძეებში?

-ოვან წარმოდგენს ტიპურ სარედუქციო სეგმენტს და შესაძლებელია მისი კუმშვა სარედუქციო პოზიციაში (შდრ. -ოსან), მაგრამ ერთიანი წესის გატარება მაინც ვერ მოხერხდა ყველა ფორმაში, რადგანაც ქართულ ენას აქვს -ოვან სუფიქსიანი ტრადიციულად კუმშვადი და უკუმშველი ფორმები. შეპირობებული ადრე მოქმედი რომელიღაც ნორმით, თუმცა, ჩვენი აზრით, გარკვეული წესრიგის დამყარება მაინც შესაძლებელია კუმშვაზე აქცენტის გადატანით, კერძოდ, შესაძლებელია უნაფიკაცია -ოვან სუფიქსის კუმშვისა ისეთ ფორმებში, როგორიცაა: ხელოვნება და ხელოვანისა — აქ -ოვან სუფიქსი ორსავე ფორმაში შეიძლება უკუმშულად წარმოვადგინოთ. მით უმეტეს ხელოვნისა ფორმას ძველი სამწერლობო ენის ტრადიციაც უჭერს მხარს; ასევე შესაძლებელია უნიფიკაცია -ოვან სუფიქსის კუმშვის მიხედვით ძვალსახსროვანისა და ორსახსროვნისა... ფორმებს შორის; ოთხწახნაგოვანისა და ხუთწახნაგოვნისა ფორმებს შორის, მრავალრიცხოვანისა და მცირერიცხოვნისა ფორმებს შორის და სხვ. ჩვენი აზრით, აქ ყველგან აჯობებს -ოვან სუფიქსი შეკუმშული სახით იყოს წარმოდგენილი, რადგანაც ჭერ ერთი, როგორც აღვნიშნეთ, -ოვან წარმოდგენს ტიპურ სარედუქციო სეგმენტს და, მეორეც, ოვან-სუფიქსიანი ფორმათა უმრავლესობაში ეს სუფიქსი შეკუმშულია.

-იერ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ორმარცვლიანი -იერ სუფიქსი, რომელიც იწყება ხმოვანთა კომპლექსით (იე). ქართულში საერთოდ არ ხდება ხმოვანთა არალაბიალური კომპლექსიდან ხმოვნის ამოღება მომდევნო მორფემის გავლენით, -იერ სუფიქსი კი ვითარებით ბრუნვაში (დიალექტებში სხვა ბრუნვაებშიც) იკუმშება და იძლევა იერ ალომორფს: ღონ-იერ — ღონ-

ივრ-ად, გონ-იერ — გონ-იერ-ული, მაგ-იერ — მაგ-იერ-ად, გან-იერ -- გან-იერ-ად, მშვენ-იერ — მშვენი-იერ-ად და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ -იერ იკუმშება მხოლოდ მარცვლოვანი მორფემების მომდევნოდ; შდრ. ძლ-იერ-ად (არ შეიძლება ძლ-იერ-ად), ხმ-იერ-ად, ცბ-იერ-ად...

-იერ სუფიქსი წარმომავლობით რთულია. მისი თავდაპირველი სახეა *ივ-ერ (-ივერ ტიპური სარედუქციო სეგმენტი). იგი სახელთაგან აწარმოებდა ზმნიზედებს, საიდანაც შემდეგ იწარმოებოდა ზედსართავეები. ძალ-ძლიერ-ძლიერ-ი. *-ივერ მნიშვნელობით უდრიდა თანამედროვე -იდან -დან თანდებულს, ანუ ძველი ქართულის -გან თანდებულის მოქმედებითს (ითგან).

-ივ-ს ძველ ქართულში გამოსვლითის ფუნქცია ჰქონდა (ისევე როგორც -ით-ს), რომელიც დღემდე შემონახულია ზოგიერთ ფორმაში (მაგ., მხრივ — ერთი მხრივ „ერთი მხრით“). ძველ ქართულში გვხვდება ძლივი ფორმა („სადა-იგი საკმარისუნენ ცრემლნი და სინანულნი ძლივი — S 97,30r — სინური მრავალთავი; იხ. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973).

ძლივი ზედსართავია ზმნიზედიდან მიღებული: ძალ-ძლივი-ძლივი. იგივე -ივ, -ერ სუფიქსთან ერთად, გამოსვლითის ფუნქციით გვხვდება ნაცუალსახელთაგან ნაწარმოებ ზმნიზედებში ამიერ (<*ამ-ივ-ერ) „აქედან“, მაგიერ (<*მაგ-ივ-ერ) „მანდედან“, საიდანაც შემდეგ მივიღეთ ზედსართავეები ამიერი და მაგიერი.

თავდაპირველი მაგივერ ფორმის რეალურობაზე მიუთითებს დასავლური კილოების მაგიორი ფორმა: *მაგივერ > *მაგივერ > მაგიორ. აქ ხმოვნებს შორის უნდა დავუშვათ ვ-ს არსებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში აუხსნელი დაგვრჩება ე (-ერ) ხმოვნის ლაბიალიზება.

დგება კითხვა: თუ -იერ მოდის *-ივერ სუფიქსიდან, რატომ დაიკარგა ვ ხმოვნებს შორის, როცა ქართულში, პირიქით, მოსალოდნელი იყო ამ ხმოვნებს შორის ვ-ს გაჩენა მაშინაც კი, როცა იგი მორფემათა თავდაპირველი სახეებით არ ივარაუდება?

*-ივერ სუფიქსში თავდაპირველად ვ უნდა დაკარგულიყო ლაბიალური თანხმოვნით დაბოლოებული ფუძე-მორფემების მომდევნოდ: *ამივერ > ამიერ, *ჟამივერ > ჟამიერ, *წამივერ > წამიერ. უთუოდ სიმპტომატურია, რომ სწორედ ამათ არა აქვთ ვითარებით ბრუნვაში შეკუმშული -ივრ ალომორფი (ამიერიდან, ჟამიერად, წამიერად). აღნიშნულ

ფორმათა ანალოგიით -იერ უნდა გავრცელებულიყო სხვა ფორმებშიც (ლონიერ, გონიერ, სულიერ და სხვ.).

რადგანაც ენის სინქრონიულ დონეზე არა გვაქვს ღონივერი, გონივერი... ფორმები, მაინც აუხსნელი რჩება დადასტურებულ ღონივრად და გონივრულ ფორმებში ვ-ს არსებობა. ოღონდ ერთი ცხადია: ამ ვ-ს გარეშე მორფემაში ხმოვნის რედუქცია ვერ განხორციელდებოდა. ამჟერად ჩვენ ვარჩევთ ღონივრად და გონივრული ტიპის ფორმები მივიჩნით ენის ძველი მდგომარეობიდან შემორჩენილ ფორმებად. ე. ი. ისეთ ფორმებად, რომლებიც შემოგვრჩნენ ძველი სახით და არ გამოიყვანება თანამედროვე უკუმშველ ფორმათაგან. საკითხი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. თუ ძველ ქართულში თანამედროვე ქართულისნაირი მდგომარეობა აღმოჩნდება, ე. ი. ივერ > იერ პროცესი იქ უკვე დასრულებულია და ვითარებით ბრუნვაშიც დღევანდელის მსგავსი ვითარება დადასტურდა, მაშინ -იერ სუფიქსში ვ განვითარებულად უნდა მივიჩნიოთ უკვე ვ-დაკარგულ -იერ მორფემაში ძველი და ახალი ქართულის რომელსამე შუალედში. ამ შუალედში უნდა ჩამოყალიბებულყო ღონივრად ტიპის ფორმები, რომლებიც ამოსავალი ფორმის (ლონივერი). ცვლილებას აღარ გაჰყვა და დღემდე შემორჩა ენას.

ფორმათა მიმართების ანალოგიური ვითარება შეიძლება სხვა ზემთხვევაშიც დავადასტუროთ: ო ხმოვნით დაბოლოებული სახელი ღვინო ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში იძლევა ხმოვანმოკვეცილ ღვინ-ის და ღვინ-ით ფორმებს. ერთი შეხედვით ადგილი აქვს ფუძისეული ბოლო ხმოვნის ტიპურ კვეციას, მაგრამ ქართულში ო ხმოვანი სახელთა ფუძის ბოლოს საერთოდ არ იკარგება -ის და ით- მორფემების წინ. გამოდის, კვეციის წესი ამ რიგის სახელთაგან მხოლოდ ღვინო ფორმისთვის ყალიბდება, რაც, ჩვენი აზრით, გაუმართლებელი თუ არა, საჩქვო მაინც არის და მოითხოვს დამატებით არგუმენტაციას, კერძოდ, უნდა გამოაყოს ღვინო სახელში რაღაც სპეციფიკა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ამ სახელის გამოყოფა სხვა ო-ზე დაბოლოებული ფუძის მქონე სახელებისაგან, როგორცაა: გრილო, საწყინო, უტვინო. ოქრო, მიმინო და სხვ.

რადგან ასეთი სპეციფიკური თვისება ღვინო სახელს არ გააჩნია, ვფიქრობთ, ღვინ-ის, ღვინ-ით ფორმათა ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ ღვინ ფუძე, რომლის სახელობითა იქნებოდა ღვინ-ი და რომელიც აღარ შემონახულა ქართულ ენაში (შდრ.

მეგრ. გ ი ნ ი); შემოგვრჩა მხოლოდ ამ ფორმის ნათესაობითი და
პოქმედებითი ბრუნვის ფორმები.

ერთმარცვლიანი კუმშვადი მორფემები

ერთმარცვლიანი კუმშვადი მორფემები შეიძლება წარმოად-
გენდნენ პირველადი სახელის ფუძეს ან წარმოქმნის ელემენტს,
რომელიც დაერთვის ძირეულ მორფემას და აწარმოებს წარმოქმ-
ნალ ფუძეს.

სახელთა ერთმარცვლიანი ძირეული და წარმომქმნელი კუმ-
შვადი მორფემები ფონემური შედგენილობის მიხედვით გვიჩვენ-
ებენ სამ სტრუქტურულ ტიპს:

I. -VC (მ-სუქ-ან — მსუქ-ნ-ის, სა-ბუდ-არ — სა-ბუდ-რ-ის...) —
ესენი მხოლოდ წარმომქმნელი მორფემებია, დაერთვიან ძი-
რეულ მორფემას და რედუცირდებიან წარმოქმნილ ფუძეში.

II. CVC/-CVC (/ -C_nVC²¹²). ამ სტრუქტურულ ტიპში შედის
როგორც პირველადი სახელების ფუძეები, ისე წარმომქმნელი
მორფემები. ამ ტიპის ძირეული მორფემა შეიძლება დამოუკი-
დებლად იკუმშებოდეს ანდა მხოლოდ მაშინ, როცა შედგენილი
ფუძის ბოლო კომპონენტია (მაგალითად: ბალ — ბლის; შდრ. კარ —
კარ-ის, მაგრამ ცისკარ — ცისკრის). II ტიპის წარმომქმნელი მორ-
ფემები, როგორც პირველი ტიპისა, ცალკე არ გვხვდებიან და რე-
დუქციას განიცდიან წარმოქმნილ ფუძეში (მაგალითად, -ბარ:
თანა-ბარ — თანა-ბრ-ის, -გან: გარე-გან — გარე-გნ-ულ, -დელ:
გუშინ-დელ — გუშინ-დლ-ის და სხვ.).

III. C_nVC. ეს სტრუქტურული ტიპი მხოლოდ პირველად სა-
ხელთა ფუძეებს აერთიანებს. მათ ანლაუტში აქვთ ორიდან ოთხამ-
დე თანხმოვანი (მგელ, ზღვარ, ბრწყალ), ფუძის ბოლოს კი —
მხოლოდ ერთი თანხმოვანი, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში სა-
ხელის კუმშვის დროს. ნებისმიერი კუმშვადი სახელის ფუძე თანა-
მედროვე ქართულში ბოლოვდება ერთი თანხმოვნით (ოთხი გა-
ზონაკლისი გვაქვს ძველ ქართულში ფერკ — ფრკ-ივ, მკერდ —

²¹² ფორმულაში C_n სიმბოლო უდრის ერთზე მეტ თანხმოვანს. II სტრუქ-
ტურულ ტიპში C_n მხოლოდ წყვილ თანხმოვანს უდრის. ასეთი II ტიპში მხო-
ლოდ ერთი პირველადი სახელი დაეადასტურეთ — ღვარ: ღვარ — ღვარის, მაგ-
რამ ნიაღვარ (<ნიაეღვარ) — ნიაღვრის.

მკრდ-ისა. ღმერთ — ღმრთისა²¹³, გუერდ—იგურ^Aდივ), განვიხილოთ თითოეული ტიპი ცალ-ცალკე.

I. -VC ერთმარცვლიანი წარმომქმნელი მორფემები დამოუკიდებლად არ გვხვდებიან და კუმშვას განიცდიან ორ- და მეტმარცვლიანი წარმომქმნილი ფუძის ბოლოს.

თუ წარმომქმნილ ფუძეს მთლიანად ავიღებთ და არ გამოვცოფთ ფუძიდან წარმომქმნის ელემენტებს, კუმშვის მიხედვით მათი განხილვა შესაძლებელია ორ- და მეტმარცვლიან დაუშლელ მორფემებთან ერთად, რადგან ისინი კუმშვის საერთო წესს მისდევენ.

რომ გავიგოთ, რა არის მიზეზი ასეთი მსგავსებისა, განვიხილოთ სახელთა ნაწარმოები ფუძეების კუმშვა. აქ არსებითად გასარკვევია ორი საკითხი: (1) როგორი მორფემები რედუცირდება სახელთა ნაწარმოებ ფუძეში და (2) რა პირობებია საჭირო მათი კუმშვისთვის, ე. ი. უნდა აღიწეროს კუმშვის ფონოლოგიური გარემო.

-VC ტიპის კუმშვადი წარმომქმნელი მორფემებია: -ალ, -არ, -ან, -ელ²¹⁴. როგორც წესი, ეს მორფემები თავდება III კლასის ერთ-ერთი სონორით (ლ, რ, ან ნ-თი). სახელებში არა გვაქვს ვ ან მ სონორით დაბოლოებული -VC ტიპის კუმშვადი მორფემა.

ლ, რ ან ნ-თი დაბოლოებული -VC ტიპის მორფემები ყოველთვის დაერთვის მარცვლოვან ძირეულ მორფემას, ასე რომ,

213 ღ მ რ თ ი ს არქაულია. სახელი ამჟამად უკუმშველია (ღმერთის).

214 საენათმეცნიერო ლიტერატურიდან კარგად არის ცნობილი, რომ ეს მორფემები ისტორიულად წყვეტილ მორფემათა ბოლო კომპონენტებია. ბევრ მათგანს თავისი სახე დღესაც შენარჩუნებული აქვს (ნა-ფუძ-არ, ნა-ფერდ-ალ, მ-სუქ-ან და სხვ.). ასევე მ-ალ-ალ, მ-დაბ-ალ. მოხდა მწარმოებელ ელემენტთა ნეხორცება ძირეულ მორფემასთან. მ და ბალ ფორმიდან მ-ც დაიკარგა ფონმატური სტრუქტურის დაწოლით და მივიღეთ დაბალ.

ელ წარმოშობის სუფიქსი აგრეთვე ნაშთია მ—ელ წყვეტილი მორფემისა (იხ. მაგალითად, არ ნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, და ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973).

რადგან კუმშვას განიცდიან წყვეტილი მორფემის ბოლო კომპონენტები (-არ, -ან), მსჯელობის გამარტივების მიზნით მხოლოდ მათ კუმშვაზე ვილაპარაკებთ პირველი კომპონენტის მიუთითებლად. თანაც, როდესაც წყვეტილი მორფემის პირველი კომპონენტი თანხმოვანია (მ-სუქ-ან, მ-ალ-ალ), ეს პრეფიქსული ნაწილი კუმშვაზე გავლენას ვერ ახდენს. კუმშვა შესაძლებელია პრეფიქსული ელემენტის გარეშეც (ქუთათელი — ქუთათლის).

ნაწარმოებ კუმშვად ფუძეში პირველ მარცვალს არ ქმნიან არასო-
ღის.

ძღვენ (ძღვნის) კუმშვად ფუძეში -ენ სუფიქსი ერთვის გაუხ-
მოვანებულ (resp. შეკუმშულ) ძირეულ მორფემას ძღვ- და რე-
დუქციას განიცდის, მაგრამ ეს შემთხვევა ჩვენს დებულებას არ
ეწინააღმდეგება. რადგან -ენ ზმნური სუფიქსია და კუმშვასაც
ზმნაშივე განიცდის: *ძელჟ-ენ > ძლჟენ — (ახ. ქართ.) ძღვენ (მი-უ-
ძღვენ). მესამე პირში — მი-უ-ძღვნ-ა. კუმშვას ზმნის ფუძე ზოგ-
ჯერ სახელად ქცევისასაც ინარჩუნებს, მაგალითად, გვ-ი-ს. და-
გავ-ა. აქედან მიმღობა ნა-გავ, სუბსტანტივაიით ნაგავი. ფუძე
რედუცირდება სახელად ქცევის შემდეგაც: ნაგავ — ნაგვის.

-ალ.-არ.-ან, -ელ სახელთა წარმომქმნელი სუფიქსები ატო-
ნებია (resp. ენკლიტიკები). ისინი სიტყვაში მახვილს არ ატარე-
ბენ და ეკედლებიან ფუძე-მორფემას (დაბალ, ნაბიჭვარ, მსუქან,
მჭზობელ და სხვ.). ამით ისინი ემსგავსებიან იმ უმახვილო რედუ-
ცირებად სეგმენტებს, რომლებიც გვაქვს ორ- და მეტმარცვლიან
დაუშლელ მორფემებში (ეკალ, ფანარ, თიკან, მტკაველ და სხვ.)

-ალ.-არჯ-ან, -ელ ენკლიტიკები იკუმშვიან მხოლოდ თანხმოვნით
დაბოლოებული ფუძე-მორფემების მომდევნოდ, ე. ი. რედუქციის
საყრდენი თანხმოვანი ამათთვისაც აუცილებელია; ამავე დროს,
როგორც აღვნიშნეთ, ფუძემორფემა თვითონ გახმოვანებულია. ეს
ხმოვანი წარმოადგენს რედუქციის საყრდენ ხმოვანს. მაშასადამე,
-VC ტიპის წარმომქმნელი სუფიქსებით ნაწარმოებ ფუძეებშიც მი-
ვიღეთ ისეთივე სარედუქციო სეგმენტი, როგორიც მრავალმარცვ-
ლიან კუმშვად სახელურ ფუძეებში გვქონდა ერთი მორფემის
ფარგლებში და, ბუნებრივია, კუმშვის დროს წარმოქმნილი ფორ-
მის სარედუქციო პოზიციის სეგმენტთა დამარცვლა უნდა აკმა-
ყოფილებდეს ისეთ მოთხოვნილებებს, რომელიც დაუშლელ ფუ-
ძე-მორფემებიან ფორმათა მიერ შექმნილ სარედუქციო პოზიცი-
აში გვქონდა.

1. თუ რედუქციის საყრდენი სეგმენტი, რომელიც წინ უძღ-
ვის I ტიპის მორფემას, ბოლოვდება მხოლოდ ერთი თანხმოვნით,
წარმოქმნის ელემენტის ხმოვნის რედუქცია ყოველთვის შესაძლე-
ბელია სარედუქციო პოზიციასში, რადგან რედუქციის შედეგად ინ-
ტერვოკალურ პოზიციასში თავს მოიყრის წყვილთანხმოვნიანი კომ-
პლექსი: ნაფუძარ — ნაფუძრის, რომელიც სხვადასხვა მარცვალში
ნაწილდება (იხ. ზემოთ), სწორედ ამით არის გაპირობებული ნა-

რედუქციული ფორმების არსებობა -არ (ნა-არ) -ალ (ნა-ალ<ნა-არ) წარმოების მქონე სიტყვათა ღუბლეტებში, მაგალითად: ნაკა-ცარ — ნაკაცარისა // ნაკაცრისა, ნათავადარ — ნათავადარისა // ნათავადარისა, ნაგერალ — ნაგერალისა // ნაგერლისა და სხვ.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ამჟობინებს უკუმშველ ფორმებს, მაგრამ აქა-იქ მაინც შეკუმშულ ფორმებს მიჩნევს ძირითადად, კერძოდ: ნაფუძარ — ნაფუძარის, ნაბინავარ — ნაბინავარის, ნაწვერალ — ნაწვერალის; ხოლო წარმოქმნილ ფუძეებში, რომლებშიც ნაკლებად ან აღარ შეიმჩნევა ძველი წარმოების კვალი, ეს მორფემები, როგორც წესი, რედუცირდებიან: მეგობარ — მეგობარის, მწიგნობარ — მწიგნობარის, დედალ — დედლის, დედან — დედნის, მსუქან — მსუქანის და სხვა.

ამნაირი წარმოების ზოგიერთი ტოპონიმი ადგილზე მხოლოდ შეკუმშული ფორმით იხმარება სარედუქციო პოზიციაში: ნაქერლის მთა (კახეთშია), ნაქალაქარ — ნაქალაქარის.

ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად ხმოვანთა კომპლექსში ჩნდება თანხმოვანი, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია -VC მორფემის ხმოვნის რედუქცია: ეზო — *მეზოელ > მეზობელ — მეზობლის, ასლო — *მახლოელ > მახლობელ — მახლობლის; მაგალითები ზთის დიალექტებიდან (მოხეური, ხევსურული): ბლო-ბლოელ // ბლოველ — ბლოვლის, სნო-სნოელ // სნოველ — სნოვლის, ცდო-ცდოელ // ცდოველ — ცდოვლის (მაგრამ ბლოელის, სნოელის, ცდოელის).

თუ რედუქციის საყრდენი სეგმენტი ბლოვდება ორი თანხმონით, სარედუქციო სეგმენტის (resp. წარმოქმნის მორფემის) სწოვნის დაკარგვის შემდეგ სარედუქციო პოზიციაში ხმოვნებს შორის თავს მოიყრის სამი თანხმოვანი (ნაბიკვარ — ნაბიკვარის, ნადიკვარ — ნადიკვარის). ბოლო მარცვლის ექსპლოზიას, როგორც დაუშლელ ფუძე-მორფემათა სარედუქციო პოზიციაში გვექონდა; წარმოადგენს მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსი (ნა-პიკ-ვარის, ნადიკ-ვარის).

თუ -VC მორფემის წინ აღმოჩნდება თანხმოვანთა კომპლექსი, რომლის ბოლო წევრი იმავე კლასს განეკუთვნება, რომელსაც ეკუთვნის -VC მორფემის თანხმოვანი, სარედუქციო პოზიციაში კუმშვა აღარ განხორციელდება: ნასახლარ — ნასახლარის და არა ნასახლარის, ვაშლ — ნავაშლარის, სუფრ(ა) — ნასუფრალის, ფიქრ — ნაფიქრალის და სხვ.

ლუ -\`C მორფემის წინ რედუქციის საყრდენ სეგმენტში გვექნება თანხმოვანთა ისეთი კომპლექსი, რომლის ბოლო თანხმოვანი ან კომპლექსის ყველა თანხმოვანი -VC მორფემის თანხმოვნის კლასში არ შედის, მაშინ სარედუქციო პოზიციაში შესაძლებელია ნაწარმოები ფუძის კუმშვა. მივმართოთ ისევ გავრცელებულ -არ, -ალ (<-არ) მორფემებით ნაწარმოებ ფუძეებს. მართალია, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ აქაც შეუკუმშავ ფორმებს ირჩევს (ნემს — ნანემსარის, მწყემს — ნამწყემსარის...), მაგრამ ნ ა ნ ე მ ს რ ი ს და ნ ა მ წ ყ ე მ ს რ ი ს ფორმები საკმაოდ გავრცელებულია ქართულში. თვით ამ ლექსიკონშიც ვხვდებით ანალოგიური წარმოების ფორმებს: ფერდ — ნაფერდალ — ნ ა ფ ე რ დ ლ ი ს, ტახტ — ნატახტარ — ნ ა ტ ა ხ ტ რ ი ს, ბიჭ — ნაბიჭვარ — ნ ა ბ ი ჭ ვ რ ი ს.

აქაც, როგორც არანაწარმოებ ფუძეთა კუმშვისას (კურტან — კურტნის, მურყან — მურყნის, ხორბალ — ხორბლის...), არსებითია ის, რომ კუმშვის შემდეგ არ ირღვევა მარცვლის სტრუქტურა: ნაფერდალ-ლის, ნა-ტახ-ტრის, ნა-ბიჭ-ვრის (მდრ. კურ-ტნის, ხორბლის, იხ. ზემოთ) და ბოლო მარცვლის ექსპლოზიას წარმოადგენს მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსი.

ნაწარმოებ ფუძეთა კუმშვის შემდეგად თუ მოსალოდნელია ერთი და იმავე კლასის სამი თანხმოვნის თავმოყრა, კუმშვა არ განხორციელდება: მარან — ნამარნალ — ნამარნალის (და არა ნამარნლის), ყორან — ნაყორნალ — ნაყორნალის და სხვ.

ამ ფორმებში რედუქცია რომ განხორციელდეს, ნებისმიერი ვარიანტით დამარცვლისას ერთი კლასის თანხმოვნებს ვერ ავიცილებდით ბოლო ორი მარცვლის ექსპლოზიაში ან იმპლოზიაში; ნა-მარ-ნლის/ნა-მარნ-ლის, რაც მარცვლის სტრუქტურით დაუშვებელია, ამიტომ კუმშვაც ვერ ხორციელდება.

ამ მხრივ სიმპტომატურია ის ცვლილება, რაც ხდება არაკუმშვად ნასესხებ სიტყვაში მ ა ს შ ტ ა ბ ი (м а с ш т а б и). ქართულ წარმოთქმაში მასშტაბი ისმის როგორც [მამშტაბი]. ინტერვოკალურ პოზიციაში თავი მოიყარა მეორე კლასის სამმა თანხმოვანმა (ს, შ, ტ), რაც არღვევდა მარცვლის სტრუქტურას (მას-შტაბ ან მასშ-ტაბ) და ფონეტიკური ცვლილება სწორედ ამ სტრუქტურული შეუსაბამობის მოსპობის გზით წარიმართა (მასშტაბი > მამშტაბი — მამშ-ტაბი).

რამდენიმე სიტყვა -ელ სუფიქსის შესახებ. -ელ სახელთა ფუძეებში სხვადასხვა ფუნქციას ატარებს, საკმაოდ ხშირად გამოიყენ-

ნება და, რამდენადაც იგი წარმოქმნილი სუფიქსია, ფუძეში მეორე ან ამის შემდგომი ბოლო მარცვალა, რის გამოც ხშირად ექმნება სარედუქციო პოზიცია (იხ. ზემოთ). მაგრამ ქართული ენა არსებითად ერიდება გეოგრაფიული სახელებიდან ნაწარმოები წარმოშობის სახელთა ფუძის კუმშვას: ახმეტელი — ახმეტელის, ფელავი — თელაველის, სოხუმი — სოხუმელის, მოსკოვი — მოსკოველის და სხვა მრავალი, თუმცა სპორადულად წარმომავლობის ასეთ სახელებს ფუძე მაინც ეკუმშებათ: ქუთაისელი — ქუთაისლის, აჭარელი — აჭარლის. შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმები არ ეწინააღმდეგება ქართული ენის ბუნებას; იგივე ახმეტელ ფუძე, როცა იგი გვარია, ჩვეულებრივ იკუმშება — ახმეტლის. როგორც ჩანს, ფონემატური შესაძლებლობის ფარგლებში კუმშვა-უკუმშველობას სემანტიკური ფაქტორი წყვეტს.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ: -VC ტიპის წარმოქმნის გლემენტები რთულ ფუძეში ისეთსავე სარედუქციო სეგმენტს ქმნიან და ექცევიან ისეთსავე ფონოლოგიურ გარემოში, როგორც დამახასიათებელი იყო ამ შედგენილობის რედუქციებადი სეგმენტებისთვის ორ- და მეტმარცვლიანი დაუშლელი ფუძის შემადგენლობაში, ამიტომ კუმშვის წესი მათ საერთო აღმოაჩნდათ ენაში.

II. CVC/-CVC (-C_n VC) ფორმულის თითოეული ვარიანტი, ცალკე განვიხილოთ. (ა) CVC : სახელთა ამ ტიპის პირველადი ფუძეები ქართულში უკუმშველია. მხოლოდ სამი ფუძე-მორფემა აღმოჩნდა, რომელიც იკუმშება, ესენია: ბალ (ბლ-ის), წელ (წლ-ის) და ხან (ხნ-ის). CVC ტიპის მორფემები უკუმშველად უნდა მივიჩნიოთ. უამრავი უკუმშველი მორფემის გვერდით სამი შემთხვევა გამოჩაჩნდა ჩაითვლება. გამოჩაჩნდნენ მეორეულია და თავისი წარმოშობით წესს ადასტურებენ: მათი კუმშვა მოხდა რთულ ფუძეში, სადაც მეორე ან ამის შემდგომ მარცვალს ქმნიდნენ, მაშასადამე, წარმოადგენდნენ ენკლიტიკებს და ექცეოდნენ ისეთსავე სარედუქციო სეგმენტში, როგორც გვქონდა ორ- და მეტმარცვლიანი პირველად თუ წარმოქმნილ კუმშვად ფუძეებში. შემდეგ წარმოქმნილ ფუძეთა ანალოგიით ცალკეც შეკუმშულად წარმოვიდგინენ სარედუქციო პოზიციაში.

ბალ ნასესხები ფუძეა. შეკუმშული ფორმით პირველად ვხვდებით მე-18 საუკუნიდან²¹⁵. მის გვერდით შემოვიდა ალუბალ

215 ვეყარებით საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მასალებს.

(წარმოშობით კომპოზიტი — „ქლიაე-ბალი), რომელშიც ბალ სეგმენტი მესამე მარცვალს ქმნის და, მაშასადამე, აღ სეგმენტის კუმშვა შესაძლებელია რედუქციის საყრდენი უბ სეგმენტის მომდევნოდ სარედუქციო პოზიციაში. ბალ და ალუბალ ფუძეთა სემანტიკური სიახლოვე დიდაა, ანალოგია ადვილად განხორციელდა და აღ უბლის ანალოგიით მივიღეთ ბლის შეკუმშული ფორმა.

წელ. ეს მორფემატ დამოუკიდებლად უკუმშველი უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს კომპოზიტი წელიწად, რომელიც რსპარება როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში. გარკვეულია, რომ წელიწად <წელითიწლად²¹⁶. პირველი მარცვლის შემქმნელი წელ კუმშვას არ განიცდის. მეორეს (-წელ-ად) კი, ბუნებრივია, უნდა განეცადა რედუქცია, რადგან ფორმაში მეოთხე მარცვალს ქმნის და მოსდევს მარედუქციურებელი -ად მორფემა²¹⁷. ამის საფუძველზე *წელითიწლად >წელითიწლად >წელიწად. ამ კომპოზიტის ანალოგიით უკვე ძველ ქართულში გავრცელდა წლის, წლით, წლად შეკუმშული ფორმები და მათგან მიღებული წლითი-წლად, წლად-წლად კომპოზიტები.

ხან. რაც შეეხება ამ მორფემას, მისი შეკუმშვა ჩვენს თვალწინ მოხდა: ძველ ქართულში ის ჯერ კიდევ უკუმშველია (ხან-ის, ხან-იერ, ხანითი-ხანად, ხანად-ხანად²¹⁸). ძველი ვითარების კვალი დღემდე შემორჩენილია. გვაქვს ასეთი გამოთქმები: ერთ ხანად (ქეგლი), ბოლო ხანებში (ქეგლი), ხანის გამოსვლა (ქეგლი), იმ ხანად და სხვ.

ხან მორფემის შეკუმშვა განაპირობა ენკლიზიამ ისეთ სინტაგმებში, როგორცაა დრდი ხანი—დრდი ხნის, მცრრე ხანი—მცრრე ხნის და სხვ. ხან ამ სინტაგმებში ენკლიტიკაა, მახვილს კარგავს და ეკედლება მსაზღვრელს; წარმოთქმაში აღარ წარმოადგენს პირველ მარცვალს და კუმშვასაც განიცდის, როგორც ამ პოზიციის სხვა მსგავსი სეგმენტები ორ- და მეტმარცვლიანი ფუძის შემადგენლობაში.

ერთმარცვლიან მორფემათა კუმშვაში არსებითი როლი შეასრულა ენკლიზიამ. შეეჩერდეთ ამ მოვლენაზე.

216 ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, „წელიწადეული“, I—II, 1923—1924.

217 შტრ. ა. შანიძე, იქვე, გვ. 11.

218 იხ., მაგალითად, ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973.

ს. ელენტიის ვარაუდით, ქართულ ენაში ცალკეული სიტყვა სუსტმახვილიანია, წინადადებაში კი, ექცევა რა წინადადების სა-
ერთო მახვილის ქვეშ, სულაც უმახვილო ხდება. მისი აზრით,
„ქართული მახვილის ბუნების გასარკვევად, პირველ ყოვლისა, უნ-
და შევისწავლოთ და გავარკვიოთ რიტმიკული ჯგუფის რაობა,
დავადგინოთ ცალკეული რიტმიკული ჯგუფები და მახვილიც იქ
უნდა ვძებნოთ“²¹⁹.

რიტმიკულ ჯგუფებს ქმნიან შემასმენელი და გარემოებები,
მსაზღვრელი და საზღვრული, სახელი და თანდებული და სხვ.

მახვილის მქონე სიტყვის გვერდზე რიტმიკული ჯგუფის სხვა
წევრი (წევრები) ატონად იქცევა და წარმოადგენს პროკლიტიკას
ან ენკლიტიკას. ს. ელენტიის აქ აღნიშნულ ნაშრომში ეს დებულება
კარგად არის ილუსტრირებული ქართული ენის სათანადო მასა-
ლით.

(ბ) -CVC(/-C_n VC). ერთმარცვლიან -CVC(/-C_n VC) ტიპის მორ-
ფემათა კუმშვა სწორედ ენკლიზიის საფუძველზე ხდება ქართულ
ენაში.

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან კარგად არის ცნობილი,
რომ სახელთა ზოგი ერთმარცვლიანი ფუძე დამოუკიდებლად უკუ-
მწველია, შედგენილი ფუძის ბოლოს კი იკუმშება; მაგალითად:
ბერ — ბ ე რ ი ს, მაგრამ დედაბერ — დ ე დ ა ბ რ ი ს; კარ — კ ა
რ ი ს, მაგრამ ცისკარ — ც ი ს კ რ ი ს; დარ — დ ა რ ი ს, მაგრამ
აედარ — ა ე დ რ ი ს; ღვარ — ღ ვ ა რ ი ს, მაგრამ ნიაღვარ —
ნ ი ა ღ ვ რ ი ს²²⁰.

კარგად ჩანს, რომ ერთმარცვლიანი მორფემები (ბერ, კარ,
დარ, ღვარ) შედგენილ სახელში ენკლიტიკად ქცევის შემდეგ ფუ-
ძის ბოლოს ქმნიან სახელის მეორე ან ამის შემდგომ მარცვალს,
იღებენ რედუქციის საყრდენ სეგმენტს და იკუმშებიან ორ- და მეტ-
მარცვლიან სახელების ფუძეთა კუმშვის საერთო წესით.

აქვე შემოდის სახელთაგან მიღებული ერთმარცვლიანი წარ-
მომქმნელი მორფემები და სხვა ენიდან ნასესხები წარმოქმნის

²¹⁹ ს. ელენტი, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, 1963, გვ. 11.

²²⁰ იხ., მაგალითად, ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის... Hans Vogt, Alternances vocaliques en georgien, NTS, XI, 1939, გვ. 129; ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იკვ. I, 1946; ივ. იმნა-
იშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 31 და შემდეგ.

ელემენტები. რომლებიც დამოუკიდებლად არ გვხვდებიან, კერძოდ:

-ბარ: თანაბარ — თანაბრის;

-გან: საგან — საგნის, გარეგან — გარეგნულ, შინაგან — შინაგნად;

-დელ: გუშინდელ — გუშინდლის, შარშანდელ — შარშანდლის;

-დან (სპარს. დან): ჩაიდან — ჩაიდნის, ყავადან — ყავადნის;

-დარ (სპარს. დარ): ჩალადარ — ჩალადარის, იჯარადარ — იჯარადარის;

-ფერ: ცისფერ — ცისფრის, ქვარტლისფერ — ქვარტლისფრის.

-დელ, -ფერ მორფემათა კუმშვას ცალკე დაწვრილებით განვიხილავთ. ახლა კი უნდა ითქვას, რომ ამ მორფემათა კუმშვის მიზეზი იგივეა. რაც ზემოთ გვქონდა ორ- და მეტმარცვლიანი პარველადი და წარმოქმნილი ფუძეების სარედუქციო სეგმენტში: (1) მორფემები ქმნიან ფუძის მეორე ან ამის შემდგომ ბოლო მარცვალს, (2) ატონებია და შედგენილ ფუძეში იღებენ რედუქციის საყრდენ სეგმენტს, (3) კუმშვის შედეგად არ ირღვევა მარცვლის სტრუქტურა.

სპარსული წარმომავლობის -დან, -დარ მორფემები, მართალია, ძირეულმორფემებთან ერთად შემოჰყვა სიტყვებს ქართულში. მაგრამ, იმის გამო, რომ ძირეული მორფემები (ჩაი, ყავა, იჯარა...) ქართულში ამ მორფემათა გარეშეც გვხვდება, ისინი მაინც გაიანზრება როგორც წარმომქმნელი ელემენტები²²¹ და შესაძლებლად მივიჩნიეთ მათი ცალკე, როგორც წარმომქმნელი მორფემების, განხილვა.

-დელ. ეს მორფემა საკმაოდ გავრცელებული წარმოქმნის ელემენტია ქართულ ენაში²²². იგი დამოუკიდებლად არ იხმარება, დაერთვის მარცვლოვან მორფემებს, რომლებიც ბოლოვდებიან ნ ან მ თანხმოვნებით. ნ-სა და მ-ს წინ უთუოდ უძღვის ხმოვანი: ნ-ს — ა, ი, ო, ხოლო მ-ს — ყოველთვის ა; მაგალითად; წელანდელ, გუშინდელ, ბოლონდელ; წვევამდელ, სკოლამდელ და სხვ.

221 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 144-145.

222 იქვე, გვ. 130.

ეს ხმოვნები (ა, ი, ო) მათი მომდევნო თანხმოვნებით (ნ ან მ) წარმოადგენენ რედუქციის საყრდენ სეგმენტს.

-დედ მორფემის პოზიცია სიტყვაში ისეთია, რომ მარედუქცი-რებელი სეგმენტის დართვით მისი შეკუმშვა ყოველთვის არის შესაძლებელი: ინტერვოკალურ პოზიციაში თავს იყრის სამი თანხმო-ვანი, რომელთაგან ბოლო ორი ამავე მორფემის თანხმოვნებია -დლ (<დედ). -დლ მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსია და წარ-მოადგენს ბოლო მარცვლის ექსპლოზიას (გუ-შინ-დლის).

სალიტერატურო ქართულში -დედ მორფემას სარედუქციო პოზიციაში ვხვდებით როგორც შეკუმშული, ისე შეუკუმშავი სა-ხით. ეს ქართული ენის სხვადასხვა დიალექტის სამეტყველო ნორ-მათა გავლენის შედეგია სალიტერატურო ენაზე, განპირობებუ-ლი იმით, რომ განსხვავებული ფორმები ფონემატურად არ ეწი-ნაადმდეგება ქართული ენის შესაძლებლობებს.

გადავიდეთ კონკრეტულ ფორმათა ანალიზზე:

1. შემთხვევები, როდესაც -დედ შეკუმშულია ნ-ს მომდე-ვნოდ: ბოლონდლისა, გუშინდლისა, წელანდლური, აღებისამინდ-ლისა, ამასწინანდლისა, იმდღევანდლისა, იმლამინდლისა, აწინდლი-სა, ახლანდლისა, პირვანდლისა, დილანდლისა, ზეგინდლისა, გუშინ-წინდლისა, შარშანდლისა, წინალამინდლისა, წლევანდლისა, წრე-ვანდლისა, წუხანდლისა, წელანდლისა, წინანდლისა (ყველა ფორმა მოტანილია ქეგლიდან).

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისგან“ განსხვავე-ბით „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (ვ. თოფუ-რია და ივ. გიგინეიშვილი, 1968), ზემოთ ჩამოთვლილი ფორმე-ბიდან შეუკუმშავად არის წარმოდგენილი დილანდელ (დილან-დელისა), გუშინწინდელ (გუშინწინდელისა), გუში-ნისწინდელ (გუშინისწინდელისა). წინალამინდელ (წინალამინდელისა) და წელანდელ (წელანდელი-სა).

2. შემთხვევები, როდესაც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ -დედ უკუმშველად არის წარმოდგენილი ნ-ს მომ-დევნოდ: ძოლანდელისა, როდინდელისა, ოდინდელისა, წინადრო-ინდელისა.

ძოლანდელი ფორმა ძველი ქართულიდანვე მოდის, რა-ზეც ქეგლში სათანადო მითითებაა. აღსანიშნავია, რომ ძველი ქართულისთვის შეკუმშული ფორმაა დამახასიათებელი, მაგალი-თად: „ვერ შემძლებელ ვარ გუშინდითგან და ძულუანდითგან

(ოშკის ბიბლია. გამოსლ. 4,10 — იხ. ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973), უდავოა, რომ გ უ შ ი ნ დ ლ ი თ ვ ა ნ < გ უ შ ი ნ დ ლ ი თ გ ა ნ, ხოლო ძ უ ლ უ ა ნ დ ლ ი თ გ ა ნ < ძ უ ლ უ ა ნ დ ლ ი თ გ ა ნ.

-ამ რედუქციის საყრდენი სეგმენტის მომდევნოდ -დეღ სუ-ფიქსი „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა“ და „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ არსებითად უკუმშველად არის წარმოდგენილი სარედუქციო პოზიციაში: წარღვნამდელისა, ამა-ღამდელისა. რევოლუციამდელისა, თუმცა ერთ შემთხვევაში ქეგ-ლი მაინც ამჯობინებს შეკუმშულ ფორმას — კო ლ მ ე უ რ ნ ე თ ბ ა მ დ ლ ის ა (იხ. კოლმეურნეობამდელი).

როგორც ვხედავთ, ფონემატურად დასაშვები ორივე ფორმა რეალიზებულია ქართულ ენაში.

რადგანაც სახელის ფუძეთა კუმშვისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა უძღვის წინ რედუქციის საყრდენ სეგმენტს (ჩვენ შემთხვევაში -ან, -ინ, -ონ, -ამ სეგმენტებს), -დეღ მორფე-მიან ფუძეთა დაყოფა კუმშვადებად და უკუმშველებად ყოველ-თვის ხელოვნური გამოვია; ამიტომ თუ შევეცდებით კუმშვის ან უკუმშველობის ერთიანი წესის გატარებას სალიტერატურო ქარ-თულში, აჯობებს. -დეღ მორფემიან ფუძეთა შეკუმშული ვარიან-ტები სარედუქციო პოზიციაში, ჯერ ერთი, ისინი ფონემატურად გამართლებულია და, მეორე, ამჟამად მიღებული ნორმითაც შე-კუმშული ფუძეები ქარბობენ შეუკუმშავებს.

-ფერ. ერთმარცვლიანი ძირეული მორფემა ფერ ქართულში ხშირად გამოიყენება ზედსართავი სახელების შედგენილ ფუძეთა საწარმოებლად.

დამოუკიდებლად ხმარების დროს ფერ არსებითი სახელის ფუძეა და არ იკუმშება: ფერ — ფერისა, ფერად და სხვ.; იგი არ იკუმშება წარმოქმნის დროსაც, როდესაც ფორმაში პირველი კომპონენტია (resp. პირველი მარცვალი სიტყვისა): ფერ-იანი, ფერ-ოიანი და სხვ.

ფერ მორფემის კუმშვა ხდება მაშინ, როდესაც რთულ სიტყ-ვაში ბოლო კომპონენტია (resp. ქმნის მეორე ან მის შემდგომ მარცვალს), მაგალითად: ცისფერ — ცისფრისა, ცისფრად; ქვარ-ტილსფერ — ქვარტილსფრისა, ქვარტილსფრად და სხვა მრავალი.

-ფერ მორფემა იმ კომპოზიტებში, სადაც იგი შეკუმშულია, ენკლიტიკას წარმოადგენს და, მაშასადამე, ატონური მარცვალია სიტყვაში.

ის ვითარება, რომ იგი ბოლო მარცვალაა ორ- და მეტმარცვლიან ნაწარმოებ ფუძეებში, არის ატონა და შეკუმშვით არ არღვევს მარცვლის სტრუქტურას (ცისფერის — ცის-ფრის, მრა-ვალ-ფრის, ჭი-აფ-რის) მას აძლევს კუმშვის საშუალებას სარედუქციო პოზიციასში.

კუმშვის მიხედვით სამეტყველო ნორმები ერთნაირი არ არის ქართული ენის მასშტაბით. ცნობილია, რომ ქართული ენის დასავლური კილოები მორფემათა კუმშვას ნაკლებ მიმართავენ, აღმოსავლური კილოები კი — უფრო მეტად, რაც აისახება კედუც სალიტერატურო ენის ფორმათა შეკუმშვაში; ასე მაგალითად: (1) ისეთ კომპოზიტებში, სადაც ფერ მორფემა მოსდევს ნათესაობით ბრუნვაში დაყენებულ სახელს, „ქართული ენის განპარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით იგი არსებითად იკუმშება სარედუქციო პოზიციასში. ასეა 57 შემთხვევაში: მაგრამ რვა შემთხვევაში ასეთივე შედგენილობის კომპოზიტებში -ფერ უკუმშველია. მოგვაქვს რვავე ფორმა: ყავისფერისა, წყლისფერისა, გიშრისფერისა, ღანძლისფერისა, ღოღნომოსფერისა, შაქრისფერისა, პირისფერისა, შინდისფერისა (შვინდისფერისა). ამ ფორმებშიც, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო -ფერ მორფემის შეკუმშვა, რადგანაც ამ ტიპის სხვა ფორმებში იგი შეკუმშულია: კერძოდ: თუ არის ენდროსფერ — ენდროსფრისა, შეიძლება გიშრისფერ — გიშრისფრისა. ამ მხრივ საყურადღებოა ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ (1968 წ.)²²³ ჩვენება: აქ ვითარებით ბრუნვაში რვავე კომპოზიტის შეკუმშული ფორმაა სწორად მიჩნეული. ოღონდ ქეოლ-ში შინდისფერ-ს ახლავს მითითება: „შინდისფერისა, მაგრამ შინდისფრად“ (ბ. ჩ. — თ. უ.). ქეოლითაც ივარაუდება, რომ ეს კომპოზიტები ნათესაობით ბრუნვაში ფუძეუკუმშველია.

ვფიქრობთ, შინდისფრისა სრულიად ბუნებრივი ფორმაა ქართულისთვის, რადგანაც. ჯერ ერთი, გვაქვს შინდისფრად (პოზიციას ანალოგიური) და, მეორეც, ანალოგიური სტრუქტურის ფორმებში დასაშვებად არის მიჩნეული -ფერ მორფემის კუმშვა. კერძოდ: ნარინჯისფერ — ნარინჯისფრისა, სპილენძისფერ — სპილენძისფრისა. როგორც შინდისფერ-ში. შეკუმშულ კომპოზიტებშიც ნათესაობითის -ის მორფემის წინ გვაქვს ნ-წინაენისმიერი თანხმოვნით შექმნილი კომპლექსები (ნჭ და ნძ):

ენდროს ფრისა ფორმაში ხომ ნდ კომპლექსი დამატებით კიდევ გართულებულია რ თანხმონით (ნდრ).

(2) კომპოზიტებში -ფერ შეიძლება დაერთოს სახელის ფუძეს. აქ ორი შემთხვევა გაირჩევა: (ა) რთული სახელის პირველი კომპონენტის ფუძე ბოლოვდება ხმოვნით. ამ შემთხვევაში -ფერ კუმშვადია (ყველაფრისა, არაფრისა, ვერაფრისა, აღარაფრისა, ნულარაფრისა, ნურაფრისა, კიაფრისა). ქეგლში ერთადერთი გამოწვევისა სხვადასხვაფერისა; (ბ) პირველი კომპონენტის ფუძე ბოლოვდება თანხმოვნით. მაშინ -ფერ არსებითად უკუმშველია: ჩემფერისა, შენფერისა, შავფერისა, ორფერისა, ნაირფერისა, მრავალფერისა (ქეგლი).

როგორც ა, ისე ბ ტიპის კომპოზიტებში -ფერ მორფემის პოზიცია სარედუქციოა, ამიტომ ბ ტიპის კომპოზიტებში აქა-იქ განხორციელებული რედუქცია ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს; მაგალითად: ათასფრისა, სწორფრისა, ნაირფრად, მრავალფრად (იხ. ქეგლი და ქეოლი). ფონემატური სტრუქტურა ორივე ტიპის კომპოზიტებში ფუძის კუმშვას ხელს არ უშლის. აქ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ კომპოზიტი რამდენად არის გაერთიანებული, ე. ი. -ფერ მორფემა რამდენად ინარჩუნებს დამოუკიდებლობას ფრაზაში.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ზემოთ მითითებული გამონაკლისი ა ტიპის კომპოზიტებიდან — ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ფ ე რ ი ს, რომელიც სტრუქტურული თვალსაზრისით შეკუმშული ფორმით უნდა გვეჩინოდა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ფ რ ი ს ა.

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ტიპის თხზულ სახელებთან ფერ დამოუკიდებელი სიტყვაა: თავიდათავი ფერი („უპარველესი ფერი“), თეთრ-ყვითელი ფერი და სხვ. ეს დამოუკიდებლობა ფერ სიტყვას ნაწილობრივ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ფ ე რ ფორმაშიც აქვს შენარჩუნებული, რაც კარგად ჩანს გარკვეული კონტექსტით: ცის ფერი ჩითის, მაგრამ არ არის ბუნებრივი ცის ფერის ჩითის, მაშინ როცა ერთნაირი გავრცელებით იხმარება ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ფ ე რ ი ჩითის და ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ფ ე რ ი ს ჩითის.

-ფერ რომ შეიკუმშოს იგი ენკლიტიკად უნდა იქცეს. ამ გზით არის მიღებული დასავლური კილოებისთვის დამახასიათებელი რ ა ფ რ ა. რაფერი „როგორი“ — რაფრად > რაფრა „როგორ“. რაფერი მიღებულია რ ა ს ფ ე რ ი-დან. ეს გზა გაიარეს სალიტერატურო ქართულის ა რ ა ფ ე რ ი — ა რ ა ფ რ ი ს ა, ნ უ რ ა-

ფერ — ნურაფრისა... ფორმებმა (არასფერი > არაფერი და სხვ.).

აქაც, როგორც -დელ სუფიქსიან ფორმებში, თუ შევეცდებით კუმშვა-უკუმშველობის ერთიანი წესის გატარებას, აკობებს -ფერ ზორფემიან ფუძეთა შეკუმშული ვარიანტები სარედუქციო პოზიციაში, რადგანაც ეს ფორმები ფონემატურად გამართლებულია და ენაში გაცილებით უფრო მეტი გავრცელება აქვთ, ვიდრე მათ შეკუმშველ ვარიანტებს.

განვიხილოთ -Cn VC ტიპის რამდენიმე თანდებული, რომლებიც ერთმარცვლიან მორფემათაგან მიიღება კუმშვის გზით: -თვის (ძვ. ქართ. თვს), ძვ. ქართ. -ძლით „გამო“, მთის დიალექტებისთვის დამახასიათებელია -გნივ „გამო“ და Cn VC ტიპის ზმნიზდები, რომლებიც აგრეთვე ერთმარცვლიან მორფემათა კუმშვითაა მიღებული: მყის, ძლივს, ძლიერ; ძვ. ქართულის ფრჯივ „ქვეითად“.

თვს (ახ. ქართ. თვის). უდავო ჩანს თავ არსებითი სახელის, თვს თანდებულის, თვთ და თავად ნაცვალსახელების საერთო წარმომავლობა. ამოსავალია თავ არსებითი სახელი²²⁴. თანდებულისა და ნაცვალსახელთა ეს ეტიმოლოგია ექვს არ იწვევს, მაგრამ ასახსნელია შემდეგი: (ა) უკუმშველმა თავ სახელურმა მორფემამ როგორ მოგვცა შეკუმშვით თვს თანდებული და თვთ ნაცვალსახელი და (ბ) რატომ არ განხორციელდა კუმშვა თავად ნაცვალსახელშიც, როდესაც -ად მარედუქციობელი მორფემა.

ადვილად სავარაუდებელია, რომ უძველეს ქართულში თავ-ზორფემა ნათესაობითი ბრუნვის ფორმით ახლდა სახელს, როგორც კუთვნილების გამომხატველი სიტყვა, დაცლილი საგნობრივი სემანტიკისაგან. *კაცისათავის „რაც კაცისთვისაა განკუთვნილი“, *სახლისათავის „რაც სახლისთვისაა განკუთვნილი“ და სხვ. იმის გამო, რომ ასეთ შესიტყვებაში თავის ფორმამ დაკარგა სახელის გავება და მიეკედლა მის წინ მდგომ სახელს როგორც მაწარმოებელი ელემენტი, სინტაგმაში დაკარგა თავისი მახვილიც, მიიღო რედუქციის საყრდენი სეგმენტი და შეიკუმშა. ანალოგიური ცვლილება მოხდა ძველსავე ქართულში და გვიან ქართული ენის კილოებშიც — ერისთავ შედგენილი ფუძე სარედუქციო პოზიციაში შეიკუმშა: ერისთვის, ერისთვიანი და სხვ.²²⁵

²²⁴ Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного груз. языка, кн. 94; ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 43.

²²⁵ შდრ. ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, იკე, 1946, გვ. 222—223.

თავდაპირველად მსლებლის ფუნქცია უნდა ჰქონოდა განსაზღვრებით თვთ ნაცვალსახელსაც: *თავით თვთ, სადაც იგი ატონას წარმოადგენდა და კუმშვის გზითაა მიღებული (თავით თავით > თავით თვთ). სინტაგმის გამარტივებით მივიღეთ ნაცვალსახელი თვთ „თვითონ“; შდრ. ძვ. ქართ. თავით თვსით, რომელმაც დაკარგა თავით წვერი და შესაძლებელი გახადა სინტაგმის შინაარსის გადმოცემა მხოლოდ თვსით კომპონენტით: თვისით გააკეთა, თვისით მოიფიქრა//თავისით გააკეთა, თავისით მოიფიქრა.

ისევე, როგორც ნაწევარი, არც თავად იქნებოდა გამოყენებული მსლებლის ფუნქციით ვითარებით ბრუნვაში. მაშასადაზე, თავად მიღებულია დამოუკიდებლად ხმარებული თავ მორფემისგან და რედუქცია აქ არც იყო მოსალოდნელი.

აქ ერთი ვითარება მოითხოვს კიდევ ჩვენს უურადლებას: თავ მორფემას წინ უძლოდა ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ს (*კაცის-თავის), რის გამოც რედუქციის შემდეგ ინტერვოკალურ პოზიციაში თავს მოიყრის სამი თანხმოვანი (კაცისთვის, ძვ. ქართულით კაცისთჳის). კუმშვისთვის ეს დაბრკოლებას არ წარმოადგენდა, რადგან მარცვლის სტრუქტურა არ ირღვევა კუმშვის შემდეგაც (კაცის-თჳის). ნათესაობითის ს ყოვლთვის არის ბოლოდან მეორე მარცვლის იმპლოზია, ხოლო თჳ მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსი წარმოადგენს ბოლო მარცვლის ექსპლოზიას სარედუქციო პოზიციაში.

ენკლიზიის შედეგად მომხდარი კუმშვის კარგ ნიმუშს წარმოადგენს ძველ ქართულში ჟამ მორფემის ცვლილება პოზიციის მიხედვით: ჟამისა მის, ჟამიერ, მაგრამ სამიჳმისაჳ²²⁶. სიტყვის პირველ მარცვლად ჟამ უკუმშველია ყოველთვის, მაგრამ თჳ ენკლიტიკად იქცა და მიიღო რედუქციის საყრდენი სეგმენტი, იგი შეიძლება შეიკუმშოს.

ძლით. ძველ ქართულში არის თანდებული ძლით „გამო“. ძლით მიღებულია ძალ სახელის კუმშვით. ძალ როგორც არსებითი სახელითარ იკუმშება: ძალისა მის, ძალითა მით, მაგრამ როგორც კი იქცევა მსლებლად და კარგავს სახელურ სემანტიკას (შდრ. თავის), კარგავს მახვილსაც და იღებს რედუქციის საყრდენ სეგმენტს, რის შედეგადაც კუმშვასაც განიცდის: რომლისა ძლით „რომლის გამო“, ჩემ ძლით „ჩემ გამო“.

226 ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება..., გვ. 31.

-გნით, გნივ მთის დიალექტებში იკუმშება -გან თანდებულ-
ლიც მოქმედებით ბრუნვაში: ჩ ე მ გ ნ ი ვ, მ ტ რ ი ს გ ნ ი ე და
სხვ.²²⁷ ბარის დიალექტებში დასტურდება -გნით დაბოლოებაც:
ჩ ე მ გ ნ ი თ, შ ე ნ გ ნ ი თ (მაგალითად, კახურში)²²⁸.

მყის ზმნიზება მიღებულია მეფ არსებითი სახელის ფუძის შე-
კუმშვით ნათესაობით ბრუნვაში.

იმის გამო, რომ ზმნიზება ზმნასთან ერთად ქმნის რიტმიკულ
ჯგუფს და ზმნა ასეთ სინტაგმაში ყოველთვის მახვილიანია²²⁹, ზმნი-
ზება იქცევა ენკლიტიკად და ზმნისგან იღებს რედუქციის საყრდენ
სეგმენტს, რის გამოც შესაძლებელია მისი შეკუმშვა. სწორედ ამ
გზით არის მიღებული მყის ზმნიზება მეყის ფორმიდან:

*აღღა მყის (ყამსა) > აღღა მყის.

ძლივის, ძლიერ, ფრჯივ. იგივე გზა აქვთ გავლილი
ძლივს, ძლიერ, ფრჯივ ზმნიზებებსაც. მათაც, შესავსად
მყის ზმნიზებისა, კუმშვა განიცადეს ენკლიზის საფუძველზე:
*წარვიდა ძლივ > წარვიდა ძლივ (ს შემდეგ დაერთო²³⁰): *წარვი-
და ფერჯივ > წარვიდა ფრჯივ. როგორც არსებითი სახელი, ფერჯ
ძველ ქართულში უკუმშველია: ფერჯისა, ფერჯითა და სხვ.

ძლიერ ზმნიზება მიღებული ჩანს ძლიერ ზედსართა-
ვისაგან („ძლიერი“); შდრ. პირველი და პირველ, უკა-
ნასკნელი და უკანასკნელ.

ძალიერ ზედსართავს კუმშვა განუტდია საზღვრულის მომ-
დევნოდ პოსტპოზიციურ წყობაში: კ ა ც ი ძლიერ(ი). რედუქცია
ხმოვნისა აქ ადვილად განხორციელდებოდა, რამდენადაც ასეთ
წყობაში მსაზღვრელი აგრეთვე ენკლიზიას განიცდის²³¹ და ამავე
დროს გვერდით ჰქონდა რედუცირებული ძლივ, უძლურ
ფორმები.

უ-ძლ-ურ, უ-ემ-ურ(ყამ), ი-გურდ-ივ(გურდ)... ტიპის ფორ-
მებში მახვილის გადანაცვლება ხდება პირველ მარცვალზე, უკუმ-
შველი ძირეული მორფემა იღებს რედუქციის საყრდენ სეგმენტს,
რის შემდეგაც სახელური წარმომავლობის მორფემა, კუმშვის ზო-

227 ა. შ ა ნ ი ძ ე. ქვესურული მასალების ლექსიკონი, -წელიწდული“, გვ. 267.

228 ქლ., I.

229 შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი..., გვ. 59; ს. ე ლ ე ნ ტ ი, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, 1963, გვ. 71.

230 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 592.

231 ს. ე ლ ე ნ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

გადი წესის თანახმად, სრულიად ბუნებრივად განიცდის კუმშვას. საამისო მაგალითები ქართულში საკმაოდ მოიპოვება, მაგალითად: ხარ — ხარის, მაგრამ სა-ხარ-ე, მე-ხარ-ე; მწარე — მწარის, მაგრამ სი-მწარ-ის; სწორ — სწორის, მაგრამ გა-სწვრ-ივ და სხვ.

III. CnVC. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ამ სტრუქტურული ტიპის მორფემები პირველადი სახელებია²³² და ანლაუტში შეიძლება ჰქონდეს ოთხამდე თანხმოვანი.

თანამედროვე ქართულში გვაქვს ამ ტიპის 35 კუმშვადი ფუძე ქეგლის მიხედვით:

- | | |
|----------------------|----------------|
| 1. ბჯალ/ბრწყალ/ბწყალ | 19. ფსვალ |
| 2. ბრძენ | 20. ფსკერ |
| 3. ზღვარ/მზღვარ | 21. ქმარ |
| 4. თვალ | 22. ქსან |
| 5. კვალ | 23. ქსელ |
| 6. კრცხალ | 24. შველ |
| 7. მველ | 25. ცხვარ |
| 8. მტერ | 26. ძვალ |
| 9. მხალ/ფხალ | 27. ძმარ |
| 10. მხარ | 28. ძღვენ |
| 11. მსხალ | 29. წვენ |
| 12. მტვერ | 30. წყალ |
| 13. მცვარ/ცვარ | 31. კვალ |
| 14. მჩვარ/ჩვარ | 32. ხმალ/ხრმალ |
| 15. მწყერ | 33. ხრდალ |
| 16. რთველ/სთველ | 34. ჯვარ |
| 17. რძალ/სძალ | 35. ჯღარ |
| 18. ფშან | |

ეს მორფემები, როგორც წესი, ბოლოვდებიან მესამე კლასის რომელიმე სონორი თანხმოვნით (რ, ლ, ნ), რომელთაც წინ უძღვის ა ან ე ხმოვანი. სხვა თანხმოვანი და ხმოვანი ერთმარცვლიანი კუმშვადი ფუძის ბოლოში არ გვხვდება CnVC ტიპის სიტყვებში, ე. ი. ეს ფუძეები ბოლოვდება -ალ, -არ, -ან, -ელ, -ერ, -ენ სეგმენტებით და ამავე დროს ხმოვანთა წინ დგას თანხმოვანი, რომელიც არ განეკუთვნება ამ სონორთა კლასს (III კლასს).

²³² „პირველადი“ აქ ნახშირია სინქრონიული თვალსაზრისით. დიაქრონიულად ბევრი ამ სახელთაგან მეორეული წარმოების ჩანს.

თუ ხმოვნის წინ მესამე კლასის თანხმოვანი აღმოჩნდა, სახელის ფუძე არ შეიკუმშება, მაგალითად: ქნარ — ქნარის, წნელ — წნელის, ძნელ — ძნელის, ბრალ — ბრალის, კლან — კლანის (შდრ. ქმარ — ქმრის, ძმარ — ძმრის, შეელ — შელის, ცვარ — ცვრის).

მაშასადამე, $C_n VC$ ერთმარცვლიანი მორფემების კუმშვის აუცილებელი პირობაა ხმოვნის ამოღების შემდეგ ხმოვნის წინა და მომდევნო თანხმოვნებმა შექმნან მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსი. $C_n VC$ ტიპის სახელთა 50% კუმშვის შემდეგ მთლიანად — ყველა თანხმოვნით ქმნის მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსს: ზვარ — ზვრის, ზღვარ — ზღვრის, თვალ — თვლის, კვალ — კვლის, ცვარ — ცვრის, ქმარ — ქმრის, ქსან — ქსნის, ქსელ — ქსლის, შეელ — შელის, ჯღარ — ჯღრის და ა. შ.

$C_n VC$ ტიპის კუმშვად სახელთა რიცხვი ისტორიულად მატულობს. ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი სახელებიდან ძველ ქართულში უკუმშველ იყო *კუა*რ, *მტე*რ, *მტუ*ერ, *თუა*ლ, *კუა*ლ, *ძუა*ლ, *ჯუა*რ ფუძეები.

როგორც ჩანს, ამ ტიპის სახელთა კუმშვაც ენკლიზიას უკავშირდება, კერძოდ, თხზული სახელებისა და მსაზღვრელ-საზღვრულის რიტმიკულ ჯგუფში, სადაც ამ სახელებს მეორე (მსაზღვრელის) ადგილი ეკავათ. ზოგი ასეთი შემთხვევა ხელშესახებია, მაგალითად: *დუა*რ ძველ ქართულშიც ისევე უკუმშველია, როგორც ახალი ქართულის *ღვარ* (ღვარის), მაგრამ ახალ ქართულში -*ღვარ* კუმშვადი ხდება თხზულის სახელის ფუძეში — *ნიადღვარის*; ასევე ძველი ქართულის *კუა*ლ და ახალი ქართულის *კვალ* (квал) უკუმშველია, მაგრამ, თუ *კვალ* თანამედროვე ქართულში აღნიშნავს ბალის მცენარეთა რიგს (грязь), შეიძლება ეს ფუძე შეიკუმშოს (კვალ — კვლის, კვლები). რადგანაც მეორე შემთხვევაში ეს სახელი თითქმის ყოველთვის რომელიმე მწვანლის სახელთან ერთად იხმარება (ხახვის კვალი, ნივრის კვალი, წიწმატის კვალი და სხვ.), ენკლიტიკად იქცა და კუმშვაც განიცადა: ხახვის კვლის, ნივრის კვლის და სხვ.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს *თვალ* ფუძესთან, რომელიც უკუმშველია როცა ადამიანის ორგანოს გამოხატავს (глаз), კუმშვადია, როცა ტრანსპორტის რომელიმე სახის ნაწილის (колесо) ან რომელიმე ძვირფასი ქვის გამოსახატავად იხმარება; მეორე შემთხვევაში, როგორც წესი, კუმშვადი სახელი საზღვრულია (ურმის თელის, ეტლის თელის; ბრილიანტის თელის, ბეჭდის თელის და

სხვ.). ასევე გვაქვს თითქმის კომპოზიტი ნატურის თვალთვლით, რომელშიც თვალ შეიძლება შეიკუმშოს სარედუქციო პოზიციის — ნატურის თვლის. სწორედ ამ მეორე რიგის კომპოზიტებში ადვილად მოხდა მისი ენკლიტიკად ქცევა და ამას კუმშვაც მოჰყვა.

ახალ ქართულში რომ იმატა სახელთა ერთმარცვლიან ფუძეთა კუმშვამ, ეს უნდა უკავშირდებოდეს, განსხვავებით ძველი ქართულისაგან, საზღვრულის მეორე ადგილზე (მსაზღვრელის მომდევნოდ) ხმარების დიდ გავრცელებას, რამაც ხელი შეუწყო ერთმარცვლიან სახელთა ენკლიტიკად ქცევას: ძვ. ქართ. ცუარი ცისკრისაჲ, ჟუარი ძელისაჲ, თუალი ურმისაჲ და სხვ.; შდრ. ახალი ქართულის ცისკრის ცვრისა (<ცისკრის ცვარისა), ძელის ჯვრისა, ურმის თვლისა — აი ძირითადი გზა ერთმარცვლიან ფუძეთა კუმშვისა.

საყურადღებოა ერთი ფაქტიც: თუ სახელი კუმშვადია, იგი იკუმშება — ებ თემის ნიშნით ნაწარმოებ აქტიურ ზმნებშიც, მართალ — მართლ-ის — ა-მართლ-ებს; ახალ — ახლ-ის — ა-ახლ-ებს, მალალ — მალლ-ის — ა-მალლ-ებს და სხვ. ყველა ორ- და მეტმარცვლიანი კუმშვადი სახელის ფუძე ამ წესს ემორჩილება ზმნებში.

სახელთა ერთმარცვლიანი კუმშვადი ფუძეები ზმნის ასეთი წარმოების ფორმებში უკუმშველად წარმოგვიდგება: მგელ — მგლ-ის, მაგრამ ა-მგელ-ებს, მტვერ — მტვრ-ის, მაგრამ ა-მტვერ-ებს; ცვარ — ცვრ-ის, მაგრამ ა-ცვარ-ებს; წყალ — წყლ-ის, მაგრამ ა-წყალ-ებს; ძმარ — ძმრ-ის, მაგრამ ა-ძმარ-ებს და სხვ.

ვითარება ამ ტიპის ნახახელარ ზმნებში მიუთითებს სახელურ მორფემათა თავდაპირველ უკუმშველობაზე (იხ. ქვემოთ).

ვანსახილველია კიდევ ერთმარცვლიანი ზედსართავები, რომლებიც მხოლოდ ზმნიზედად გამოყენებისას იკუმშებიან: თხელ — თხელ-ის, მაგრამ თხლ-ად; სქელ — სქელ-ის, მაგრამ სქლ-ად; გრძელ — გრძელ-ის, მაგრამ გრძლ-ად, მთელ — მთელ-ის, მაგრამ მთლ-ად. აღნიშნული ფუძეები რომ მხოლოდ ზმნიზედად გამოყენებისას იკუმშვიან, მიუთითებს იმაზე, რომ ეს მოვლენა აქ მეორეულია, კერძოდ, საქმე გვაქვს ენკლიზისთან: ზმნათა მომდევნოდ ეს ფუძეები კარგავენ მახვილს, ეკედლებიან ზმნის ფორმას და იკუმშებიან კიდევ სარედუქციო პოზიციისაში. მ რ გ ვ ა ლ ფუძემ თველს ქართულშივე განიცადა კუმშვა ამავე გზით: მრგულ — მრგულ-ივ, აქედან მ რ გ უ ლ ი ა დ.

განსახილველი ღარჩა ერთმარცვლიან ფუძეთა კუმშვა ისეთ

სახელებში, როგორცაა: მძლე, მკნე (ახ. ქართულით მხნე). ცნობილია, რომ მძლე < მძალ-ე, ხოლო მკნე < მკან-ე²³³.

წარმოშობით ეს ფორმები მიმღეობები²³⁴.

მიმღეობათა მ — ე წყვეტილი მორფემით წარმოება ძველ ქართულში ჩვეულებრივია, მაგალითად, მგუეე, მკადრე, მკკრნე, მნატრე.

ფუ ვ ე ბ ა ზმნას აქვს როგორც მე — ე-თი, ისე (მ)-არ-ით ნწარმოები მიმღეობები: „არა შკამოთ მას შინა მ ფ ო ვ ტ“ შდრ. „არა სკამოთ მას შინა ფ უ ა რ ი“²³⁵ რა თქმა უნდა, ფუარ < მფუ-არ.

წვეა ზმნიდან ჩანს მიღებული მწე (შემწე): მ-წევ-ე > მწუე > მწე;

ტ ე ვ ა „გაშვება“ ზმნიდან კი მტე (პურის-მტე, ძუძუმს-მტე): მ-ტევ-ე > მტუე > მტე.

მძლე ფორმა ზმნისწინითაც გვხვდება შემძლე, გამძლე. მას ჯერ კიდევ არ დაუქარგავს კავშირი ზმნასთან. მკნე-ში ადიექტივაცია დასრულებულია და ზმნისწინით აღარ გვხვდება ეს ფორმა. ეგევე გზა უნდა ჰქონდეთ გავლილი მკლე, მწარე, მქავე, მლაშე და სხვა ამ ტიპის ზედსართავ სახელებს.

საყურადღებოა, რომ თუშურ დიალექტში ღღესაც ჩვეულებრივია მძახე „დამძახებელი“, ამლე „ამლებელი“ ტიპის მიმღეობები. „მძახე აღარავინ ხყავ“ — დამძახებელი (მომხსენებელი) აღარავინა ჰყავს — იტყვიან უპატრონო მიცვალებულზე; ხატში სათქმელ დალოცვაში არის ასეთი ვედრება: ღმერთო, შენ უშველე ჯოხ-ამღესა, კმალ-ამღესა (ე. ი. მწყემსსა და მეომარსა).

ამ ტიპის ფორმები სახელთა კუმშვაში არ განიხილება. რადგან ფაქტიურად ზმნაში განხორციელებულ კუმშვასთან გვაქვს საქმე (მაგალითად: მიძლავს „შემიძლია“, გიძლავს „შეგიძლია“). ზმნაში კი — ამ რედუქციას თავისი ახსნა აქვს.

ვიდრე მორფემათა კუმშვის მექანიზმი ცალკე არ დადგინდება სახელთა კუმშვად ფორმებზე მსჯელობის დროს მათ მრავალი გაუგებრობის წარმოქმნა შეუძლიათ; ასე მაგალითად, რომელიმე ქარ როგორც სახელური მორფემა უკუმშველია; ქარ-ის, ქარ-იანი და

233 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის აგებულება..., გვ. 62 და 79.

234 იქვე.

235 ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, მფოვე.

სსვ. ზმნაში კი იგი კუმშვას განიცდის: ქრ-ი-ს, ქრ-ოლ-ა; ანდა
ოვალ — თვალ-ის, მაგრამ თვლ-ემ-ს და სსვ.

სწორედ ამის გამო ვარაუდობს ჰ. ფოგტი, რომ კუმშვა სა-
ხელსა და ზმნაში ერთად ვერ განიხილება²³⁶. ამ მიზეზებზე აქ ვერ
შეგვიჩერდებით, ოღონდ აღვნიშნავთ, რომ მორფემათა კუმშვა
ზმნებში ცალკე უნდა იქნეს შესწავლილი და, რა თქმა უნდა, ცალ-
კე — სახელებში, ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება, ვილაპა-
რაკოთ მორფემათა კუმშვაზე საერთოდ ქართული ენის ფარგლებ-
ში. ჭერჭერობით, მაშასადამე, მძლე და მკნე ტიპის ფორ-
მები ჩვენი მსჯელობის ობიექტი ვერ იქნება.

ახსნას მოითხოვს ისეთი ერთმარცვლიანი ფუძის კუმშვა, რო-
გორიცაა ყ რ უ, თუ იგი, მართლაც, მიღებულია სახელის ფუ-
ძის კუმშვის გზით: *ყურ-უ > ყრუ.

ვერც ყ რ უ გახდება ჩვენი მსჯელობის საგანი ფუძის კუმშ-
ვის თვალსაზრისით, რადგან ქართულ ენაში არის ამ ტიპის სხვა
სახელებიც, როგორიცაა ბლუ, ტლუ, ღრუ; ამათ დამატება სხვა
ხმოვანზე დაბოლოებული ამავე ტიპის სახელები: ძმა, თმა,
ბზე და სსვ. მათი სტრუქტურული მსგავსება იმაზე მიგვიითი-
თებს, რომ ისინი ფონემატურად და მორფოლოგიურად ერთ სიბ-
რტყეზე უნდა იხილებოდეს. ზემოთ ჩატარებული ანალიზით კი ეს
ფორმები არ შეიძლება ფუძის კუმშვის გზით მიღებულად მივიჩ-
ნოთ, თუ თანხმოვანთა კომპლექსებს (ბლ-, ტლ-, ძმ-...) სახელურ
ფუძეებად მივიჩნევთ და მათ მომდევნო ხმოვნებსაც სახელურ მა-
წარმოებლებად ჩავთვლით; ამ თვალსაზრისით საყურადღებოა
ღ რ კ-უ, რომელიც ზმნურ ღრეკ ფუძეს უკავშირდება [*ღრეკ-
უ > ღრკუ თუ ღრკ-ა/ღრკ-უ(?); შღრ. კისერ, იკისრ-ა და ნა-კისრ-
ი — ამოსავალი ზმნური ფუძის შეკუმშული ვარიანტი ჩანს ნა-
პრეფიქსიანი წარმოებისათვის²³⁷].

უკანასკნელად განვიხილოთ სახელის ფუძეთა კუმშვის მიმარ-
იება ქართულ ენაში მოქმედ მახვილთან. სახელთა ფუძეების კუმ-
შვა განვიხილეთ მორფემისა და ფუძის ფარგლებში. გამოირკვა,
რომ ერთმარცვლიანი მორფემები, როგორც წესი, რედუცირდე-
ბიან (ხმოვანს კარგავენ) მრავალმარცვლიანი ფუძის ბოლოს. ფუ-

²³⁶ Hans Vogt. Alternances vocaliques en georgien. NTS, XI, 1939, გვ. 126.

²³⁷ მთელ სერიას ქმნის წარმოების ეს ტიპი ქართულში: და-ე-ა-კელ — და-ა-კლ-ო — ნა-კლ-ი, ბეჰედ — და-ბეჰედ-ა — ნა-ბეჰედ-ი და სსვ.

ბეში ისინი ქმნიან მეორე ან ამის შემდგომ მარცვალს. ქრონოლო-
გიური თვალსაზრისით ვითარება საერთოა ქართული ენის ყველა
მდგომარეობისათვის. წინადადებაში დამოუკიდებლად მდგომი ერთ-
მარცვლიანი მორფემების კუმშვა მეორეულია — შედეგი ორ- და
მეტმარცვლიან შედგენილ ფუძეებში თუ რიტმიკულ ჯგუფებში
(სადაც ისინი ენკლიტიკებს წარმოადგენენ) ამავე მორფემათა შე-
კუმშულ ვარიანტებთან ანალოგიისა.

დამოუკიდებლად ხმარებული ერთმარცვლიანი კუმშვადი ფუ-
ძეების რიცხვი ძალიან მცირეა თანამედროვე ქართულში (CVC
ტიპის ფუძისაგან მხოლოდ სამია კუმშვადი: ბ ა ლ, წ ე ლ, ხ ა ნ);
რეტროსპექტიულად მათი რიცხვი კლებულობს (ძვ. ქართულში
ხ ა ნ ფუძე უკუმშველია: ხანის...), რაც საშუალებას გვაძლევს
დავასკვნათ, რომ ისტორიულად სახელთა ერთმარცვლიანი ფუძე-
ებია უკუმშველი იყო.

სახელის ფუძის კუმშვისათვის სარედუქციო პოზიციაში რო-
გორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში არსებითია ფუძის ბო-
ლო ორი მარცვლის (სარედუქციო სეგმენტის) ფონემური სტრუქ-
ტურა. არა აქვს მნიშვნელობა ფუძის იმ ნაწილს, რომელიც წინ
უძღვის სარედუქციო სეგმენტს, ეს ვითარება ექვის ქვეშ აყენებს
მახვილის (როგორც არ უნდა ყოფილიყო იგი) მოქმედებას ფუძის
კუმშვაზე²³⁸. ფუძის კუმშვაზე მახვილის გავლენას გამოირიცხავდნენ
პ. ფოგტი და ს. ქლენტი²³⁹.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ:

I. ისტორიულად ქართულ ენაში იკუმშებოდა სახელთა მხო-
ლოდ ორ- და მეტმარცვლიანი ფუძეები. ერთმარცვლიანი სახე-
ლური ფუძეების კუმშვა მეორეულია. მათი რიცხვი მატულობს
თანდათანობით.

II. მარცვლის სტრუქტურას პრინციპული მნიშვნელობა ენი-
ჭება სახელის ფუძის შეკუმშვაში: სარედუქციო პოზიციაში შე-
კუმშვის შემდეგ შექმნილი თანხმოვანთა კომპლექსი (მათი რი-
ცხვი ხუთამდე აღის) ხვდება ინტერვოკალურ პოზიციაში (რე-
დუქციის საყრდენი სეგმენტის ხმოვანსა და მარედუტიკრებელი
სეგმენტის ხმოვანს შორის) და თანხმოვნების განაწილება ხდე-

²³⁸ შდრ. Hans Vogt, *Alternances...* გვ. 129; არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, სმპ, ტ. III, № 2—3; 1942.

²³⁹ Hans Vogt, იქვე, გვ. 129; ს. ქლენტი, ქართული ენის რიტმი-
კულ-მელოდიკური სტრუქტურა, გვ. 135 და შემდეგ.

ბა მათ შორის. შეკუმშული ფუძის ბოლო ორი მარცვალი, რომელთაც ქმნიან აღნიშნული ხმოვნები იმპლოზიურ და ექსპლოზიურ ნაწილში, იცავს თანხმოვანთა მზარდი ნაპრალოვნობის მიმდევრობას. დამარცვლის ეს პრინციპი ორ- და მეტმარცვლიან კუმშვად ფუძეებში ირღვევა მხოლოდ ექვს შემთხვევაში. მარცვლის სტრუქტურის შოსალოდნელი დარღვევის შემთხვევაში ადგილი აქვს ფონეტიკურ ცვლილებებს, რომლებიც მიმართულია თანხმოვანთა მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსის შექმნისკენ ბოლო მარცვლის ექსპლოზიაში ან წყვილთანხმოვიან კომპლექსამდე დაყვანისკენ: ყურ-დგლის > კურ-დღლის, პორ-ტფლის > პორ-თვლის; წიფელ-ნარ — წიფ-ლნარ > წიფ-ნარ. წიფლ-ნარ ვარიანტით დამარცვლისას მარცვლის სტრუქტურა არ ირღვევა.

III. კუმშვა ახასიათებს ფუძეებს, რომელთაც რედუცირებად სეგმენტში მხოლოდ ერთი თანხმოვანი აქვთ. ძველი ქართულის რამდენიმე შემთხვევა (მკრდის, ღმრთის, ფრჯით/ფრჯევ) ცალთანხმოვიანთა ანალოგიას წარმოადგენს და, ჩვენი აზრით, სამწერლობო ენის ხელოვნური ფორმებია, რადგან მათი კვალი არ ჩანს დიალექტებში და სამწერლობო ენიდანაც სრულიად ამოვარდნენ, გარდა ფრიად გავრცელებული ღმრთის ფორმისა, რომელმაც ბოლოს ფონეტიკური ცვლილებით მიიღო ღვთის სახე, ანდა უკუმშველად იხმარება (ღმერთის, ღმერთები).

IV. ენაში პარალელურად არსებული კუმშვადი და უკუმშველი სახელური ფუძეები დასაშვებ ვარიანტებს წარმოადგენენ ქართული ენის სტრუქტურის ფარგლებში. მათი მონაცვლეობა არ ეწინააღმდეგება ენის ფონემატურ ბუნებას. ამით არის განპირობებული დიდი სიჭრელე ამ ფორმებისა როგორც ქართული ენის დიალექტების, ისე თვით სალიტერატურო ქართულის სისტემაში.

V. ქართული ენის სახელებში მოქმედი კუმშვის მექანიზმი, ჩვენი აზრით, გამორიცხავს ინტენსიური მახვილის დაშვების აუცილებლობას ისტორიულად. სახელის ფუძის კუმშვა ქართულში დამყარებულია მარცვალთა რაოდენობაზე.

დ-ონიანი პასივის მორფოლოგიური ანალიზი

1. დ'ონიანი ვნებითის მორფოლოგიკური ანალიზი ვარაუდობს რამდენიმე საკითხის გარკვევას, კერძოდ: (1) რამდენადღაც დ'ონიანი პასივი მარკირებულია, დასადგენია, რომელ ფორმას იღებს იგი ამოსავლად — კონვერსიულ აქტივს, თავის შესაბამის

მედიუმს თუ პირდაპირ სახელის ფუძიდან არის ნაწარმოები? (2) რით არის გამოწვეული ფუძეთა ფონეტიკური ვარიაციები დ'ონიან პასივში: (ა) კუმშვა/უკუმშველობა, როდესაც ფუძეში კუმშვადი სახელია წარმოდგენილი; მაგალითად, მართალ (ნათ. მართლ-ის) — გა-მართლ-და, მაგრამ მტვერ (ნათ. მტვრ-ის) — ა-მტვერ-და (მდრ. ა-მტვრ-ევ-ს); (ბ) კვეცა/უკვეცლობა, როდესაც ფუძეში კვეცადი სახელია წარმოდგენილი; მაგალითად: მტკიცე (ნათ. მტკიც-ის) — და-მტკიც-დ-ა, მაგრამ მხნე (ნათ. მხნ-ის) — გა-მხნე-ვ-და (მდრ. ძვ. ქართ. მენე — მენდა)? (3) რა მიმართებაა პასივის -ენ ~ -ნ~ -დ სუფიქსებს შორის დიაქრონიულად?

რამდენადაც აქტივსა და პასივს შორის არის კონვერსიის დამოკიდებულება, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმის გარკვევას, როგორია სხვაობა აქტივის ფორმებს შორის წარმოების მიხედვით და რა მნიშვნელობა აქვს წარმოების ტიპს კონვერსიულ წყვილებში აქტივ-პასივთა განაწილებისათვის.

მართალია, აქტივები წარმოების მიხედვით პირველადი და მეორეული ხასიათისაა: წერს, ერთი მხრით, და უწერს, აწერს, აწერ-ი-ნ-ებს, მეორე მხრით, მაგრამ ჩვენი მიზნებისათვის უმჯობესია აქტივები დავეთვოთ მხოლოდ ორ ჯგუფად დ'ონიან პასივზე ორიენტაციით: I ჯგუფში გავაერთიანოთ აქტივები, რომელთაც კონვერსიულ პასივად არ შეიძლება ჰქონდეს დ'ონიანი ვნებითი, ვუწოდოთ მათ პირველი ჯგუფის აქტივები, II ჯგუფში გავაერთიანოთ აქტივები, რომელთაც კონვერსიულ პასივად დ'ონიანი ვნებითი აქვს, ვუწოდოთ მათ მეორე ჯგუფის აქტივები.

I ჯგუფში ზმნური წარმოშობის აქტივები გვაქვს არსებითად, II ჯგუფში კი ძირითადად თავს იყრის ნასახელარი ზმნები. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ეს კარგად არის ცნობილი. ჩვენს მსჯელობაში „ძირითადად“ და „არსებითად“ ნიშნავს იმას, რომ ასეთი დაყოფა პირობითია და მას ახლავს რიგი დაბრკოლებები. ჩვენ ამ დაბრკოლებებზე არ ვიმსჯელებთ საერთოდ. აქ წარმოდგენილ ანალიზში პასუხი გაეცემა მხოლოდ იმ დაბრკოლებებსა და ანომალიებს, რომლებიც უშუალოდ დ'ონიანი პასივის წარმოებასთან არის დაკავშირებული.

ორიოდე სიტყვა აქტივისა და პასივის კონვერსიულ მიმართებაზე. ამ მიმართებას საფუძვლიანად იხილავს ა. შანიძე²⁴⁰.

240 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 282 და შემდგ.

აქტივ-პასივთა ზოგი კონვერსიული მიმართება შეიძლება დახასიათდეს, როგორც ერთი და იმავე შინაარსის სხვადასხვა გრამატიკული ფორმით გადმოცემა — ეს არის გამოხატულების პლანის ვარიანტები სიღრმის სტრუქტურის ერთი და იმავე ელემენტებისა: კაცო წერილს წერს და კაცისგან წერილი იწერება ერთი მნიშვნელობის წინადადებებია. სიღრმის სტრუქტურაში წერს და იწერება ერთია. ამას ვარაუდობს უთუოდ ა. შანიძის შემდეგი განცხადება: „ნიშანდობლივი თვისება ვნებითისა ის არის, რომ ის ზმნით გამოხატულ მოქმედებას წარმოგვიდგენს რეალურად შემსრულებელი პირის გამოუჩინლად“²⁴¹.

„პირის გამოუჩინლად“ ნიშნავს გრამატიკულად გამოუხატავად. თორემ რეალურად ეს პირი არსებობს. რეალური ობიექტი კი წარმოდგენილია როგორც აქტივის, ისე პასივის ფორმაში, თუმცა გრამატიკულად ისინი განსხვავებულად არის წარმოდგენილი²⁴².

ასე იყო ძველ ქართულშიც. მაშასადამე, კონვერსიის განხილვისას ორიენტაციას ვიღებთ სუბიექტისა და ობიექტის მიმართებაზე როგორც ზედაპირულ, ისე სიღრმით სტრუქტურაში: კონვერსიული აქტივი და პასივი ზედაპირული სტრუქტურის ვარიანტებია სიღრმის სტრუქტურის ერთი და იმავე ელემენტისა. მორფოფონემატური ანალიზის მიზანია ვარიანტთა გარდაქმნის (აქტივი ↔ პასივი) წესების დადგენა. კონვერსიის საკითხს ქვემოთ კვლავ შევხებით.

2. I ჯგუფში შედის ყველა აქტივი, რომელიც ანებ წყვეტილი მორფემით (კონფიქსით) არ იწარმოება. აქ ერთიანდება როგორც პირველადი, ისე მეორეული წარმოების აქტივები. მათ კონვერსიულ ცალად უდგას პრეფიქსიანი ვნებითები. განვიხილოთ ეს აქტივები წარმოების ტიპების მიხედვით:

(1) პირველად უთემისნიშნო აქტივებსა და მათგან ნაწარმოებ აქტივებს კონვერსიულ ცალად შეესაბამება პრევერბიანი ვნებითი:
 წერს — იწერება ს-წერს — ეწერება
 კვეთს — იკვეთება ჰ-კვეთს — ეკვეთება და სხვ.

241 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 283.

242 იქვე.

აქ მოტანილია ისეთი აქტივები, რომელთა შორის ფორმალურ სხვაობას ირიბი ობიექტის ნიშნის ქონა/არქონა იწვევს. პირთა რაოდენობის მიხედვით აქტივთა სხვაობა კონვერსიულ პასივებში ვნებითობის ნიშნის ცვლით გამოიხატება.

აქვე გაერთიანდება ყველა ე. წ. ფუძემდრეკალი აქტივები:

გრეხს — ი-გრიხება, ჰ-გრეხს — ე-გრიხება

გლეჯს — ი-გლიჯება, ჰ-გლეჯს — ე-გლიჯება და სხვ.

სამპირიანი აქტივები შეიძლება სასხვისო ქცევის უ-პრეფიქსითაც წარმოდგეს ქართულში, მათი კონვერსიული პასივიც ე-პრეფიქსიანი იქნება: უ-წერს — ე-წერება, უ-გრეხს — ე-გრიხება და სხვ.

(2) ანალოგიური ვითარება გვაქვს თემისნიშნიან პირველად ზმნებთან. -ი: თლ-ი-ს, კრ-ი-ს, ხრ-ი-ს, ყრ-ი-ს... კონვერსიული პასივი ი-პრეფიქსიანია: ი-თლება, ი-კრება, ი-ხრება, ი-ყრება...

პირთა რაოდენობის ცვლას შესაბამისად მოსდევს კონვერსიულ პასივთა ფორმის ცვლა: ს-თლ-ი-ს — ე-თლება, ს-კრ-ი-ს — ე-კრება/უ-თლ-ი-ს — ე-თლ-ება, უ-ხრ-ი-ს — ე-ხრება...

-ავ: მალ-ავ-ს — ი-მალება, ხატ-ავ-ს — ი-ხატება... უ-მალ-ავ-ს — ე-მალება, უ-ხატ-ავ-ს — ე-ხატება...

-ებ: ბად-ებ-ს — ი-ბადება, დ-ებ-ს — ი-დება; უ-ბად-ებ-ს — ე-ბადება, უ-დ-ებ-ს — ე-დება.

-ამ: ა-ბ-ამ-ს(2 პ.) — ი-ბმება, სვ-ამ-ს — ი-სმება... არტყ-ამ-ს — ე-რტყმება, ა-ბ-ამ-ს(3პ.) — ე-ბმება...

ამ კარგად ცნობილი ფაქტებიდან და ზოგადი მსჯელობიდან, თუ გამონაკლისებს ყურადღებას არ მივაქცევთ, შეიძლება მივიღოთ არსებითი ხასიათის სამი დებულება: I. მარკირების პრინციპის მიხედვით კონვერსიულ წყვილში ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ აქტივი, ხოლო მისგან ნაწარმოებად — პასივი. ამ დებულებას რიგი საკითხი უკავშირდება. მათი დეტალური განხილვა საერთოდ საჭიროა, მაგრამ აქ აუცილებელი არ არის. აი ეს საკითხები: (ა) პასივებს, გარდა მარკირების -ი-ე-პრეფიქსებისა, განსხვავებული აქვს პირის ნიშანიც: ბადებ-ს — იბადებ-ა, უბადებ-ს — ებადებ-ა, მალავ-ს — იმალებ-ა და სხვ. ეს საკითხი ადვილად მოსაგვარებელია, რადგანაც -ა სუბიექტური მესამე პირის ნიშნად პასივთა ამ ფორმებში ჩვენს თვალწინ გაჩნდა. ძველად აქაც იგივე -ს იყო (რიგ დიალექტში დღესაც ასეა). დიაქრონიული ვითარების გათვალისწინება გვეხმარება სინქრონიული ფაქტის კვალიფიკაციაში:

კონვერსიული აქტივისა და პასივის განსხვავებას სუბიექტის საერთო ნიშნით გამოხატვა ხელს არ უშლიდა, განმასხვავებელი ნიშანი სხვა იყო. მაშასადამე, ეს ცვლილება გვარს არ უნდა უკავშირდებოდეს. ამას ისიც ადასტურებს, რომ წყვეტილში S_3 -ის ნიშანი საერთო იყო ნებისმიერი გვარის ფორმათათვის. თუ ძველსა და ახალ ვითარებას შევადარებთ სუბიექტური პირის გამოხატვის თვალსაზრისით, აღმოჩნდება, რომ ენაში ძველიდანვე არის ტენდენცია მათი ინტეგრაციისა, როგორც ჩანს გარკვეული დროიდან (მას შემდეგ, რაც პირის ნიშნები სხვა ფუნქციისგან /ფუნქციებისგან გამოთავისუფლდნენ) მოქმედებს ანალოგიის კანონი; (ბ) პასივებს ამოსავალ აქტივთან განსხვავებული თემისნიშანიც უჩნდება ზოგ შემთხვევაში: მალ-ავ-ს — იმალ-ებ-ა, არტყ-ამ-ს — ერტყ-მ-ებ-ა... ესეც ახალია. პასივთა ძველი ფორმებია ი/ემალვის, ი/ერტყმის, რომელთაც დღესაც ვხვდებით ენაში და გვარის მიხედვით განსხვავებას ხელს არ უშლიან. მაშასადამე, ეს მოვლენა ჩვენს საკითხის გარეთ დგას. ასე რომ, პასივთა მარკირება ხდება ი-/ე-პრეფიქსით.

II. ერთი ტიპის წარმოებამ შეიძლება მოგვეცეს როგორც ორპირიანი, ისე სამპირიანი აქტივი: წერს — ს-წერს, კვეთს — ჰ-კვეთს, გლეჯს — ჰ-გლეჯს... ეს ვითარება უძველესია ენაში (იხ. ქვემოთ).

ამ დებულებასთან დაკავშირებულია რიგი გვერდითი საკითხი, რომელთაც სპეციალური განხილვა სჭირდება, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მათაც მხოლოდ ზოგადად შევხებით. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ეწერება ფორმის შესვლა კონვერსიულ წყვილში სამპირიანი აქტივის ორ ფორმასთან:

სწერს

: ეწერება

უწერს

„გვერდითი“ საკითხები ასეთია: ეწერება რომ სწერს ფორმასთანაც არ იყოს დაკავშირებული, მაშინ ე-ქცევის ნიშნად უნდა მიგვეჩინა! სწერს და უწერს ქცევის მიხედვით განსხვავებული ფორმებია: უ-წერს ფორმაში სუბიექტი სხვისთვის მოქმედებს, რადგან სხვის საქმეს აკეთებს. სწერს ფორმაში კი სუბიექტი სხვის საქმეს არ აკეთებს, ამიტომ ქცევის თვალსაზრისით წერს და სწერს ერთად არიან, ხოლო უწერს და იწერს (სათ.) — ერთად.

წერს — სწერს ქცევის მიხედვით ნეიტრალურია, ისევე როგორც მათი კონვერსიული იწერება და ეწერება პა-

სივები. მაშასადამე, აქ დგება საარვისო ქცევის საკითხი საერთოდ და ქცევის საკითხი ვნებითი გვარის პრეფიქსიან ფორმებში.

მეორე მხრივ, სადაც სწერს — უწერს ტიპის წყვილები აღარა გვაქვს აქტივში (მაგ., მალავს — უმალავს), იქ უფრო ადვილად შეიძლება არამარკირებული აქტივი (მალავს) ცალკედ დარჩენის გამო (გვერდით აღარა აქვს სამპირიანი *ჰმალავს; შდრ. ჰპარავს) ქცევით კორელაციაში შევიდეს სათავისო და სასხვისო მიმართების ფორმებთან და სხვ.

III. შესამე დებულება კი მიიღებს ასეთ სახეს: ! ჩგუფის აქტივთა კონვერსიული პასივი პრეფიქსული წარმოებისაა. გამონაკლისებია ა-ვს-ებ-ს — ი-ვს-ებ-ს, ა-ნთ-ებ-ს — ი-ნთება (შდრ. ა-ნათ-ებ-ს — ნათ-დ-ებ-ა) და სხვ. ამ გამონაკლისების გამო საჭიროა, II ჩგუფისათვის წესი ისე ჩამოყალიბდეს, რომ I ჩგუფის გამონაკლისებმა ხელი არ შეგვიშალონ.

3. აქტივთა პირველ ჩგუფში ცალკე ქვეჩგუფად უნდა გამოიყოს უნიშნო ვნებითაგან ნაწარმოები აქტივები: აქრობს, აძლობს, არჩენს „ტოვებს“... ამ აქტივებს გვერდით უდგას არა ი-ნიანი ვნებითები, არამედ ის უნიშნო ვნებითები, რომელთაგანაც იწარმოებიან; მაშასადამე, გვექნება ასეთი კონვერსიული წყვილები: ქრება — ა-ქრ-ობ-ს, ჯდება — აძლობს, შრება — აშრობს, ხმება — ახმობს და სხვ. ამათ სხვა რომელიმე ფორმა არ უდგას გვერდით (მედიუმში ან სხვაგვარი წარმოების აქტივი), ამიტომ რჩება ერთადერთი დასკვნის საშუალება: ამ კონვერსიულ წყვილებში ამოსავალია არამარკირებული წევრი — პასივი, ხოლო აქტივი მისი კონვერსიული ცალია.

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან კარგადაა ცნობილი, რომ უნიშნო ვნებითები უძველესი და ამავე დროს დინამიკური ბუნების ზმნებია²⁴³. დინამიკურია პრეფიქსიანი ვნებითიც და, ბუნებრივია, უნიშნო დინამიკური პასივიდან ნაწარმოები აქტივი²⁴⁴ აღარ შემობრუნდება პრეფიქსიან პასივად.

ახლა შეიძლება კიდევ ერთხელ მოვუბრუნდეთ კონვერსიის საკითხს.

243 ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II, ვნიშის მოაზრე, ტ. V—VI, 1940 და სხვ.

244 ქ. ლომთათიძე, თბება ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში, იკე, IV, 1953.

გრამატიკული თვალსაზრისით თუ განვიხილავთ (ე. ი. ზედაპირულ სტრუქტურაში), კონვერსია გამოდის გრამატიკული სუბიექტისა და ობიექტის სუბსტიტუცია ზმნათა ფორმებში: (1) კონვერსია აქტივი >პასივი ნიშნავს $O > S$ [ის ქრის ვაშლს / O / > იჭრება ვაშლი (S)]; (2) ხოლო კონვერსია პასივი > აქტივი = $S > O$ [ცეცხლი (S) ჭრება > ცეცხლს (O) აქრობს].

მნიშვნელობის დონეზე სიღრმის სტრუქტურაში კონვერსიები აქტივი \leftrightarrow პასივი განსხვავებულია: (1) კონვერსია აქტივი > პასივის დროს აქტივი და პასივი ზედაპირული სტრუქტურის ვარიანტებია სიღრმის სტრუქტურის ერთი და იმავე ელემენტისა („კაცი ქრის ვაშლს“ = „კაცის მიერ იჭრება ვაშლი“) (2) ასეთივე მიმართება არა გვაქვს კონვერსია პასივი > აქტივის დროს („ცეცხლი ჭრება“ არ უდრის „ცეცხლს აქრობს“. საქმე გვაქვს პირის მატებასთან, ამიტომ კონვერსიის განსაზღვრა სჭობს სუბიექტისა და ობიექტის გრამატიკული სუბსტიტუციის ზედაპირული სტრუქტურის ფაქტიდან ამოსვლით.

პასივი > აქტივი კონვერსიის მსგავსია კონვერსია მედიუმში > აქტივი — მედიუმში ამოსავალია აქტივისთვის: მედიუმში არამარკირებულია, აქტივი — მარკირებული. წევს — აწვენს, დგას — ადგენს, დის — ადენს... ცახცახებს — აცახცახებს, ხარხარებს — ახარხარებს და სხვ. (შდრ. ძვ. ქართ. ცბ-ის — აცბუნებს, ძრწ-ის — აძრწუნებს/აძრწოლებს...). მედიუმში არამარკირებული ფორმაა ზმნისა და სტატიკურობით უპირისპირდება აქტივებსა და პასივებს²⁴⁵ და, როცა კონვერსიაში შედის თავისგან ნაწარმოებ აქტივთან, სტატიკურობას გადატანა არ შეუძლია, პირდაპირ ობიექტთან ერთად გრამატიკულ ფორმაში დინამიკაც შემოდის, ოღონდ აქტივს (დინამიკურ ზმნას) არ შეუძლია მოქცევა სტატიკურად. არის შემთხვევები, როცა ენაში ერთი ძირისაგან არის ნაწარმოები მედიუმშიცა და უნიშნო ვნებითიც: დგა-ას — დგება-ა, წევს — წვება-ა. აქტივი, როგორც ჩანს, იწარმოება მედიუმიდან, რადგან აქტივში არის მორფემები, რომელთაც იყენებს ენა მედიუმიდან (რომელთაც უნიშნო ვნებითის ფორმები არ უდგას გვერდით) აქტივის წარმოებისას (მაგალითად: დის — ადენს,

²⁴⁵ არნ. ჩიქობავა, ერატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948, გვ. 108:

ვალ-ს — ა-ვლ-ენ-ს) და არ იყენებს ვნებიითიდან (რომელთაც მე-
ლიუმი არ უდგას გვერდით) აქტივების წარმოებისას, მაგალითად:
შრება — ა-შრ-ობ-ს, ხმება — ა-ხმ-ობ-ს და სხვ.

ამ გზით ვიღებთ სამეულს: წევს — აწვენს — წვება.
რამდენად შეიძლება აწვენს აქტივი ჩაითვალოს წვება
პასივის კონვერსიულ ცალად?

აწვენს და წვება ვერ ჩაითვლება კონვერსიულ ცა-
ლებად, რადგან აწვენს ფორმაში არ არის ის მნიშ-
ვნელობა, რომელიც წვება ფორმაში ივარაუდება. ეს კარ-
გად ჩანს დგას — ადგენს — დგინდება და დგება
ფორმათა მიმართებაში: ადგენს და დგინდება უთუოდ
კონვერსიული ფორმებია, რადგან დგას სტატიკური ზმნის
სპეციფიკა დინამიკურმა აქტივმა და პასივმა შინაარსობრივად გა-
მოხატეს: ადგენს „დგას“ მდგომარეობას აძლევს“ დგინდე-
ბა „დგას“ მდგომარეობა ეძლევა“, დგება კი მათთან კავშირ-
ში არ არის.

რუსულად თარგმნისას კარგად ჩანს ამ ფორმათა შინაარსობ-
რივი განსხვავება: დგას „стоит“, ადგენს „устанавливает“, დგინდე-
ბა — „устанавливается“, ხოლო დგება „встает“.

ჭერჭერობით მსჯელობა შევწყვიტოთ ამ ადგილზე, რადგან
უკვე მივაღწიეთ დ-ონიან პასივებს. ჩვენს მსჯელობაში ამჟამად
შემოდის მხოლოდ ისეთი აქტივები, რომელთაც დ-ონიანი ვნებითი
არ ეწარმოება, როგორცაა აწვენს.

4. II ჯგუფის (ა — ებ სუფიქსით ნაწარმოები) აქტივების
კონვერსიულ პასივებზე დაყრდნობით შეიძლება მივიღოთ ასეთი
დებულება: ყველა დ-ონიანი ვნებითი იწარმოება ა — ებ კონ-
ფიქსით ნაწარმოები აქტივისაგან. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს
იმას, რომ ყველა ა — ებ კონფიქსით ნაწარმოებ აქტივს კონვერ-
სიულ პასივად დ-ონიანი ვნებითი უზის. ამ გზით ავცდით ზემოთ
ჩამოთვლილ გამონაკლისებს აქტივთა I ჯგუფიდან (თუმცა ისტო-
რიულად გამონაკლისებს, ალბათ, მოეძებნებათ ახსნა; მათი რი-
ცხვი მცირეა) და, მაშასადამე, უხერხულობას შეგვიქმნის მხოლოდ
ისეთი დ-ონიანი ვნებითები, რომელთა კონვერსიული აქტივები
არ იწარმოება ა — ებ კონფიქსით. მათი ანალიზი კი აუცილებე-
ლია.

პირველ დიდ ჯგუფს ა — ებ კონფიქსით ნაწარმოები აქტივები-
სა, რომელთაც კონვერსიული ვნებითი -დ სუფიქსით ეწარმოებათ,

ქმნის ნასახელარი ზმნები: კაც-ი — ა-კაც-ებ-ს — კონვ. ვნ. კაც-ღ-ებ-ა, მცირე — ამცირებს — მცირდება... აქ, რა თქმა უნდა, დგება კითხვა. რა მიმართებაშია ერთიმეორესთან ნასახელარი აქტივები და პასივები (ამცირებს და მცირდება)? ისინი სახელიდან დამოუკიდებლად იწარმოებიან, თუ ერთი წარმოადგენს მეორის კონვერსიულ ფორმას?

განვიხილოთ რამდენიმე საკითხი, რომელთა გარკვევას, ჩვენი აზრით, მნიშვნელობა აქვს დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისთვის.

საყურადღებოა ა—ებ კონფიქსით ნაწარმოებ ნასახელარ აქტივთა და მათი კონვერსიული ვნებითების ორნაირი სემანტიკური მნიშვნელობა: (1) ასახლებს „სახლად აქცევს“ და (2) ასახლებს „საცხოვრებლად აწყობს“. ეს სემანტიკური სხვაობა იგრძნობა შესაბამის დ-ონიან ვნებითშიც: (1) სახლდება „სახლი ხდება“ და (2) სახლდება „საცხოვრებლად ეწყობა“.

თუ შევადარებთ პირველი (1) და მეორე (2) ტიპის მნიშვნელობებს, პირველი მიუთითებს გარდაქცევაზე და კარგად ჩანს ზმნის სახელიდან წარმომავლობა, მეორეში კი მოქმედება ხდება გარდაქცევის გარეშე, პირველადი ზმნების ყაიდაზე და სემანტიკურად არანასახელარ ზმნათა რიგში დგება.

მეორე მნიშვნელობის ზმნათა ფორმებში ამოსავალი სახელური მნიშვნელობა შესაძლებელია სრულიად მიიჩქმლოს, მაგალითად, აღ-ა-შენ-ებს (ძვ. ქართ. აღამშენებს; შდრ. ს.შ. სპარს. *šēn* და ავესტ. *šayana* „საცხოვრებელი“ — მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები..., გვ. 29) ზმნაში სახელური მნიშვნელობა შენ (Vშნ) უკვე ძველ ქართულშია მინელებული.

ნასახელარ ზმნათა მეორე სემანტიკურ ჩჯღუფში, როგორც ჩანს, ზმნები სამპირიანი იყო, მათ ირიბი ობიექტიც ჰქონდათ. ეს არის აღაშენებს ტიპის ზმნები. მათი სამპირიანობა იქიდანაც ჩანს, რომ კონვერსიული პასივი ენიანი აქვთ²⁴⁶: აღაშენებს — აღეშენა. გვიან აღეშენა შეცვალა აღშენდა/აშენდა ფორმამ. მაგრამ ეს ფორმა უფრო ადრეც უნდა ყოფილიყო ენაში 2-პირიანი აღაშენებს ფორმის კონვერსიულ პასივად²⁴⁷. ასეთი დაშვე-

²⁴⁶ ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, ნაწ. II, გვ. 331.

²⁴⁷ ივ. იმნაიშვილი, ვნებითი გვარის ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, II, 1968.

ბა ლოგიკური ჩანს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ენაში იყო საზიარო წარმოების ორპირიანი და სამპირიანი პირველადი აქტივები, რომლებიც მხოლოდ ირიბი ობიექტის ქონა-არქონით განსხვავდებიან ერთიმეორისგან.

ა. შანიძე იძლევა ასეთ პირველად ზმნათა გრძელ სიას: გან-ვა-და — გან-პ-ვადა, გან-კუეთა — გან-პ-კუეთა და სხვა მრავალი²⁴⁸. ჩანს, სახელთაგანაც ზმნების წარმოება ამ ყალიბით ხდებოდა — საზიარო ფორმით იწარმოებოდა ორპირიანი და სამპირიანი ნასახელარი ზმნები: პ-ა-მოწაფ-ებ-ს — კონვ. ვნებ. და-ემოწაფა და ა-მოწაფ-ებ-ს — კონვ. ვნებ. განმოწაფ-ნ-ა. მართლაც, ძველ ძეგლებში დასტურდება ამისი კვალი: „რ-ა პირითა ორისა ანუ სამისა მოწამისაჲთა დაემტკიცოს ყოველი სიტყუაჲ“ მ. 18,16 და „დამტკიცნეს მეუფებაჲ მისი“ ლ. 11, 18. ძველ ქართულში ვნებითა აღნიშნულ ფორმებს გრამატიკული შინაარსი ერთი აქვთ, მაგრამ წარმომავლობით ისინი უთუოდ სხვადასხვა აქტივთა კონვერსიული ცალებია, კერძოდ:

და-პ-ა-მტკიც-ებ-ს (3 პირიანი, ნაწარმოებია სახელიდან მტკიცე) — დაემტკიცების (2 პ).
და და-ა-მტკიც-ებ-ს (2 პირიანი, ნაწარმოები სახელიდან მტკიცე) — დამტკიცების (1 პირიანი).

ნასახელარ აქტივებს არსებითად შემორჩა მხოლოდ ორი პირის გაგება და კონვერსიულ მიმართებაში პასივის ფორმათა აღრევა ამის შედეგია. განა ასევე არ მოხდა პირველად „დაჰადა ტიპის ზმნებთან?“ დაჰადა — დაეზადა ძვ. ქართულის წყვილებია, დაზადა — დაიზადა კი — ახალი ქართულისა, იუშუა ეს წყვილები გრამატიკული შინაარსით ერთიმეორისაგან არ განსხვავდებიან.

ზოგ ნასახელარ ზმნას კიდევ შემორჩა სამპირიანის გაგება: ამოწაფებს „მას მოწაფედ უხდის“, ავაქრებს „აყიდვინებს რამეს“, აკლებს [(შდრ. ოს Koyl) koyr „ნაკლი“ — მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები..., გვ. 69], ასევე სამპირიანი იქნებოდა აზამთრებს; „ზამთარს გააყვანინებს“ (მაგ., აზამთრებს საქონელს) 3-პირიან ნასახელარ ზმნათაგან ვნებითები ორნაირად იწარმოება: ე-პრეფიქსითა და -ენ- -ნ/-დ სუფიქსებითა.

248 ა. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957, გვ. 178.

ამოწაფებს — დაემოწაფების, აღაშენებს — აღეშენების, ამ-
ტკიცებს — დაემტკიცების და სხვ.

მეორე მხრივ: გან-ხ-უ-მტკიც-ნ-ებ-ი-ს, გან-ხ-უ-მტკიც-დ-ებ-
ი-ს, გან-ხ-უ-თხ-ნ-ი-ს, გა-უ-თხელ-დ-ა... უ- პრეფიქსიანი წარმოე-
ბა... ორპირიანი პასივებისა უფრო გვიანდელია, ვიდრე ე- პრეფიქ-
სიანი, რადგანაც ჯერ ერთი, ე- პრეფიქსიანი წარმოება ახასიათებს
პირველად ზმნათაგან ნაწარმოებ პასივებს და საზიაროა ნასახელა-
რი ა — ებ კონფიქსიან აქტივთაგან ნაწარმოებ პასივებთან, პირიქით
კი არ ხდება: მეორეც, პასივთა უ- პრეფიქსიანი წარმოებისას
გამოყენებულია აქტივთა მოდელი: წერს — უწერს, გრებს —
უგრებს და სხვ.

ასევეა პასივებიც: შავდება — უშავდება, თხელდება — უთხელ-
დება, ქრება — უქრება, ძლება — უძლება და სხვ.

-ენ~ -ნ სუფიქსიან ვნებითთა ორპირიანი ფორმების უ- პრე-
ფიქსით წარმოებისას მეორე სერიის ფორმები სრულად დაემთხ-
ვეოდა აქტივის ფორმებს, რამაც, შესაძლებელია, სერიოზული
როლი ითამაშა -დ ალომორფის გაბატონებაში, რომელიმე გან-
უ-ფიცხ-ნ-ა შეიძლება გავიგოთ როგორც სამპირიანი აქტივი — გა-
ნ-უ-ფიცხ-ნ-ა (მან მათ გულნი), ან როგორც ორპირიანი პასი-
ვი — განუფიცხნა (მათ გული); შდრ. განფიცხნა (გული).

სავარაუდებელია, რომ ორპირიან სუფიქსიან ვნებითათვის
უძველესია შექრისხნა ტიპის წარმოება²⁴⁹, რომელიც შემ-
დეგ შეცვალა შეერისხა, განურისხნა ტიპის წარმოებებმა.
ამ თვალსაზრისით უნდა შევეხოთ მეორეულ აქტივებს, რომელ-
ნიც სამ პირს გულობენ და კონვერსიულ ცალად აქვთ -დ სუფიქსით
ნაწარმოები ორპირიანი პასივი. ძველ ქართულში გვაქვს ასეთი
ორპირიანი ფორმები: ჰყუარობს, სძულობს, ჰშუ-
რობს... მაგალითად: „ჰყუარობდით მტერთა თქუენთა“ მთ. 5,44;
„მძორთა მათთა სძულობდეთ, ი, ლევიტ. 11, 11; „გძულობს თქუენ
სოფელი“ ი. 3,3; „არა ეშურობდეთ ერთი-ერთასა“ მ. სწ. 26მ,21
და სხვ. ამათგან ა — ებ კონფიქსით მიიღება მეორეული აქტივები:
ჰყუარობს — ჰაყუარებს, სძულობს — ჰაძულ-
ეზს, ჰშურობს — ჰაშურებს... „გაშურებს თქუენ
ღმრთისა შურსა“ ფს. 77,58²⁵⁰.

²⁴⁹ ასეთი ფორმების არსებობაზე მიუთითებს ივ. იმნაიშვილი ზემოთ
დასახ. ნაშრომში.

²⁵⁰ ილ. აბულაძე, ძვ. ქართული ენის ლექსიკონი, 1973.

ეს სამპირიანი აქტივები შუალობითი კონტაქტის ფორმებია, რადგან გრამატიკული სუბიექტი ყველგან ორგანიზატორია, ხოლო გრამატიკული ირიბი ობიექტი — ყველგან ეგზეკუტორი.

თუ ჰყუარობს, სძულობს... ფორმებს აქტივებად ჩავთვლით ძველ ქართულში, ისე როგორც დღეს, მაშინ სრული ჰარალელიზმი გვექნება კაუზატივის სხვა ფორმებთან, რომლებიც აქტივებიდან იწარმოება სპეციალური მაწარმოებლებით (კლავს — აკვლევიანებს, წერს — აწერინებს...). აყვარებს 'ტიპის' შუალობითი კონტაქტის ფორმებს კონვერსიული პასივი დ-ონით ეწარმოება, ოლონდ სალიტ. ქართულში მათ კაუზატივის გაგება დასარგეს. აი ეს ფორმები: ჰყვარდება, სძულდება... ჰყვარდება „თვითონ აყვარებს თავს“ (შლრ. ეკვლევინებ, „თვითონ აკვლევიანებს თავს“).

ხალხურ ლექსში მთვარისა და მზის პაექრობის შესახებ არის ასეთი ადგილი: „...მე და ვარ და ის ძმა არის, რად ვსძულდებით ერთმანეთსა“ — აქ სუბიექტი მოქმედების გამომწვევიცაა და ობიექტიც: „მნათობმა მთვარემა ბრძანა: „მე ვჯობივარ ბევრიო მზე-სა“. მთვარის ნათქვამს უნდა გამოეწვია სიძულვილი და მზე ამბობს: „ასეთი თქმით რატომ ვაძულდებთ ერთიმეორეს თავსო — „რად ვსძულდებით ერთმანეთსა“.

აი ერთი ფშაური ლექსი, სადაც ნათლად ჩანს დ-ონიანი ენებრიტის ფორმის კაუზატიური შინაარსი:

„კარგს ყმას შეჰყვარდი, ქალაო,
ნუ სახლსა ცხვარბევრისასა!“ —

„შეჰყვარდი აქ ნიშნავს ამას: შეაყვარე თავი — სუბიექტი აქ ორგანიზატორიც არის მოქმედებისა და სამოქმედოც ირიბისთვის.

კაუზატივის გაგება რომ ა — ებ კონფიქსიან ფორმასაც შეიძლება ჰქონდა, ეს ა. შანიძესაც შეუმჩნევია: ძვ. ქართულის ჰატყუებს ფორმის შესახებ იგი წერს: „...„ჰატყუებს“ მეტი, ვიდრე „ჰასმენს“, რადგანაც პირველის ირიბი ობიექტი შემსრულებელი ობიექტია და ზმნა შუალობით კონტაქტიანი ზმნების რიგებში დგას“⁵²¹. ა — ებ კონფიქსიან ფორმათა ასეთ გაგებაზე მიუთითებს არნ. ჩიქობავა⁵²².

521 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 229ქ.

522 არნ. ჩიქობავა, ქართული ენის დახასიათება, ქეგლი, 1, გვ. 059.

მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წარმოშობით შუა-ლობითი კონტაქტის ფორმა (ჰ)ში ედება, რომელიც იწარმოებოდა აგრეთვე შუალობითი კონტაქტის აში ეებს აქტივიდან.

აქ ერთ მომენტს უნდა მიექცეს უთუოდ ყურადღება: ჰყე არობს, სძულობს, (ჰ)შურობს ტიპის აქტივებს არა აქვთ კონვერსიულა პასივი საერთოდ, მათ სამპირიანად გარდაქცევის შემდეგლა უჩნდება შესაბამისი დ-ონიანი ვნებითი. არსებითია ის, რომ დ-ონიანი ვნებითი ამოსავლად იღებს აქტივის ფორმას, რომელსაც ა — ებ კონფიქსი აწარმოებს (აყვარებს — ჰყვარდება).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიალურ ზმნათა მიმართება აქტივებთან. მედიალური ზმნები სტატიკური ბუნებისაა²⁵³. ისინიც, როგორც უნიშნო ვნებითები, ამოსავალი ზღებიან აქტივთათვის: დგას — ადგენს, წუხს — აწუხებს, ჩანს — აჩენს, ცბის — აცბუნებს, ძრწის — ძრწუნებს... აქტივის წარმოება ხდება ა — ენ, ა — ებ, ა — ოლ, ა — უნ კონფიქსებით, რიგ შემთხვევაში ეს ძალიან ნათელია, მაგალითად: ა-დგ-ენ-ს („ნუცა აღადგენთ მათ ზედა ბრძოლასა“ ა, II შჯ. 2,9 — იხ. ძქელი). ოლონდ ძველ ქართულში უკვე გაბატონებულია ა — ებ წარმოება და აღადგენთ ფორმა შეცვლილია აღადგინებთ ფორმით. ეს ყალიბი საერთოა. ამ ა — ებ კონფიქსით ნაწარმოები აქტივებიდან იწარმოება დ-ონიანი ვნებითი (მესამეული ფორმებია).

ძველი ქართული: დგას — ადგენს — დგინდების, დის — ადინებს — სდინდების...

ახალი ქართული: დგას — ადგენს — დგინდება, დის — ადენს — სდინდება...

უნიშნო ვნებითები, როგორც ვნახეთ, შეიძლება უცალოდ იყოს წარმოდგენილი: დგება, წვება... არა გვაქვს ადგობს, აწ(ვ)-რბს... ამიტომაც ასეთი ფორმები კონვერსიულ წყვილებში არა გვხვდება, ცალკე დარჩნენ.

დ-ონიანი ვნებითის ფორმა ისევე, როგორც მეორეული ინიანი ვნებითი, შინაარსით აქტივს უდრის: „კაცი აღგენს საკითხს“ — ამასვე ნიშნავს „საკითხი დგინდება კაცის მიერ“. გვაქვს კონვერსია აღგენს — დგინდება.

ზოგი სირთულე აქაც არის, კერძოდ, ძვ. ქართულის დაშლუნეს „დარჩნენ“ თითქოს შდების უნიშნო ვნებითთან არის დაკავშირებული, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ზემოთ წარ-

253 ა. რ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა..., გვ. 108.

მოდგენილ ვითარებას, უნდა დავეუშვათ მედიალური შდ-ი-ს (შთ-ი-ს) ფორმა, მაშინ: შდ-ი-ს — ა-შდ-უნ-ებს — და-შდ-უნ-ნ-ებს-ი-ს. შდ ე ბ ი ს ფორმას უნდა მოეცა ა შ დ ო ბ ს აქტივი, რომელიც გვაქვს კიდევ, ოღონდ მნიშვნელობა ცვლილი („ახრჩობს“). ასე რომ, ა — ებ კონფიქსიან აქტივებს კონვერსიულ პასივად აქაც დ-ონიანი ვნებითი აღმოაჩნდა. ამ მიმართებაში მეორე არსებითი ხასიათის ჩვენება ის არის, რომ დ-ონიანი ვნებითი უშუალოდ მედიუმს კი არ უკავშირდება, არამედ აქტივს.

5. შეიძლება ერთგვარად დავაჯამოთ აქტივ-პასივთა მიმართებანი:

5.1. პირველად აქტივებს საშუალო გვარის ფორმები არა აქვთ და ვნებითის ფორმები მათგან იწარმოება პრეფიქსით: თლ-ი-ს, ქრ-ი-ს, ა-ბ-ამ-ს... (იხ. ზემოთ).

5.2. მედიუმს გვერდით მისგან ნაწარმოები ა — ებ კონფიქსიანი აქტივი აქვს, რომელიც თავის მხრივ ამოსავალი ხდება დ-ონიანი ვნებითებისათვის:

(ა) ცურ-ავ-ს — ა-ცურ-ებს-ს — ცურ-დ-ებს-ა...

(ბ) დგა-ს — ა-დგ-ენ-ს — დგინ-დ-ებს-ა...

(გ) ცბ-ი-ს — ა-ცბ-უნ-ებს-ს — ცბუნ-დ-ებს-ა...

(დ) ძრწ-ი-ს — ა-ძრწ-ოლ-ებს-ს — ძრწოლ-დ-ებს-ა

(ე) ხურ-ს — ა-ხურ-ებს-ს — ხურ-დებს-ა...

მედიუმის, აქტივისა და პასივის ზემოთ წარმოდგენილი კონვერსიული მიმართებები შეიძლება გავიაზროთ ნასახელარი ზმნების ფონზე:

(1) აფთრ-ობ-ს ის (მედიუმი)

(2) ა-ა-ფთრ-ებს-ს ის მას (აქტივი)

(3) აფთრ-დ-ებს-ა ის (პასივი)

ა ფ თ რ ო ბ ს და ა ა ფ თ რ ე ბ ს კონვერსიის დამოკიდებულებაშია, მარკირებულია აქტივი. როდესაც სახელიდან აქტივი იწარმოება, ეს ყოველთვის მედიუმზე დაყრდნობით ხდება, მიუხედავად იმისა — მედიუმს გავიაზრებთ თუ არა. არსებობს ზოგად-და მოდელი, რომელიც ავტომატურად იძლევა აქტივს მედიუმის ინტუიტიური გათვალისწინებით. ა ფ თ რ ო ბ ს და ა ა ფ თ რ ე ბ ს სილრმის სტრუქტურაში არ უდრის ერთიმეორეს, რადგანაც „ა ა ფ თ რ ე ბ ს“ ერთი პირით მეტია „აფთრობს“ მნიშვნელობაზე.

რაც შეეხება „აფთრებს“ და „აფთრდება“ მნიშვნელობებს, სიღრმის სტრუქტურაში ისინი ერთიმეორეს უდრიან („აფთრებს ის მას“-„აფთრდება ის მისგან“). კონვერსია ა ა ფ თ რ ე ბ ს და ა ფ თ რ დ ე ბ ა ფორმებს შორის გვაქვს, კერძოდ, ადგილი აქვს $S > O$ მიმართებას.

რაც შეეხება მედიუმისა და პასივის მიმართებას ამ წარმოებით ჯაჭვში, მათ შორის უშუალო კავშირი არ არის. ა ფ თ რ ბ ს და ა ფ თ რ დ ე ბ ა ფორმების სუბიექტი ზედაპირის სტრუქტურაში ერთია (რაც კონვერსიის დროს არ ხდება), ხოლო სიღრმის სტრუქტურაში შინაარსი მათ განსხვავებული აქვთ: „აფთრობს“ ერთპირიანია, „აფთრდება“ კი — ორპირიანი, „აფთრდება“-ს ასეთი გაგება უაღიარებელია აქტივთან კავშირის გამო. ეს შინაარსი აქტივისაა. მხოლოდ გამოხატვის ფორმაა შეცვლილი კონვერსიის გზით. ასეთ ვარაუდს განსაკუთრებით განამტკიცებს ძრწ-ი-ს — ა-ძრწ-ოლ-ებ-ს — ძრწ-ოლ-დ-ებ-ა ტიპის კონვერსიული ჯაჭვი, სადაც მედიუმი $>$ აქტივი $>$ პასივი და დაუშვებელია მედიუმი $>$ პასივი.

ასეთი ვითარება a priori გვაპარაუდებინებს, რომ ფონემატური ცვლილებით პასივი ამოსავალ კონვერსიულ აქტივთან იქნება დაკავშირებული. მართლაც, დ-ონიანი პასივის ფუძეში წარმოდგენილი ყველა ფონემატური ცვლილება უკვე აქტივშია განხორციელებული:

- (ა) ა-მართლ-ებ-ს — გა-მართლ-დ-ებ-ა, ა-წყალ-ებ-ს — გა-წყალ-დ-ებ-ა (შდრ. წყლ-ის)...
- (ბ) ა-მცირ-ებ-ს — შე-მ-ცირ-დ-ებ-ა (შდრ. მცირე)...
- (გ) ა-ხე-ვ-ებ-ს — გა-ხე-ვ-დ-ებ-ა (შდრ. ხე)...

ზედაპირის სტრუქტურის თვალსაზრისით დღეს არსებითია ის, რომ აქტივის ფუძე დ-ონიან პასივში ფორმდება -დ სუფიქსით: ა-თეთრ-ებ-ს — თეთრ-დ-ებ-ა. წინააღმდეგ შემთხვევაში აუხსნელი დარჩება კუმშვა კაპიტან მორფემისა დღევანდელ პასივში (კაპიტნ-დ-ებ-ა) ქართული ენის ფონემატური თვისებიდან ამოსვლით. აქტივში კუმშვის ფონემატური პირობა არის (-ებ სუფიქსი: ა-კაპიტნ-ებ-ს) და ხდება კიდევ. პასივი კი ამ შეკუმშულ ფუძეს იყენებს და განავრცობს მხოლოდ -დ სუფიქსით (კაპიტნ-ებ-ა).

ასეთივე ვითარება უნდა დავუშვათ თუ არა ძე. ქართულისთვის, სადაც ვნებითის ნიშნად {-ენ{ სუფიქსია?

უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვრიცხოთ აუცილებლობა -დ <-ედ პროცედურისა ვნებითის ფორმებში ფუძე-მორფემის კუმშვის გამო²⁵⁴, რადგან, როგორც ვნახეთ, ვნებითი იმეორებს აქტივის ფუძე-მორფემას. არსებითად გვეჩვენება ის ფაქტიც, რომ არ არსებობს -დ-ს სავარაუდო -ედ პირველადი ფორმა იქ, სადაც -ენ გვაქვს ენაში, ე. ი. რომ არა გვაქვს გან-ვ-მართლ-ედ, გან-ხ-მართლ-ედ ფორმები, მსგავსად გან-ვ-პოხ-ენ, გან-ჰ-პოხ-ენ ფორმებისა წყვეტილის I და II პირში.

ამ თვალსაზრისით უთუოდ პრინციპული მნიშვნელობისაა ა. შანიძის მიერ შექმნილი კანონზომიერება: -ენ და -ნ ალონორფემები განსხვავებულ პოზიციაშია წარმოდგენილი და -დ სუფიქსი დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაშია -ნ-სთან²⁵⁵.

-ენ და -ნ ვარიანტების დისტრიბუცია მკაცრ წესს ემორჩილება. მასვე ვერ ვიტყვი -ნ-ს და -დ-ს შესახებ, მაგრამ, ეს ა. შანიძის დებულებებს ვერ დაარღვევს, რადგან გარდამავალ პერიოდში, როდესაც იწყება უნიფიკაცია, ასეთი რამ მოსალოდნელია. ა. შანიძის დებულებათა საწინააღმდეგოდ არც ის გამოდგება, რომ ობიექტის სიმრავლის -ნ დისიმილაციას არ განიცდის ვნებითის -ნ სუფიქსის სადისიმილაციო პოზიციაში, რადგან მორფოფონემატური პროცესები გარკვეულ გრამატიკულ ფუნქციებს უკავშირდება და მათ განსხვავებული სტატუსი აქვთ [შდრ., მაგალითად, და-შლ-ა (<და-შალ-ა) და და-შალ-ა]. საწყისში ძირეული ა რედუცირდება, წყვეტილში კი არა — ეს მაშინ, როცა ძირეული ა ხმოვნის პოზიცია ორსავე ფორმაში იდენტურია.

დაეუბრუნდეთ ვნებითის -ენ სუფიქსს. რა თქმა უნდა, -ენ სუფიქსს შეეძლო ფუძე-მორფემის შეკუმშვა: *გან-ვ-მართლ-ენ, *გან-მართლ-ნ-ა და ნ>დ პროცესი ხდება უკვე რედუცირებულ ფუძეში: განმართლნა>განმართლდა. -დ განზოგადდა I და II პირებშიც (გან-ვ-მართლ-დ-ი, გან-ხ-მართლ-დ-ი), ბოლო ი- სუფიქსი აუცილებელია მხოლოდობითშიც -დ-ს ფონემატური შეუთავსებლობის გამო ფუძე-მორფემათა თანხმოვნებთან, -ნ ~ -დ ხმოვანთა მომდევნოდ არა გვაქვს.

ყურადღებას იქცევს ზოგი ძირეული მორფემის განსხვავებული ქცევა კუმშვის მიხედვით ზმნათა ფორმებში, მაგალითად, ძალ

254 შდრ. გ. მაკავარიანი, ვნებითის სუფიქსური ტიპის გენზისის საკითხი ქართულურ ენებში, „მატე“, 1973, № 1, გვ. 107.

255 ა. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, გვ. 35.

ზორფემა ძლ-ევ-ს ფორმაში შეკუმშულია, ა-ძალ-ებ-ს ფორმაში კი — შეუკუმშველი.

ერთმარცვლიანი სახელური ფუძეები უკუმშველია ისტორიულად (იხ. ზემოთ); ამისი დადასტურება უნდა იყოს სახელური წარმოშობის ერთმარცვლიანი ფუძეების უკუმშველობა ნასახელარ აქტიურ ზმნებში (ა-ძალ-ებ-ს, ა-მტვერ-ებ-ს...) და ეს უკუმშველი ფუძე აქტივიდან გადმოვიდა სუფიქსიან პასივშიც. რაც შეეხება ძლ-ევ-ს ტიპის ფორმებს (ა-მტრ-ევ-ს, ა-წყლ-ევ-ს...), ეს ზმნები არ არის ნასახელარი. აქ საქმე გვაქვს იმ გაუდიფერენცირებელ ძირთან, რომელიც ამოსავალი იყო როგორც სახელთათვის, ისე ზმნათათვის²⁵⁶, ასეთი ძირეული მორფემა სახელსა და ზმნაში სხვადასხვა კანონზომიერებებს ემორჩილება. ძლ-ევ-ს ტიპის ზმნები უძველესი პირველადი ზმნებია, მიღებული გაუდიფერენცირებელ ძირზე ზმნის მაწარმოებლების დართვით.

არის რამდენიმე ზმნა, რომელთაც დონიან ვნებითებად მიიჩნევენ, მაგრამ მათი შესაბამისი კონვერსიული აქტივები არ იწარმოება ა — ებ კონფიქსით. ეს, რა თქმა უნდა, ახსნას მოითხოვს ჩვენი წესის ფარგლებში („ყველა დონიანი ვნებითი ა — ებ კონფიქსით ნაწარმოები აქტივიდან მოდის“). ეს ზმნებია, ერთი მხრით, ტყდება (აქტივი ტეხს) და სქდება (აქტივი ხეთქს), მეორე მხრით, ძვ. ქართულის დაჰქსნდა, ჩნდება და სხვ.

ტყდება და სქდება დონიან ვნებითებზე შემდგომი მსჯელობიდან უნდა ამოვიღოთ, რადგანაც ესენი არ არიან დონიანი ვნებითები და, მაშასადამე, ვერც არღვევენ დებულებას.

ჩვენი ვარაუდი ემყარება იმას, რომ ტყდება და სქდება ფორმებში ფუძისეული -დ არ იქცევა ისე, როგორც დონიან ვნებითთა -დ სუფიქსი: (1) ერთპირიან დონიან ვნებითებს -დ სუფიქსი არ გადასდევს მიმღობაში (შავდება — გაშავებული, ბერდება — დაბერებული...), ტყდება, სქდება ფორმათა მიმღობაში კი დარ იკარგება: გამტყდარი, გამსქდარი; (2) ორპირიან დონიან ვნებითებს -დ სუფიქსი მესამე სერიაში არ გადაჰყვება (უშავდება — გაშავებია, გაშავებოდა, უბერდება —

²⁵⁶ გაუდიფერენცირებელი ძირეული მორფემისა და მისგან ნაწარმოებ ზმნათა და სახელთა ურთიერთმიმართებისთვის იხ. არნ. ჩიქობაია, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, §§ 47, 48; ანალოგიური ვითარებისათვის ინდო-ევროპულ ენებში იხ. Э. Бенвенист. Индоевропейское именное словообразование (რუს. თარგმ., 1955), გვ. 205 და შემდეგ.

დაპბერებია, დაპბერებოდა...), უტყდება, უსქდება ფორმებს კა გადასდევს მესამე სერიაშიც: გასტყდომია, გასტყდომოდა; გასქდომია. გასქდომოდა. (3) დინიან ვნებითებს დ სუფიქსი არა აქვთ საწყისში (შავდება—გაშავება, ბერდება—დაბერება...); ტყდება, სქდება ფორმებს კი დ საწყისშიც აქვთ: ტყდება—ტყდომა, სქდება—სქდომა.

ტყდება და სქდება „უნიშნო ვნებითების“ — კვდება, წყდება —ს ტიპისაა: (1) უნიშნო ვნებითები ამ ტიპისა დ-ს (<ედ) ინარჩუნებენ ზემოთ აღნიშნულ სამსავე შემთხვევაში, როგორც ტყდება და სქდება; (2) ტყდება და სქდება, მსგავსად კვდება ტიპის უნიშნო ვნებითებისა, საწყისში იჩენენ -ომ სუფიქსს: ტყდ-ომ-ა, სქდ-ომ-ა; შდრ. კვდ-ომ-ა, წყდ-ომ-ა, ძდ-ომ-ა, შრ-ომ-ა; (3) მსგავსად უნიშნო ვნებითებისა, მიმღეობა ეწარმოებათ მ — არ კონფიქსით: გამ-ტყდ-არ-, გამ-სქდ-არ; შდრ. მო-მკვდ-არ, გამ-ძდ-არ და სხვ.

როგორც ცნობილია, ძვ. ქართულის წყვეტილის I და II პირში უნიშნო ვნებითთა ფორმებში -დ წარმოდგენილია -ედ-ის სახით (მოვკუედ, მოხკუედ) — „მითხარლა ჩუენ, იონა, რაჲმცა სარგებელ გეყო შენ, უკუეთუმცა ქალაქი ესე ჩუენი დაიქცა, და ჩუენ ყოველნი მოვწყუდიოთ“ (ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963; 45,30. გამოსცა ივ. იმნაიშვილმა).

ახალ ქართულში ე ხმოვანი წყვეტილის აღნიშნულ პირებშიც დაიკარგა (მოვკვდი, მოვწყდით...). საქმე გვაქვს პარადიგმის გასწორებასთან მესამე პირის მიხედვით. ამ ე-ს დღეს გავძედ, გავძედ ფორმები ინარჩუნებენ მხოლოდ.

ყოველივე ზემოთ თქმულის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ უძველეს საფეხურზე ენაში წყვეტილის I პირში იქნებოდა გან-ვ-ტყედ (<გან-ვ-ტხ-ედ) და გან-ვ-სქედ (<გან-ვ-ჰქედ) ფორმები, რომელთაც -ედ სუფიქსის ე-ს დაკარგვით მოგვცეს გვიანდელი გავტყდი, გავსქდი ფორმები. ამ გზით წარიმართა შემდგომ უნიშნო ვნებითთა სხვა ფორმების განვითარებაც და დღეს ეს პროცესი დამთავრებულია.

გატყდა (განტყდა), გასქდა (განსქდა) ფორმებში -ედ ფორმანტის გამოყოფას დიდი მნიშვნელობა აქვს: (1) ირკვევა, რომ აქტივთაგან -ედ ფორმანტით შეიძლებოდა პასივთა წარმოება და ეს შეიძლება დაისვას მოვკუედ, მოვწყუედ ფორმათა მიმართაც და ცალკე გამოყოფით ისინი გავშერ, გავ-

ძედ, დავკენ... ტიპის ზმნათაგან და მივიჩნოთ შედარებით გვიანდელი წარმოების ფორმებად, რომლებიც შეუერთდნენ გავე-შერ ტიპის უნიშნო ვნებითებს.

რაც შეეხება ძვ. ქართულის და-ჰ-ჟსნ-დ-ა ფორმას, რომელიც და-ჰ-ჟსნ-ი-ს აქტივის გვერდით დგას, იგი ამ აქტივის კონვერსიული ცალი არ არის.

და-ჰ-ჟსნ-ა ფორმა ძველ ქართულში ორპირიანია და მისი კონვერსიული პასივია და-ი-ჟსნ-ა პასივი („დაიჟსნა გული ერისაჲ“ ისუ ნ. 7,599).

სწორი ჩანს ა. შანიძის ვარაუდი, რომ დაჰჟსნა წარმოშობით სამპირიანია: მისი ირიბი დამატება უბრალო დამატებად ქცეულა (გარდამოჰჟსნა ჟუარსა > გარდამოჰჟსნა ჟუარისაგან), რასაც მოჰყვა არა მხოლოდ სამპირიანი აქტივის ორპირიანად ქცევა. არამედ სამპირიანი აქტივის კონვერსიული ვნებითის — დაე-ჟსნა-ს ერთპირიანი ვნებითით (დაიჟსნა) შეცვლაც.

საშუალ ქართულში კვლავ გამოჩნდა ქსნა-დან ნაწარმოები საზედაო სიტუაციის სამპირიანი ფორმები, რომელთაც შესაბამისი კონვერსიული ე-ნიანი ფორმებიც ჩამოუყალიბდა. „ვეფხისტყაოსანში“ ამ სამპირიან საზედაო სიტუაციის ფორმას ხშირად ვხვდებით: „...დავჰჟსნენ სოფლისა თმობასა“ (910,4), „დამხსენ ჩემსა საწუთროსა“ (571,4).

გარდამოჟსნა, დამოჟსნა, დაჰჟსნა როცა სამპირიანი აქტივის ფორმები იყო საზედაო სიტუაციისა, მათ კონვერსიულ პასივად არ შეიძლება ჰქონოდა -ენ-ნ-დ-ონიანი ვნებითი ძველ ქართულში მოქმედი გრამატიკული წესების მიხედვით.

მაშ დაჰჟსნ და რომელი აქტივის კონვერსიული ვნებითია?

თუ ძველ ქართულში მოქმედ მორფოლოგიურ კანონზომიერებას გავითვალისწინებთ, ეს აქტივი ა — ებ მორფემით უნდა ყოფილიყო ნაწარმოები²⁵⁷. თანაც, რადგან დაჰჟსნ და ორპირიანი პასივის ფორმითაა წარმოდგენილი, ეს მოქმედებითი სამპირიანი უნდა ყოფილიყო (შდრ. ჰ-ა-ყუარ-ებ-ს — ჰ-ყუარ-დ-ებ-ი-ს). ანავე დროს რედუცირებული ფუძე-მორფემით, რადგან დაჰჟსნ და პასივში ფუძე-მორფემა გაუხმოვანებელია. ასეთი ფორმა იქნება *ჰ-ა-ჟსნ-ებ-ს შუალობით კონტაქტის მნიშვნელობით („ახსნევიანებს“, „არღვევიანებს“).

257 ა. შანიძე, ქართული ზმნის საქცევი, ტუმ, VI, 1926, გვ. 326.

მაშასადამე, ესნის (2-პირიანი აქტივი) > *ჰ-ა-ჰს-ნ-ებ-ს (3-პირიანი კაუზატივი) > და-ჰ-ჰს-ნ-ა (სამპირიანი კაუზატივის შესაბამისი დ-ონიანი ვნებით).

ასეთი კლასიფიკაცია *ჰ ა ჰ ს ნ ე ბ ს რეკონსტრუირებული ფორმისა და ძველი ქართულის სრულიად თავისებური დაჰ-ჰს-ნ-ა ფორმისა უცნაური იქნება, თუ პასუხი არ გავეცით კითხვას — რატომ ვივარაუდოთ *ჰ ა ჰ ს ნ ე ბ ს შუალობითი კონტაქტის ფორმად, როცა ამ ადგილზე ძველ ქართულში რეალურად დასტურდება თეორიულად მოსალოდნელი ჰ ა ჰ ს ნ ე ვ ს? თეორიულად ჰ ა ჰ ს ნ ე ვ ს მოსალოდნელია იმიტომ, რომ ა — ევ კონფიქსით შუალობითი კონტაქტის წარმოება ხდება მხოლოდ გაუხმოვანებელი ფუძეებიდან; მაგალითად; თლ-ი-ს — ა-თლ-ე-ს, ჰრის — აჰრე-ს, კნავს — აკნე-ს და სხვ.; ა — ებ კონფიქსით კი იწარმოება გახმოვანებული ფუძეები: ჰ-ყუარ-ობს — ა-ყუარ-ებ-ს, ჰშურობს — აშურებს... (იხ. ზემოთ).

იმის გამო, რომ არსებობს პასივი და-ჰ-ჰს-ნ-ა, უნდა ვივარაუდოთ მისი კონვერსიული აქტივი ა — ებ და შეეუმშულო ფუძე-მორფემით. ასეთ დაშვებას ხელს უწყობს შემდეგი: (1) ა — ევ კონფიქსით ნაწარმოები კაუზატივების კონვერსიული ვნებით არ შეიძლება დ-ონით (-ენ ~ ნ) იწარმოებოდეს არც ძველ და არც ახალ ქართულში (დიალექტებში).

ხელისშემშლელი რჩება ა — ევ და ა — ებ კაუზატივის მაწარმოებელ კონფიქსთა დისტრიბუცია. განაწილების ეს წესი, როგორც ჩანს, გვიან გახდა მკაცრი, ადრე ა — ებ, როგორც ჩანს, აგრეთვე იწვევდა კუმშვას (რაც ფონემატური თვალსაზრისით სრულიად გამართლებულია ამ ტიპის კონფიქსისათვის, დასადგენია მიზეზი მეორეული სიმკაცრისა...). ამ ძველი ვითარების კვალი ერთ შემთხვევაში სხვაგანაც ვლინდება — ეს არის ძვ. ქართულის ჰ ა ტ ყ უ ე ბ ს „ამეტყველებს“, „ალაპარაკებს“ ფორმა, რომელშიც ა — ებ ერთვის ნულოვანი გახმოვანების ფუძე-მორფემას. ა. შანიძემ სრულიად სამართლიანად ეს ფორმა მიიჩნია შუალობითი კონტაქტის შინაარსის მქონედ: „...„ჰატყუებს“ მეტია, ვიდრე „ჰასმენს“, რადგანაც პირველის ირიბი ობიექტი შემსრულებელი ობიექტია და ზმნის შუალობით კონტაქტიანი ზმნების რიგებში დგას.“²⁵⁸.

ლიახ, ჰატყუებს შუალობითი კონტაქტის ფორმაა (ისევე, როგორც ასმენს). მისი ამოსავალია *o*-თემისნიშნის იტყუ-*o*-ს (ძვ. ქართ. ორთოგრაფიით — იტყკს) აქტივი, რომლის ფუძე-მორფემა ტყჭ გაუხმოვანებელია.

ასევე *o*-თემისნიშნის *ჟსნ-ი-ს* ფორმიდან არის ნაწარმოები ჩვენ ბიერ რეკონსტრუირებული შუალობითი კონტაქტის *ჰ-ა-ჟსნ-ებ-ს.

ამის გვერდით საყურადღებოა დიალექტური ქნ და „მოხდა“ დ-ონიანი ვნებითი — ეს ფორმა ხშირად გამოიყენება თანამედროვე ფერეიდნულში. ქნ და-ს მოცემა შეეძლო მხოლოდ სამპირიან *აქნებს „აკეთებინებს“ აქტივს. აქნებს მიღებულია ორპირიანი და *o*-თემისნიშნის ქმნის აქტივისაგან, ქმნის > აქნებს — აქნებს, რომლის კონვერსიული პასივია ფერეიდნულში შემორჩენილი ქნ და. ძველს ქართულშივე *აკსნებს და *აქმნებს შეცვლილია ა — ევ კონფიქსით ნაწარმოები აკსნევეს და აქმნევეს (> აქნევეს) ფორმებით, რომლებიც დღემდე შემორჩა ქართულ დიალექტებს. მათ შესაბამისი პასივიც გაიჩინეს: იკსნების და იქმნების. აკსნებს და აქმნებს კაუზატივის უძველეს ფორმათა რეალურად არსებობის სავარაუდოდ დაჰკსნდა (ძვ. ქართ.) და ქნ და (ფერეიდნული დიალ.) ფორმებია შემოგვრჩა, ხოლო წარმოების ტიპი ჰატყუებს ფორმამ შემოგვინახა.

უძველესი წარმოების ჩანს ჩნ დები ს/ჩნების დ-ონიანი ვნებითი. ზოგი ვარაუდით ვნებითის ეს ფორმა უკავშირდება ჩანს მედიუმს.

ძვ. ქართულის ჩა/ჩან/ჩანნ მედიუმს გვერდით უდგას აჩინებს აქტივი და ჩნ და პასივი (გამოჩნდა/გამოჩდა). ძველ ქართულში არ ჩანს აჩენს აქტივი.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ მედიუმი ჩან, საიდანაც მიღებულია ჩა ვარიანტიც („ჩანს“), ძველ ქართულში არ იკუმშება ხმოვნით დაწყებული მორფემის დართვით: ჩან-ან ჩან-ედ ფორმები ნორმატიულია ძველი ქართულისთვის. ამიტომ გამოჩნდა ფორმა ვერ იქნება ნაწარმოები მედიუმიდან -ედ სუფიქსის დართვით: *ჩან-ედ-ა>ჩნდა. ჩნ და ვნებითი ნაწარმოებია აქტივიდან, რომელიც მარკირებული იყო ა — ენ კონფიქსით: *აჩან-ენ-ს>*აჩნ-ენ-ს>აჩ-ენ-ს (შდრ. *ა-დეგ-ენ-ს>ა-დეგ-ენ-ს) — ეს ჩვეულებრივი გზაა მედიუმთაგან აქტივის მიღებისა (წევს-აწვ-ენ-ს, ვალ-ს — ავლ-ენ-ს, დგა — ადგენს და სხვ.) და უძ-

კვლევის ტიპია მედიუმთაგან აქტივის წარმოებისა. ამავე ტიპს განეკუთვნება ა — ებ კონფიქსიანი წარმოებაც ერთპირიან მედიუმთაგან: წუხს — აწუნებს, ღუმს — აღუმებს. ა — ებ კონფიქსი განზოგადდა და გაჩნდა ა დ გ ი ნ ე ბ ს, ა ე ლ ი ნ ე ბ ს მესამეული წარმოების ფორმები, რომელთაგანაც იწარმოვა დ-ონიანი ვნებითებიც, ოღონდ ენ/ინ ფუძე-მორფემას შეუხორცდა: და-დგ-ინ-დ-ა, გამო-ვლ-ინ-დ-ა, გადმო-ს-დ-ინ-დ-ა და სხვ.

დავუბრუნდეთ ჩნ-დ-ებ-ი-ს—ჩნ-დ-ა ვნებითს: ა-ჩ-ენ-ს/ა-ჩ-ინ-ებ-ს უდავოდ მეტყველებს იმაზე, რომ ჩან მორფემა აქტივის ფუძეში რედუცირდება, სწორედ ეს რედუცირებული მორფემა გვაქვს *ა ჩ ნ ე ნ ს აქტივის კონვერსიულ ვნებითში — ჩნ-დ-ებ-ი-ს. მაშასადამე, ჩნ-დ-ებ-ის წარმოება ძალიან ძველია, იმ დროინდელი, როდესაც -ენ ჯერ კიდევ არ იყო შეხორცებული ძირეულ მორფემასთან. ძველ ქართულში ა — ენ კონფიქსიანი უძველესი ფორმაც დასტურდება: „ნუცა აღადგენთ მათ ზედა ბრძოლასა“ II შჯ. 2,99. აღ-ა-დგ-ენ-თ შემდეგ შეცვალა აღ-ა-დგ-ინ-ებ-თ ფორმამ: „ნუ აღადგინებთ მაგათ მიმართ ღუაწლსა ბრძოლისასა“ (იქვე, M; იხ. ილია აბულაძე, ძველი: აღდგენა) და შესაბამისი ვნებითიც გაიჩინა: და-დგ-ინ-დ-ა.

ვერ დავუშვებთ ა-ჩენ-ს დანაწევრებას — მხოლოდ ა-პრეფიქსიან წარმოებას, რადგან აუხსნელი დაგვრჩება ჩან/ჩენ მონაცვლეობა ძირეულ მორფემაში. ჩ-ენ (ა-ჩ-ენ-ს) დანაწევრება კი თავისთავად გვავარაუდებინებს აქტივის ფუძეში ჩან მორფემის ჩნ შეკუმშულ ვარიანტს, რომელიც გადადის ამ აქტივიდან ნაწარმოებ დ-ონიან პასივში.

ФОНЕМАТИЧЕСКАЯ СТРУКТУРА ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Резюме

В языке выделяются различные уровни, которые одновременно действуют в глобальной системе языка.

Фонемы не имеют значения, следовательно, не представляют языковых знаков; но в связи с фонемами встает ряд проблем, которые по существу отличаются от проблем других уровней языка. Фонематическую структуру языка следует изучать самостоятельно.

Фонемы образуют морфемы, слова и предложения, но правила их сочетания в рамках морфем и слов весьма различны, и эти правила должны изучаться отдельно. Следует выявить результаты взаимодействия этих разных синтагматических поведений в языке.

Язык объединяет в себе подсистемы: территориальные диалекты и литературный язык.

Фонотактические правила языка, с целью выявления его характерных черт, следует выводить по диасистемному методу, который опирается на данные диалектов и литературного языка (одной из подсистем языка).

Правила, полученные таким путем, по нашему мнению, надежны, так как они выводятся на основе общих показаний всех подсистем языка и в то же время не оставляют вне поля зрения ту или иную специфику отдельных подсистем.

ВОКАЛИЗМ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Парадигматический анализ. В грузинском языке пять гласных фонем — /а, э, оі, оо, уи/. Особую подсистему гласных фонем представляет тушинский диалект. Вследствие влияния нахских языков в тушинском диалекте образовались еще четыре долгих гласных фонем — /ā, ē, ōī, ūī/.

В разных подсистемах грузинского языка встречаем умлаутизированные гласные [ǎ] ö и [ǔ] ü, а также гласные с йотированным и лабиальным приступами (ა ერთი jerti „один“, უ ორი wogí „два“...).

[ǎ] и [ǔ] результат слияния лабиальной /ǰ/ с передними гласными: უ ო > ǎwe > ö, უ ო > უ wi > ü. Иногда [ǎ] и [ǔ] свободно чередуются с непалатальными [ɔ] и [ɟ] (ჩ ო ბ / ჩ ო ბ ზ ო პ / ზ ო პ) „мы“, моч.). [ǎ] и [ǔ] бифонематичные элементы языка.

Что касается гласных с йотированным и лабиальным приступами ([ǎ] je, [ǔ] wo), в них в виде ა j и უ w высвобождаются признаки гласных (палатальность, лабиальность) в качестве особого элемента и, следовательно, [ǎ] и [ǔ] нельзя считать бифонематичными элементами. Они являются аллофонами соответствующих гласных /ǰ/ и /ɔ/.

Для парадигматического описания гласных грузинского языка достаточно два признака — «лабиальность» и «высота». В артикуляционной и акустической схемах это выражается следующим образом:

Артикуляционная схема;

	Ряды по подъему языка		
	1—низкий	2—средний	3—высокий
	пелабиальные	ა ა	ე ე
лабиальные	ო ო		უ უ

Аллофоны /0/ могут реализоваться как с низким, так и средним подъемом, ибо по признаку «лабиальность» всякий [ǎ] всегда будет различаться от всяких [ǎ] и [ǔ].

Акустическая схема

	ა ა	ე ე	ი ი	ო ო	უ უ
компактный	+	+	-	+	-
бемольный	-	-	-	+	+
низкий	+	-	-	+	+

Лабialsные и нелабиальные серии гласных характеризуются в отношении их поведения с лабиальной фонемой /з/ v: /з/ не встречается перед лабиальными гласными, на основе чего делаются выводы: (а) гласные грузинского языка характеризуются лабиальной корреляцией; (б) лабиальные гласные являются маркированными в соотношении с нелабиальными. С этой точки зрения обращает на себя внимание диссимиляция гласных: в комплексах «нелабиальных» гласных компоненты не диссимилируются по этому признаку, в комплексах же «лабиальных» гласных возможна диссимиляция по лабиальности (напр.: $\text{ო} > \text{ა}$, $\text{ოე} > \text{აე}$).

Синтагматический анализ. Путем исключения из анализа заимствованных слов и слов с комплексами гласных лишь на стыке морфем устанавливается, что в рамках одной морфемы для грузинского языка не характерны комплексы гласных фонем. Анализируются позиции #—V, V—# и C—C (начало, конец и середина слова).

Под давлением этого фонематического свойства языка комбинация гласных на стыке морфем упрощается до одного гласного путем разных фонетических изменений, в частности, путем слияния и дифтонгизации гласных, редукции одного из компонентов и вставкой согласной фонемы между гласными.

Слияние гласных: $\text{აე} > \text{ეე} > \text{ე}$ $\text{აე} > \text{ეე} > \text{ე}$, $\text{აუ} > \text{უუ} > \text{უ}$ $\text{აუ} > \text{უუ} > \text{უ}$ $\text{აი} > \text{ეი} > \text{ი}$ $\text{აი} > \text{ეი} > \text{ი}$...

Дифтонгизация: $\text{აი} > \text{აე}$ $\text{აი} > \text{აე}$, $\text{აუ} > \text{აუ}$ $\text{აу} > \text{ау}$, $\text{ეე} > \text{იე} > \text{იე}$ $\text{ეე} > \text{იე} > \text{იე}$, $\text{უა} > \text{უა}$ $\text{უа} > \text{уа}$...

Редукция: $\text{აუ} > \text{უ}$ $\text{აу} > \text{у}$, $\text{ა} > \text{ა}$ $\text{ა} > \text{ა}$...

Вставление согласной фонемы: $\text{ეე} > \text{ეეე}$ (ახევებს) $\text{ეე} > \text{eve}$ (ახევებს), $\text{ოე} > \text{ოვე}$ (ცდოველი; Ср. ცდო) $\text{ოე} > \text{ove}$ (cdoveli)...

КОНСОНАНТИЗМ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Парадигматический анализ. Рассмотрены парадигматические таблицы грузинских согласных Г. С. Ахведиани, А. Г. Шанидзе, Г. Фогта, Р. Г. Робинса и Натали Уотерсон, а также ряд исследований этих и других авторов по отдельным вопросам парадигматики согласных грузинского языка.

Фонемы /б/ п и /з/ т считаем щелчными, так как их аллофоны реализуются без преодоления смычки при от-

крытой полости носа. Это решение подтверждается синтагматическим поведением /б/ и /д/ — они ведут себя так, как щелинные фонемы (см. ниже).

Аффрикаты /дз/ /дʒ/ /дʒ/ /зс/ /зʃ/ /дʒ/ /дʒ/ квалифицируются как простые согласные, для которых релевантным признаком является «смычность».

/у/ /г/ смычногортанная щелинная фонема, /у/ /г/ производится при сомкнутых голосовых связках, щель образуется в фарингсе или же у мягкого неба.

Матрица согласных фонем грузинского языка

		Локальные признаки							I		II							
		1	2	3	4	5	6	7										
признаки открытости	1	губной	+	-	-	-	-	-	-	р	б	п	м	в				
	2	зубной	-	+	-	-	-	-	-	т	д	т				л		
	3	переднеальвеолярный	-	-	+	-	-	-	-	ц	з	с	п	з	с			
	4	среднеальвеолярный	-	-	-	+	-	-	-					р				
	5	заднеальвеолярный	-	-	-	-	+	-	-	џ	џ	џ		џ	џ			
	6	мягкоязычный	-	-	-	-	-	+	-	к	г	к		γ	х		г	
	7	ларингальный	-	-	-	-	-	-	+					h				
										+	-	-	-	-	-	-	-	+
										-	-	+	-	-	+	-	-	-
										-	-	-	-	-	-	+	-	-
									-	-	-	+	-	-	-	-	-	
									+	+	+	-	-	-	-	-	-	

Синтагматический анализ консонантов. Фонотактические правила, свойственные языку, выводятся на основе изучения дистрибутивного поведения согласных в

рамках отдельных морфем. Стечение согласных на стыке морфем продиктовано морфологическими правилами аранжировки грамматических аффиксов. Не следует смешивать данные этих двух явлений, довольно отличных по природе и различающихся по реализации в языке.

Для более общего характера фонотактических правил выделены классы согласных фонем. В классы вводятся фонемы, которые не следуют друг за другом в рамках одной морфемы в начале слова. Этому требованию могут удовлетворять фонемы, образованные одним и тем же активным органом. В грузинском языке можно выделить четыре класса согласных фонем:

I (класс C_1) /b ɸ ɟ ɖ ʒ/b p p t v—лабиальные

II (класс C_2) /c ɔ ɔ̃ d (ɔ) ʃ ʃ̃ ʂ ʂ̃ ʒ ʒ̃ ʒ̃/d t t̃ z c ɟ z s ʒ̃
ɛ ɛ̃ ʒ̃ ʒ̃ —переднеязычные

III (класс C_3) /r ɽ ɸ/g l n—переднеязычные сонорные

IV (класс C_4) ʒ ʒ̃ ʒ̃ ɽ ɸ y ʒ̃ ʒ̃/g k k̃ ɣ x q h—заднеязычные, ларингальные

Члены одного класса могут составить комплексы с фонемами других классов по определенным правилам.

Межклассовые отношения согласных фонем удобно классифицировать по признакам смычности и щелинности. Комбинации парных согласных в позиции $\#-V$ представлены в четырех таблицах. В первой таблице анализируются комплексы, в которых за смычным согласным следует щелинный — формула CC° (C — символ смычной фонемы, а C° — щелинной); во второй таблице за щелинным согласным следует смычный — формула $C^\circ C$, в третьей представлены комбинации смычных согласных — формула CC , в четвертой — комбинации щелинных — формула $C^\circ C^\circ$.

Самой высокой реализацией парных консонантных комплексов характеризуется формула CC° . Комплексы шумных согласных всегда гомогенны, сонорные могут следовать за любым смычным согласным. Формула CC° объединяет комплексы растущей щелинности, так как в них за смычным следует щелинный. Формулы $C^\circ C$ (убывающая щелинность) и CC (нулевая щелинность) в таблицах имеют очень низкую реализацию, по этому модель растущей щелинности называем основной моделью грузинского языка, а модели убывающей и нулевой щелинности — неосновными.

Если учесть, что комплексы растущей щелинности $ɸ\epsilon$ -, $ɸ\epsiloñ$ -, $ʒ\epsilon$ -, $ʒ\epsiloñ$ -, $\epsilon\epsilon$ -, $\epsilon\epsiloñ$ - (см. табл. CC°) реализуются в

языке и эти же фонемы в порядке убывающей щелинности ზბ-, ზგ-, სჯ-, შქ-, ხჟ-, ყპ- не реализуются, то по [методу индукции (от известной аналогии к полной) реализующиеся комплексы щелинных фонем სბ-, შბ-, ზღ-, ქღ-... (см. табл. С°С°-) можно считать комплексами растущей щелинности, а комплексы обратного порядка этих же фонем (ღზ-, ლჟ-, ხს-, ხშ-), которые не реализуются²⁵⁹, можно считать комплексами убывающей щелинности. Таким путем мы можем дать фонематическую схему нарастания щелинности между согласными разных классов:

- | | |
|------|----------------------------------------|
| 1. | Смычные согласные (нулевая щелинность) |
| 2. | ზ ს ქ შ z s ž š |
| 3. | ღ ბ ყ γ x q |
| 4. | ვ მ v m |
| ↓ 5. | რ ლ ნ r l n |

Щелинность нарастает по направлению стрелки.

Можно связать парные комплексы или же отдельные согласные по схеме растущей щелинности: напр. $\text{ღყ} + \text{ვრ} > \text{ღვვრ-тq} + \text{вр} > \text{ღqvр}$, $\text{ზღ} + \text{ვრ} > \text{ზღვრ- zγ} + \text{вр} > \text{zγвр-}$, $\text{შშ} + \text{ბვ} + \text{ნ} > \text{შშბვნ- рš} + \text{хв} + \text{н} > \text{рšхвп-}$. $\text{ბქ} + \text{ღვ} + \text{რ} > \text{ბქღვრ ბž} + \text{γв} + \text{р} > \text{ბžγвр-}$ и др. В рамках неосновных моделей согласные не связываются по нулевой или по убывающей щелинности, что дает нам право в начале слова порядок следования согласных фонем по растущей щелинности считать основным фонематическим свойством грузинского языка и это свойство сформулировать в виде закона растущей щелинности: в позиции #—V каждый последующий шумный согласный превосходит по щелинности предыдущий гомогенный согласный и относится к другому классу фонем. Ограничение по гомогенности не распространяется на последующие сонорные согласные.

²⁵⁹ ხს- и ხშ- не реализуются в тех подсистемах груз. языка, где не произошло чередование ж/б, а в тех диалектах, где место /ж/ уже занимает /б/, происходит метатеза, вследствие чего ხს->სხ-, а ხშ->შხ-.

Диаграмма модели растущей щелинности




Диаграмма может дать комплексы растущей щелинности ($CC_2C_1C_3^2=$, $C_3^2C_1C_3^2=$, $CC_2^2C_1^2=$, $CC_1^2=$ и др.). Можно убрать любой компонент с левой или с правой стороны, или же изъять его из середины, но нарушать их порядок внутри комплекса нельзя.

В позиции $\#-V$ встречаются комплексы прерванной щелинности, где исторически произошло слияние двух морфем ($\text{gr}^{\text{h}}\text{hb} < \text{gr}^{\text{h}} + \text{hb}$ $\text{rg}^{\text{h}}\text{x} < \text{rg}^{\text{h}} + \text{x}$, $\text{z}^{\text{r}}\text{v} > \text{z}^{\text{r}} + \text{v}$ $\text{vrc} < \text{vr} + \text{c} \dots$). Фонематическая закономерность нарушается изменением морфологического порядка, но после слияния морфем под давлением фонематической структуры языка происходят фонетические изменения, направленные на превращение их в комплексы растущей щелинности (см. ниже).

Комплексы согласных интервокальной позиции. В позиции $v-v$ допущены комплексы парных согласных любой комбинации, так как слогораздел проходит между согласными. Многочленные комплексы этой позиции должны удовлетворять требованиям слогоделения, т. е. имплозия предыдущего и эксплозия последующего слогов должны соблюдать дистрибутивные правила начала и конца слова, в противном случае происходят соответствующие фонетические изменения, напр., по морфологической модели ожидается форма kedelsze «на стене», где kedel — корневая морфема, sz — показатель дательного падежа, а sz — послелог. Так как комплекс sz между двумя гласными не распределяется так, чтобы это могло удовлетворить требованиям правил слогоделения (sz не допущен в позиции $V-\#$, sz — в позиции $\#-V$), то комплекс упро-

щается и выпадает показатель дательного падежа: კედელსზე > კედელზე *kedelsze > kedelze*.

Комплексы согласных в конце слова. В позиции V-# полностью реализуются комплексы модели растущей щелинности, комплексы же неосновных моделей имеют очень низкую реализацию, они главным образом встречаются в заимствованных словах.

ФОНЕТИЧЕСКИЕ ИЗМЕНЕНИЯ

Фонетическое изменение с точки зрения фонематики может быть двоякого характера: (1) фонетическое изменение не затрагивает фонематическую структуру, напр. ჯანგი > ჯანგი *žangi > žangi* «ржавчина» (перед гласным а может стоять любой согласный...); (2) фонетическое изменение меняет фонематическую структуру комплекса или слова, напр., კბილი > კვილი *kbiłi > kvili* «зуб»; с чередованием ბ/ვ *b/v* меняется синтагматическая модель: комплекс нулевой щелинности переходит в комплекс растущей щелинности.

В языке фонетические изменения главным образом происходят под давлением основной фонематической модели, которая является первичной. Вторичные (неосновные) структуры являются следствием морфофонематического изменения или же их появление в языке связано с заимствованием слов из других языков.

Переход неосновных моделей в основной совершается разными видами фонетических изменений: путем метатезы согласных, деспирантизацией щелинных, спирантизацией смычных, путем выпадения согласных из комплекса.

Деспирантизация щелинных и спирантизация смычных происходит в рамках класса изменяющегося согласного (щелинный I класса переходит в смычный согласный того же класса...).

СЛОГ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Слог — фонематическая единица, определяется дистрибутивными свойствами фонем.

Слогоделение осуществляется на основании фонотактических требований языка (см. выше: комплексы согласных в интервокальной позиции). Для грузинского языка приняты следующие правила слогораздела:

1. VCV: V — CV
2. VCCV: VC — CV

3. В комплексах прерывной щелинности интервокальной позиции слогораздел проходит в том месте, где прерывается растущая щелинность комплекса, т. е. перед смычным согласным (მერ-ცხა-ლი *мер-сха-ли* «ласточка»).

4. Для многочленных комплексов других моделей в интервокальной позиции устанавливается одно правило сло-годеления: начальный согласный комплекса остается с предыдущей гласной, а все остальные объединены с последующей гласной.

СТЯЖЕНИЕ ИМЕННЫХ ОСНОВ

В грузинском языке в основном происходит стяжение двусложных и многосложных основ. Из односложных основ типа CVC процесс стяжения охватил лишь три: წელ *сел* «год», ხა ხა *ха х* «время» и ბა ბა *ба б* «черешня», а из основ типа C_nVC (C_n символ комплекса согласных) происходит стяжение в 35 основах (список их дается на стр. 178). Стяжение этих основ называем исключением из общего правила, так как сотни основ таких же структур этого процесса не испытывают.

В стяжении именных основ существенна фонематическая овязь двух последних слогов основы с редуцирующим сегментом.

Редуцирующий сегмент может следовать только за основой и всегда начинается гласной фонемой²⁶⁰.

После редукции гласной основы происходит стечение согласных, их число достигает пяти. Эти комплексы всегда находятся в интервокальной позиции.

Комплексы согласных в стяженных формах имен распределяются между гласной основы и гласной редуцирующей морфемы.

Вторым условием стяжения именных основ является соблюдение правил сло-годеления после стяжения основ.

Обычно в стяженных формах последующий слог начинается или одной согласной, или же комплексом согласных растущей щелинности (исключение составляет лишь шесть случаев).

²⁶⁰ Единственным исключением является морфема -ბობა -*паг* (собира-тельный суффикс), начинающаяся с согласной фонемой: ეკა+ბობა > ეკაბობა *eka+pag > ekapag* «тернистое место»...

МОРФОФОНЕМАТИЧЕСКИЙ АНАЛИЗ ПАССИВНЫХ ФОРМ С СУФФИКСОМ -ღ -d

Формы пассивных глаголов с суффиксом-ღ -d вторичны, получены путем конверсии от активных форм с конфиксом ა—ებ a—eb. -ღ<-ბ (<-ებ) -d<-ნ (<-ენ) путем диссимиляции.

ტყდება tqdeba „ломается“, სკდება skdeba „взрывается“, „лопается“ не являются формами пассива с суффиксом -ღ -d, а формами пассива типа კვდება kvdeba „умирает“ и, естественно, они не являются конверсивными активных глаголов с конфиксом ა—ებ a—eb.

Все фонетические изменения основ пассивных глаголов с суффиксом -ღ -d происходят уже в основе актива с конфиксом ა—ებ a—eb.

შემოკლებათა სია — СПИСОК СОКРАЩЕНИЙ

- აზერბ. — აზერბაიჯანული ენა
არაბ. — არაბული ენა
აქარ. — აქარული კილო
ახ. ქართული — ახალი ქართული ენა
გურ. — გურული კილო
ენიმკის მოამბე — „ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე“, თბილისი
ზ. იმერ — ზემო იმერული კილოკავი
თურქ. — თურქული ენა
თუშ. — თუშური კილო
ეკე — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, თბილისი
იმერულ. — იმერული კილო
კახ. — კახური კილო
ლათ. — ლათინური ენა
ლენხ. — ლენხუშური კილო
მეგრ. — ზანური ენის მეგრული დიალექტი
მობ. — მოხეური კილო
ოს. — ოსური ენა
რეს. — რუსული ენა
საბა — სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 1949.
სეკ-ალან — სკეითურ-ალანური
სმამ — „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, თბილისი
სომხ. — სომხური ენა
სპარს. — სპარსული ენა
ტუმ — „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, თბილისი
ფერეიდ. — ფერეიდნული კილო
ფრ./ფრანგ. — ფრანგული ენა
ფშ. — ფშური კილო
ქართლ. — ქართლური კილო
ქლ. I — ქართული დიალექტოლოგია, I, 1964, თბილისი.
ქეგლი — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.
ქეილი — ვ. თოფური ა, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1968, თბილისი.
ა. შანიძე, 1953 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, თბილისი

ა. შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1973, თბილისი

ძე. ქართული — ძველი ქართული ენა

ძველი — ილ. იბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, თბილისი

ალ. კინკარაული — ალ. კინკარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, თბილისი

ВЯ — «Вопросы языкознания»

Мох. — Мохевский диалект грузинского языка

НЛ — Новое в лингвистике, Москва

ОФ — Н. С. Трубецкой, Основы фонологии, 1960, Москва

NTS — Norsk Tidsskrift for Sprogvidenskap, Oslo.

სარჩევი

შესავალი	3
ქართული ენის ზოკალიზმი	4
კონსონანტიზმი	41
ფონეტიკური ცვლილებები	115
ქართული ენის მარცვალი	129
სახელის ფუძის კუმშვისათვის ქართულში	139
დ-ონიანი პასივის მორფოფონემიკური ანალიზი	184
Фонематическая структура грузинского языка (резюме)	206
შემოკლებათა სია	216

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

•

რედაქტორი ზ. ჯ ა თ ა რ ი ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი გ. გ ო გ ი ა ე ა
ტექნიკური ნ. ო კ ე ჯ ა ე ა
მხატვარი მ. თ უ შ მ ა ლ ი შ ვ ი ლ ი
კორექტორი ე. გ ო გ ა ე ა

გადაეცა წარმოებას 2.9.1975; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.11.76;
ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆; ქალაქი № 2; ნაბეჭდი თაბახი 13.75;
სააღრთველ-საგამომცემლო თაბახი 11.91
უე 01417; ტირაჟი 900; შეკვეთა № 3078
ფასი 1 მან 15 კაპ

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР. Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19